

1168
2010

ტომი №44
ოთარ ჭილაძე

ნაწილი I
შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ან მოემართან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შედეგი ტომი
ოთარ ჭილაძე
ნაწილი II



**სდუნება,
რამელსას
უმრანა
გეგაშვილმა
პირ გაუძლო**

*„ძველი ტუთით გეტოტებნი,
მუსტად ისევე, როგორც
სემი შეილოებნი...“*



**ვის ვისწერა
წერილი
ზაზა იაქაშვილმა**

**სანბანს და
ფიფქიანს სარუქვარი
„გზის“ მკითხველებს**

თემა
ახალი წლის ღამის სრურხმენები

გილოცავთ ახალ წელს!



**73 წლის ქალაგინა
ზღვას პირაპირით გადაუფრინა**

**„თურმე, ჯერ კიდევ
მამარნი ვარ...“**

წარმატებული ახალი ბრენდი

წარმოებული საქართველოში

1997

CASTEL SAKARTVELO



Baron
CHOCOLATE
dark

საძვანჭვა




New velvet
taste of chocolate
100g

ხაზობის საძვანჭვა ფიჭვას სუკეთობას!

ჰილთონური შოკოლადი ბაზონი
გილთიჯვარი შინა სხელ წელს!

Baron



ბიბლუსი

წიგნის
მაღაზიათა ქსელი

Books

**დიდი სასხალბლო ფასდაკლება
წიგნებზე**

ბიბლუსის ყველა მაღაზიაში

20%

40%

მონე ბოგენი

დიდი
მხატვრები
20%

ქართული
პროზის
საბანძური
20%

ეს
სამყაროა
20%

ჩემი
სასვარალი
ზღაპრები
20%

დეკემბრის
ბოლოდან
"50 წიგნი"
20%

- თბილისი - რუსთაველის 40/1
- თბილისი - იოსებძის 49
- თბილისი - ალავერდის 121
- თბილისი - რობაქიძის 7
- თბილისი - ბახტრიონის 12
- თბილისი - ს.ს. თბილისი სენტრალი
- ქუთაისი - ლილი ნუსხიძის 1
- ბათუმი - მამულ აბაშიძის 62
- ზუგდიდი - რუსთაველის 92
- სენაკი - რუსთაველის 241
- ფოთი - ჟარბაგა მუხის 12
- სამტრედია - სააკაძის 6
- ხაზორი - რუსთაველის 69
- ღვთისმშობლის - რუსთაველის 11
- რუსთავი - მამულბროვის ბაზ. 12
- ოზურგეთი - 9 აპრილის პარკი
- გურჯაანი - ნოდარგულისა და რუსთაველის შარის გადაკვეთაზე
- გურჯაანი - კაპან ბაღის წინ
- ბოლნისი - სულხან საბას 106
- ზესტაფონი - ალავერდის 87

გამომცემლობები:
„პალიტრა L“,
ქარჩხაძე,
შემეცნება,
ბაყურ სულაჯაური,
გორგა,
სიესტა,
ინტელექტი
არტანუჯი,
სეზანი,
ანა-ბანა

და სხვა ინტელექტუალური

franco fontana italy

საიუველირო მატარებელი franco fontana
გილოცავთ შობა-ახალ წელს და
გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას

10-25% 20 -იანვრამდე!

franco fontana-ს ყველა ფილიალში

franco fontana
italy

გემოვნებისა და ადამიანების არჩევანი

მსოფლიოში აღიარებული იტალიური
ბრენდების ოქროსა და ვერცხლის
ორიგინალური ნაქეთობები და
ექსკლუზიური დიზაინი



რუსთაველის 26
☎ 18-10-47



ჯაიხის 7
☎ 30-65-56



ჭავჭავაძის 21
☎ 18-10-46



ღალიანის 7
(ქარვასლა)

„კასტელი საქართველოს“ წარმატებული ახალი ბრენდი ლუდი „ზეკარი“

ლონისძიება, რომელსაც „ქართული ბრენდის დღეს“ უწოდებენ, თბილისში უკვე მერვედ ჩატარდა. 22 დეკემბერს, „ქართული ბრენდის დღეს“, „შერატონ მეტეხი პალასში“ ქართული ბრენდების დაჯილდოების ცერემონიალიც გაიმართა. ამ პოპულარული პროექტის დამფუძნებელი და ორგანიზატორი საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო — „პროფილი“ გახლავთ.

იმ დღეს, „შერატონ მეტეხი პალასში“ დამსწრეთა საყოველთაო ყურადღება მიიქცია კომპანია „კასტელი საქართველოს“ მიერ გამოშვებულმა ახალმა პროდუქტმა, რომელსაც ლუდის მოყვარულები უკვე კარგად იცნობენ. ლუდი „ზეკარი“ — ვისაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს ეს უგემრიელები სასმელი, ალბათ არ გაუკვირდება, რომ 22 დეკემბერს, ნომინაციაში — „წარმატებული ახალი ბრენდი“ გამარჯვებულად სწორედ „ზეკარი“ დასახელდა. უფრო ამომწურავად ამის შესახებ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართული ღონისძიების ორგანიზატორები და „კასტელი საქართველოს“ ხელმძღვანელები მოგვითხრობენ.

მანანა ბაგიძე, სააგენტო „პროფილის“ გენერალური დირექტორი:

— საზოგადოებამ ალბათ კარგად იცის, რომ „ქართული ბრენდის დღე“ ჩვენში 2003 წლიდან იმართება და მასში ყველაზე ცნობილი, პოპულარული ბრენდები მონაწილეობენ. წელს 35 გამარჯვებული გვყავს. მათ შორის არიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებმაც განსხვავებულ ნომინაციაში გაიმარჯვეს. გამორჩეული პროდუქტი შემოგვთავაზა კომპანია „კასტელი საქართველოს“ — ეს არის ლუდი „ზეკარი“, რომელმაც გაიმარჯვა ნომინაციაში — „წარმატებული ახალი ბრენდი“. მართლაც არაჩვეულებრივი პროდუქტია, რომელმაც დამსახურებული ჯილდო მიიღო.

დავით ნიჭარაძე, კომპანია „კასტელი საქართველოს“ ქალაქ თბილისის დისტრიბუციის ხელმძღვანელი:

— „ზეკარი“ სულ ახალი პროდუქტია, რომელიც ჩვენს კომპანიაში წელს, ზაფხულში შეიქმნა. მის წარმატებას თავიდანვე ველოდით, რადგან „ზეკარი“ ზუსტად იმ სეგმენტში ჩაჯდა, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული გვექონდა. ამ ახალი ბრენდის წარმატებაში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდით. 2010 წელი საკმაოდ წარმატებული იყო მთლიანად ჩვენი კომპანიისთვის — გაყიდვების მოცულობის თითქმის 80-პროცენტის მატება გვექონდა. ბუნებრივია, ამ წარმატებაში თავისი წვლილი „ზეკარმაც“ შეიტანა. ეს აბსოლუტურად ქართული, ტრადიციული პროდუქტია, რომელიც უმაღლესი ხარისხის ალაოთი იქმნება. „ზეკარი“ ლუდის წარმოების ძველი ქართული ტრადიციების მიხედვით იხარშება. ეს პროცესი კი ლუდის დამზადების იმ კულტურას იფუძნება, რო-



მელიც საქართველოში ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა. სახელი „ზეკარი“ ლუდისთვის შემთხვევით არ დაგვირქმევია, იმერეთში არის ულამაზესი ხეობა, რომელსაც ზეკარი ჰქვია. რაც შეეხება საერთო სიტუაციას, მოგვსენებათ, „კასტელი საქართველოს“ ქართულ ბაზარზე უკვე 12 წელია, მოღვაწეობს. იყო სირთულეები, რაც დღეს გარკვეულწილად აღმოფხვრილია — დისტრიბუციის გამოსწორების კუთხით და სწორი მარკეტინგული მუშაობით. რაც შეეხება დაპირებებს, „კასტელი საქართველოს“ კვლავაც ბევრ სიახლეს შემოგვთავაზებთ.



ირინა კაჭარავა, სარეკლამო კომპანია „მაგისტლის“ არტ-დირექტორი:

— „კასტელი საქართველოს“ ჩვენი ერთ-ერთი სერიოზული და მასშტაბური კორპორატიული დამკვეთია. „მაგისტლიმა“ დიდი როლი შეასრულა იმ ბრენდის შექმნაში, რომელსაც დღეს „ზეკარის“ სახელით ვიცნობთ. ჩვენ ვმონაწილეობდით მისი სახელისა და ვიზუალური მხარის შერჩევაში, სარეკლამო კამპანიაში, ჩვენი კომპანიის შემუშავებულია გარე რეკლამა. რაც მთავარია, სატელევიზიო კლიპი, რომლის იდეა და სცენარი „კასტელი საქართველოსთან“ ერთად შემუშავდა, ჩვენ გვეკუთვნის. მიხარია, რომ „კასტელი საქართველოს“ წელს სერიოზული განაცხადით წარდგა ქართულ ბაზარზე. რა თქმა უნდა, ამ კომპანიას ყოველგვარი შესაძლებლობები აქვს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს და ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს. ვამაყობთ, რომ „ზეკარი“ არის ქართული, ეროვნული პროდუქტი, ამიტომ, როდესაც მის რეკლამაზე ვმუშაობდით, აქცენტი მთლიანად გადავიტანეთ ეროვნულ მოტივებზე. რაც შეეხება „ზეკარის“ ვიზუალურ მხარეს, ძალიან თანამედროვეა. თანამედროვეა ეტიკეტის სტილისტიკაც და სლოგანიც.

არჩილ პატარაძე, კომპანია „კასტელი საქართველოს“ კომერციული დირექტორი:

— იმედი გვაქვს, რომ „ზეკარი“ გაუძლებს სერიოზულ კონკურენციას, რომელიც დღეს ამ ბაზარზეა. ყველანაირად ვეცადეთ, შეგვექმნა ახალი ქართული, ეროვნული ბრენდი. ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ის ჩვენს მომხმარებელს მიეღო და შეეყვარებინა. სხვათა შორის, „ზეკარის“ გამოსვლისთანავე წარმოუდგენლად კარგი შედეგი მივიღეთ. გვსიამოვნებს, რომ სიახლის მიუხედავად, მოთხოვნა ამ ბრენდზე საკმაოდ მაღალია. წარმატება განაპირობა „კასტელი საქართველოს“ მთელი გუნდის ერთ ოჯახად შეკვრამ. რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, „ზეკარი“ დღეს ჩაჯდა იმ სეგმენტში, რომელიც ნებისმიერი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია საქართველოში. ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზია, რომ ჩვენი პროდუქტი „წარმატებული ქართული ბრენდის“ ნომინაციაში გამარჯვებულია. ეს კი დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს და საოცარი სტიმულია ჩვენი მომავალი საქმიანობისათვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ჩვენს თანამშრომელს, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ ჩვენს ქარხანაში და წარმომადგენლებს რეგიონებში, ეს წარმატება მათი დამსახურებაა!

„კასტელი საქართველოს“ გილოცავთ მოზა-ახალ წელს!



„თითო ღიმილს ბოსონ ყველასთვის“

„ჩემი საახალწლო სურვილი? სკოლის მერე არავის უკითხავს. დიდად არ მჯერა სურვილების ასრულების. ადამიანები საკუთარ ბედს თვითონ ქმნიან. მარტო ერთი სურვილი მაქვს — შვილის ჯანმრთელობა. მატერიალური კეთილდღეობა ნაკლებად მხიბლავს“.

6



უხარხულ სიბუასიებში მოხვედრილი ლიკა ქორქია ებიკაძეს არ არღვევს

მოდელსა და ტელენამყვანს — ლიკა ქორქიას ოღონდ შობინგზე ნუ წაიყვან და მზადაა, სახლი დალაგოს, სადილი მოამზადოს... ლიკას თბილი ტანსაცმლის ჩაცმა არ უყვარს. ახალი წლის დღესასწაულსაც გარუჯული სხეულითა და საზაფხულო სამოსით შეხვდება.

18



ცხოვრება

საჩუქარი — თოვლის პაპას!..



— კი, მაგრამ ჩემთან რომ დიდი ხანია, თოვლის პაპა აღარ მოსულა?! — ქალს ღიმილი საოცრად მოუხდა...
— ახლა მოვედი და საჩუქარიც მოვიტანე... ნიჟარაძე...
— ნიჟარაძეები ერთი სართულით მაღლა ცხოვრობენ! — შეანყვეტინა ქალმა და ისევ მოიწყინა...

26



- **მინიატიურები** 5
იდიოტობის წელი
- **ნაბჭრის წერილები** 6
■ **მასშაფია** 12
„როგორ ვიყო ობიექტური, როდესაც ფულს სუბიექტურობაში მიხდიან?!“
- **რეპორაჟი** 14
ინდაურის „საჟურნალე“ ფასი, „ცუდი“ პატრული და „ბარაქის ცოცხი“
- **ამბლუა** 16
შორეთიდან ჩამოსული სანტა და ფიფქია და საჩუქარი მკითხველი ბავშვებისათვის
- **იმიჯი** 18
უხერხულ სიტუაციებში მოხვედრილი ლიკა ქორქია ეტიკეტს არ არღვევს
- **სამზადისი** 20
✓ გიგი დედალამაზიშვილი ახალ წელს მილიონს ელოდება
✓ „ჩემს შვილთან თოვლის ბაბუა 2 კვირით ადრე მოვიდა“
- **ტანდავი** 22
„გადაღებიდან შინ ყოველთვის ენერგიით დამუხტული ვბრუნდები“
- **დაუნიწყარი ახალი წელი** 24
ლილიკო ნემსაძის „კუჩხი ბედინერი“
- **გინდ დიჯაჟაძე, გინდ არა...** 26
რომანოვების შთამომავალმა ქართველმა ქალმა ვლადიმირ პუტინს „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა
- **ნამდვილი ამბავი** 29
საჩუქარი — თოვლის პაპას!..
- **თემა** 30
ახალი წლის ღამის ცრურწმენები და სახალისო ამბები
- **სულის სიმტკიცე** 32
„ემჩო ნე ვეჩერ“ ანუ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“
- **საახალწლო ოსნება** 34
„ბუბულიკა“ ბაბუას მიერ მორთმეული საჩუქრები და ძმრის მოყვარული პატარა

0047 27400

მშენიღლები

უჩვეულო ახალი წელი




„კვარაცხელიების ოჯახს ყოველ ახალ წელს დიდი მზადება და პურისჭამა ჰქონდა. ტრადიციულად, ახალ წელს ღორს კლავდნენ და მთელ სანათესავოს ეპატიუებოდნენ. ოჯახის „მამასახლისი“ ქეფის მოყვარული გახლდათ და 31 დეკემბერს 10 საათიდან იწყებდნენ ახალი წლის აღნიშვნას, 12 საათზე კი სიმთვრალისგან ყველას თავი ჰქონდა ჩაქინდრული და ძლივს ლაპარაკობდნენ. ის რა ქეფია, თუ არავინ იჩხუბა?“

76

■ მოღა	35
2011 — კლასიკური ფესსაცმლისა და გამჭვირვალე კაბების წელი	
■ ეს სამყაროა	38
როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში	
■ იხტორიის ლაბირინთები	40
გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა	
■ წლავის მიჯნაზე	43
ცნობილი ტელენამყვანი ახალი წლის ღამეს ოჯახურ წრეში შეხვდება	
■ საკითხავი ქალაქისათვის	44
■ ტაქარი	46
„ყველაზე დიდი საჩუქარი — ადამიანის გულია, მარხვითა და ლოცვით განწმენდილი“	
■ ანტილაპარსანები	48
■ ავტო	48
■ ჯანმრთელობა	50
სასმელები ჯანმრთელობის სადარაჯოზე	
■ კრიმინალური კურიოზები	54
მოხერხებული მოსამართლე, შეურაცხყოფილი პოლიციელი და ხის ტოტზე „დაკრეფილი“ ფული	
■ კოლორიტი	57
„გაქცეული“ ბუხარი და ქართველი „ლუჩანო პავაროტის“ საიდუმლო	
■ თინეიჯარული პონტები	59
სასურველი მეკვლე და თოვლის პაპა	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ რეალური	64
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ პროზა	67
■ ქართული ლიტერატურა	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	72
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
„გამბედაობა მოიკრიბე და სიყვარულში გამოუტყედი“	
■ მოგილი-ზასია	82
■ პროზნოზი	88
■ წლის პრუდიტი	90
■ განსართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სპანოვარდი	97
■ საფირმო ქროსოვარდი	98

სამყარო



კლასიკური ფესსაცმლისა და გამჭვირვალე კაბების წელი

ზაფხულში ძალიან მოდური იქნება კანისფერი, წითელი, ღია ნაცრისფერი და თეთრი, რომელიც ასე აქტუალური დიდი ხანია, არ ყოფილა. ვფიქრობ, ქალები ასეთი ფერის სამოსში ზებუნებრივად ლამაზები წარმოჩნდებიან.

36

ადამიანი



ხის ტოტზე „დაკრეფილი“ ფული

„მოხუცებთან ამ ყაჩაღებს რომ უშვებდი და ასეთ მზაკვრობას სჩადიოდი, გაგფრთხილებინა მაინც, რომ ისინი ასე სადისტურად არ ეწამებინათ, ფიზიკურად არ შეხებოდნენ“.

54

გიბლუსი



ანტიკვარი

— ანუ გაუჩინარების წინა საღამოს გამომიცხადა, რომ ზვალ დილიდან საღამოს 8 საათამდე თავისუფალი ხარო.

— ესე იგი, თვითონ დაგიფრთხილათ, ხომ? — მაინც ჩაეძია ორდენიძე.

62

ტაიმ-აუტი



წლის ყველაზე პრუდიტირებული ადამიანი

რესპონდენტებიდან ზვიად ქორიძემ ყველაზე მეტ კითხვას უპასუხა და დაგროვილი 89%-ით ის 2010 წლის ერუდიტი გახდა.

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოცემის კვირავი პრეტელ, სუთუბათოვით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კვიციანი**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

იდიოტობის წელი



შესავლის ნაცვლად

უცნაური ხალხია ეს აზიელები — არა, წლებისთვის ზოდიაქოს ნიშნების მისადაგება და მათთვის ცხოველების სახელების დარქმევა უროგო იდეა არ გახლავთ, მაგრამ ჩინური და იაპონური კალენდრების მიხედვით ისეთი განსხვავებული „მეც-ცუნები“ მფარველობენ მომავალ 2011 წელს, რომ უნებურად, ეჭვი შეგეპარება მთლიანად ამ „ას-ტროლოგიური ზოოპარკის“ სერიოზულობაში.

თავად განსაჯეთ: 2011 წელი კურდღლის წელიაო, ბრძანეს ჩინელებმა ბევრი საუკუნის წინათ. — კურდღლის კი არა, კატისო, — შეეკამათნენ იაპონელები და მას მერე დანარჩენი მსოფლიოც გაურკვევლობაში ვართ — არადა, სად კატა და სად — კურდღელი?!

საერთოდ, რატომ დავინყე ამ თემაზე ლაპარაკი, იცით? კი — ახალი წელი მოდის და უპრიანია, მაგრამ დავნერდი თოვლის პაპაზე, გოჭზე, ინდაურზე, მიშაზე, საახალწლო კონცერტზე, წარმატებულ მთავრობაზე, მოგებულ ომზე და ათას სისულელეზე, მაგრამ რადგან კატა-კურდღელს შორის აშკარა განსხვავება არსებობს, იდეა დამებადა: ეტყობა, პირველი წელი, როდესაც ჩინეთსა და იაპონიას შორის ეს უთანხმოება მოხდა, ერთისთვის კატას ჰგავდა და მეორისთვის — კურდღელს. ჰოდა, ჩვენ რითი ვართ ნაკლებნი?! გადავწყვიტე, ჩვენი ზოდიაქოს ნიშნები გვეკონდეს და უფრო შორსაც წავიდეთ: ცხოვრების ყველა სფეროს სხვადასხვა ცხოველი „მფარველობდეს“, ოღონდ — ერთი მთავარი პრინციპული განსხვავებით: არა მომავალ, არამედ მიმავალ წლებს შევუსაბამოთ ნიშნები და ასე შევაფასოთ იგი.



მას ასე, 2011 წელი კატისა იქნება თუ კურდღლისა, ამას ერთი წლის შემდეგ მოგახსენებთ, ხოლო რაც შეეხება 2010-ს, რომელიც „ოფიციალური ვერსიით“ ვეფხვის წელი იყო, დანერვილებით მოვეყვით: ფინანსებში რა ვეფხვი ან რის, ბოდვი და — ლუკობადი? „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ ხომ გახსოვთ?! ორივე თუ არა — ჭრიჭინა ხომ გახსოვთ?! ჰოდა, ეგ არი — იცხოვრა ტკბილად და მხიარულად, არ დაიკლო კონცერტი, ლისაბონის სასტუმროს ბოზეები და ჩიტის რძის მანონი! ზამთარში რომ „დაურსა“ — ეგ ცალკე თემაა. ისე, ჩვენთან ისეთი სიცხეა, ზამთარი „გადაიდო“. მოკლედ, ფინანსები — ჭრიჭინას წელი!

განათლება... აი, მითხარით ვინმემ, — შაშვინი ჰგავდა 2010-ში ვეფხვს თუ მანდატურები?! საერთოდ, რა ერქვა იმ გამოცდების დანიშვნა-მოსხნას და „ვეირაში ცხრა პარასკე-ვებს“? თუ ინგლისურის „იმპორტირებული“ მასწავლებლები „ბლდვინავდნენ“ ვეფხვებივით (მაგალითად, ჩემი შვილის მასწავლებელს ხმაც არ ამოუღია)?.. დამეხმარეთ, რომელია არასერიოზული, არაპროფესიონალი, თავისი საქმის არმცოდნე და ავი ცხოველი?! ვერც თქვენ იხსენებთ, ხომ (ჰმ, ცხოველმა როგორ უნდა გაჯობოს)?!

მაშინ, იყოს აფთარი, რომელიც მხოლოდ ერთით — პროფესიონალიზმით გამოირჩევა ჩამოთვლილ თვისებათაგან. ე.ი. განათლება — აფთარის წელი!

კულტურა... ვერაფერს იტყვი, კონცერტები ბლომად

იყო, ტოტო კუტუნოდან დანყებული და პლანდო დომინგოთი დამთავრებული. სხვა საქმეა, ეს რა ფასად დაჯდა, მაგრამ კულტურას ძეგლთა დაცვაც ხომ ახლავს ჩვენში?! მერე? მერე ის, რომ პრეზიდენტის ბრძანებით, ბაგრატის ტაძარი უკრაინული არმიტურით „გაამაგრეს“ და შუშის გუმბათის („ევასება“ ამ კაცს ეს მინის არქიტექტურა და რა ქნას?) დადგმას აპირებენ ახლა. შედეგი — იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიდიდან მისი ამოღება!

დანარჩენ „კულტურაზე“ აღარაფერს ვამბობ — ამაზრზენი „ივენტები“; ღრეობებად ქცეული, რბილი „ლ“-ების „დიდოსტატი“ ბომონდელების „ფურშეტები“; უნიგნურთა წიგნების ბეჭდვა სამთავრობო ხელშეწყობით და გრანტ-კრედიტების თქველვა!!!

თქვენ თქვენი თქვით და მე ჩემი აზრი მაქვს: კულტურა — ღორის წელი!

სამართალდაცვა და პოლიცია — აღარ გვაქვს ადგილი, მაგრამ ან გაიხსენეთ, ან სიტყვაზე მენდეთ: ვინც დააშავა და ვინც არ დააშავა, მაგრამ „იმას“ ან მოეჩვენა, ან უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო, ყველას მისწვდა და ზოგს მსუბუქად უკბინა, ზოგსაც კარგა გვარიანი ნაჭერი მოაჭამა, ყველამ რომ ვიცით, იმ სტრუქტურამ.

ჰოოდა, ესეც — ძაღლის წელი... ადგილი აღარ გვაქვს-მეთქი, — გითხარით, ამიტომ დანარჩენებს პირდაპირ ჩამოვთვლი და კვამირი თქვენ იპოვეთ: ჯანდაცვა — ვირის წელი (ოღონდ ავადმყოფი და დაჩაჩანაკებული ვირის); თავდაცვა — ვაჰ, წლეგანდელს დაემთხვა: კურდღლის წელი; ეკონომიკა — მელაკუდას წელი (პატარა, საყვარელი მელაკუდას); სოფლის მეურნეობა — ვირთხის წელი; საგარეო ურთიერთობები — მმმ... რომელია ყველაზე დამთმობი და საცოდავი ცხოველი?..

P.S. ცუდი და თანაც — დაუზუსტებელი ინფორმაციით არ მინდოდა დამემთავრებინა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს: ზოგი საინფორმაციო წყაროს ცნობით, დათა ახალაია მოერია და ოქრუაშვილს ცხვირი გაუტყება, ზოგი პირიქით ამტკიცებს — ოქრუაშვილმა აჯობაო... ერთი კი ნამდვილია: „ზედ შიგ პირდაპირ“ პარიზში საქართველოს თავდაცვის ძეგლმა მინისტრმა დნ ახალი მინისტრის ძმამ ერთმანეთს დასცხეს, „მინას გაჰქონდა გრიალი“... „მაგრამ არც ერთი იყო გასკონელი და არც-მეორე — ბურგუნდიელი, ორივენი“ ბედურული საქართველოს შვილები იყვნენ...

P.P.S. არა, არა, მგონი, მაინც „იდიოტობის წელი“ იყო, ვერც ერთი ცხოველი ამდენ საშინელებამდე ვერ „გაქანავს“...

პროვოკატორი



ქვეყანა

„თითო ღიმილს გთხოვ ყველასთვის“

„გაფარები... მიყვარხარ... მომინატრა... გალოდები...“

წელიწადში არის მხოლოდ 1 დღე, როცა შეგიძლია, სურვილები ფურცელზე ჩამოწერო, თოვლის ბაბუას გაუგზავნო და ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს ეს კეთილი მოხუცი აუცილებლად სურვილით გესტუმრება. ბავშვობაში ასე ალბათ თითოეული თქვენგანი მოქცეულა. როცა ვიზრდებით, თოვლის ბაბუაც გვაფინყდება, მისი საჩუქრებიც და ისიც — სურვილები რომ აგვისრულოს, მთელი წლის მანძილზე კარგად უნდა მოვიქცეთ. ბევრი რომ აღარ გადაგრძელო, თოვლის ბაბუასთვის გასაგზავნი წერილების შეგროვება გადავწყვიტე. ცნობილ ადამიანებს დავუკავშირდი და ეს განზრახვა გაფუზიარე. უცნაურ შეთავაზებაზე ძალიან იხალისეს. ახლა მათი წერილები მე მაქვს და სანამ თოვლის ბაბუას გადავცემ, მინდა, თქვენ წაგაკითხოთ.



თავისუფალი კვირისკაცი

ყველაზე მეტად, ჟურნალისტი **თინათინ ბოგოროვილი** გამხიარულდა. სიცილით გული რომ ივეერა, მერე მითხრა, სად და რომელ საათზე უნდა შევხვედროდი.

— თენგი, გილოცავ და მდეგ ახალ წელს!

— მეც გილოცავ! ღმერთმა მრავალს დაგასწროს შენც, „გზაც“ და „გზის“ მკითხველიც.

— მოიფიქრე, თოვლის ბაბუას რა უნდა მისწერო?

— რა თქმა უნდა.

— სანამ წერილს დაწერ, მიაზრე, როგორი იყო იგი შენს ბავშვურ წარმოდგენაში?

— ერთი თოვლის ბაბუა — ბიძაჩემი იყო, მეორე — ძია იურა (ჩემი მეზობე-

ლი); ორივე ვიცანი.

— ეშმაკი ბავშვი ყოფილხარ.

— ვიცანი, მაგრამ ვერ გავიგე, თოვლის ბაბუას ფორმა რატომ ჩაიცვეს — მათ ხომ ჩემთვის ისედაც ბევრი საჩუქარი მოაქვთ-მეთქი?! ბოლოს დავასკვენი — ალბათ ეს, დიდების თამაშია და ერთობიან. თოვლის ბაბუა ჩემთან ყოველთვის ღამით მოდიოდა. ერთი დიდი ცისფერი გეტრი მქონდა, ასეთივე ვარდისფერი გეტრი კი ჩემი დეიდაშვილის იყო. ახალი წლის ღამეს ორივენი გეტრებს აივანზე ვტოვებდით: ვფიქრობდით, იქნებ სახლში შემოსვლა მოერიდოს და უსაჩუქროდ არ დავრჩე-მეთქი. თოვლის ბაბუას არასდროს გავუწილებივარ, საჩუქარი თუ მცირე მოცულობის იყო, გეტრში მიდებდა, თუ არა და — აივანზე ტოვებდა.

— წერილებს სწერდი?

— მისთვის წერილი არასდროს მიმიწერია. დღეს ეს პირველად უნდა გავაკეთო.

— აბა, დაიწყე.

— სიამოვნებით.

„გამარჯობა, თოვლის ბაბუ!“


მე თენგი მქვია. უკვე დიდი ბიჭი ვარ. იმხელა, როგორებსაც შენი აღარ სჯერათ ხოლმე. ხომ იცი, როგორია ეს ხალხი — რომ იზრდები, გეუბნებიან, თოვლის ბაბუა არ არსებობს და გატყუებდნენო. ამას ალბათ იმიტომ ამბობენ, რომ შენი ყველა საჩუქრის მისაკუთრება თავად უნდათ. არა უშავს, საჩუქრები და სათამაშოები მათ ჰქონდეთ. ოდესმე გახსოვს, შენთვის წერ-

ილი მომეწეროს? არასდროს. იმიტომ, რომ არ მინდოდა ზედმეტად შენი შეწუხება. ისედაც ამდენი ხალხი განუხებებს და ათასნაირ სურვილს გწერს. მე არც სათამაშოს გთხოვ, არც ფულს, არც ნამდვილ მანქანას, არც ჯეკპოტს, არც არაფერს მსგავსს. სულ სხვა თხოვნა მაქვს: თითო ღიმილს გთხოვ ყველასთვის, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ყოველდღე — თითოს, 365 დღეზე თავად გაამრავლე. ისე, რომ დილით ყველა ღიმილით იღვიძებდეს და რაიმე ჰქონდეს ნამდვილად გასახარო! ამდენი ღიმილი ხონჩაში ჩაგეტყვა? მარხილიც ხომ გაქვს — იმაში ჩადე, ოღონდ აუცილებლად და ისე მოახერხე, რომ ყველა ბავშვს სჯეროდეს შენი. ყველა ბავშვს — 80-დან 100 წლამდე. სჯეროდეს შენი და სასწაულებისა, რომელსაც აუცილებლად მოახდენ. მოკლედ, გელოდები და გაბრდები, რომ მომავალ წელს უკეთ მოვიქცევი. შენი თენგი“.

— ნიკა, ბავშვობაში თოვლის ბაბუას წერილებს თუ სწერდი?

ნია არაბიძა:

— ვწერდი, მაგრამ თავხედი ბავშვი არ ვიყავი — ვცდილობდდი, ისეთი სურვილები დამეწერა, რომელთა ასრულებ-





ბასაც შეძლებდა. საჩუქრებს ბალიშის ქვეშ მიდებდა; თუ არ ეტეოდა, საწოლთან ან ნაძვის ხესთან მიტოვებდა. მშობლები მარიგებდნენ, თოვლის ბაბუას საჩუქრებისთვის ძალიან წუ შეანუხებო. მეც ვუჯერებდი.

— თოვლის ბაბუას რომ ვერ ნახულობდი, არ გიკვირდა?

— ვიცოდი, ღამით მოდიოდა, დღისით — არა. ამიტომ იმ ღამეს უპრობლემოდ მაძინებდნენ, ხვეწნა არ მჭირდებოდა. თუ არ დაიძინებ, თოვლის ბაბუა არ მოვაო, — მეტყოდნენ და მეც თვალებს აღარ ვახელებდი.

— ახლა დიდი ბიჭი ხარ და გეცოდინება, თოვლის ბაბუას საჩუქრები რა შემთხვევაში მოაქვდა?

— როგორ არ ვიცი?! მთელი წლის მანძილზე თუ კარგად არ იქცეოდი, საჩუქარს არ მოგიტანს!

— როგორ ფიქრობ — წელს საჩუქარს იმსახურებ?

— მგონი კარგად ვიქცეოდი.

— დაგიჯერო?

— რას ლაპარაკობ? არ მიცნობდე მაინც! ჩემნაირი ჭკვიანი ადამიანი მეორე გინახავს (იციინის)? მთელი წლის მანძილზე არც ქალისკენ გამიხედავს, არც — ვაცისკენ. ვიყავი ჩემთვის თავდახრილი და ვმრომობდი.

— მაშინ, თოვლის ბაბუას რაც გინდა, ის მიხწერე.

— ძალიან შევანუხო? მანქანა რომ მინდა?!

— ახლა მდიდარი კაცია და ყველა სურვილს აგისრულებს.

— შენ გაიხარე! დიდი მადლობა, რომ გამომიარე, წერილს ახლავე დაწერ და გაგატან.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, მე მთელი წელი ჭკვიანად ვიქცეოდი და იმედი მაქვს, რასაც გთხოვ, შემიძრულებ. ძალიან არ მინდა, შეგანუხო, მაგრამ თუ გეჩენება საშუალება, იქნებ ახალი ავტომობილი მაჩუქო (კარგია, თუ „მერსედესი“ იქნება)... ჰო, ორი ცალი, თუ შეიძლება: ერთი — ნამდვილი, ერთი — სათამაშო (ბავშვისთვის), შარშანაც კი გთხოვე, მაგრამ „გადამაგდე“. ჩემი ბრალიცაა — არ ვიქცეოდი კარგად. ეს ჩემი სურვილია და წინასწარ გიხედი მადლობას. მოკლედ, 12 საათზე ეზოში გელოდე-

ბი... რაც შეეხება ზოგადად, ჩემს სურვილს, მინდა, ჩემი ქვეყანა და ქართველი ხალხი იყოს ბედნიერი და ეს წელი მთელი ერისთვის ყოფილიყოს გამთლიანებისა და ბედნიერების მომტანი (ამ პატარა სურვილის ასრულების იმედით მაქვს). წინასწარ გიხედი მადლობას, თქვენი თეთრი წვერი ნუ მოგვიშალავს ღმერთმა!
პატ. ნიკა არაბიძე.“

— თოვლის ბაბუას როლი გითამაშა?

— სტუდენტობის წლებში ვიყავი თოვლის ბაბუა „გამოძახებით“. ზუსტად 12 საათზე პატარა თათიას ვესტუმრე. ბავშვი თვალეში შემომციცინებდა, ინტერესით მაკვირდებოდა, ბებიამისმა კი აიჩემა, — გინდა თუ არა, ჩემი გაკეთებული გოზინაყი გასინჯეო. ვიუარე, მაგრამ ვინ მოგეშვა?! ჩემი ოჯახიდან ისე არ გაგიშვებო, — და რაღას ვიზამდი? პატარა ნაჭერი ავიღე, არ ვიცი, როგორ, ამ გოზინაყს ჩემი თეთრი წვერი მიენება. დავლექავ, ვატყობ — ბამბა ირღვევა. ცუდ დღეში ჩავვარდი...

— ნნო, როგორი იყო თოვლის ბაბუა ბავშვურ წარმოდგენაში? მინო არაზაშვილი.

— თოვლის ბაბუის არსებობის ძალიან დიდხანს მეჯეროდა. ახლაც მეჯერა... ის ჩვენთან ყოველ ახალ წელს, საჩუქრებით საგე სურჯინით მოდიოდა; ვიცოდი, დრო მხოლოდ ერთი წამი ჰქონდა, საჩუქარი რომ დაეტოვებინა; თუ იმ ერთ წამში თვალს ვერ მოკვრავდი, მერე მთელი წლის მანძილზე ვეღარ ვნახავდი.

— წერილებს სწერდი?

— რა თქმა უნდა! კონვერტში ვდებდი და დედას ვაძლევდი. მან იცოდა, სად იყო თოვლის ბაბუის „კანტორა“ (მაშინ ასე ერქვა), მიდიოდა და წერილს უტოვებდა.

— რა მოხდა მაშინ, როცა თოვლის ბაბუას შესახებ ყველაფერი გააცნობიერე?

— მშობლები უფრო მეტად შემიყვარდნენ. საერთოდ, ჩემთვის, ახალი წლის დღესასწაული ბარბარობიდან იწყება: 19 დეკემბერს ნიკოლოზობა და ნიკა ჩემს

ძმას ჰქვია, 20-ში დაბადების დღე მაქვს, მერე — ახალი წელი და შობის დღესასწაულიც მოდის. ძალიან მომწონს ის ტრადიცია, რომელიც უწმინდესმა დაამკვიდრა. ვისურვებ, რომ ყველა ქართველი ამ დღესასწაულს ფანჯარასთან ანთებული სანთლით შეხედეს. უფაღს — ჩვენს გულებში და ღვთისმშობელს — ოჯახებში ვუხმით.

„სამწუხაროა, რომ ჩემს შეილებს შენი არსებობის აღარ სჯერათ, მაგრამ წინასახალწლოდ მაინც გწერენ წერილებს. 31 დეკემბერს საღამოს კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისაფრდებიან, რომ „ფაქტზე ნამასწრონ“ — როგორ გავდგამ საჩუქრებით საგე გუდას გარეთ, ზღურბლზე, როგორ დავრეკავ ზარს და როგორ შემოვხტები სახლში, ვითომ გარეთ არც ვავსულვარ. შემოსასვლელში საპატიო ყარაულივით აიტუზებიან ხოლმე, რომ გამომიჭირონ, მაგრამ როგორც კი ფანჯრებში შუშუნები გამოჩნდება, „პოსტს“ მიატოვებენ და მეც დროს ვიხელთებ ხოლმე. ნეტავ განახვებ, როგორ მორბიან ზარის ხმაზე! მაგრამ დაოსტატებული დედიკო უკვე სამზარეულოშია და არავითარი სამხილი არ არსებობს, რომ არ გაუბრწყინდეთ სახე და არ იკითხონ: ეე, ასე მალე?! როგორ გაქრა?.. ეს ერთადერთი წუთია, როცა სადღაც, გულში მაინც იჯერებენ, რომ



ქოლესტარინის საწოში აპარატი **გლუკომეტრები**

69 ლარი **35** ლარიდან

შპს „ქონტრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ჩააბარე კვლი. დააბაზე 27 ლარი და მიიღე ახალი გლუკომეტრი

საუწყულო


...ქქალი

შანი
2 ლარი

იანვარი

გაეოლის თვალი ერთხელ

შარალი გოლოდ ქალაგისთვის



ქუნიანი გოგონა
ქუნიანი გოგონა

ISSN 87-9881
9 771987 988001

სისტალი
1909 წ.
თბილისი, ზეგო



დასაწყისი იხ. გვ. 6

— კარგი წელი იყო. საერთოდ, ყოველ ახალ წელს რაღაც სიახლის მოლოდინით ვხვდები. წელს 4 ფილმში გადამიღეს. პროფესიული თვალსაზრისით, წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

— **მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით?**

— პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მინდა.

— **კარგი, იმ ფილმებზე გკითხავ, რომელიც უკვე ასწენ?**

— „მამაჩემის გლოფრენდის“ გადაღება ახლახან დასრულდა. ამ ფილმში დეტექტივის როლს ვთამაშობ. ცოტა ხნის წინ დავასრულე რეჟისორ რუსუდან ქყონიასთან მუშაობაც. მის ფილმში პარლამენტარის მეუღლე ვარ, რომელიც სილაშხის კონკურსში მონაწილეობს. რა მოხდება იმ კონკურსში, გავიმარჯვებ თუ არა — ამას ვერ ვერ გეტყვი. შემოთავაზებები კიდევ მაქვს, მაგრამ ცოტა ხანს უნდა დავისვენო, გადავიღალო.

— **სადმე გამგზავრებას ხომ არ აპირებ?**

— არა.

— **ახალ წელს ვისთან ერთად, სად და როგორ ხვდები?**

— უმეტესად, სახლში, შვილთან ერთად. წელს სად წავალ, ვერ არ გადაამინყვეტია.

— **ახალი კაბა შეიძინე?**

— ვიკერავ და მალე მზად იქნება. ახალ წელს საკუთარ თავს ვანებივრებ. ფულის დახარჯვა არ მენანება.

— **სხვა დროს არ ანებივრებ?**

— ახალ წელს უფრო მეტად. სურვილებს თოვლის ბაბუა კი არა, თავად ვისრულებ ხოლმე.

— **პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ გინდა, მაგრამ ვიცი, რომ „ნამდვილი“ „თოვლის ბაბუა“ გყავს — მამაკაცი, რომელიც ყველა სურვილს გიძრულებს.**

— მაინც არ მეშვები, ხომ (იცინის)?.. მე სხვაგვარად ვიტყვი: ჩემს ცხოვრებაში არსებობს მამაკაცი, რომელიც მიყვარს, მასთან თავს კარგად ვგრძნობ და ბედნიერი ვარ. რაც შეეხება სურვილებს, — საამისოდ ჩემი პონორარი მაქვს.

— **იმ მამაკაცის ვინაობას რატომ არ აზივ?**

— არა მგონია, საჭირო იყოს.

— **საახალწლოდ რა საჩუქარს გიმზადებს?**

— მასატიე, მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებ. ხომ იცი, ინტერვიუ ისედაც არ მინდოდა, მაგრამ შენი იდეით მაცდუნე და აი, წერილიც: „ჩემი საახალწლო სურვილი? სკოლის მერე არავის უკითხავს. დიდად არ მჯერა სურვილების ასრულების ადამიანები საკუთარ ბედს თვითონ ქმნიან. მარტო ერთი სურვილი მაქვს — შვილის ჯანმრთელობა. მატერიალური კეთილდღეობა ნაკლებად მზიბ-

ლავს. დღეს მაქვს; შეიძლება, ხვალ აღარ მექონდეს. ჩემთვის ყველაზე ფასეული — ახლობელი და საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნაა. ბედნიერებას, სილაღეს, სიმშვიდეს, სიბოხს გთხოვ. მე თქვენ მიყვარხართ. შორენა ბეგაშვილი.“

ინგა ბრიგოლია:

— თოვლის ბაბუა — ირეალური არსებაა. მას ვერასდროს ვხვდავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ყოველ ახალ წელს ჩემთან მოდის. ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, თუ რამეზე მიოცნებია, ყველაფერი ამისრულდა. ერთხელ, ახალი წლის ღამეს სურვილები ფურცლებზე ჩამოვწერე, მერე ის ფურცელი დაწვი და ფერფლი მამაწურთან ერთად დაველი (იცინის).

— **დღეს რაზე ოცნებობ?**

— ბევრ რამეზე. ჩემი ოცნებების დიდი ნაწილი სამსახურს უკავშირდება. ახალი წლის შემდეგ სერიოზულ პოლიტიკურ აქტივობას ვგეგმავ. გარდა ამისა, ჩემმა შვილმა წელს უნდა დასუროს III კურსი. მარიამი კავკასიის უნივერსიტეტში სწავლობს და IV კურსი რომელიმე უცხო ქვეყნის უნივერსიტეტში უნდა გაიაროს. ვოცნებობ, რომ გამოცდები წარმატებით ჩააბაროს. მატერიალური ოცნებები არ მაქვს. მთავარია, ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები კარგად და ჯანმრთელად მყავდნენ.

— **საკუთარ ტელევიზიაზე არ ოცნებობ?**


— ძალიან და ვიცი, ეს ოცნება ოდესღაც ამისრულდება. მინდა, ტელევიზიის კარგი მენეჯერი გახდეს. ახლა რომ ამის შანსი მექონდეს, სუპერარხს გავაკეთებდი. არ არსებობს პოლიტიკური თანამდებობა, რომელიც მე მომხიბლავს და ამ სურვილზე უარს მათქმევინებს.

— **ახალ წელს როგორ ხვდები?**

— ამ დღეს ყოველთვის ჩემი მშობლების სახლში ვიკრიბებოდით და ერთად ვხვდებოდით. წელს ამ ტრადიციას პირველად ვარღვევ — მეგობრებთან ერთად ბათუმში მივდივარ.

— **შენი მეგობრები ვინ არიან?**

— ჟურნალისტები. ჩემს ჟურნალისტურ სამეგობრო წრეს პოლიტიკური წრე




ვერასდროს შეცვლის.

— **საახალწლო ჩატებულობაზე უკვე იზრუნე?**

— გუშინ გავიგე — თურმე ნითელი კაბა უნდა მეცვა. ზოგჯერ ტენდენციებს მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემს გარდერობში ნითელი ფერის სადღესასწაულო კაბა ვერ ვიპოვე. სასწრაფოდ უნდა შევიძინო — ეს ფერი და ეს დღესასწაულიც ძალიან მიყვარს.

ამ სიტყვების შემდეგ, ინგამ სავარძლიდან ნაძვის ხის ძირში გადაინაცვლა, იატაკზე მოკალათდა და თოვლის ბაბუისთვის წერილი დაწერა:

„ჩემო საყვარელო თოვლის ბაბუა! ჩემი ოცნებების ყველაზე დიდო მესაიდუმლოვე გეფერებ... მიყვარხარ... მომენატრე... გელოდები... 2011 წლის პირველივე წუთებიდან ვიცი, რომ ჩემთან გაჩნდები, მისხვდები, წელს როგორ მჭირდება განსაკუთრებით შენი მხარდაჭერა. ისევე, როგორც მთელი ამ წლების განმავლობაში მყავდი გვერდით და მისრულებდი ყველაფერს, რაც გულით მინდოდა. თორმეტი რომ შესრულდება, პირველ რიგში, გადაგისხდი დიდ მადლობას ჩემი ასრულებული სურვილებისთვის, მერე კი ახალ სურვილს გაგიმხელ; ვიცი, არც ამჯერად დამაღალატებ. 2011 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩემი პოლიტიკური გეგმების განხორციელებისთვის და მჯერა, არც ერთი წუთით არ დამტოვებ მარტო. რაზე ვოცნებობ? — მშვიდობიან წელზე. 2011 წელი ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი მეგობრებისთვის, ჩემი ოჯახისთვის იყოს ყველაზე წარმატებული, მშვიდობიანი, ეკონომიკურად წელგამართული. ძალიან მიმძიმს ყოველდღე, ჩემი ახალი სამსახურიდან გამომდინარე, უამრავ გაჭირვებულ ადამიანთან შეხვედრა და მათი პრობლემების მოსმენა. ვოცნებობ, ასეთი გაჭირვებული ადამიანების რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდეს. არ გაუუმეტყუნო იმედები იმ ხალხს, ვინც 2010 წლის არჩევნებში მომცა ხმა. გკოცნი ბევრს და მიყვარხარ. დიდი პურსუტეტივის და გამარჯვების მოლოდინით ვეგებები 2011 წელს. არ მინდა ვინანო ჩემი გადაწყვეტილება, რაც გასულ წელს მივიღე, როცა პოლიტიკური არჩევანი გავაკეთე. შენი ინგა.“



„ჩემი საახალწლო სურვილი? სკოლის მერე არავის უკითხავს. დიდად არ მჯერა სურვილების ასრულების ადამიანები საკუთარ ბედს თვითონ ქმნიან. მარტო ერთი სურვილი მაქვს — შვილის ჯანმრთელობა. მატერიალური კეთილდღეობა ნაკლებად მზიბ-



ქართული პრესის საგანმეურნეო

ჟურნალ „გზასთან“ ერთად
30 ლაქამბრიდან

„გზასთან“ ერთად ქართული ჟურნალა“

ლთარ ჭილაძე

ტომი 44-45-46 (სამ ნაწილად)

ქართული პრესის საგანმეურნეო



ლთარ ჭილაძე
44 ნაწილი

ქართული პრესის საგანმეურნეო



ლთარ ჭილაძე
45 ნაწილი

ქართული პრესის საგანმეურნეო



ლთარ ჭილაძე
46 ნაწილი



„როგორ ვიყო ობიექტური, როდესაც ფულს სუბიექტურობაში მიხდინა?!“

ტელეჟურნალისტი თინათინ გომოტივიძი ახალ წელს სანგარში შეხვდება, თანაც — ახალგაზრდის მიმდებარე ტერიტორიაზე ან გალთან ახლოს როგორც თავად ამბობს, მისთვის 2010 წელი მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო. ყველაზე საინტერესოდ და ნაყოფიერად 2008 წელი მიაჩნია, განსაკუთრებით კი ის პერიოდი, როცა რუსი ოკუპანტების ნაკვალევს „დასდევდა“ — მასთან საუბრისას კიდევ ერთხელ დაგვანშნობს — ჟურნალისტობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პროფესია იმიტომ არის, რომ ჩემს კოლეგებს თავად აქვთ საფრთხისადმი მიდრეკილება.

სათუნა ბახტურიძე

ცნობისათვის: ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული წლის ანგარიშის მიხედვით, 2010-ში მსოფლიოში 44 ჟურნალისტი მოკლეს. კომიტეტი კიდევ 28 ჟურნალისტის სიკვდილის მიზეზს იკვლევს, რის შედეგადაც შესაძლოა, მოკლულ ჟურნალისტთა სია კიდევ გაიზარდოს.

საქართველოში საბედნიეროდ, წლის განმავლობაში არც ერთი ჟურნალისტი არ მოუკლავთ, რაც შეეხება პროფესიონალურ საქმიანობას — მედია-ექსპერტები ამბობენ, ზოგს სიტყვის თავისუფლება წაართვეს, ზოგს — ინფორმაციის მოპოვების საშუალებათ. 2010-ში ტელეჟურნალისტების ტენდენციურობა იმდენად თვალში საცემი გახდა, რომ ამაზე რიგითი მკვლევარიც ალაპარაკდა. ბევრი ადამიანი აღნიშნავს, რომ ტელევიზია ტოტალურად იმართება ხელისუფლების მიერ და საინფორმაციო გადაცემებში მხოლოდ ხელისუფლებისთვის სასურველი ცნობები გადაიცემა. აქედან გამომდინარე, მინდოდა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ ჟურნალისტებისგან გამეგო, რამდენად იზიარებენ ისინი საზოგადოებაში გავრცელებულ ამ მოსაზრებას, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა კომენტარზე უარი მიიბრუნა, ზოგის ტელეფონი კი „საეჭვოდ დუმიდა“ და საბოლოოდ, მხოლოდ თენგივ გოგოტიშვილი „შემჩნა ხელთ“...

— თენგივ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოში სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად, საფრთხევებს არ უშინდები და რისკზე წასვლაც გიყვარს; ახლა ის მითხარო, რამდენად დამოუკიდებელი ჟურნალისტი ხარ?

— რომ გითხრა, ნაღმებზე სიარული სიამოვნებას მანიჭებს-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ თუ საქმეს დასჭირდება, ამასაც გავაკეთებ. რაც შეეხება დამოუკიდებლობას... არა მგონია, ბლოგერების გარდა, ვინმე იყოს დამოუკიდებელი. თუ საკუთარი ბლო-

გი გაქვს, მხოლოდ შენი სიამოვნებისთვის წერ და შემოსავლის სხვა წყაროც გაქვს (ბლოგერობით ფულს ვერ იშოვი), მაშინ შეძლებ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. თუ სადმე მუშაობ, სრულიად დამოუკიდებელი ვერ იქნები. ყველა მედიასაშუალებას თავისი სარედაქციო პოლიტიკა აქვს. რას იზამ — „ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლი“, ზოგს — არც ერთი, არც მეორე. მე ახლაც იქ ვმუშაობ, სადაც 2010 წლის დასაწყისში... ჩემს სამსახურს, ჩემს ტელევიზიას, ჩემს გადაცემას ისევ ის სარედაქციო პოლიტიკა აქვს, რაც ადრე ჰქონდა (არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ეკა ქადაგი იშვილი დაგიბრუნდა და ეს ძალიან მახარებს). ჩემს ტელევიზიაში პოლიტიკოსების ერთი ნაწილი უყვართ, მეორე — არა. ეს უნდა ვალიაროთ.

— სარედაქციო პოლიტიკით კმაყოფილი ხარ?

— კი.

— პროტესტის გრძნობა არასდროს გიჩნდება?

— არა, უბრალოდ, ზოგჯერ ხდება — რა თემის გაშუქებაც მინდა, ჩემს პროდიუსერს ის არ აინტერესებს და ამბობს, რეიტინგული არ იქნებაო. პირადად მე, სამხედრო თემები უფრო მაინტერესებს, მაგრამ... როდესაც პროდიუსერი გავხდები (ანუ დიდი ბიჭი გავიზრდები), მერე შეიძლება, რალაცები სხვაგვარად გადავწყვიტო.

— სხვა ტელეჟურნალისტების მგავსად, შენც ფიქრობ, რომ ჟურნალისტი ვალდებული არ არის, საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს?

— პირდაპირ გეტყვი — როგორ ვიყო ობიექტური, როდესაც ფულს სუბიექტურობაში მიხდინა?! მთავარია, საკუთარ თავთან იყო მართალი. მე ვმუშაობ საინფორმაციო, ანალიტიკურ გადაცემაში და ამა თუ იმ ფაქტის მხოლოდ გაშუქება კი არა, გაანალიზებაც მომეთხოვება. რომც დამავალონ და მეც მოვიწოდო, ჩემს პოზიციას მაინც ვერ დავმალავ.

— ე. ი. არ ეთანხმები გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“ და „რუსთავი 2“ ქვეყანაში არსებულ რეალობას ობიექტურად არ ასახავენ და მაყურებლისთვის ვირტუალური სამყაროს შექმნას ცდილობენ?

— არა, მაგ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ჩვენ არ გვთხოვენ ქვეყანაში არსებული რეალობის დამალვას.

— არის თუ არა ქვეყანაში პრობლემები, რომელთაც თქვენ არ აშუქებთ?

— (ფიქრობს) მაგალითად, რა პრობლემა ისეთი, რომელიც არ გავაშუქებ?

— მაგალითისთვის გეტყვი, რომ საქართველოში ძალიან მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, მაგრამ ხელისუფლებას მრავალშვილიანების წასახალისებლად არანაირი პროგრამა არა აქვს შემუშავებული.

— იცი, შეიძლება, უბრალოდ, აზრად არ მოგვივიდეს რაიმე თემის გაშუქება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემის დამალვა გვინდა.

— არც დევნილებთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქება მოგსვლიათ აზრად?

— ეს თემა „კურიერმა“ იმდენჯერ გააშუქა, რომ ჩვენი ანუ „პოსტსკრიპტუმის“ გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა. გარდა ამისა, ამ თემაზე დღეს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში იწერება. მე ჩემი მაყურებლის ასაკიც ვიცი, სქესიც, ინტელექტიც და ინტერესების სფეროც. ზუსტად ვიცი, ვისთვის ვმუშაობ და რა ტიპის გადაცემა დაინტერესებს.

— როგორ ფიქრობ — რამდენად ინტელექტუალური მაყურებელი გყავს?

— მე ნამდვილად, მაღალი ინტელექტის მქონე მაყურებელი მყავს.

— საახალწლოდ რა გადაცემის გაკეთებას აპირებ?

— რომ გითხარი, — სანგარში მინდა ჩავჯდე-მეთქი, — გადაცემის გაკეთებას ვგულისხმობდი. ახლა მთავარია, პროდიუსერი და ოპერატორი დავითანხმო.

— ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღე?

— ყოველთვის — არა, მაგრამ ხანდახან მინც სვამენ იმ ადამიანების სადღეგრძელოს, რომლებიც საგულგატეხად დგანან და ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავენ. ძალიან მინდა, ვნახო — თავად მესაზღვრები როგორ ხედებიან ახალ წელს. ვფიქრობ, რომ ეს ჩემი მაყურებლისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება. ■



20%

40%



ავერსის ბიოლოჯის შრიფტი - სხვადასხვა ზომის და ტიპის მქონე ავერსის კრემები 20%-დან 40%-მდე ფასდასაღებოთი ენვიტას, ჩიკონიკის სკვილ სანთვანდელის, კაველას, დელის, ვიტალიჩის, სკვილას, სკვილას, სკვილას და სკვილასის ტენიდიფიკატორი

გისურვებთ ჯანმრთელობას და მარადიულ სილამაზას!
 WWW.AVERSI.GE საინფორმაციო სამსახური: 967-227



ინდაურის „საქურნალე“ ფასი, „სული“ კაბრული და „ბარაქის სოსხი“

უკვე მთელი თვეა, ქართველი ხალხი საახალწლოდ ემზადება. გარდა იმისა, რომ დეკემბრის პირველივე რიცხებიდან ტანსაცმლის მალაზიებშიც კი რიგები დგას, ყველაზე მეტი ხალხმრავლობა მაინც, ყოფილ „დეზერტირების ბაზართანაა“. უნდა გამოგიტყდეთ — წინასახალწლო დღეებში ძალიან მიყვარს ბაზარში გასაღებება. მართალია, ვიდრე იქამდე მივალწვედი, ტრანსპორტში კარგა ხანს „ყურყუტი“ მომიხდა, რადგან მიუხედავად ხელისუფლების მიერ ახლებურად „დალაგებული“ გზებისა, თამარ მეფის ქუჩაზე მაინც უამრავ საცობში მოვხვდით...

როგორც იქნა, დანიშნულების ადგილამდე მივედი და ტრანსპორტიდან ჩამოსვლისთანავე, პირველ რიგში, გოჭების სექციაში გავისიერნე.

ნათია ჟივიკა

— მობრძანდი, გოგონი. ნახე, რა ლამაზი და მსუქანი გოჭები მყავს! — მიმიპატიჟა წითლად თმაშეღებულმა ქალბატონმა.

— რა ღირს თქვენი მსუქანა გოჭები?

— შენთვის — 70 ლარი.

— სხვისთვის?

— 80 ლარად ვყიდი. შენ მომეწონე, კარგი გოგონა ჩანხარ და დაგიკლებ.

— გმადლობთ, მაგრამ მე მხოლოდ ფასი მაინტერესებდა, — ვუთხარი და ინდაურებისკენ გავეშურე, თუმცა ზურგს უკან კარგა ხანს მესმოდა ჩემზე გაბრაზებული ქალბატონის ქოთქოთი: ბაზარში ფასების გასაგებად სიარული ვის გაუგონია?! ეს გოგო ნორმალური არ უნდა იყოსო!.. დახლზე დალაგებული ინდაურებიც საკმაოდ მსუქნად გამოიყურებოდნენ. მათმა „დასახლისმა“ ყურადღებაც არ მომაქცია; გაცხოველებულ კამათში იყო ჩართული — თავის „კოლეგასთან“, ქათმების გამყიდველთან ერთად, 2010 წლის პოლიტიკურ მოვლენებს განიხილავდა. რამდენჯერმე უშედეგოდ ვიკითხე ინდაურის ფასი. ბოლოს ვკითხე:

— ქალბატონო, არ ყიდით ამ ინდაურებს?

— აბა, აქ შენს სანახავად კი არ

მყავს წამოყვანილი! — შემომიბღვირა.

— თუ მყიდველთან სასაუბროდ არ გცალიათ, ან ფასი დაანერეთ, ან მიპასუხეთ, ფასს რომ გკითხებით.

— შენ მყიდველი მაინც არა ხარ და თავი რატომ უნდა შევიწუხო პასუხის ვაცემით?! — ნიშნის მოგებით მომიგო. ძალიან გამიკვირდა — როგორ მიხვდა, რომ მყიდველი არ ვიყავი?.. სხვა გზა არ მქონდა — გავუმხილე, რომ ჟურნალისტი ვარ...

— ჟურნალში დასაბუჭდა, 50 ლარი ღირს, ისე კი 70-ად ვყიდი, — პასუხი აღარ დამამალდა.

— ე.ი. ტყუილი დაწერო?

— არა, რატომ?! ეს გამხდარი ინდაურები მართლაც, ასე ღირს, მაგრამ მსუქნებს 70-ად ვყიდი.

— გოჭი და ინდაური ერთი და იგივე ღირს?

— რა თქმა უნდა! საახალწლო სუფრაზე გოჭიც და ინდაურიც ერთნაირად აუცილებელია და ამიტომ ერთი ფასია.

— ნიგოზიც აუცილებელია ახალ წელს და არ მითხრა, ისიც 70 ლარი ღირსო.

გამყიდველს სიცილი აუტყდა და დამამშვიდა, — ნიგოზის ფასი 20 ლარიდან იწყებაო. უკვე წასვლას ვაპირებდი, რომ დამიძახა და მკითხა:

— კი, მაგრამ ჟურნალისტი რომ ხარ, რა — ჟურნალისტები გოჭსა და ინდაურს არ ჭამთ, რომ არაფერს ყიდულობ?

— მარხვას ვინახავ და არც ერთი მჭირდება, არც — მეორე, — ვუპასუხე და ნიგოზის სექციაში გადავინაცვლე, რათა ფასები შემემომნებინა. კარგი ნიგოზი მართლაც, 25 ლარი ღირდა, ცოტა დაბალი ხარისხისას კი 20 ლარადაც შეიძენდი. არადა, სულ რამდენიმე დღის წინ ოჯახისთვის პროდუქტის საყიდლად რომ ვიყავი ბაზარში წასული, ისეთივე კარგი რაჭული ნიგოზის ფასი


12-დან 15 ლარამდე მერყეობდა...

ხორცის სექციაში რატომღაც, ყველაზე მეტი მყიდველი ირეოდა. ღორის სამწვადე ხორცი 15 ლარი ღირდა, საქონლისას კი 11-ად შეიძენდი. ერთი მამაკაცი სამწვადის ფასმა აღაშფოთა: — რა ამბავია 15 ლარი! გუშინ ბახტრიონზე მეზობელმა 8 ლარად გაყიდა ერთი კილო ხორცი, თან, სულ ახალდაკლული ღორი ჩამოიყვანა სოფლიდან.

— მერე გეყიდა, ბატონო, რა მოგარბენინებდა ბაზარში?! — გამომწვევად მიუგო გამყიდველმა.

— ორმა მეზობელმა ერთი მთელი ღორი გაიყო და სხვა მეზობლებს აღარ შეგვხვდა, — ჩაიბურტყუნა მყიდველმა და დახლს სწრაფი ნაბიჯებით გაშორდა. იქვე ცოცხალი კურდღლები მოეყვანა ვილაცას, მაგრამ ფასით არავინ ინტერესდებოდა. გამყიდველმა რა ხერხს აღარ მიმართა: თუ კურდღელს არ იყიდით, გაგინანყენდებათ და უიღბლო წელი გეგნებათო, — ეუბნებოდა გამვლელებს. — მასე, ბატონო, კატის წელიც არის და მოიყვანე მაშინ კატები გასაყიდადო, — უკმაყოფილო სახით მიუგო ერთმა მამაკაცმა და გვერდზე ისე ჩაუარა, კურდღლებისთვის არც კი შეუხედავს. — შენ რა იცი, რა გემრიელია კურდღლის ხორცის ჩახოსბილი?! ალბათ არც გღირსებია ამის ჭამაო, — მიამძახა გამყიდველმა. ფასის კითხვა ველარ გავუბედე, რადგან ისეთი გამწარებული იყო, რომ აღარ მეყიდა, ალბათ ყველას ჯავრს ჩემზე იყრიდა.

ბოსტნეულისკენ გადავინაცვლე და უკეთესი ამბავი არც იქ დამხვედრია. ერთი ჭაღარა ქალბატონი აღშფოთებას ვერ ფარავდა და მთელი ხმით გაყვიროდა: დაიქცა ჩვენი პარლამენტარების ოჯახები — „ცეცხლი ნაუკიდეს“ ბაზარსო!.. — მთავრობა რა შუაშია, ქალბატონო? გლენები თვითონ ადებენ ამ ფასს თავიანთ პროდუქტს; შეიძლება, ყველაფერი მთავრობას დავაბრალოთ?! — გამოუჩნდა დამცველი ხელისუფლებას. — შენი დაცვა რაში სჭირდებათ?! — გადაირია ჭაღარა ქალბატონი. — გადასახადები მაგათ გააძვირეს და გლენებს სხვა გზა არა აქვთ — პროდუქტი ძვირად უნდა გაყიდონ, რომ ოჯახები შეინახონ; თვითონ რა ენაღვლებათ, ფეხი-ფეხზე გადადებულები სხედან პარლამენტში და ბაზარში სიარულით კი



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის უთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

თეთრი ღათვებისა და თოვლის ბუბის ყვავაზე შთაბეჭდავი სამყარო!



რატომ სთავაზოვან პინბუნივები
წელიწადში ერთხელ?

გაიგაით უფრო მეტი! 27 დეკემბერიდან - 3 იანვრამდე

მხოლოდ „უკვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანზოთილაბიანი (3D) გამოსახულებები

შეიძინეთ „უკვირის პალიტრასთან“ ერთად

„უკვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საყურადღებოდ!
წიგნის შეტენის მსურველები დაუკავშირდით „მედიტა“ -ს
ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგარიგებთ!



ტომი №11



* - მალე

სურია „ვეს სამყარო“-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9 და №10 იყიდება წიგნის მაღაზიებში!



დასაწყისი იხ. გვ. 14

არ ინუებენ თავს, იმდენი ფული აქვთ, სუპერმარკეტებში გამზადებულ კერძებს ყიდულობენო, — ყვიროდა ხანში შესული ქალბატონი. „მთავრობის დამცველმა“ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა, — რა უნდა გელაპარაკოო?! — და უკანმოუხედავად გაეცალა. მთავრობაზე გამახსენდა: სწორედ 2010 წელს აიკრძალა გარე ვაჭრობა, რის შედეგადაც, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის პროდუქტებზე ფხვის გადაბიჯება აღარ გვიწევს და შეგვიძლია, ბაზრიდან მშვიდად გადავიწვავოთ საჩუქრების სექციაში.

მიუხედავად აკრძალვისა, არაერთი გარემოვაჭრე ქუჩაში მაინც „გამომლილიყო“ და სხვადასხვა პროდუქციას ყიდდა. უეცრად ერთმა ქალბატონმა დაიძახა, — ვაიმე, გოგონებო, რა ცუდი პატრული მოდის, ჩქარა მოუსვით აქედანო! — და წინ გავარდა. „ცუდი“ პატრული მასა და მის კოლეგებს ყვირილით გაეკიდა. ერთი მოხუცი ქალბატონი „ბარაქის ცოცხებს“ ყიდდა. კლიენტი ჰყავდა და პატრულის მოახლოების ამბავი ვერ გაიგო. ვისია ეს „ბარაქა“? — ყვირილით იკითხა პატრულმა. — ჩემია, — მორცხვად მიუგო მოხუცმა. — ჰოდა, ახლა სხვისი გახდება; ჩქარა, „დაახვიე“ აქედან! — დაუღრიალა. სანყალმა მოხუცმა ჩუმად წამოკრიბა თავისი ნივთები და უმისამართოდ გაუდგა გზას.

საჩუქრების სექციაშიც დიდი ჩოჩქოლი იყო. ზოგი „ზანგ“ ბარბის ეძებდა, ზოგს კი მოსიარულე კურდღელი უნდოდა. სათამაშო კურდღლების არჩევანი მართლაც საკმაოდ დიდი იყო, თუმცა მყიდველები არც ფასს „უჩიოდნენ“ — თითოეული 25-30 ლარი ღირდა. ნაძვის ხის ფასები 20 ლარიდან იწყებოდა და 300 ლარამდე აღიწევდა. ნაძვის ხის მოსართავების შექმნა კი მსურველს 50 თეთრიდან 100 ლარამდე ფარგლებში შეეძლო.

მოკლედ, ფული თქვი, თორემ ბაზარში აბსოლუტურად ყველაფრის ყიდვა შესაძლებელი. ქართველების სასიათი ხომ იცით — მთელი წელი დანაზოგს შექმნას ცდილობენ, რათა ახალ წელს მათ სუფრას არაფერი აკლდეს. მერე რა, რომ მარხვა და ზოგი ინახავს — ინდაური და გოჭი მათ სუფრას მაინც, აუცილებლად უნდა ამშვენებდეს!..

ასე დასრულდა ჩემი კიდევ ერთი წინასახალწლო გასეირნება. ჩვენი რედაქციის სახელით, ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! სვავს, ბარაქასა და მშვიდობას გისურვებთ!

შორაიდან ჩამოსული სანტა და ფიფქია და საჩუქარი მკითხველი ბავშვისთვის

როგორც უნდა გაუკვირდეს ჩვენს მკითხველს, ჟურნალ „გზას“ წინასახალწლოდ, ფიფქია და სანტა-კლაუსი ეწვივნენ. სამწუხაროდ, ისინი ბავშვებთან, საჩუქრების დასარიგებლად მიიჩქაროდნენ და ჩვენთან სასაუბროდ ცოტა დრო გამოიხატეს, თუმცა ის მაინც შევითვქვით, თუ რატომ ცხოვრობს ფიფქია ჭურში და თავად რა საახალწლო სურვილები აქვთ ბავშვების ოცნებების ამსრულებლებს.

ნათია ქვიციანი

— ყველაზე მეტად მაინტერესებს, სად ცხოვრობთ, საიდან მოხვედით ჩვენთან?

სანტა:

— ქვევრში ვცხოვრობთ — ახალი წელი ხომ ყველა მამაკაცისთვის, დალევასა და ქეიფთან ასოცირდება. ტკბილეული არ მიყვარს. კანფეტებს მთელი წლის განმავლობაში ბავშვებს ვუნახავ, რადგან მათ ღვინო არაფერში გამოადგებათ, ამიტომ მე ქვევრში ვზივარ და ვსვამ და ვსვამ... იმ ქვევრის გვერდით პატარა ჭური მაქვს, ფიფქიაც იქ ცხოვრობს.

ფიფქია:

— მართალი ხარ. მთელი ჩემი ცხოვრება ჭურში ვზივარ...

სანტა:

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხუმრობაა. სინამდვილეში კი ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სულ თოვლი და მზიარულებაა. ჩვენს ქვეყანაში კიდევ უამრავი ტკბილეულია. მე და ფიფქია ერთად ვცხოვრობთ, ოღონდ მას თავისი ოთახი აქვს. ერთად არ გვიძინავს.

ფიფქია:

— ჩვენი სახლი უღრან ტყეში დგას და იქაურობა ძალზე ლამაზია.

— არ მეგონა, ასეთი შავგვრე მანი ფიფქები თუ არსებობდნენ. შემთხვევით, თქვენს ქვეყანაში ჭურში იანი თოვლი ხომ არ მოდის?

— თოვლი არაფერ შუაშია. ჩვენთან თეთრი და ლამაზი თოვლი მოდის. რაც შეეხება ჩემი კანის ფერს, შავგვრემანი თოვლის ბაბუები და ფიფქებიც არსებობენ. ამაში გასაკვირი არაფერია...

სანტა:

— თოვლის ბაბუა ყველა ეროვნების ბავშვისთვის საყვარელია. ის ზრუნავს მათ კარგ განწყობილებაზე. შესაბამისად, მის გვერდით მყოფი ფიფქია აუცილებლად ემზიან უნდა იყოს. მან მნიშვნელობა აქვს, შავგვრემანი იქნება თუ — ქერა?! ფიფქია ხომ სიკეთის განსახიერებაა და რა შუაშია

მისი კანის ფერი?! დღეს ლამის სქეს-საც აღარა აქვს მნიშვნელობა და...

— ახლა არ მითხრა, ჩვენს ქვეყანაში მამრობითი სქესის ფიფქებიც ცხოვრობენო...

— არა, ღმერთმა დაგვიფაროს! სხვა ქვეყნებში რომ არა აქვს სქესის მნიშვნელობა, ის ვიგულისხმე, თორემ ჯერ-ჯერობით ფიფქები სულ მდებრობითი სქესის გვეყვანან და თანაც, ძალიან ლამაზები. პირადად მე, ჩემი ფიფქით ძალზე მოხიბლული ვარ.

— თქვენს ქვეყანაში მთელი წელი რას აკეთებთ ხოლმე?

ფიფქია:

— სხვათა შორის, მთელი წელი უამრავი სამუშაო გვაქვს...

სანტა:

— თოვლისბაბუობა თქვენ ადვილი საქმე ხომ არ გგონიათ?! წარმოიდგინეთ, რამდენი ბავშვის სურვილები უნდა ავასრულოთ, რამდენი საჩუქარი უნდა შევიძინოთ! მერე იქიდან აქამდე ჩამოსვლას ხომ უნდა დრო?! ფაქტობრივად, ნახევარი წელი გზაში ვართ... თან, მე და ფიფქიას დიდი ტელევიზორი გვაქვს, საიდანაც მთელი წლის მანძილზე ყველა ბავშვს ვაკვირდებით. ვინც კარგად იქცევა და კარგად სწავლობს, იმასთან უკეთესი საჩუქარი მიგვაქვს ხოლმე. ვინც მშობლებს აბრაზებს, მას მხოლოდ ტკბილეულით ვუმასპინძლდებით...

ფიფქია:

— სხვათა შორის, მეც მყავს შვილი და ისიც სწორედ ამ პრინციპით მიიღებს საახალწლო საჩუქრებს.

სანტა:

— არ გეგონოთ, რომ საერთო შვილი გყავს...

ფიფქია:

— არაფერია გამორიცხული (იცი-იაბ)...

— მთელი წლის განმავლობაში ალბათ ბავშვებისგან უამრავ წერილსაც იღებთ...

— რა თქმა უნდა! მე სანტას პირადი მდივანი ვარ. თავის მაგიდაზე დამაგრებულ ლილაკს ხელს დააქვს, ზარს



დამირეკავს და მე წერილებით სავსე ლანგრიტ ხელში შევიღვივარ მასთან.

სანტა:

— ამ დროს მე ფეხი-ფეხზე გადადებული ვზივარ ჩემს სავარძელში და სიგარას ვაბოლებ. ჩემი ფიფქია კი მინიქვედაბოლოში გამონსობილი შემოდის. პირველ რიგში, მის ჩამოსხმულ ფეხებს ვათვალისწინებ და მერე — წერილებს...

— ყველაზე ორიგინალური წერილი რომელი იყო?

— იმდენი წერილი მოგვდის, რომ ყველას შინაარსს ვერც კი ვიმასხოვრებ. ყველაზე უცნაური და ორიგინალური ალბათ, ასეთი შინაარსის წერილებია: „თოვლის ბაბუ, მომეკალით და, არ მიჯერა, რომ არსებობთ“...

— როგორ გახდით სანტა-კლაუსი და ფიფქა?

ფიფქა:

— აუცილებლად, ძალიან ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანი უნდა იყო, რომ ამ „პროფესიას“ დაეუფლო...

სანტა:

— გარდა ამისა, თოვლისბაბუობა ჯიშში მოგვედევს: მამაჩემიც თოვლის ბაბუა იყო, იმის მამაც, კიდევ, იმის მამაც და ა.შ.

— ფიფქა თქვენ ნათესავია?

— ჩვენ შორის არანაირი ნათესაური კავშირი არ არსებობს. უბრალოდ, საერთო სამსახური გვაქვს.

ფიფქა:

— ჩვენს სამსახურში თანამშრომელთან რომანის გაბმა სასტიკად აკრძალულია. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ თანამშრომლები ვართ.

სანტა:

— კარგი, რა, მთლად ნუ გადამიწერე იმედი!..

— ბავშვებს ძალიან აინტერესებთ, ფიფქა და სანტა-კლაუსი საჭმელს თუ მიირთმევენ?

— რა თქმა უნდა. აბა, მთელი წელი შიმშილით ხომ არ მოვკვდებით! ჩვენს ქვეყანაში ყველა ერის სამზარეულოა პოპულარული, თუმცა მე და ფიფქის რატომღაც, ქართული ხინკალი ყველაზე მეტად მოგვწონს. სხვათა შორის, როცა რომელიმე ბავშვთან სტუმრად მივდივართ, სუფრასთანაც გვეპატიუებიან და არც იქ ვამბობთ უარს რამის ჭამაზე.

— თქვენ არა გექვთ საახალწლო სურვილები?

— რა თქმა უნდა, გვაქვს. საკმაოდ ვინროდ ვცხოვრობთ. სამწუხაროდ, განებივრებული თოვლის ბაბუა და ფიფქა არ ვართ. გვინდა, რომ დიდი სახლები გვექონდეს, სადაც ბავშვებისთვის ბევრ საჩუქარს დავაგროვებთ. დიდი სურვილი მაქვს, 2012 წელს უკვე საკუთარ სახლში შევხვდე. იმედი მაქვს, რომელიმე სანტა-კლაუსი იზრუნებს ჩვენი სურვილების ასრულებაზე.

— ახალი წელი სულ რამდენიმე დღე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ყველა ბავშვთან სტუმრობას ასწრებთ?

ფიფქა:

— უნდა მოვასწროთ. ეს აუცილებელი პირობაა. ღამეები არ გვძინას. ხომ დარწმუნდი — ძლივს გამოვინახეთ დრო, რომ შეგვედროდით და ჩვენთან ინტერვიუ ჩაგვენრა.

— რატომ გადამწყობით, რომ მხოლოდ ფურნალ „გზის“ სტუმრები ყოფილიყავით?

— თქვენი რედაქციიდან მივიღეთ წერილი, რომ ჩვენთან შეხვედრა გასურდათ და ჩვენც ეს საახალწლო

სურვილი აგისრულეთ.

სანტა:

— თანაც, თქვენი ყველა თანამშრომელი მთელი წლის განმავლობაში ძალიან კარგად იქცეოდა. თქვენ ტკბილეული რად გინდათ — პატარები ხომ ალარ ხართ?! ამიტომ, ჩვენი ექსკლუზიური ინტერვიუთი დაგასაჩუქრეთ.

— ალბათ ჩვენს მკითხველს ახალ წელსაც მიულოცავთ...

სანტა:

— რა თქმა უნდა! მართლაც, გულით ვულოცავ ახალ წელს ქართველ ერს! ღმერთმა სიხარული, ბედნიერება, ჯანმრთელობა არ მოაკლოს თითოეულ ქართველს! ყველას მხოლოდ სამხიარულო ნატვრა ჰქონოდეს და არც ერთს არ უჭირდეს!

ფიფქა:

— მეც ვუერთდები სანტას. ქართველებს პირველ რიგში, მშვიდობასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ! ბავშვებს კი — ბედნიერი და მხიარული ახალი წელი ჰქონოდეთ!

P.S. ეს სახუმარო ინტერვიუ ამასთანავე, ბლიც-ექტორინაა: ნორჩი მკითხველი, რომელიც გამოიცნობს, თუ ვინ იმალებიან სანტა-კლაუსისა და ფიფქის ნიღბებს მიღმა და პირველი გვაცნობებს ამის შესახებ, „გზის“ რედაქციისგან დასაჩუქრდება. დაგვირეკეთ ან დაგვიმისიჯეთ ნომერზე: 8(77)72.88.88. მხოლოდ ერთი მინიშნების მიცემა შემძლია: ჩვენი ორივე პერსონაჟი — ცნობილი მსახიობია...

2740

მუხის მაგიდა - სკამები

ინტერვიუ
განთქან

საძინებელი

1690 ლარიდან
1360 ლარიდან

ავეჯის სალონი "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი

სანახლელი

740 ლარი
420 ლარი

გასაშლელი დივან-სანოლი

ფანდაქლები

880 ლარი
370 ლარი

გასაშლელი დივან-სანოლი

აღ. ყაზაგის გამზ.14 ☎ 38 88 11
პაშა-ფაშაღას გამზ.25 ☎ 37 11 11





სასხე

უხარხულ სიბუასიაზში მოხვედრილი ლიკა ქორქია ებიკებს არ არღვევს



ლიკა ქორქია

— როცა გადაღებაზე მივდივარ, ყოველთვის კონკრეტულ ვიზაჟისტებს ვითხოვ. ასე იმიტომ არ ვიქცევი, რომ ვინმეს შრომით უკმაყოფილო ვარ. სახის კანი ალერგიული მაქვს, ამიტომ უხარისხო კოსმეტიკას ვერ ვიტან. რამდენიმე ვიზაჟისტს ვიცნობ, რომლებსაც ხარისხიანი კოსმეტიკა აქვთ. ჰოდა, მირჩენია, გადაღებისთვის მაკიაჟი მათ გამიკეთონ. ერთ-ერთ საახალწლო პროექტთან დაკავშირებით, დღეს საინტერესო ფოტოსესიაში ვმონაწილეობდი, მაგრამ მაკიაჟზე ვერ შევთანხმდით. ამიტომ ვთქვი, — უმაკიაჟოდ გადამიღეთ-მეთქი. გარუჯულ კანზე კიდევ რაღაცას რომ გისვამენ, საშინელებაა!..

— ყოველდღიურად მაკიაჟს არ იკეთებ?

— არა. რადგან გარუჯული ვარ, სახეზე მკვებავ კრემს ვისვამ. ერთი სული მაქვს ხოლმე, მუშაობას როდის დავამთავრებ, რომ პირი დავიბანო!

მოდელსა და ტელენამყვანს — ლიკა ქორქიას ოღონდ შოპინგზე ნუ წაიყვან და მზადაა, სახლი დააღაგოს, სადღილი მოამზადოს... ლიკას თბილი ტანსაცმლის ჩაცმა არ უყვარს. ახალი წლის დღესასწაულსაც გარუჯული სხეულითა და საზაფხულო სამოსით შევხვდება.

— საკუთარი სურვილით, მაკიაჟს რა შემთხვევაში იკეთებ?

— ყველაფერს თავისი წესი აქვს და ეტიკეტი უნდა დაიცვა: არსებობს ადგილები, სადაც ჯინსით და კედებით ვერ მიხვალ. იმავეს თქმა შეიძლება მაკიაჟზე, ვარცხნილობაზე... პირადად მე, ძალიან მაგარ ღონისძიებებზე ხშირად, უხერხულ სიტუაციაში მოვხვედრილვარ. ვფიქრობ ხოლმე, — ყველაზე გამოპრანჭული რატომ ვარ-მეთქი?.. ასე იმიტომ ხდება, რომ ღონისძიების შესაფერის ფორმაში სხეები არ არიან. ამის გამო, უმცირესობაში ვხვდები. წესით, უნდა წავიდე და სამოსი გამოვიცვალო, მაგრამ ასე არ ვიქცევი...

— ახალი, 2011 წლის მოდის ტენდენციებში უკვე გაერკვე? დიდ მნიშვნელობას ანიჭებ — რა არის მოდაში?

— მოდის ტენდენციებში უკვე გავერკვე. როცა ჩემს სამუშაოს მოვრჩები, საიტებზე მოდის ტენდენციებს ვეცნობი ხოლმე. ბოლო დროს ხშირად ვაწყდები ასეთ ფაქტს: რაღაც მოდაშია, მაგრამ ადამიანს არ უხდება. ამ შემთხვევაში, მოდური სამოსის ჩაცმა აუცილებელი არ არის. შეიძლება, ხალხმა აღნიშნოს, რომ კარგი ფეხსაცმელი გაცვია, მაგრამ იმასაც იტყვიან, — ვაიმე, რა ცუდი ფეხები აქვს, ეს ფეხსაცმელი როგორ არ უხდებაო! შესაბამისად, ისეთი სამოსი უნდა ჩაიცვა, რომელშიც თავს კომფორტულად გრძნობ და დარწმუნებული ხარ, რომ ლამაზად გამოიყურები. ასეთ დროს შეიძლება, ბევრ, „მოდურად“ ჩაცმულ ადამიანს

სჯობდე, რომელსაც სამოსში „ისტერიკული“ თანხა აქვს გადახდილი, მაგრამ გოიმურად გამოიყურება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მატერიალური შესაძლებლობა აქვს, მაგრამ გემოვნება — არა.

— შენს გარდერობში ყველაზე ძვირად ღირებული რა არის?

— გარეთ რომ გავდივარ და ამდენ გაჭირვებულ ადამიანს ვხედავ, იმაზე საუბარი მერიდება, თუ რა თანხა გადავიხადე ფეხსაცმელსა და ჩანთაში, ჩემი თავის მრცხვენია... ყოფილა შემთხვევები, როცა რაღაც განსაკუთრებულად მომწონებია და ამ ნივთის ყიდვაზე უარი ვერ მიტევამს. ჩემი სისუსტე ძირითადად, ფეხსაცმელი და სათვალეა.

— შენ და შენი და — ანი ერთმანეთის სამოსს თუ იყენებ?

— კი, თან — ისე ხშირად, რომ ხალხს ერთმანეთში ვეშლებით (იცი-ნის). სამოსთან დაკავშირებით, ბავშვობაში ვკამათობდით, რადგან მე მონესრიგებული ბავშვი ვიყავი — მეორე დღისთვის ჩასაცემელ სამოსს ღამით ვაუთოებდი. ანი ჩემზე ადრე იღვიძებდა და ჩემ მიერ გამზადებულ ტანსაცმელს იცვამდა. ამიტომ ვეჩხუბებოდი. ახლა საერთოდ არ ვჩხუბობთ. ტანსაცმელს ყოველთვის ანი ყიდულობს. შოპინგი ყველაზე მეტად მეზარება. შემეძლია, სახლი დავაღაგო, სადღილი მოვამზადო, ოღონდ შოპინგზე ნუ წაიყვან! სამაგიეროდ, როცა საქმე კოსმეტიკას ეხება, ყოველთვის მზად ვარ!.. როცა ევროპაში მივდივარ, ყოველთვის მიმაქვს სია, თუ რა სამოსი სჭირდება ანის. ჩემთვის ვერაფერს ვარჩევ. ამ



ცოტა ხნის წინ, ლექციის შემდეგ, მალაზიაში შევედი. ტანსაცმელს იმდენი ხანი ვარჩევდი, რომ გამყიდველი ძალიან შეწუხდა. მოთმინების ძაფი რომ გაუწყდა, მკითხა: — გოგონა, რაიმეს ყიდულობთ? — კი, — ვუპასუხე და რალაც ჯემპრს დავავლე ხელი, — ეს მინდა-მეთქი. თურმე ბიჭის უზარმაზარი ჯემპრი ყოფილა, მაგრამ მაინც ვიყიდე. ნაცრისფერი, „მახინჯი“ სამოსია, ტანზე ხალათივით მაქვს, მაგრამ ძალიან თბილია.

გაცვია ხოლმე?

— კი, როგორ არა?! შინ ვიცვამ... ანიმ ეს ჯემპრი რომ ნახა, მითხრა: რა თქმა უნდა, მალაზიაში ბევრი კარგი რალაც იყო, შენ კი ვერაფერი შეარჩიე და ამას „მიადექიო“...

ტელეფონისთვის სამოსს ვინმე გირჩევს?

— თავად ვარჩევ.

შენთვის ესეც მოსაბეზრებელი პროცესია?

— უფრო დავიძაბებოდი, ჩემს ჩაცმულობაზე სხვას რომ ეზრუნა.

შენი სამოსის მიხედვით შენი განწყობილების გამოცნობა იოლია?

— კი, ძალიან. ყველა მეუბნება, — რომ გიყურებ, ბედნიერი ვარო (იცინის). მართალია, შავი ფერის სამოსი ძალიან ლამაზია, მაგრამ რატომღაც, ცუდ განწყობილებაზე მაყენებს. სხვათა შორის, შავი ტანსაცმელი გუშინ მეცვა, მაგრამ ამჯერად, ჩემს ხასიათზე ცუდად არ უმოქმედია. ჩემი საყვარელი ფერებია: წითელი, თეთრი, ლურჯი, იისფერი... მოსაწყენი ფერები ჩემს ხასიათზე უარყოფითად მოქმედებს.

შენთვის განსაკუთრებულად საყვარელი სამოსი რომელია?

— ჯინსის შარვლები და მაისურები მიყვარს! ტანსაცმლის „ამოჩემება“ ბავშვობაში უფრო მჩვეოდა. ნ წელია, გარეთ ჯემპრი არ მცვია. ზამთარშიც თხელი სამოსით დავდივარ. არასოდეს მცვია. ძალიან ცივ ამინდში მაისური და ქურთუკი მაცვია ხოლმე.

— თმა თუ შეგიღებავს?

— ჩემთვის ეს ძალიან „რთული“ თემაა: ღია ფერის თმა მაქვს; ზღვაზე ყოფნისას, ისე მიხუნდება, რომ მელოტი გეგონებით. ანიმ მითხრა: სასწრაფოდ უნდა შეიღებო, თორემ რას ჰგავხარ, ვერ გავიგეო! შავგვრემანი, მუქთმიანი გოგონები ძალიან მომწონს. გადავწყვიტე, „გავმუქებულიყავი“. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ერთ კვირაში თმიდან საღებავი მომშორდა და იძულებული გახადი, ყოველკვირა შემიღებო. ბოლოს თმა დამენვა. დილით რომ ვიღვიძებდი, ჩემი დამწვარ-დახვეული თმა „გაგიჟებული“ იყო. სტილისტმა მითხრა, — ასეთი თმით ჩემთან აღარ მოხვიდეთო. ვუპასუხე, — რაც გინდა, ის ქენი-მეთქი, — მან კი თმა შემჭრა... სხვათა შორის, თმაში დიდი ენერჯიაა: ოდნავ რომ შევიჭრი, თავისუფლად ვგრძნობ ხოლმე თავს.

— სალონებს ხშირად სტუმრობ?

— კი, მაგრამ რომ გითხრა, ძირითადად, იქ თმის დასაფარცხნად მივიდივარ-მეთქი, სიმართლე არ იქნება. სალონში ორთქლის აბაზანებს, თმის ნიღბებს ვიკეთებ.

— ახალი წლის დღესასწაულს სად შეხვდები, უკვე გადაწყვიტე?

— მეგობრებთან ერთად, ბარსელონაში წასვლას ვაპირებდი. ამისთვის ენერჯიულად ვემზადებოდი. ყოველდღე თითო მეგობარი „მაკლდებოდა“ — გადაწყვეტილება შეცვალეს. ბოლოს ანიმაც მითხრა: მგონი, ბარსელონაში გამგზავრება მეზარებაო... მერე გუდაურში წასვლა მინდოდა, მაგრამ იქ გაურკვეველი სიტუაციაა — თოვლი არ მოსულა. შემდეგ, ბათუმში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ თავი შევიკავე... მოკლედ, ახალ წელს თბილისში, მეგობრებთან ერთად შეხვდები.

ისტორიული უამესნაბითი ჟურნალი

ისტორიანი
 იანვრის ნომერი
 საქართველოს დასაბრუნებელი ბრძოლები
 საქართველოს დასაბრუნებელი ბრძოლები



გიგი დედალაგაზიშვილი ახალ წელს მილიონს ელოდება

ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტთან ინტერვიუზე მისულს, მის სახლში დიდი ხალხმრავლობა დაიხვდა და მივხვდი, რომ გიგი საახალწლო სამზადისში აქტიურად იყო ჩაბმული. გარდა იმისა, რომ „მგზავრები“ ახალი წლის ღამეს რესპუბლიკის მოედანზე დაგეგმილ კონცერტზე გამოვლენ, წინასახალწლო პერიოდში მეტისმეტად დატვირთული აქვთ. თავად გიგი ამბობს, რომ მოუცლევლობის გამო, საახალწლო სამზადისთვის დრო არ რჩება და ბავშვობას იხსენებს.

ელენე ბასილიძე

— ახალი წელი ჩემთვის, გემრიელ საჭმელებთან, დიდ ბედნიერებასთან და „ბომბებთან“ ასოცირდება. მასსოცს, ბავშვობაში ახალი წელი როგორც კი მოახლოვდებოდა, ასაფეთქებლებს ვყიდულობდი. თან მაშინ თურქული „ბომბები“ კი არ იყიდებოდა — ხარისხიანი ასაფეთქებლები იყო (იცინის). მიყვარდა მათი აფეთქება. ახალი წელი კიდევ იმიტომ მიყვარდა, რომ ელექტროენერგია გვქონდა, ტელევიზორშიც კარგი გადაცემები და ფილმები გადიოდა. ვიჯექი და მთელი დღის განმავლობაში ფილმს — „მარტო სახლში“ ვუყურებდი.

ოჯახში რაიმე საახალწლო ტრადიცია თუ გაქვთ?

— არა, მაგრამ ვცდილობთ, ახალ წელს ყველა ერთად შევხვდეთ და მერე უკვე ბიძაჩემთან ავდივართ, რომელიც ჩვენივე კორპუსში, ჩვენს ზემოთ ცხოვრობს. ბიძასთან — არა, მაგრამ სხვა ადამიანებთან ერთი-ორჯერ მეკვლევ ვიყავი...

როგორ ფეხი გაქვს?

— 43 ზომა (იცინის)!.. რა ვიცი, „სტანდარტული“ ფეხი მაქვს, რომ გითხრა, — ვის სახლშიც მივკვლედ მივდი, აშენდენ, 8 ქალიშვილი გაათხოვეს და ცხოვრება აანწყვეს-მეთქი, — მოგატყუებ, მაგრამ არც თავზე დამხობიათ ყველაფერი.

წელს როგორ ემზადება ახალი წლის შესახვედრად?

— ვაიმე! იმდენი საქმე, პრობლემა და სანერვიულო დამიგროვდა, საახალწლო სამზადისში არც კი ჩაებმულვარ. უფრო მეტიც — მისი მოახლოება ჯერჯერობით არც მიგრძნია. სხვებს რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ რაღაც კარგი ხდება. წელს, ახალი წლის ღამეს რესპუბლიკის მოედანზე ვიმღერებთ, წინა დღეებშიც ბევრი კონცერტი გვაქვს...

საახალწლოდ სახლში რაიმე თუ ამზადებ?

— არა. ძალიან ზარმაცი ვარ. სიმართლე გითხრა, ამის სურვილიც არასოდეს გამჩენია. გემრიელ-გემრიელი კერძების მომზადება დედაჩემს უკეთესად გამოსდის. მის კომპეტენციაში არ ვერევი, რად მინდა წვალე-ბა, მზამზარეული არ სჯობს?! ისე, ბავშვობაში მალაზიიდან ლიმონათი მაინც მომქონდა ხოლმე, მაგრამ ახლა ისე გავზარმაცდი, ამისთვისაც ვეღარ ვიცლი. სიმართლე გითხრა, დღემდე არ ვიცი, რა გვახარებს ახალი წლის ღამეს. ამ კითხვაზე პასუხს ალბათ ძალიან ბევრი ადამიანი ვერ გაგცემთ. ახალი წლის წინა დღეებში გარეთ რომ გამოდიხარ და გახარებული ადამიანების სახეებს ხედავ, შეუძლებელია, მათი ბედნიერი განწყობილება შენც არ გადმოგედოს. ჩემთვის ახალი წელი ბევრი სიახლისა და ბედნიერების მოტანის იმედს ბადებს. დარწმუნებული ვარ, 31 დეკემბრიდან ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნება.

თოვლის ბაბუას ელოდები?

— ეჰ, თოვლის ბაბუის ბავშვობაშიც არ მჯეროდა... ჩემი თაობის ადამიანებს ცოტა განსხვავებული ბავშვობა გვქონდა: სასწაულების კი გვჯეროდა, მაგრამ ჩვენთვის სასწაული — შუქის მოსვლა იყო. ჰოდა,



ეზოში რომ ვიდევით და ახალი წლის ღამეს „პაკრიშებს“ ვწვავდით, თოვლის ბაბუასა და სანტა-კლავსზე ოცნება წარმოუდგენელიც კი იყო... რაც შეეხება 2011 წელს... ამ წელს მილიონ დოლარს ველოდები... ჰო, კარგი, ჯანდაბას — ნახევარი მილიონი იყოს (იცინის)!.. სურვილების მეტი რა მაქვს?! თანაც, მინდა, რომ ყველა სურვილი 2011 წელს ავისრულო. თუ გამოივიდა, პირველად შენ გეტყვი! ასე რომ, 12 საათი ჩამოკრავს თუ არა, ჩავიფიქრებ იმ სურვილებს და იმედია, ამისრულდება...

სურვილებს 12 საათის დადგომისთანავე ჩაიფიქრებ ხოლმე?


— აბა, რა! მასსოცს, ერთხელ მეგობრებმა მირჩიეს, — სურვილი ქალაღზე დანერე, დანვი, ფერფლი შამპანურში ჩაყარე და დალიეო. მეც „შევუთქვი“ სურვილები, შამპანური დავლიე და კინაღამ მოვიწამლე...

ის სურვილები ავისრულდა?

— არა, რას ამბობ?! მაშინ ისეთი სურვილები ჩამოვწერე, ის რომ ასრულებულიყო, მთელი მსოფლიოს „წყობა“ შეიცვლებოდა (იცინის).

ბედნიერ ახალ წელს გისურვებ!

— დიდი მადლობა, თქვენც ასევე!



„ჩემს შვილთან თოვლის ბაბუა 2 კვირით ადრე მოვიდა“

წინა წარიალბაშვილი ახალი წლის მოახლოებას მომზადებული ხვდება. მოუცლევლობის მიუხედავად, შვილისთვის საჩუქრები უკვე შეიძინა და ახალი წლის ღამეს, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ კონცერტზე გამოვა. როგორც ინტერვიუს დროს შევიტყვე, საქსოფონზე დაკვრას ეუფლება და საახალწლოდ, მაცურებლის წინაშე განსხვავებულ ამპლუაში წარდგება.

ელენე გასილიძე

— ახალი წლისთვის დიდი ამბით ვემზადები და 31 დეკემბრამდე ცოცხალმა თუ მივალნიე, ბედნიერი ადამიანი ვიქნები (იციინის). სამსახური, რეპეტიციები, ჩანერები, გადაღებები... ახლა საქსოფონზე დაკვრას ვსწავლობ და ისე ვიღლები, დღის ბოლოს ფეხზე დგომის თავი აღარ მაქვს. თუმცა ეს სასიამოვნო დაღლაა. ისევე, როგორც ყველა, მეც დიდი სიახალისთვის ვემზადები, მჯერა, რომ ახალი წელი თითოეული ადამიანისთვის დიდი ბედნიერების მომტანი იქნება.

— **შენთვის რაიმე განსაკუთრებულია სომ არ ასოცირდება ახალი წელი?**

— კი, როგორ არა — ფულის ხარჯვის ასოციაციას იწვევს. სულ მაღაზიებში დავრბივარ და საჩუქრებს ვყიდულობ. იცი, ჩემთვის ახალი წელი თოვლთან ასოცირდება. თოვლს მთელი წლის განმავლობაში ველოდები, იმედი მაქვს, წელს აუცილებლად გამახარებს „სტუმრობით“. სახლში დათოვლილი ეფექტის მქონე ნაძვის ხე დავდგი და რომ შევხედავ, გულს ვიხარებ.

— **ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილები ყოველთვის გისრულდება?**

— რომ გითხრა, ყოველ წელს მისრულდება-მეთქი, მოგატყუებ... ერთი სერიოზული სურვილი მაქვს, რომელსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ჩავუთქვამ. ჰოდა, ყოველ წელს, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდები ამ სურვილის ასრულებას. ყოველი ახალი წლის ღამეს საკუთარ თავს ვაჯერებ, რომ ჯადოსნური ღამეა და რასაც მთელი გულით ჩაფიქრებ, უეჭველად ამისრულდება... საკუთარ თავს თუ რაიმეს დააჯერებ, აუცილებლად გამოვა. სიმართლე გითხრა, ეს ხერხი ამა-

რთლებს, ბევრი რამ ამსრულებია.

— **საახალწლო მზადება უკვე დაიწყო?**

— კი, სახლი მოვრთე, ნაძვის ხეც დავდგი, საჩუქრებიც თითქმის ყველასთვის შევიძინე... საახალწლო კონცერტებისთვისაც მზად ვარ და ბოლო დეტალებს ვაზუსტებ. როგორც წესი, ეს დეტალები ყველაზე ძნელი მოსაგვარებელია და ხშირად დიდი ხანი ჭიანჭურდება...

— **როგორც ვხვდები, საახალწლო სამზადისის დროს სამზარეულოსთან „ურთიერთობას“ ვერ ახერხებ, არა?**

— დიდი სურვილი კი მაქვს, მაგრამ იმდენად დაკავებული ვარ, სამზარეულოში ფუსფუსს ვერ ვახერხებ. გოზინაყისა და საცივის მომზადება ვიცი. ოდესმე თუ დადგება დრო, რომ დაკავებული არ ვიქნები, სამზარეულოში ტრიალიც მომიწევს. ჯერ-ჯერობით კი დედაჩემი ამზადებს და

მიგზავნის. როგორც წესი, პირველი იანვარს სახლში რომ მოვდივარ, ძალიან მშია, მაგრამ საჭმელი არ მაქვს. ვზივარ და ველოდები, როდის გამომიგზავნის დედაჩემი გემრიელ-გემრიელ რამეებს.

— **შენი ვაჟი დედიკოს მოუცლევლობას არ აპროტესტებს?**

— სხვათა შორის, ძალიან შეგნებულად უდგება ჩემს საქმიანობას. პრაგმატული ტიპია. ამას წინათ მითხრა, — ახალი წლის ღამეს სახლში არ იქნები, თოვლის ბაბუის მე არ მჯერა და წამოდი, საჩუქრები მიყიდეო. ჩამოწერა სია, წავედით მაღაზიაში და ყველაფერი ვიყიდეთ. ჩემს შვილთან თოვლის ბაბუა 2 კვირით ადრე მივიდა (იციინის).

— **მეკვლევ ხშირად გინწვევენ?**

— ყველაზე დიდი მოლოდინით ახალი წლის დღესასწაულს ველოდები და მეკვლევ მისვლა ძირითადად, საკუთარ სახლში მიწევს. სხვათა შორის, ცუდი ფეხი არ მაქვს. ახალი წლის ღამეს, თუ გამახსენდა, კანფეტებს ვილაგებ ჯიბეში, რომ სახლში შესვლისთანავე შევყარო, მაგრამ ხშირად პირველ იანვარს სახლში ისეთი დაღლილი ვბრუნდები, ერთი სული მაქვს, სანოლამდე მივიდე და აღარც კანფეტები მახსენდება. ადამიანებს ცუდი წელი თუ დაუდგებათ, მეკვლევს აბრალებენ ხოლმე და სად მაქვს შარის თავი?! ამ ახალი წლისგან ყველაფერს კარგს ველოდები. გადავწყვიტე, მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ დადებითი ემოციები მივიღო, ნეგატიურს კი თავი ავარიდო. მინდა, მომავალ წელს ბევრი ვიმოგზაურო. ყველას ჯანმრთელობასა და ბევრი ფულის შოვნას ვუსურვებ. მიმაჩნია, რომ თუ ჯანმრთელი ხარ და ბევრი ფული გაქვს, ცოტა მონდომებაა საჭირო და ძალიან ბედნიერი ადამიანი იქნები! მოკლედ, ჯანმრთელობა, ბევრი ფული და გაიბედნიერეთ თავი, ადამიანებო!

— **ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!**

— დიდი მადლობა, ყველას ბედნიერი ახალი წელი დაგებედოდეთ.





„გადაღებიდან შინ ყოველთვის ენერგიით დამუხტული ვბრუნდები“

„ყველაზე მეტად ავტობრაფების ჩამორიგება მალიზიანებს“



ნათია ჟივიკა

გოგონებს ინტერვიუსთვის მორიგი გადაღების დაწყებამდე ერთ-ერთი სკოლის შერობასთან შეეხვით. სკოლიდან გამოსულ მოსწავლეებს თავიანთი პოპულარული თანატოლები ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ და მათ ჩუმად ფოტოებიც კი გადაუღეს. ალბათ ჩვენს მკითხველმაც იცის, რომ მარიამი — ნანუკა ყორყოლიანის ქალიშვილია; ნუკის დედაც ასევე ბერისთვის კარგად ნაცნობი ტელეჟურნალისტი — დალი ფრიდონაშვილი გახლავთ.

— გოგონებო, ამ სერიალის გადასაღებ მოედანზე როგორ აღმოჩნდით? მარიამი:

— მთელი ბავშვობა ფილმში მონაწილეობაზე ვოცნებობდი. „ღამის შოუს“ სტუდია დედაჩემის სამსახურის წინ მდებარეობს და იქ ხშირად ვხვდები, შესაბამისად, ყველას კარგად ვიცნობ. როცა გავიგე, რომ ახალი სერიალის გადაღებას აპირებდნენ, ვთხოვე, იქნებ რაიმე ეპიზოდურ როლში მინც მათამაშოთ-მეთქი. გული არ დამწყვიტეს და ერთ სერიაში ძალიან პატარა როლი შევასრულე. მოგვიანებით კი დედაჩემს უთხრეს, რომ გვანცას როლზე დამამტკიცეს. ეს რომ გავიგე, ნანუკას საკმაოდ დიდხანს ვუმტკიცებდი, ალბათ რაღაც

სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“ საზოგადოებაში დიდი მონებით სარგებლობს. მასში მონაწილე მსახიობებმა მაცურებლის განსაკუთრებული სიყვარული მოიპოვეს. ბავშვებს კი განსაკუთრებულად, მათი თანატოლები — სოფოსა და გვანცას როლების შემსრულებლები — 13 წლის ნუკი კოპალიაშვილი და მარიამ ბაბუჩიძე მოსწონთ.

გვმელბა-მეთქი, მაგრამ მოგვიანებით მეც დამიკავშირდნენ და სტუდიაში მისვლა მთხოვეს. ვერ წარმოიდგენთ, ამ შემთავაზებამ როგორ გამახარა.

ნუკი:

— თეატრალურ სტუდია „ბერიკეში“ დავდიოდი და ამ სერიალის რეჟისორი სწორედ იქ მოვიდა კასტინგის ჩასატარებლად. მაშინ გავიგე, რომ ერთ-ერთ მთავარ როლზე ბიჭი სჭირდებოდათ ანუ იმ მომენტში ბიჭს ეძებდნენ და არა — გოგოს. მაინც ვთხოვე დედას, ეპიზოდური როლისთვის „ღამის შოუსში“ ელექტრონული ფოსტით ჩემი ფოტოები გაეზავნა. ძალიან მალე დამირეკეს

და კასტინგზე მისვლა მთხოვეს. იქ პატარა ეპიზოდების შესრულება დამავალეს... მერე მეორე კასტინგზეც დამიბარეს. უკვე მივხვდით, რომ არა ეპიზოდური როლისთვის, არამედ იმ მთავარი როლისთვის მამონებდნენ. მალე დამამტკიცეს კიდევ.

— როგორ გრძობთ თავს მსახიობის ამჟღავნებაში? ადვილი პროფესიაა? მარიამი:

— ძალზე მიზანდასახული ადამიანი ვარ და ყოველთვის ზუსტად ვიცი, რა მინდა. ხან სიმღერა მინდოდა, ხან — მსახიობობა. დედაჩემს კი მიაჩნდა, რომ არც მსახიობური მონაცემები მაქვს და არც ნორმალურად მეტყველება შემიძლია. როცა გვანცას როლის შესრულება შემომთავაზეს, მივხვდი, რომ ძალიან კარგად უნდა მეთამაშა, რათა ჩემი ოჯახის წევრებისთვის დამემტკიცებინა, რომ უნიჭო სულაც არა ვარ და რაც მინდა, იმას აუცილებლად გავაკეთებ. რაც შეეხება გადაღების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დამლელი საქმიანობაა, მაინც ძალიან მომწონს. გადასაღებ მოედანზე კარგად ვერთობი.

ნუკი:

— გადაღება ჩემთვის დამლელი სულაც არ არის. პირიქით, იქ იმდენად კარგი გარემოა, იმდენად მიყვარს ის,

რასაც იქ ვაკეთებ, რომ დაღლა საერთოდ მავიწყდება. გადაღებიდან შინ ყოველთვის ენერგიით დამუხტული ვბრუნდები. საერთოდ, სამსახიობო ხელოვნება ძალიან მომწონს. მანამდე ყველაფერზე დავდიოდი: ხატვაზე, ცეკვაზე, სიმღერაზე, გალობაზე, ფორტეპიანოზე, ცურვაზე, ძერწვაზე, ბოლოს კი მივხვდი — თეატრალურ სტუდიაში სიარული ანუ — მსახიობობა მინდოდა...

— ამ სერიალის წყალობით, სკოლის გაკვეთილების გარდა, სცენარის სწავლაც გიხდებათ, არა? მარიამი:

— სცენარის სწავლა არ მიჭირს, რადგან დანერჩილ ტექსტს ყოველთვის რაღაცას ვაკლებ ან — ვამატებ. ყველა მსახიობი ასე იქცევა და ეს გასაკვირი სულაც არ არის. მთავარია, შინაარსი არ შეეცვალოს, თორემ სიტყვების შეცვლა რა პრობლემაა?! მეგონა, ტექსტის სწავლა ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ ორჯერ ნაკითხვაც აბსოლუტურად საკმარისია, რომ კამერის წინ დავდგე.

ნუკი:

— ტექსტს გადაღების წინ ვსწავლობ. უკვე გამოიმუშავდა სწრაფად დამახსოვრების უნარი. ზოგჯერ ჩემს სიტყვებს ვიყენებ, რომ ყალბი არ გამოვჩნდე და თამაში უფრო ბუნებრივი იყოს.

— თქვენი ოჯახის წევრები როგორ აფასებენ თქვენს მსახიობურ მოწოდებებს? მარიამი:

— ნანუკა ჩემით ბოლომდე კმაყოფილი არასოდეს არის. რაღაც ძალიან მაგრად რომ დაეხატო, ის ნაკლს მაინც იპოვის. სერიალთან დაკავშირებითაც ასეა — სულ შენიშვნებს მაძლევს: ხან მეუბნება, რატომ იცინოდით?! — ხან კარგად ვერ ლაპარაკობდიო და ა.შ. ეს ლოგიკურიცაა. ის დედაა და უნდა, რომ უკეთესი ვიყო. ისე, მეც საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ. რომელ ეპიზოდშიც ვთამაშობ, იმას საერთოდ ვერ ვუყურებ. რა კარგადაც უნდა ვითამაშო, საკუთარი თავი მაინც უნდა აფასოდე მომწონს. საბედნიეროდ, ოჯახის დანარჩენი წევრები და ახლობლები ასე არ ფიქრობენ. იმდენმა ადამიანმა



მარიამ გოგუჩიძე

დამირეკა, არც კი მეგონა, ამ სერიალს ამდენი მაყურებელი თუ ჰყავდა.

ნუკი:

— დედა სულ შენიშნებს არ მაძლევს. უბრალოდ, ძალზე პირდაპირი ადამიანია და ყველაფერს გულახდილად მეუბნება. მგონია, რომ სწორად იქცევა, რადგან ამის შემდეგ ზუსტად ვიცი, რაზე უნდა ვიმუშაო და რა უნდა გამოვასწორო.

— **თქვენს პარტიოვებთან — საუბარზე გამოცდილ მასობებთან როგორ ურთიერთობა გაქვთ?**

— პავლიოვის მწვანე შენობაში რომ შევდივარ, მაშინვე სოფო ვხვდები. კამერების მიღმაც კი „დედას“ და „ბაბუას“ ვეძახი ამ როლების შესრულებებს. იმ კედლების გარეთ ისევ ჩვეულებრივი ნუკი ვარ და სოფოსი არაფერი მომეყვება. მოკლედ, გარდასახვა ჩემთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება ურთიერთობებს, მხოლოდ მსახიობებთან კი არა, მთელ გადაძლებ ჯგუფთან კარგი ურთიერთობა მაქვს, რადგან მართლა კარგი ადამიანები შეიკრიბნენ.

მარიამი:

— მართლა, ისეთი საყვარლები არიან, რომ გადასაღებ მოედანზე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ყველასთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს.

— **ერთმანეთი ალბათ კასტინგზე გაიცანით. როგორ აანწყვეთ ურთიერთობა და რამდენად რეალურია თქვენი დაქალობა?**

ნუკი:

— კასტინგზე — არა, უფრო გვიან, უკვე რამდენიმე სერია იყო გასული, როცა სოფოს მეგობარი, გვანცა გამოჩნდა და ერთმანეთი პირველად საგრძნობლოდ გავიცანით.

მარიამი:

— ერთმანეთს მხოლოდ გადასაღებ მოედანზე ვხვდებით და კარგი ურთიერთობაც გვაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, ისეთი ახლო მეგობრები ვართ, როგორებიც სერიალში-მეთქი.

— **საკმაოდ პატარები ხართ იმ სივს, რომ ასეთი პოპულარულები იყოთ როგორი დამოკიდებულება აქვთ თანატოლებს თქვენ მიმართ?**

— ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული არაფერი ხდება. უბრალოდ, ხშირად მეხუშრებიან და სერიალში ჩემ მიერ ნათქვამ ფრაზებს მიმეორებენ. რაც მთავარია, ჩემი გმირის სახელს, გვანცას მეძახიან, რის გამოც ნერვები მეშლება, რადგან ვერ ვიტან ამ სახელს. მალიზიანებს, გვანცასთან რომ მაიგივებენ.

ნუკი:

— **მეც ხშირად მეძახიან „სოფოს“, მაგრამ ეს არ მანუხებს...**

მარიამი:

— იმიტომ, რომ შენ სოფო გქვია და მე — გვანცა. „სოფო“ ცუდი სახელი არ არის.

ნუკი:

— რა ვიცი, არც „გვანცა“ მგონია ცუდი სახელი (*იციინის*). ყველაზე მეტად ავტოგრაფების ჩამორიგება მალიზიანებს. ჩემს თანასკოლელებს კატეგორიულად გამოვუცხადე, რომ ხელის მოწერა არავინ მთხოვოს. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, რადგან არ მგონია, ისეთი პოპულარული ადამიანი ვიყო, რომ ავტოგრაფებს ვარიგებდე; იქამდე ვერ ბევრი მიკლია.

მარიამი:

— მეც ასე მიმაჩნია და მიხარია, რომ ამაში ჩემი მეგობრებიც მეთანხმებიან და ხელის მოწერას არავინ მთხოვს. მათთვის მარიამი ვარ.

— **როგორ ფიქრობთ — მასობები გამოჩველთ თუ სხვა პროფესიაზე ოცნებობთ?**

— ახლახან მიჭვდი, რომ დიზაინერობა მსურს. თუმცა შესაძლოა, მომავალში სულ სხვა რამით დავინტერესდე. მალე, ჩემს ორ მეგობართან ერთად, ჩვენების მონაწილასაც ვვგებავ ვერ ვიტყვი, რომ ეს გრანდიოზული საღამო იქნება, მაგრამ სურვილს აუცილებლად ავისრულებ და დიზაინერობასაც ვცდი. მერე კი გადავწყვეტ, განვაგრძო თუ არა ამ სფეროში საქმიანობა. ისე კი, ძირითად პროფესიად მაინც ბიზნესი და მართვა მინდა.

ნუკი:

— **მსახიობობა, ცხადია, მინდა, მაგრამ აუცილებლად მოქანდაკეც ვიქნები. 4-5 წელია, თიხაზე ვმუშაობ და ქანდაკებებს ვაკეთებ. ბავშვურ დონეს გავცდი და საკმაოდ სერიოზულ რაღაცებს ვქმნი. უამრავ გამოფენაში მიმღია მონაწილეობა და არაერთი სიგელიც მაქვს მიღებული. მომწონს თიხაზე მუშაობა. კარგად შევიგრძნობ თიხის ძალას და მასზე მუშაობისას ვწყნარდები. თიხა საოცრად მამშვიდებს და დიდ ენერჯის მაძლევს.**

— **თუბნ შევცვალთ და ის მითხარით, ახალ წელს როგორ სვდებით ხოლმე?**

მარიამი:

— ახალი წელი ჩემი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. ტრადიციისამებრ, ამ დღესასწაულს ყოველთვის ოჯახში ვხვდები. ჩემი ოცნებაა, რომ ერთხელაც ახალ წელს გუდაურში, მეგობრებთან ერთად შევხვდე. იმედი მაქვს, ამ ოცნებას რამდენიმე წელში ავიხდენ.

ნუკი:

— **ახალ წელს მე და დედა მარტონი, უმეტესად შინ ვხვდებით და მერე გავდივართ გარეთ. თუმცა 4 წლის წინ გუდაურშიც შევხვდით ახალ წელს — ბარში, დისკოთეკაზე ვიყავით. შარშანწინ კი დედას მეგობართან, მის ოჯახში ვიზიმიეთ ეს დღესასწაული... დედა ჩემ გარეშე არასოდეს არსად მიდის. დედას მეგობრები უკვე ჩემი მეგობრებიც არიან. წელს შეიძლება, მეგობრებთან ერთად, საახალწლო „ფართიზე“ სადმე რესტორანში წავიდეთ.**

— **სახალწლო სუფერის გაშლაში თუ მონაწილეობთ?**

— სუფერის განწყობა მეხერხება და დედას ვებარები ხოლმე, თუმცა საახალწლო სადილებს მაინც დედა აზადებს, რადგან არაჩვეულებრივი ხელი აქვს და კარგი კრძები გამოსდის.

მარიამი:

— არა, საახალწლო სუფერის გაშლაში არ ვმონაწილეობ: არ მინდა, ჭურჭელი დავლენო (*იციინის*). სულ ცოტა ხნის წინ, მზარეულობაც მინდოდა და კერძების მომზადებაც ვისწავლე, მაგრამ საახალწლოდ არაფერს ვაკეთებ.

— **ნანუკას ეხერხება კრძების მომზადება?**

— ნანუკა შინ ძალზე იმეფათადაა. თუ სახლშია, კრძების მომზადება ნამდვილად არ ეზარება. თვითონ იგონებს ხოლმე სალათებს და მართლა გემრიელი გამოდის. თუმცა მერე რომ ჰკითხო, როგორ



ნუკი კობალაშვილი



გააცთა ესა თუ ის კერძი, გაოცებული შემოგხედავს და პასუხს ვერ გაცემს, რადგან არ იცის: რომელი პროდუქტიც მოხვდა ხელში, ის გამოიყენა...

— მარამ, ძნელია, იყო ისეთი პოპულარული ადამიანის შვილი, როგორც ნანუკა?

— არა, რადგან სულაც არ მიმაჩნია, რომ ნანუკა ძალიან პოპულარულია მას ყველა მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო იცნობს, რომ საქართველო პატარაა და ჩვენს ქვეყანაში პოპულარობის მოპოვება საკმაოდ ადვილია. „ნანუკას შოუ“ რომელიმე დიდ ქვეყანაში რომ გადიოდეს ეთერში, დედაჩემი ასეთი პოპულარული არ იქნებოდა.

— თოვლის ბაბუის არსებობის ალბათ აღარ გჯერათ...

— როგორ არ მჯერა?! ყოველწლიურად საკმაოდ ბევრი თოვლის ბაბუა მსტუმრობს. ერთი იმდენად მაგარი თოვლის ბაბუაა, რომ ახლა სამოგზაუროდ ლონდონში მიშვებს! ჩემს მეგობართან და მასწავლებელთან ერთად მივმგზავრები. ლონდონსაც დავათვალიერებთ და ვი-შოპინგებთ კიდევ...

— ლონდონში მოგზაურობა მართლაც საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ რაიმე კონკრეტული წიგნიც ხომ არ გინდა, საახალწლო საჩუქრად რომ მიიღო?

— ამ ინტერვიუს დედაჩემი წაიკითხავს?..

— აუცილებლად.

— ახალ წელს ოჯახთან ერთად შეგვხვდები. მერე კი პირველ საათზე, ჩემი მეგობრები ერთ-ერთ ბარში იკრიბებიან, სადაც გვიანობამდე გაერთობიან და ერთად იზეიმებენ ამ დღესასწაულს. დარწმუნებული ვარ, დედაჩემი იქ არ გამიშვებს — აუცილებლად მეტყვის, ასეთი თავმჯდომარისთვის ჯერჯერობით პატარა ხარო. ძალიან მინდა, თოვლის ბაბუამ ნანუკას სთხოვოს, რომ იქ გამიშვას... თუ ბევრი არ მომივა, თოვლის ბაბუას ბარემ, საკვრავ მანქანასა და ციფრულ ფოტოაპარატსაც ვთხოვ...

ნაპი:

— თოვლის ბაბუის არსებობის მანამდე მჯეროდა, ვიდრე დედაჩემი იმ დროს არ გამოვიჭირე, როცა ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარს დებდა. მას მერე დედას, „თოვლის ბაბუას“ ვეძახი. რამდენიმე დღის წინ მკითხა, — რა გინდა, გაჩუქოს თოვლის ბაბუამო? — მაგრამ ვერ ვუპასუხე, რადგან მგონი, ყველაფერი მაქვს. საკვრავი მანქანა, სხვათა შორის, თავად ვუყიდე დედას ჩემი ხელფასით, რადგან დედა ძალიან კარგად კერავს, ჩემთვის საღამოს კაბაც კი აქვს შეკერილი... „სერიოზულ“ ფოტოაპარატს ან აიპოდს რამდენიმე დღეში საკუთარი ხელფასით შევიძინე. ისე, წელს მეც ვიქნები დედაჩემისთვის თოვლის ბაბუა... ახალ წლამდე კი ალბათ მეც მოვიფიქრებ, რა მინდა...

ლილიკო ნემსაძის „კუჩხი ბედიწერი“

„მიყრუებული ქოხი, კარგი ჭრიალეზს, თოვლია...“

ჯადოსნური ღამე ახლოვდება, ფიერფერებისა და ნატყვის ახდენის ღამე — ათასფრად მორთული ნაძვის ხეებითა და ჩიჩილაკებით, თოვლის ბაბუებითა და სანტა-კლავსებით, საჩუქრებითა და უღვევი სიყვარულით; ღამე, როდესაც ყველანი თანატოლები ვხვდებით და ვფრიამულობთ. და ამ ხმაურში სადღაც, ტვინისა და გულის რომელიღაც კუნჭულში წამიერად მაინც აუცილებლად აინთება ერთი ფიერფერკი — გამორჩეული, განსაკუთრებული, ულამაზესი, რომელიც არასდროს მოგვასვენებს და რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი „დაუვინყარი ახალი წელი“ ჰქვია.



ირმა სარგიშვილი

ლილიკო ნემსაძე, კომპოზიტორი:

— ადამიანი ასეთი ყოფილა: ასაკის მატებასთან ერთად, თითქოს ბავშვობაში მოგზაურობის სურვილი


უმძაფრდება. ყველა სიზმარში ვნახულობ ბებიისა და ბაბუის სახლს, სადაც გავიზარდე. ყოველი ახალი წლის მოსვლაც ბავშვობის მოგონებასთან ასოცირდება: ახალი წე-



ლილიკო ნემსაძის შვილები



ერთი ახალი წელიც ვერ მოვიწყვე ისეთი, როგორც მინდა!..



ვერანაირი სილამაზე ვერ გადაწონის ჩემს უახლოეს ადამიანებთან ერთად ოჯახში გატარებულ ახალი წლის ღამეს

წელი არის — სიყვარული. ვერანაირი ფუფუნება და ვერანაირი სილამაზე ვერ გადაწონის ჩემს უახლოეს ადამიანებთან ერთად ოჯახში გატარებულ ახალი წლის ღამეს. ასეთი ახალი წელი უფრო მასხენდება, ვიდრე ვთქვათ, პარიზული ახალი წელი — არ მასხენდება და რა ვქნა (იციინის)?!

— წელს რას აპირებთ? შინ ხვდებით 2011 წელს?

— კი, შინ ვიქნები. მერე — ვნახოთ, ან მეგობრები გამომივილიან და სადმე წავალთ, ან არ

წავალთ, ან არც გამომივილიან... ერთი ახალი წელიც ვერ მოვიწყვე ისეთი, როგორც მინდა!.. იცი, როგორი ახალი წელი მინდა? — „კუჩხი ბედინერში“ რომ არის, ისეთს ვხედავ: ვარ ძალიან მიყრუებულ ქოხში, კარი ჭრიალებს, თოვლია... კიდევ — ძაღლისა და კატის ნაკვალევი თოვლში. ოთახში ჭრახი, ბუხარი; შემწვარი ქათმის ხორცი, პატარა ტაბლა, მუავე იმერული ღვინო, „დამწვარი“ გოზინაყი და ორლულიანი თოფის სროლის ხმა გარედან... ცუდი აზრია? გარეთ რომ გაიხედავ და ყველგან თოვლია, არც ტელევიზორი და არც არაფერი რომ არ გაქვს — აი, ეს არის ახალი წელი (ილიმის).

ლინადი ჩემთვის იყო პირველი იანვრის დილა — თვალს რომ გავახელდით მე და ჩემი და, მაშინვე დავინახავდით იქვე, სანოლთან მდგარ პატარა ნაძვის ხესა და ტკბილეულით ძალიან ლამაზად განწყობილ სუფრას... რამდენჯერმე მეც მოვინდომე ჩემი შვილებისთვისაც გამეკეთებინა მსგავსი, მაგრამ არ გამომივიდა. არადა, იცი, რა ლამაზი იყო?! ჩემს ბავშვობაში ისეთი გართობაც არ იყო, როგორც ახლაა, თუნდაც ტელეგადაცემების სახით ან თუნდაც გარეთ, ქალაქში. ჩემთვის, ახალი წელინადი იყო, ნაძვის ხეს რომ სათამაშოებით მოვრთავდი და ახალი წელინადი იყო ზეიმი სკოლაში. ახლა უფრო მეტი გასართობია: ან სანტა-კლაუსს გამოიძახებ, ან საჩუქრით ხელდამშვენებულ თოვლის ბაბუობას საგანგებოდ გადაცემული მამიკო თუ დედიკო გასწევს. ჩემი 9 წლის გოგონა, დუცი მიუბნებოდა: ჩემმა დაქალმა მითხრა, თოვლისბაბუის არ მჯერა, რადგან რაც თოვლის ბაბუას ვთხოვე, წინასწარ დედიკოს კარადაში ვიპოვე; ამიტომ მეც ნუ მომატყუებთ, პატარა აღარა ვარო. მე კი თოვლის ბაბუა არც ზღაპარში, არც ახალ წელს, არც სიზმარში — არასდროს მყოლია...

— დიდობაში მაინც ხომ გექნებოდათ განსხვავებული ახალი წელი. რომელი დგამასსოვრდათ და რით?

— ძალიან ბევრი თითქოს ერთმანეთისგან განსხვავებული ახალი წელინადი მქონია: თბილისის გარეთ ან საზღვარგარეთ გატარებული, მაგრამ... მაინც ყველა ერთმანეთს ჰგავს. მგონი, ახალი წელი არის — ოჯახი, ახალი წელი არის — ახლობელი ადამიანი და ახალი

„მსოფლიო ღატაქტიუვის საბუ“
 ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
 თითო პრიზინალური საქმი

27 დეკემბრიდან - 3 იანვრამდე

არს აქდრნაღლი
 უკანასკნელი მჭარა

ფასი 2 ლარი!
 (ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოხული წიგნები - საბუ №1-დან - №27-მდე (ჯივის კედლი ჩივი, ართურ კონან დოილი, სიდნეი ზელდონი, აბათა კრისტინი, ჯალსონი ფილიპსი, როს მაქლონალი, ჯონ დიქსონ კარი, ჯო კორონი, დუვილ კევილი, ზორის აკუნინი, ჩარლზ ახნოუ, ლიქ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი, სეიტო მასუმოტო, სირილ კვირი, ფრიდრიხ დიუჩაენაბი, შორს სინაონი, ზაულ-ნარსეაჰი, ვაი ელივაი, ფრედ ვარბასი, ელზარ ალან კო, ჯონ ლუ კარა, კუინარ რანაი, კრისტინ ზემსკი, ჯივის კედლი ჩივი და კერლ ვალე) შვიდინეთ წიგნის მაღაზიებში

3 იანვრიდან
არტურ კილი
 სატუშკო (ნაფილი 1)



ცხოვრება

რომანოვის უთამბავალა ქართველა ქალა

ვლადიმერ ჯუბინს „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა

რუსეთის უკანასკნელი გვირგვინოსნის, ნიკოლოზ II-ის შვილებს შორის, პრინცესა ანასტასია (1901-1918) ექსცენტრიკული ხასიათით გამოირჩეოდა. სასახლეში მკაცრად იყო გასაიდუმლოებული ის ფაქტი, რომ პრინცესა აუტიზმით გახლდათ დაავადებული. სხვათა შორის, სწორედ ანასტასიას ამ დაავადებას უკავშირდება მეფის კარზე საყოველთაოდ ცნობილი შარლატანისა და მედროვის — გრიგორი რასპუტინის გამოჩენა: რუსეთის დედოფალს, ალექსანდრა ჰესენელს, რომელიც სხვადასხვა სახის ნერვული აშლილობით თავადაც იტანჯებოდა, ნათესავეებმა — ჩერნოგორიელმა პრინცესებმა, მილიცა და ანასტასია პეტროვიჩებმა ურჩიეს, ბავშვების ზნეობრივი აღზრდა ყოველად ბუნდოვანი წარსულის მქონე რასპუტინისთვის მიენდო...

მიხეილ ლაპაი

რომანოვთა დინასტიის ისტორიის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ რასპუტინმა ნიკოლოზ II-ის შვილები ისევე, როგორც თავად დედოფალი ალექსანდრა საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია, მათი მეშვეობით კი არაერთგზის სცადა, რუსეთის იმპერატორი ემართა და 1910 წლიდან ამ ჩანაფიქრის ასრულება შეძლო კიდევ. 1916 წლის 17 დეკემბერს რასპუტინი შეთქმულებმა (მათ შორის იყო დიდი თავადი, დმიტრი პავლეს ძე რომანოვი, იმპერატორის ბიძაშვილი) მოკლეს. მკვლელობას რუსეთის დუმის მიერ რასპუტინის სექტანტად (ძველმორწმუნე-ხლისტად) გამოცხადება უძლოდა წინ.

გრიგორი რასპუტინის სიკვდილის შემდეგ პრინცესა ანასტასია კიდევ უფრო გულჩათხრობილი გახდა. ის ადამიანებთან კონტაქტს ყოველთვის ძნელად ამყარებდა, მაგრამ 1916 წლიდან აუტიზმი ძალზე გაუმწვავდა. სამეფო კარის ექიმი, სერგეი ბოტკინი ვიწრო წრეში საუბრისას იმასაც აღნიშნავდა, რომ პრინცესა შეურაცხადი არ იყო, მაგრამ მაინც, სისტემატური კონტროლი და მკურნალობა ესაჭიროებოდა.

1918 წელს, უკვე ტახტიდან გად-

ამდგარი ნიკოლოზ II, მისი ოჯახი და მსახურები ბოლშევიკებმა შინაპატიმრობაში აიყვანეს. ამის გამო, პრინცესა ანასტასიას მკურნალობა შეუწყდა, მაგრამ იმ დროისთვის მისი სულიერი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. შინაპატიმრობაში მყოფი ანასტასია ბევრს და არცთუ ურიგოდ ხატავდა. მისი ნახატები სამეფო ოჯახის დახვრეტის შემდეგ გაიბნა და მხოლოდ ზოგიერთის მოძიებლად მოხერხდა, თანაც — კარგა მოგვიანებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამეფო ოჯახის დახვრეტისთანავე გავრცელდა ხმა, — ერთ-ერთ მაღალჩინოსან ბოლშევიკს ანასტასია შეეცოდა და არ დახვრიტაო; ერთი ამტკიცებდნენ, რომ მან პრინცესა ყალბი საბუთებით საზღვარგარეთ (კერძოდ — ავსტრიაში) გააპარა, ხოლო მეორენი ირწმუნებოდნენ, — რუსეთში დატოვა და მერე ცოლადაც კი შეირთოო. ერთი სიტყვით, XX საუკუნის 20-იან წლებში ევროპულ მასმედიაში პირველად გაიელვა ცნობამ ანასტასიას გამოჩენის თაობაზე და ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 90-იან წლებამდე, ევროპასა და რუსეთშიც საკმაოდ ბევრი თვითმარქვია პრინცესა ან მისი „შთამომავალი“ აღმოჩნდა. როგორც წესი, მათი თვითმარქვიობა იოლად



ანასტასია 1914 წელს

და თანაც — მალევე მჟღავნდებოდა.

რომანოვთა დინასტიის თაობაზე გამოქვეყნებულ ჩემს სტატიებს ახლახან ისევ მოჰყვა გამომხატურება — რედაქციაში თვით პრინცესა ანასტასიას შთამომავალი (როგორც ამას თავად გვიმტკიცებს), ქალბატონი ელენე ტეფნაძე გვეწვია. მისი თქმით, ადრე მას სხვა სახელი და გვარი ჰქონდა, რუსეთის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრთან, ვლადიმერ პუტინთან ერთად იზრდებოდა და ისიც გაგვიხილა, რომ პუტინიც ანასტასია რომანოვას შთამომავალია. ქალბატონ ელენეს კარგა ხანს ვესაუბრე და მისი ფოტოალბომიც დავათვალიერე, რომელშიც ამიერიდან, ჩემი ფოტოც იქნება ჩაკრული: ჯერ კიდევ ინტერვიუს დაწყებამდე, სტუმარმა რატომღაც, მობილურით სურათი გადამიღო, მერე



კი ამიხსნა, — ეს არქივისთვის მჭირდება.

მართალია, ქალბატონი ელენე ტეფნაძის ნაამბობში ბევრი რამ უცნაურად და დაუჯერებლად მომეჩვენა, მაგრამ მაინც, ყველაფრის გამოქვეყნება და მისი ნაამბობის მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანა გადავწყვიტე.

ელენე ტეფნაძე:

— ყველაფერი 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი მოვლენების დროს დაიწყო. მაშინ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და როგორც ყველა ჩემი თანატოლი, საპროტესტო გამოსვლებში ვმონაწილეობდი. უცებ, ორი მილიციელი მოვიდა. მათ ხელი მტაცეს და ალექსი ინაურთან (საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე. — ავტ.) მიმიყვანეს. მან მკითხა: აქ რას აკეთებო? — იმას, რასაც ყველა — მიტინგზე ვდგავარ-მეთქი; მითხრა: მემკვიდრე ხარ, შენი მიტინგზე ყოფნა არ შეიძლებაო, — და ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდა, გარეთ არ გამომიშვეს, მერე კი სახლამდეც მანქანით მიმიყვანეს. მაშინ გავიგე, რომ მემკვიდრე ვიყავი, მაგრამ ვისი, ვერ გავარკვეე. იმ საღამოს ჩამოვიდა მამაჩემი (ვინც მე გამზარდა) და მკითხა, — მიტინგზე რატომ წახვედიო? გამიკვირდა: შენ საიდანღა იცი-მეთქი? აღმოჩნდა, რომ „უშიშროებაში“ ისიც დაუბარებიათ და რაღაცები გამოუკითხავთ...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფინანსთა სამინისტროში გამანაწილეს. მართალია, იქაურობა არ მიზიდავდა, მაგრამ ცოტა ხანს მაინც ვიმუშავე. ვინაიდან უნივერსიტეტში ფრიადოსანი ვიყავი, ასპირანტურაში ჩაბარება მოვიწოდომე და წავედი ორჯონიკიძის რაიონის რაიკომში (ასპირანტურისთვის მიმართვა მაშინ იქ უნდა მოეცათ), დაფერე შესაბამისი განცხადება, ხელიც მოვაწერე და როდესაც პასუხის გასაგებად მივედი, მითხრეს, — თქვენს სახელზე სოჭიდან მოსულია მოთხოვნა, სადაც კავკასიის გათავისუფლების 40 წლისთავთან დაკავშირებით რაღაც ღონისძიება იმართება და უნდა წახვიდეთო. ვუთხარი, — მოვიფიქრებ-მეთქი. — არა, აუცილებლად უნდა წახვიდე; თუ ჩვენგან გასურს დახმარება, შენც უნდა დაგვეხმარო. დავთანხმდი და წავედი სოჭში.

— მერე, რა მოხდა სოჭში?

— იქ, დეპუტატებს შორის იყო

რუსი ახალგაზრდა, სპორტის ოსტატი ძიუდოში, რომელიც, როგორც მერე გავიგე, საგანგებოდ ჩემს გასაცნობად ლენინგრადიდან თუ მოსკოვიდან ჩამოვიდა; მას ვოვა ერქვა და არც დაუშალავს, რომ ჩემი პიროვნება აინტერესებდა... ერთი ძველი ფოტო მიჩვენა და მკითხა, — ამ ადამიანებიდან რომელიმეს თუ იცნობო? ვუპასუხე, — არავინ მეცნობა-მეთქი. — ამ სურათზე მე და შენ ვართ, ხოლო ეს ქალი — ჩვენი ბუბია, პრინცესა ანასტასია რომანოვა არისო. გამიკვირდა და ჩავეკითხე, — როგორ, როგორ-მეთქი? — ჰო, მე და შენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ანასტასია რომანოვას შვილიშვილები, სამეფო დინასტიის მემკვიდრეები ვართო.

— იმ ახალგაზრდის სახელი და გვარი ხომ არ გახსოვთ?

— შესაძლოა, არც კი დაიჯეროთ, მაგრამ ის ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინი, იმხანად — უშიშროების უბრალო თანამშრომელი იყო.

— კი, მაგრამ რა კავშირშია პუტინი ანასტასია რომანოვასთან?

— ახლავე აგისხნით: პუტინის მამა, როგორც გითხარით, პრინცესა ანასტასიას ვაჟიშვილი იყო, ბაბუა (ანუ პრინცესას მეუღლე) კი სტალინის პირადი მზარეული, რომელიც მერე, სტალინისავე ხელშეწყობით, გენერალიც გახდა. იმასაც გეტყვით, რომ ანასტასიამ სწორედ ქმრის მემკვიდრეობით მოახერხა რუსეთში დარჩენა ისე, რომ დაჭერისა და დასჯის შიში აღარ ჰქონოდა, თუმცა ცხადია, მაინც ყოველთვის უთვალთვალდებდნენ — კაგებე მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა. ანასტასიას სავარაუდოდ, ოთხი შვილი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მათ ვინაობაზე არაფერი მსმენია და დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ.

— მერე, დაიჯერეთ, რაც იმ რუსმა ახალგაზრდამ გითხრაო?

— არა, არ დავიჯერე! ვუთხარი: — ანასტასიას საერთოდ არ ვიცნობ, მე ჩემი ბუბია და ბაბუა მყავს; თან — თუ ბაბუაშენი გენერალი იყო, არც ბაბუაჩემი ყოფილა ნაკლები, მასაც გენერლის ჩინი ჰქონდა-მეთქი. ვოვამ საცხოვრებლად რუსეთში გადასვლა შემომთავაზა:

— იქ გვჭირდებაო. რასაკვირველია, უარი ვუთხარი. უკმაყოფილოდ მითხრა: თუ ასეა, მრჩება ერთადერთი გზა — უნდა დაგაპატიმრო, რადგან ძალიან ჰგავხარ ანასტასიას იმ შვილიშვილს, რომელსაც დიდი ხანია, ვეძებთო. ერთი სიტყვით, შემეშინდა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. მაშინ ერთ-ერთმა დეპუტატმა ქალმა მანუგეშა და მირჩია, როგორც უნდა მოვეცეულიყავი — ამ სანატორიუმში ერთი ქართველი გენერალი ისვენებს, ძალიან კარგი კაცია, მასთან მიდი და აუცილებლად დაგეხმარებაო.

ჰოდა, მივედი იმ გენერალთან. მას გიორგი ერქვა, გვარად ნანუაშვილი თუ ნანობაშვილი იყო, აღარ მახსოვს; საბჭოთა კავშირის გმირი გახლდათ. ყველაფერი ავუსხენი და ვთხოვე, — თუ შეგიძლიათ, დაამხმარეთ, მომამორეთ ვოვა და მისი ძმაკაცები-მეთქი...

— ძმაკაცებიც ჰყავდა ჩამოყვანილი?

— ჰო, ძმაკაცებთან ერთად იყო. აი, ამ სურათზე ყველანი ერთად ვართ (ალბომიდან სურათს იღებს); ეს შავულვაშიანი მამაკაცი აფხაზეთის უშიშროებაში მუშაობდა და ვოვას თარჯიმნობას უწევდა, გამუდმებით მასთან ერთად დადიოდა. შესაძლოა, ახლაც მოქმედი „კაგებეშნიკი“ იყოს. ის რამდენიმე ხნის შემხვდა და მითხრა, — შენს



ანასტასიას უკანასკნელი ფოტო. გადაღებულია 1918 წელს, შინაპატიმრობისას

ადგილას რომ ვიყო, დაჩოქილი ჩავიდოდი რუსეთში და პუტინს ვთხოვედი, დახმარება გაენიო (იცი-ნის)... სხვათა შორის, აი, ვოვაც აგერ ზის (თითს ადებს ქერათმიან ახალგაზრდა კაცს), ეს კი ვინმე ივანოვია, პუტინის აპარატის უფროსია დღესაც...

— ჰმ, საინტერესოა.. პუტინსა და მის კომპანიას ქართველი გენერალი შეახვედრეთ?



გაგიგე, რომ შემკვიდრე ვიყავი, მაგრამ ვისი, ვერ გაფარკავი

— შევახვედრე. ის მათაც ელაპარაკა და მოსკოვშიც დარეკა: — ამ გოგოს საქმეს პირად კონტროლზე ვიღებ, თქვენ თავი დაანებეთ; თუკი თვალთვალს მაინც გააგრძელებთ, ყველას სათითაოდ, სამხრეებს დაგაგლეჯთო!.. ერთი სიტყვით, ის ბიჭები გვარიანად დააშინა, მერე კი კიდევ ერთხელ დარეკა მოსკოვში და ყურმილი ვოვას მიანოდა. არ ვიცვი, მას რა უთხრეს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ტელეფონის გათიშვის შემდეგ პუტინმა ტირილი დაიწყო, თან — ჩემზე ამბობდა: ამის მოქებნას კარგა ხანი მოვანდომე; იმედი მქონდა, რომ დავალბების შესრულების გამო გერმანიაში გამიშვებდნენ და ახლა თქვენ რას მიიშვებითო?.. გენერალმა მიუთხო: — ნუ გეშინია, გერმანიაში მაინც გაგიშვებენო...

— თუ იცით, როგორ გადაურჩა დახვრეტას პრინცესა ანასტასია და როგორ გახდა სტალინის პირადი მზარეულის მეუღლე?

— ანასტასია დახვრეტას სწორედ იმ კაცმა გადაარჩინა, რომელიც შემდგომში მისი მეუღლე გახდა. თუ როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, კომუნისტებმა ანასტასიას ხელი აღარ ახლეს იმიტომ, რომ მისი ქმარი სტალინთან დაახლოებული პირი იყო... ალბათ, მეფის სხვა შვილებიც ანასტასიას მეუღლემ ანუ ბაბუაჩემმა გადაარჩინა. თქვენს ჟურნალში წავიკითხე, რომ მათაც თბილისში უცხოვრიათ. გამოგიტყდებით, თბილისელი რომანოვების შესახებ მეც მსმენია და დიდი ხანია, მათ ვეძებ...

— პრინცესა ანასტასიას ეს

სურათი თქვენთან როგორ აღმოჩნდა?

— ამას ვერ გეტყვით, საიდუმლოა (ილიმის).

— როგორც გენებოთ... მაშინ იქნებ, ის მაინც გაგვიმზილოთ, თავად როგორღა აღმოჩნდით საქართველოში?

— თურმე 1961 წელს პრინცესა ანასტასიას ოჯახი და მათ შორის — მეც და პუტინიც უკვე თბილისში ვცხოვრობდით, ოლონდ, ჩვენი ბინა არ გვქონდა და თავს პიონერთა სასახლეს ვაფარებდით — ყველანი ერთ პატარა ოთახში ვყოფილვართ შეყუყულები. მაშინ მე წლინახევრისა ვიქნებოდი, თუმცა პასპორტში მიწერია, რომ დაბადებული ვარ 1961 წლის 15 ივნისს... მოკლედ, პიონერთა სასახლეს ვაფარებდით თავს მანამ, ვიდრე მუავანაძის ბრძანება არ მოვიდა და ბინა არ მოგვეცეს, ქინძმარაულის ქუჩის №11-ში, სადაც ჩვენთან ერთად, ბონდარენკოები, ბელიაევსკები და სხვები (ყველას გვარი აღარ მახსოვს) ცხოვრობდნენ. სწორედ იქ იყვნენ ლუბა, ნადეჟდა და ვერა ანუ — ანასტასიას დებიც; სხვათა შორის, ვერა ჩემი გამზრდელი იყო. მერე, ზაფხულში დასასვენებლად ლიკანში წავედით. იქ რა და როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ დედაჩემი უშიშროებამ დააპატიმრა; ძუძუთა ბავშვი კი ყვავდი, მაგრამ კაგებესთან ეს, როგორც წესი, არ ჭრიდა. თურმე, დედაჩემი დაკითხვისას შემოაკვდათ და ნათესავებმა ის რუსეთში წაასვენეს...

— ვოვა პუტინი სად იყო მაშინ?

— დედაჩემი რომ დააპატიმრეს, ვოვა სასწრაფოდ რუსეთში წაიყვანეს... როგორც გითხარით, დედაჩემიც იქ გადაასვენეს და მეც წამიყვანეს, მაგრამ მშობლის დაკრძალვის შემდეგ, რატომღაც, ისევ საქართველოში დამაბრუნეს. ვერ გეტყვით, აქ ვინ ჩამომიყვანა — მხოლოდ ის ვიცი, რომ წლინახევრის ბავშვი თვითმფრინავში ჩამსვეს და გამომისტუმრეს. ის თვითმფრინავი საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლისას, ელქეჩისგან დაზიანდა და საჩხერის რაიონში, სოფლების — კორბოულისა და გორაძირის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ავიაკატასტროფას მე და ერთი მილიციელი, ვინმე იაკობი გადავურჩით და საშველად მოსულ ხალხს სწორედ მან შეატყობინა ჩემი ამბავი. ჰოდა, ასე მიპოვა 1961 წლის 17 ოქტომბერს იმ კაცმა, ვინც

შემდგომში გამზარდა და თავისი გვარიც მომცა. თურმე ფეხები მოტეხილი მქონდა, ხელიც — ნალრძობი. ახალმა ოჯახმა მიმკურნალა, გამომაკეთა, მიშვილა და სწორედ მაშინ შემიცვალა დაბადების თარიღი. სხვათა შორის, მილიციელმა იაკობმა იცოდა, რომ რომანოვთა მემკვიდრე ვიყავი, მაგრამ ის ავიაკატასტროფიდან ორ კვირაში გარდაიცვალა. სანამ მოკვდებოდა, ჩემზე უთქვამს, მომიყვანეთო და როცა მიმგვარეს, თურმე პატიებას მთხოვდა. რა უნდა მეპატიებინა, ვერ გეტყვით...

— და შემდგომში, ეს ყველაფერი პუტინმა გამოიკვლია?

— დიახ! სხვათა შორის, რუსეთში ამ 5 წლის წინაც ვიყავი, პრეზიდენტ პუტინს შევხვდი და „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანიც ვაჩუქე...

— იქნებ, დანჭრილებით მოგვიყვით, როგორ შეხვდით?

— ერთ-ერთ ჟურნალში პუტინის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობდა, რომ პრინცესა ანასტასიას მემკვიდრე ქალს ეძებდა. უცებ გამახსენდა, რომ სოჭში ყოფნისას, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული გამოცემა შევიძინე, რომელიც ვოვას ძალიან მოეწონა და მთხოვა, მისთვის დამეთმო. მაშინ არ მივეცი, მაგრამ დავპირდი, — როცა ცოლს მოიყვან, ქორწილში გაჩუქებ-მეთქი. ჰოდა, ავდექი და ეს წიგნი გავუგზავნე, წარწერით: „ვალოდია და ლიუდა, ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს“, თან — წერილიც დავურთე, სადაც ვწერდი, რომ ადრე, სოჭში ყოფნისას, ის სამეფო გვირგვინის დაბრუნებას მპირდებოდა. წერილის ბოლოს ჩემი მოზილური ტელეფონის ნომერი მივანერე. ბარათი 5 მარტს გავგზავნე, 18-ში კი თავად პუტინმა დამირეკა და რუსეთში მიმიწვია.

— მერე, ჩახვედით?

— დიახ, ჩავედი და ვნახე. აი, პასპორტიც — ვიზები შიგ არის (მიჩვენებს რუსულ ვიზებს); აი, მისი მისაღების მისამართიც (იღებს ქსეროქსზე გადაღებულ სავიზიტო ბარათს, რომელზეც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მისამართი წერია). მან შემომთავაზა, — რუსეთში დარჩიო, მაგრამ უარი ვუთხარი. ახლა აქ ვარ და წინაპრების გენეალოგიას ვიკვლევ, რათა ჩემი წარმოშობა დავამტკიცო. და კიდევ, შვეიცარიის ბანკში ანასტასიას მემკვიდრე ქალის სახელზე საკმაოდ სოლიდური თანხა ინახება, რაც ცხადია, მე მეკუთვნის...



სარუქარი — თოვლის პაპას!..

ინგა ჯაყელი

დიმიტრი ერთი ხელმოცარული მსახიობია. ის არც საოცნებო რუსთაველის თეატრში მიუწვევია ვინმეს და არც მუსკომედიაში; საბავშვო გასართობ ცენტრში მოაწყო ბიძაშვილმა და რამდენიმე წელია, პატარებისთვის მოწყობილ წვეულებებზე ხან დათვის ფორმაში გამოწყობილი დაძუნძულებს, ხანაც — ბაყბაყდების... მისი ყველაზე დიდი „მიღწევა“ თოვლის პაპის როლია და სხვათა შორის, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თოვლის პაპა გახლავთ, რაც მისი გარეგნობის დამსახურება უფროა — მხარბეჭიან კაცს საოცრად უხდება ჩოხა და ზურგზე მოგდებული ხურჯინი; როცა თავისი ბუბუნა ხმით მასპინძლების დალოცვას და ლექსების კითხვას დაიწყებს, მაშინ ხომ საერთოდ, არა მარტო პატარებს, არამედ მათ მშობლებსაც „აგიჟებს“, ბავშვობაში აბრუნებს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კმაყოფილი ხალხი მას ერთ ღამეში იმდენ ფულს ჩუქნის, რამდენსაც მთელი წლის განმავლობაში შოულობს...

დიმიტრიმ გასულ წელსაც აავსო ხურჯინი შეკვეთილი საჩუქრებით და ჯერ ათი საათიც არ იყო, როცა ჩანიშნული მისამართებისკენ აიღო გეზი. ცხადია, თოვლის პაპას ოჯახიდან მამინვე არ უშვებდნენ — სუფრასთან იწვევდნენ, მასთან სამსახურო ფოტოებს იღებდნენ და ამიტომაც იყო, რომ ყველგან აგვიანდებოდა; მაგალითად, ბოლო შეკვეთის შესასრულებლად რომ წავიდა, უკვე სამი საათი სრულდებოდა, არადა, იმ სახლში პირველზე ელოდნენ. თოვლის პაპამ იცოდა, რომ საყვედურს ვერ ასცდებოდა და თავჩაჩინდრული, დატუქსული ბავშვივით დადგა კართან, ცოტა ხნის მერე კი დაკაკუნებაც გაბედა. კარის გაღება დააგვიანეს. ის იყო, უკან გამობრუნება დააპირა, რომ საკეტი გაჩხაკუნდა და ორმოციოდე წლის, ტირილისგან თვლებდასიკვებულმა ქალმა გამოხედა.

— ჩემ გამო იტირეთ, ქალბატონო?! — გაუკვირდა დიმიტრის და დასძინა: — მართალია, დაშავიანდა და ამისთვის ბოდის გიხდით, მაგრამ ხომ მოვედი და ახლა თუ გინდათ, დილაზე აქ დავრჩები...

— კი, მაგრამ ჩემთან რომ დიდი ხანია, თოვლის პაპა აღარ მოსულა?! — ქალს ღიმილი საოცრად მოუხდა... — ახლა მოვედი და საჩუქარიც მოვიტანე... ნიჟარაძე... — ნიჟარაძეები ერთი სართულით

მაღლა ცხოვრობენ! — შეწყვეტინა ქალმა და ისევ მოიწყინა...

— მაპატიეთ... თუმცა, მაინც გილოცავთ! — დიმიტრიმ ხურჯინიდან შოკოლადის ფილა ამოიღო და ხელში შეაჩქა.

— მეც დაგპატიებთ, რომ სუფრასთან დაილოცოთ, მაგრამ...

— ჰო, უნდა გავიქცე, თორემ მომკლავენ... ისე, მალე დაებრუნდები და



ხომ დამელოდებით?! — რატომაც, თოვლის პაპას ატირებული ქალი შეეცოდა, მისი მარტო დატოვება არ უნდოდა.

— დაგელოდებით! — ისევ გაიღიმა იმან და დასძინა: — მე ლალი მქვია.

— მე კი...

— თოვლის პაპა! — შეწყვეტინა ქალმა და შინ შევიდა.

ვინაიდან ნიჟარაძეების პატარებს უკვე ჩასძინებოდათ, მათი ოჯახიდან დიმიტრი მალევე გამოუშვეს და აღარც ფული აჩუქეს, მაგრამ თოვლის პაპას ეს არც უდარდია, რაღაც ძალა იმ ლალისკენ ენეოდა...

როგორც კი დააკაკუნა, ქალმა მამინვე გაუღო კარი და სუფრაც გამოსული დაასვედრა. გემრიელად რომ ევახშა, დიმიტრიმ მიწებებული წვერულვაშიც მოიხსნა.

— არ ვიცოდი, თოვლის პაპები ასეთი ახალგაზრდები და ლამაზები თუ იყვნენ! — აკისკისდა ლალი.

— არმემდგარი მსახიობი ვარ! არც ისე დიდი ხელფასის პატრონი გახლავარ და თოვლისპაპობასაც ამიტომ ვი-

თავსებ... ამ პროფესიის გადაკიდეს, ცოლიც ვერ შემირთავს...

— მე კი ქმარმა მიმატოვა... შვილი არ შეგვეძინა და ამის გამო წავიდა სხვასთან...

— მერე, ასეთი უღირსი კაცის გამო ტიროდი?! — დაუყვავა დიმიტრიმ ქალს, რომელსაც ისევ აუწყლიანდა თვალები...

დალიეს, იცვქვეს და... სანოლშიც აღმოჩნდნენ, დილით კი ერთმანეთისთვის თვალის გასწორება გაუჭირდათ:

— უნამუსო ქალი არ გეგონო! — ატირდა ლალი.

— არც მე მინდოდა შეურაცხყოფის მოყენება! — თავი იმართლა დიმიტრიმ და კარი გაიხურა... კაცს ცოტა ხანს კი აწუხებდა სინდისი, მაგრამ მერე მის ცხოვრებაში იმდენმა პრობლემამ იჩინა თავი, რომ ლალიც დაავიწყდა და ახალი წლის ღამის თავგადასავალიც...

ასე გაიღია წელიწადი და მორიგ საახალწლო დღესასწაულზე ისევ მორიგო თოვლის პაპის ფორმა, ისევ ღამის სამ საათამდე არიგებდა საჩუქრებს და საქმეს რომ მორჩა, რატომაც, ლალიზე ფიქრი აკვირებდა; უკვე შინ მისულმა გადაწყვიტა, მასთან წასულიყო...

კარის წინ შედგა და ღამის, დაკაკუნება გადაიფიქრა: ვინ იცის, იქნებ ქმარს შეურიგდა და სად მივდივარო?!

მაინც დარეკა. ლალიმ კარი გაუღო. — ვიცოდი, რომ მოხვიდოდი! — უთხრა ქალმა თოვლის პაპას და სახლში შეიყვანა.

— ჰო... მინდოდა, ახალი წელი მომელოცა! — უხერხულად ჩაახველა დიმიტრიმ და შარშანდელივით, შოკოლადის ფილა ჩაუდო ქალს ხელში, მერე მორიდებით ლოყაზეც აკოცა.

— მეც მაქვს შენთვის საჩუქარი! — ლალიმ მაჯაზე წაავლო ხელი და გვერდით ოთახში გაიყვანა. „ნაცნობი“ ტახტის გვერდით ჩვილის სანოლი იდგა, მასში კი პატარა არსებებს ეძინა.

— ეს შენი შარშანდელი ვიზიტის შედეგია... სულაც არ ვყოფილვარ უშვილო, როგორც ამას ქმარი მამბრალბედა... ის ახლაც უშვილოა, მე კი...

— ეს?! —

— ეს ჩვენი პატარა თოვლის პაპაა, სწორედ დღეს გახდა სამი თვის... დიმიტრი დავარქვი...

ჰოდა, როგორც გავიგე, ლალი და მისი თოვლის პაპები — დიდი და პატარა დიმიტრი წლევედელ ახალ წელს ერთად შეხვდებიან. ჰო, მართლა, უამრავი ოჯახისთვის საყვარელმა თოვლის პაპამ გადაწყვიტა, სხვისი შვილების გასამხიარულებლად აღარ წავიდეს და ეს დღე მხოლოდ საკუთარ პატარას მიუძღვნას...



ახალი წლის ღამის სრულწმენები და სახალისო ამბები

ბევრს სჯერა, რომ თუ ახალ წელს ხალისიანად შეეგებება, საუკეთესო განწყობილება მთელი წლის განმავლობაში გაპყვება, გასათხოვარი გოგონები თუ დასაოჯახებელი ბიჭები კი სახალისო ცრურწმენების შესასრულებლად მთელი გულით ემზადებიან და იმედიც აქვთ, რომ მათი წვალუბა უშედეგოდ არ ჩაივლის.



ამბიდან რამდენიმე კვირაში გავიცანი მომავალი მეუღლე, თან — სრულიად წარმოუდგენელ სიტუაციაში: სამსახურში ბევრი საქმე მქონდა და შუალამედ შევეჩი. შინ ისეთი დაღლილი ვბრუნდებოდი, რომ ტრანსპორტში ჩამეძინა და თურმე, თავი უცხო მამაკაცს დავადე მხარზე; იმასაც, შევეცოდე და არ გამაღვიძა, ჩემ გამო ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდა.

— როცა გაგვღვიძა, როგორი რეაქცია გქონდა?

— ელდა მეცა, სირცხვილისგან ღამის დავიწვი, მან კი დიდსულოვნება გამოიჩინა და კორპუსამდე მიმაცილა, თან — გზაში გამომკითხა, ვინ ვიყავი და რას ვსაქმიანობდი... ჩვენ უკვე პატარას ველოდებით და ძალიან ბედნიერები ვართ. სხვათა შორის, ტრანსპორტში ნაპოვნი მეუღლე დღემდე ვერაფრით დავაჯერე, რომ იმ ღამეს ნაქეიფარი კი არა, უზომოდ დაღლილი ვიყავი...

დათო, 33 წლის:

— გასულ ახალ წელს ბავშვობის მეგობრები ერთ-ერთის ოჯახში, საქეიფოდ შევიკრიბეთ. მათ შორის მხოლოდ მე გახლდით დაუოჯახებელი და როგორც „ხალასტი“, „პროგრამაში“ ვიყავი; მაშაყირებდნენ: — „გადახრები“ ხომ არ გაქვს? იმპოტენტი ხომ არ ხარო? მათ ხუმრობას მოთმინებით ვიტანდი, მაგრამ როგორც რაჭველს შეეფერება, მოგვიანებით გაგბრაზდი და ვიყვირე: — რა გამინყალეთ გული? ჯერ ცოლი არ მინდა, თორემ ამნუთას მოვიყვანდი-მეთქი! — ღამის სიცილით დაიხოსცნენ, მერე კი ერთმა მომხალა: — რატომ არ გინდა, ჯერ ისევ პატარა ხარო? მეორემ — რისი მომყვანი ხარ, დაბერდი და ერთი ქალი ვერ „შეგინბიო“... მოსაწვად ჰოლში გავედი. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. „გლაზოკში“ არც კი გამიხედავს, კარი ისე გავაღე და... იქ უღამაზესი გოგონა იდგა. — ნუნუკა აქ ცხოვრობსო? — მკითხა და გამიღიმა. ამასობაში ოჯახის დიასახლი-

ღალი პაპასკირი

თაქო, 27 წლის:

— მას შემდეგ, რაც 21 წლის გავხდი, ახლობლები და ნათესავები აჯუჯლუნდნენ, — რაღას ელოდები? ხომ ხედავ, თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინციები აღარ დადიან და ნუთუ, შენი შესაფერისი ვერაყენ იპოვეო?! ერთი სიტყვით, ძალიან ცუდ დღეში მაგდებდნენ და მეც, ყველანაირ ცრურწმენას ვიყენებდი, რათა საბედო მეპოვა. მაგალითად, ახალი წელს მაგიდის ქვეშ, ხანაც — აივანზე ვეგებებოდი (ხომ ამბობენ, თუ ახალ წელს მაგიდის ან ღია ცის ქვეშ შეხვდები, აუცილებლად გათხოვდებიო), მაგრამ არაფერმა მიშველა... ერთ-ერთ წელიწადს, მშობლები სახალისოდ რაიონში, მამიდასთან წავიდნენ, მე კი დაქალებს ველოდი სტუმრად. ის-ის იყო, სუფრა გავშალე, რომ გარეთ რაღაც ხმაური გავიგონე და სასწრაფოდ, აივანზე გავედი — სარეცხ თოკებს შორის მამაკაცის ცალი ფეხსაცმელი იყო „გაჭედლი“; ზემოდან მეზობელმა ქალმა ჩამომძახა: — მაპატიე, ჩემი შვილის ფეხსაცმელია და ახლავე ჩამოირბენსო... დაქალები რომ მოვიდნენ, მათ ეს ამბავი მოუწყვი და დავძინე: — ბედი არ გინდა? ზოგს ვარდების თაბიგულს უგდებენ აივანზე, მე კი ვიღაცის ფეხსაცმელი ჩამომიგდეს და თანაც — ცალი-მეთქი... რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენს სამსახურში საუკმაოდ სიმპათიური ბიჭი დაასაქმეს. თითქმის ყველა გასათხოვარი გოგო მას

ეპრანჭებოდა, იმან კი რატომღაც, მე დამადგა თვალი; ერთხელ რესტორანშიც დამპატიჟა და გამომიტყდა: — შენზე სერიოზულად ვფიქრობო. მეც, უკვე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული, მაგრამ ამას როგორ გავამხელდი?! მოგვიანებით იმ ბიჭმა მითხრა, — უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი, შენი ცოლად შერთვა რომ შემეძლოსო. — რატომ არ შეგიძლია-მეთქი? — ცალი ფეხი არ მაქვს, ერაცში ყოფნისას დავკარგეო. თურმე, პროთეზი ჰქონია, მაგრამ ისე კარგად ჰქონდა მორგებული, საერთოდ არ კოჭლობდა. ვუთხარი, — შენში ფეხი კი არა, სხვა რამ მიყვარს და ცოლად გამოგყვები-მეთქი... უკვე 2 წლის შვილი გყავს და მის გვერდით ძალიან ბედნიერი ვარ...

ენო, 24 წლის:

— შარშან, 31 დეკემბერს მამი-დამ სამსახურში გამომიარა და მთხოვა, — ბაზარში რაღაცები ვიყიდე და ცოტა ხნით შენთან დავტოვებო. — კარგი-მეთქი. მალე გიყვივით შემოვარდა, — სიძემ მანქანით მომაკითხა და ყველაფერს წავიღებო; სიჩქარეში ცოცხი დარჩენოდა. სხვა რა გზა მქონდა? — შინ წავიღე... საღამოს მამილამ დამირეკა და მითხრა: — ცოცხი შენთან დამრჩენია, მაგრამ არა უშავს, ბიძაშენსაც უყვია და ის შენ გქონდეს; ხომ იცი, ახალი ცოცხი ბარაქის ნიშანიაო... კერძები მოვამზადე, მერე სამზარეულო ახალი ცოცხით დავგავე. ჰოდა, ამ



სიც გამოვიდა და ჩემ ნაცვლად უპასუხა: — მობრძანდი, გენაცვალე, ნუნუკაც აქ არის და სხვებიცო... არც კი უკითხავს, ვინ იყო ან რისთვის მოვიდა, ჩაავლო ხელი და დაბნეული გოგონა სასტუმრო ოთახში შეიყვანა, მერე კი სტუმრებს გამოუცხადა: — აი, რომ არ გჯეროდათ, ნახეთ, დათომ ცოლი შეირთო... მეგობრები ამ ამბავს ოვაციით შეხვდნენ, მე კი ახსნა-განმარტება დავიწყე: — არა, რა ცოლი, ამ გოგონას არც კი ვიცნობ, მგონი, მისამართი შეეშალა-მეთქი; ისიც იფიცებოდა: — ეს ადამიანი პირველად ვნახე, ბინა შემეშალაო. ყველამ ერთხმად ჰკითხა: — გათხოვილი ხართო? — გოგონა კიდე უფრო დაიბნა და ძლივს ამოიღულულა, — არაო. — ჰოდა, დღეიდან ჩვენი რძალი ხარ, დაჯექი, კი არ ვიკბინებითო. მერე საცოდავს ხელი ჩაავლეს და გვერდით მომიხვეს. სტუმარი, რომელიც უხერხულად და საყვარლად იღიმოდა, ძალიან მომეწონა.

— ახლა არ მითხრათ, რომ ის იმავე ღამეს შეირთეთ...

— არა, მაგრამ შობას უკვე ერთად შევხვდით.

მაშინ, როცა ჩვენ ახალი წლის ღამეს ოჯახში ან ახლობლების გარემოცვაში ვხვდებით, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ და კურორთული შემთხვევის მსხვერპლიც ხდებიან ხოლმე.

ეროსი ავალიანი, სანტე-ქნიკოსი:

— 15 წელზე მეტია, ამ საქმეს ვემსახურები და თავს უამრავი კუროზი გადამხდენია. ამჯერად ერთ-ერთს გიაბობთ: თითქმის ყოველ ახალ წელს უცხო ადამიანის ბინაში ვხვდები — ზოგს წყლის მილი უსკდება, ზოგსაც — კანალიზაციის... შარშან, 31 დეკემბერს პირველი შემთხვევა იყო, როცა გამოძახება არ მქონდა და მიხაროდა, ახალ წელს შინ შევეგებები-მეთქი, მაგრამ ჩემი სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა — შუადამისას ვილაც ქალმა დამირეკა (აქვე გეტყვით, რომ მწვავე გასტრიტი მაქვს და უკვე წლებია, ღვინო არ დამიღვია) და როგორც კი მიხვდა, რომ ფხიზელი ვიყავი, სიხარულით აღნიშნა: — ვაიმე, ძლივს, ერთი ფხიზელი მამაკაცი ვიპოვეო, მერე კი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ბინის მისამართი მიკარნახა და თან,

ისიც მკითხა: მომსახურება რა ღირსო? — გააჩნია, რა მექნება გასაკეთებელი; ჯერ ადგილზე უნდა მოვიდე და შეხედო-მეთქი. — რას უნდა შეხედო, კაცო? — რას და სველ წერტილებს-მეთქი. — რად უნდა ამას შეხედვარ? — აბა, მე რა ვიცი, რა იქნება გასაკეთებელი და ფასზე წინასწარ როგორ შეგი-თანხმდეთ-მეთქი? — ძალიან გაუკვირდა: — ერთი გამაგებინე, ამას დათვალე რად უნდაო? — აბა, რა ვქნა, ქალბატონო, ხომ უნდა ვნახო, რა ინსტრუმენტით უნდა ვიმუშაო, თან — ისიც გაითვალისწინეთ, რომ მარტო არ ვიქნები, დამხმარეც მჭირდება-მეთქი. ამაზე სულ გაგიჟდა, — დამხმარე რაღად გინდაო?! — ვინმემ ინსტრუმენტი ხომ უნდა დამიჭიროს-მეთქი? — ქალმა გაცუბისგან დაუსტვინა: — შენ გამოდი და ნუ გეშინია, ინსტრუმენტს მე დაგიჭერო. — რას ამბობთ, თქვენ მაგსიმძიმეს როგორ დაგაჭერინებთ-მეთქი?! — ასეთი რა ინსტრუმენტი გაქვს?.. გამოდი და მაგ წვრილმანებზე მერე ვილაპარაკოთო. თავი შორს დაგიჭირე, — მოუშზადებელი ვერ ამოვალ-მეთქი! — აუ, შენ გეტყობა, ახალბედა ხარო. — რას ამბობთ, გენაცვალე, დღეს უკვე მეშვიდე გამოძახებაზე მივდივარ-მეთქი. ქალი აჩქარდა: — ვაა, ვინ ხარ ასეთი? შენი მისამართი მითხარი და ტაქსის გამოგიგ-

ზავნიო. ვუპასუხე: ნუ შენუხდებით. ჯერ ვნახავ, საბურღი ინსტრუმენტი ანუობილი მაქვს თუ არა-მეთქი. იკვილა: — ბურღი რა ჯანდაბად გინდაო? — ქალბატონო, აბა, კედელი რით გავხვრიტო-მეთქი? ქალმა ძლივს ამოიღულულა: — შენ ვინ ხარო? — ვინ და სანტე-ქნიკოსი ვარ, ვინ უნდა ვიყო-მეთქი?!. თურმე, იმ ქალს „კაცი გამოძახებით“ უნდოდა და ნომერი შეეშალა. იმნუთას მართალია, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ მერეც ამბავზე ბევრი ვიცინე.

ირინა, „სასწრაფოს“ ექიმი:

— 10 წელია, აქ ვმუშაობ. დამლელი, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნო სამსახური გვაქვს, როცა ავადმყოფს სიცოცხლეს შეუნარჩუნებ, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?!. შარშანდელ ახალ წელს სამსახურში შევხვდი დილის ექვს საათზე შემოვიდა გამოძახება, ნერეთლის პროსპექტიდან: პაციენტი შუახნის ქალბატონი იყო, ნაღვლის ბუშტის შეტევა ჰქონდა. მისმა მეუღლემ კარი გაგვიღო და შემოგვიჩვენა, — ძალიან გათხოვთ, დამხმარეთ; ცოლმა, იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ახალი წელი მოელოცა, იმდენი ჭამა, შეტევა დაეწყო. პაციენტი დახმარება აღმოუჩინეთ და როცა მომჯობინდა, ქმარს უსაყვედურა: — ნამუსი არა გაქვს? საახალწლოდ სახლში ამისთანა „შხვართალა“ ქალები მოგიყვანე და კიდე მე მსაყვედურობ? აბა, ქმარს ასეთ საჩუქარს რომელი ცოლი გაუკეთებდაო (იციინს)?!

ერთი ბებო თითქმის ყოველ ახალ წელს გვირეკავდა, — ცუდად ვარ და იქნებ გამოხვიდეთო, იქ მისულებს კი კარს ღიმილით გვიღებდა, — მაპატიეთ, შვილებო, არ მინდა, ახალ წელს მარტო შევხვდე და პანა ხანს დამირჩითო. სხვათა შორის, ის ქალი უგემრიელეს გოზინაყს აკეთებდა... ერთხელ, ერთი-ერთი გამოძახებისას, ჩვენს მისვლამდე ჩასძინებოდა. ვინაიდან კარი ღია დაგვხვდა, შევედით. ბებო ჩემმა თანამშრომელმა, გაბრიელმა გააღვიდა. ქალმა თვალის გახელისთანავე ჰკითხა: — ვინ ხარ, შვილო, ან რა გქვიაო? — გაბრიელი მქვია, ბებოო. — უკვე მოხვედითო?.. — კი და მოემზადეო, — გაეხუმრა ექიმი. ბებო გაბრიელს გაუჯავრდა: რაღა ჩემგან დაიწყე, შე შეჩვენებულდო, წასაყვანი ხალხი დაილიაო?



იოსებ



„აზრო ნა ვაჩარ“ ანუ „ჰოპლა, ჩვენ ვსოცხლობთ!“

ქალბატონი ლია დევდარიანი სექტემბერში, ზღვი-სპირეთში დასვენების დროს გავიცანი. იქ ბავშვობის მეგობრებთან ერთად იყო ჩამოსული და, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, დავმეგობრდით. ვერც კი წარ-მოიდგენთ, ისეთი ძლიერი, თამამი და უშიშარი ქალბა-ტონია... ალბათ შესავლად ესეც იკმარებს, მისი მონათხრობი კი უეჭველად დაგაინტერესებთ და გაცილებით უკეთ გაგაცნობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყო-ფილ იურისკონსულტს.



ირმა სარულიძე

— გამორჩეულად მიყვარს ბარბარ-ობა — წმინდა ბარბარეს ხსენების დღე. ამ დღეს ბედობის დღედ მივიჩნევ და ჩემთვის საყვარელ ადამიანებს ვსტუმ-რობ, მათ პატარ-პატარა საჩუქრებს ვუკეთებ. წელს კი რატომღაც, ბარბარ-ობის აღნიშვნა შინ მოვინდომე, თანაც — პომპეზურად: ყველა მეგობარი მოვ-ინვიე და წინასახალწლო განწყობილების შესაქმნელად, სახლიც შესაბამისად მოვრთე. ჩემს ერთ მეგობარს, ისტორი-კოს გოგი დემეტრაძეს დავურეკე და ვუბნები: გოგი, გინდა, მოხვიდე სალ-ამოზე, სადაც იგრძნობ, რომ „ეშო ნე ვეჩერ“-მეთქი? ყურმილის მეორე მხრი-დან გოგიმ ომახიანად გამომძახა: „ჰოპ-ლა, ჩვენ ვცოცხლობთო!“ — და რასაკვირველია, იმ საღამოს ისიც შე-მოგვიერთდა. ისე, გოგის ვარიანტი უკუ-თესი აღმოჩნდა — იმედიანი (იციინის)... ასე დავიბედე ჩემი ბავშვობისა და ყმანვილქალობის — უნივერსიტეტის დღეებს ასე ვუნოდებ — მეგობრები. თანაკლასელი (ერთმანეთის და არა — ჩემი) აკადემიკოსები, მარიკა ლორთქი-ფანიძე და ოთარ ჯაფარიძეც მოვიდნენ. ძალიან გაგზალისდით, ბევრი რამ მოვ-იგონეთ... იცი, ცრემლის გარეშე არ შემიძლია უნივერსიტეტის გახსენება — 1963 წლიდან, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება იქ გავატარე და, დაწყებული ევგენი ხარაძიდან, 7 რექტორთან ვი-მუშავე, უნივერსიტეტში ერთადერთი იურისკონსულტი ვიყავი; ბოლოს ხუ-ბუამ გამომიშვა... იცი, რამდენი რამ მახსენდება?! ერთხელ, თუ არ ვცდები, ნოემბერი იყო; ჩემთან შემოვიდა გასა-ცოდავებული, უმწეო ქალი, რომელსაც მამაკაცის პიჯაკი, საშინლად გაცვეთილ-ქუსლიანი ჩექმა ეცვა და მეუბნება: ჩემს ვაჟს რიცხავენ, პრორექტორის ნაცვ-ლად, საბუთს მოაწერა ხელიო. ჩავე-კითხე და აღმოჩნდა, რომ სადღაც, იმ-ერეთის მიყრუებულ სოფელში ცხოვ-რობდნენ. ბიჭი სამხედრო სამსახურში

გამოუძახებიათ და უნი-ვერსიტეტიდან სტუდენტო-ბის დამადასტურებელი ცნობა უნდა მიეტანა. პრორექტორისთვის რამ-დენჯერმე მიუკითხავს და რომ ვერ შეხვედრია (არადა, „დროში იწვებოდა“ — ან დაიჭერდნენ, ან ჯარს ვერ ას-ცდებოდა), მის მსგავსად მოუწერია ცნობაზე ხელი. რექტორატში მიუხედე-ნენ და გაყალბებისთვის რიცხავდნენ, უკვე ბრძანებაც დაეწერათ. ვერ გეტყვით, იმ ქალმა მე რატომ მომაკითხა, რად-გან უკვე გადაწყვეტილი საქმეები ჩემს კომპეტენციამი აღარ შედიოდა, მაგრამ გულწრფელად შევწუხდი. ბიჭსაც შევხ-ვდი, ალალი და სიცოცხლით სავსე „ბავშვი“ ჩანდა; დედამისს ამშვიდებდა, — ნუ გეშინია, გაისად ისეც მოვეწყო-ბიო. მისი საგამოცდოც შევამოწმე და აღმოჩნდა, საკმაოდ პრესტიჟულ ფაკულტეტზე ფრიადებით მონყობილა... მოკლედ, შევადგინე ოფიციალური წერი-ლი, რომელიც ბიჭის საბუთებს და-ვურთე და უნივერსიტეტის რექტორ-თან, როინ მეტრეველთან შევედი. ბა-ტონი როინი საიმედოს ვერაფერს მეუბ-

ნებოდა და ამიტომაც ვამჯობინე, მის-თვის ბიჭიც წარმედგინა, რათა ჩემი განცდა და ემოცია რექტორსაც შეე-გრძნო. ვიცოდი, დანახვისთანავე მის-ვდებოდა, რომ ის ცუდის ჩამდენი არ იყო. რალა ბევრი გავაგრძელო, როინ მეტრეველმა ბრძანება გააუქმა (ილი-მის). როცა ეს ამბავი ბიჭს ვახარე, ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, უე-ცრად ხელზე მაკოცა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ნახატი მომიტანა: ორ კედელშუა ჩატეხის პირას მისული, მაგრამ არა — ჩამტვრეული ხიდი მოექცია. მითხრა: ეს სურათი იმას ასახავს, რაც თქვენ გააკეთეთო. მას შემდეგ იმ ბიჭის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ მჯერა, მისგან კარგი კაცი დადგებოდა. ის ნახატი უნივერ-სიტეტში, ჩემს ოთახში მეკიდა. წლებ-ის შემდეგ, როცა ხუბუას ადმინის-ტრაციამ სამსახურიდან დამითხოვა, რატომღაც, ის სურათი დაიტოვა...

ჯერ კიდევ მაგარი ვარ



კიდევ ერთ ამბავს გავისხენებ: საოცრად გამხდარი სტუდენტი ბიჭი შემოვიდა და მთხოვა: თუ შეიძლება, დავრეკავო. უფლება მივეცი და ცხა-დია, ძალაუნებურად, მისი ლაპარაკ-იც შესმოდა. ის ვილაცას (სავარაუ-დოდ, ჯგუფელს) რალაცას სთხოვდა, ემუდარებოდა, მაგრამ — ამაოდ. ბო-ლოს, განბილბულმა ყურმილი დაკ-იდა. ვკითხე, — ასეთს რას სთხოვდი, რომ ვერ დაიყოლიე-მეთქი? — მა-ლალმითანი აჭარიდან ვარ, ასპირან-ტი მათემატიკოსი; მათემატიკა კი კარ-გად ვიცი, მაგრამ რუსულის არაფერი გამეგება, არადა, 2 დღეში გამოცდა მაქვს და ჯგუფელს კონსპექტს ვთხ-ოვდი, ცოტა რამ მაინც რომ მესწავ-ლაო. შემეცოდა და გვარი ვკითხე, მერე კი საგამოცდო კომისიის თავმჯ-დომარესთან მივედი და ყველაფერი



ქალბატონი ლია მეგობრებთან, ნანული თარგამაძესთან და ციალა კილურაძესთან ერთად

ვუამბე... თქვენ წარმოიდგინეთ, მენდო და ნიშანი დაუნერა. ბიჭი მადლობის სათქმელად გაბადრული სახით მომადგა, მისამართი მკითხა: არაფერი მამადა, მაგრამ პატივისცემა მინდა და უარს ნუ მეტყვით — სოფლიდან ჩამოტანილ მანდარინს მოგიტანო (ილიმის). როცა ვიუარე, მკითხა: აბა, მადლობა რით გამოვხატო? ვუპასუხე: შეს იმდღევანდელ მდგომარეობაში მყოფ ვინმეს თუ ნახავ, ჩემნაირად მოექეცი და მადლობაც ეგ იქნება-მეთქი... მას შემდეგ აღარც იმ ბიჭის ამბავი მსმენია.

— ვინ იცის, იქნებ ეს ინტერვიუ ნაკითხონ და ძველი ამბავი გაასმენდეთ.

— ვინ იცის?! ახლა უნივერსიტეტი მხოლოდ მოგონებად იქცა ჩემთვის (დალონდა). ერთ მშვენიერ დღეს ახალი იურისტი მოიყვანეს და პირადად არც მითხრეს — შემომითვალეს, თოხანი დაცალეო... იმავე საღამოს ინფარქტი მივიღე.

ინფარქტისა და რამდენიმე ოპერაციის გადატანის შემდეგ, მინც ისეთი მაგარი გული აღმოაჩნდა, რომ წელს, ქობულეთის სანაპიროზე მყოფმა ყველა გაგვაოგნა: 73 წლის ქალბატონმა პარაშუტით გადაუფრინა ზღვას, ხოლო როცა სანაპიროზე დაეშვა, გამოგვიცხადა, — არც აფრენისას, არც ცაში მყოფს და არც დაშვებისას არ შემშინებია; ზემოდან გათვალისწინებით და შარფსაც გიყენვდით; თავს კი არ ვინოხნებ, მაგრამ... რომ მიუფრინავდი, სიამაყეს ვგრძნობდი; თურმე, ჯერ კიდევ მაგარი ვარ; იცოდეთ, ჩემი თაობა ეგეთი ხელწამოსაკრავი არ არისო! ამ სიტყვებით გათამამებულმა, დიდი ხნის ოცნება ავისრულე და პარაშუტით მეც „შემოვუფრინე“ ზღვას...

— ორ დღეში ახალი წელი მოდის, რაიმე პომპეზურს კიდევ გზამვთ?

— დედისერთა ვიყავი, მშობლები თავს მევლებოდნენ და საახალწლოდაც ლამის, თეატრალიზებულ წარმოდგენებს მიწყობდნენ. პირველი იანვრის დილას, ბალიშის ქვეშ პატარა საჩუქარი ყო-

ვლთვის მხედებოდა... მაგრამ მერე, ჯერ მამა გარდაიცვალა, შემდეგ — დედა და 41 წლის ასაკში მარტო დავრჩი. არც გავთხოვილვარ. იმ მარტოობას უნივერსიტეტის გარეშე ვერ გადავიტანდი, მაგრამ ახალი წლის ღამესაც უნივერსიტეტში ხომ ვერ შევხვდებოდი?! ამიტომ, ტრადიციად ვაქციე — თბილისიდან ერთი ღამით მივდივარ ხოლმე, მაგრამ უნდა ნახოთ, რა ღამაზად მორთულს ვტოვებ სადარბაზოს. ადრე კარგ ადგილებში გამგზავრების მეტი საშუალება მქონდა, თუმცა ისეც მომხდარა, რომ ახალი წლის ღამეს მატარებლით წავსულვარ ბათუმში და მეორე ღამეს უკან დავბრუნებულვარ — ანუ ახალ წელს მატარებელში შევხვდარივარ. ასეთ დროს საკმაოდ ბევრი და საინტერესო ადამიანი გამიცნია... ერთხელ, პირველ იანვარს, დილაუთენია მივადექი ნათესავს ზუგდიდში. ზარი დავრეკე, ვაკაკუნე, მაგრამ კარი არ

გამიღო — ღამენათევი ყოფილა, მოქეფე ხალხი ჭგონებია და სტუმრის თავი აღარ ჰქონია. აბა, რას წარმოიდგენდა, მე თუ შევრჩებოდი ხელში?! მერე ქუჩებში ვიხეტიალე და კვლავ მივადექი, მანქანით. მძლოლმა „უსიგნალა“, და მასპინძელმა, როგორც იქნა, გამოიხედა. გაგიჟდა, რომ დამინახა. მას შემდეგ თურმე, ყოველ ახალ წელს მელოდა... ერთხელ კიდევ, მეგობარი, უნივერსიტეტის დოცენტი მერი ქრისტესაშვილი ავიყოლიე და თელავში წავედი... იმ ღამეს თელავის „ინტურისტში“ — უზარმაზარ სასტუმროში მარტონი აღმოვჩნდი, მხოლოდ მე და მერი ვდღესასწაულობდით ახალ წელს (იციინის)... შარშან სიღნაღში წავედი და 2010-ს არაჩვეულებრივ სასტუმროში შევეგებე. წელსაც მინდოდა სადმე, კარგ ადგილას წასვლა, მაგრამ... მოკლედ, არ ვიცი, რას გადავწყვეტ; წასვლით კი აუცილებლად წავალ სადმე.

24 დეკემბრიდან

პარსენა

№ 26 (121), 24 დეკემბერი, 2010 წ. — 6 იანვარი, 2011 წ. საბჭოთა

განსული წლის საბუნდარო მიმოხილვა

მხიარული რეპრიკა „საბუნდაროების იმინიან“



„ბუბულიკა“ გაზუს მირ მორთბული სარუქბი და კბრის მოყვარული პატარა

„თოვლი წვიმასავითაა, ოლონდ — გაყინულია“

საახალწლო დღესასწაული ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ და ამიტომაცაა, რომ ამ დღისთვის გულმოდგინედ ემზადებიან — ნაძვის ხისთვის სათამაშოებს არჩევენ, თოვლის ბაბუას წერილებს სწერენ და თავიანთ სურვილებს უმხელენ, მერე კი დაძინებამდე უარს ამბობენ, იმ იმედით, რომ იქნებ, სანატრელ თეთრწვერა მოხუცს თვალი მაინც მოგვრათო... ჩვენ პატარების საახალწლო სამზადისით დავინტერესდით და ე.წ. ვარსკვლავების შვილებს ინტერვიუსთვის შინ ვწვით.

ნათია ჭიჭიკა

ყველამ კარგად იცის, რომ მომღერლები — თამთა ჭელიძე და ვერიკო ტურაშვილი განუყრელი მეგობრები არიან. თურმე მათი ქალიშვილებიც მეგობრობენ; პატარებმა ერთმანეთის გარეშე ინტერვიუს მოცემაც კი არ ისურვეს.

— თქვენი აზრით, ახალი წელი რა არის?

ლიზა ბარუაშვილი, 7 წლის:

— ახალი წელი დღესასწაულია, რომელსაც ყველა ერთად აღვნიშნავთ. სხვათა შორის, ბებოს საჭმელების მომზადებაში მეც ვესმარები...

ლიზა კილაძე:

— ახალი წელი სიურპრიზები და საჩუქრებია. ჰოდა, დედას, მამას და ბებოს სიურპრიზს ვუმზადებ. ისე, მეც ბევრ რამეს მჩუქნიან ხოლმე... მინდა, რაღაცები თოვლის ბაბუამაც გამომიგზავნოს.

წერილი უკვე მისწერე?

— ჯერ არა, ხვალ გავუგზავნი. ძალიან მინდა, ისეთი სათამაშო კურდღელი მომიტანოს, რომელიც დადის.

სხვა არაფერი გინდა?

— როგორ არა, თითო-თითო ყველაფერი მინდა!

ლიზა ბარუაშვილი:

— თოვლის ბაბუსთვის წერილი ჯერ მეც არ გამიგზავნია. მინდა, სასახლე მაჩუქოს. მნიშვნელობა არა აქვს, ნამდვილი იქნება თუ — სათამაშო, ორივე ერთნაირად გამიხარდება.

ლიზა კილაძე:

— თოვლის ბაბუ ჩემთან მაშინ მოდის, როცა მძინავს და ამიტომაცაა, რომ ვერასოდეს ვნახულობ. იქნებ შენ იცი, რა უნდა ვქნა?..

— როცა გაიზრდები, აღარ დაგეძინება და აუცილებლად ნახავ.



პატარებმა ერთმანეთის გარეშე ინტერვიუს მოცემაც კი არ ისურვეს

ლიზა ბარუაშვილი:

— ჩემი თოვლის ბაბუა საჩუქარს ხან ნაძვის ხესთან მიტოვებს და ხანაც — ბალიშის ქვეშ, რადგან როცა ახალი წელი მოდის, მეც მძინავს...

ლიზა კილაძე:

— ახალ წელს ძალიან მეშინია, რადგან გარეთ რაღაცებს აფეთქებენ და ისვრიან.

— თქვენი დედიკოები ამ დროს სახლში არიან ხოლმე?

ლიზა ბარუაშვილი:

— არა, ჩემი და ლიზას დედიკო მომღერალები არიან და ახალ წელს ყოველთვის კონცერტები აქვთ.

ლიზა კილაძე:

— ვერიკოს სიმღერები ძალიან მომწონს.

— შენი დედიკოს სიმღერები არ მოგწონს?

— მომწონს... ახალ წელს მშობლებს სასეირნოდაც დავყავართ ხოლმე. მაგალითად, შარშან, მთაწმინდის პარკში ვიყავით. ვერიკო და თამთა მღეროდნენ, ჩვენც მათთან ერთად ავედით სცენაზე. კარგი იყო!

ლიზა ბარუაშვილი:

— დედამ მითხრა, რომ ამ ახალ წელსაც ნაგვიყვანს მთაწმინდაზე.

ლიზა კილაძე:

— ვაშაა!.. ძალიან მიხარია.

ლიზა ბარუაშვილი:

— ჩვენმა დედიკოებმა ახლაც უნდა იმღერონ და ისევ ავალთ სცენაზე. მეც ვიცი სიმღერა, მაგრამ ვერიკოზე კარგად ვერ ვმღერი.

— თქვენ თუ იცით, თოვლი რა არის?

ლიზა კილაძე:

— თოვლი არის ბევრი ფიფქი, რომელიც ციდან ჩამოდის და მინაზე თოვლად იქცევა ხოლმე.

ლიზა ბარუაშვილი:

— თოვლი წვიმასავითაა, ოლონდ — გაყინულია. დედიკომ მითხრა, რომ წელს ბაკურიანშიც წამიყვანს, სადაც ყოველთვის ბევრი თოვლია.

ლიზა კილაძე:

— მეც მივდივარ ბაკურიანში. ჩვენი დედიკოები დაქალები არიან და ჩვენც ვმეგობრობთ, თანაც — ორივეს ლიზა გვქვია...

მსახიობ მაკა შალიკაშვილის 4 წლის გოგონა, **თინანო გოგუაძე** კარში შემომეგება და პირველი შეკითხვა თავად დამისვა:

— შენ იცი, ჩემი მამიკო ვინ არის?

— **სამწუხაროდ, არ ვიცი.**

— რატი გოგუაძეა, მსახიობი. მეც მინდა, მსახიობი გახდე. ახლა ბაღში ზეიმი მქონდა და მელიას როლს ვასრულებდი, ოლონდ — კეთილი მელია ვიყავი.

— **ახალ წელზეც ვილაპარაკოთ, კარგი?**

— ახალი წელი ძალიან მიყვარს, მისი მოსვლა ყოველთვის მიხარია. სხვათა შორის, ამ დღესასწაულისთვის ყოველთვის ვემზადები, ქეთი დეიდას მაღაზიებში მივყავარ და ნაძვის



თინანო გოგუაძე კარში შემომეგება და პირველი შეკითხვა თავად დამისვა



სხვათა შორის, საუკეთესო მოსწავლე ვარ და სიგელიც კი მომცეს

ხის სათამაშოებს ვყიდულობ. პატარა ნაძვის ხის აწყობა ვიცი, დიდის — არა; პატარა ნაძვის ხე მაქვს და იმიტომ.

— ახალ წელს უფროსებთან ერთად, შენც ვგებები თუ ამ დროს გძინავს ხოლმე?

— ახალ წელს ყოველთვის ვგებები. ისე, მე კი არა, ამ დღეს ნაძვის ხეც ფხიზლობს, მერე კი მეც ვიძინებ და ისიც.

— ახალ წელს შენი დედიკო სახლშია ხოლმე?

— ხან კი, ხან — არა... იცი, ახალ წელს ღვინოსაც ვსვამ, ოღონდ — კარგ ღვინოს. ჩემთან თოვლის ბაბუა უკვე მოვიდა და ბარბი მომიტანა. მინდა, კიდეც 10 თოჯინა მომიტანოს, ოღონდ ერთი ყვითელი უნდა იყოს. თუ იცი, ამ სურვილს ამისრულებს?

— აუცილებლად აგისრულებს! ხომ არ იცი, თოვლის ბაბუა სად ცხოვრობს?

— როგორ არა, ზეცაში ცხოვრობს. თოვლის ბაბუა ძალიან „ბუბულიკა“ კაცია.

— თოვლი რა არის?

— თოვლი გუნდაობა... მომღერლის, თამთა გოგუაძის შვილი, ლუკა ცანკაშვილი ჯერ მხოლოდ 6 წლისაა, მაგრამ მამაკაცური თვისებებით უკვე გამოირჩევა. ინტერვიუს ჩანერის შემდეგ, მან სუფრასთანაც მიმიწვია და პირველი სადღეგრძელოც შემომთავაზა.

ლუკა ცანკაშვილი:

— ახალი წელი ძალიან მიყვარს და მიხარია, რომ მალე მოვა; თან, ამ დღეს თოვლის ბაბუაც მოდის და საჩუქრები მოაქვს.

— ხომ არ იცი, თოვლის ბაბუა სად ცხოვრობს?

— თბილისიდან ძალიან შორის, თავის სახლში ცხოვრობს. ის ახლოდან არასოდეს მინახავს, რადგან როცა მძინავს, მაშინ მოდის ხოლმე და საჩუქრებს მიტოვებს... ახალი წლის დადგომამდე მას წერილს ვუგ-

ზავნი და ვეუბნები, რა მინდა, რომ მაჩუქოს. იცი, წერილი გუშინ დავწერე. აი, ნახე, პირველი წინადადება მე დავწერე, მერე კი თამთას ვკარნახობდი და ის წერდა. მინდა ჯვარი, ადამიანი-ობობას და ჰარი პოტერის წიგნები, რაგბის ბურთი, „ლეოპარდის“ კომპიუტერის დისკი, ჩუსტები და ფორმა და ადამიანი-ობობას თოფი მომიტანოს. ჰო, კიდეც, ცალხაზიანი რვეულიც მინდა.

— ცალხაზიანი რვეული რად გინდა?

— სკოლაში ხომ მჭირდება?

— მერე დედიკო არ გიყიდის?

— როგორ არა, მაგრამ ბარემ, თოვლის ბაბუას ვთხოვე. ისე, ჩემი მიშა ბაბუც თოვლის ბაბუასავითაა — რასაც ვთხოვ, ყველაფერს მისრულებს.

— თოვლის ბაბუას შენტვის ამდენი საჩუქარი მოაქვს ხოლმე?

— კი, რასაც ვთხოვ, ყველაფერი მოაქვს. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ კარგად ვსწავლობ. სხვათა შორის, საუკეთესო მოსწავლე ვარ და სიგელიც კი მომიცეს.

— ახალ წელს თქვენს სახლში რა ხდება ხოლმე?

— რაც მთავარია, ამ დღეს თამთა სახლშია, ახალ წელს ყველა ერთად ვხვდებით... ნაძვის ხეს ყოველთვის თამთა მიწყობს. მაგალითად, წუხელ რომ დავიძინე, ნაძვის ხე მაშინ მოურთავს და დილით დამხვდა. ძალიან გამიხარდა, მაგრამ მინდა, მასზე ახალი სათამაშოებიც დავკიდოთ. ალბათ, დედა დღეს წამიყვანს და რასაც ვეტყვი, მიყიდის. ისე, თამთას რალაცებს მეც ვჩუქნი ხოლმე. ამ ახალ წელსაც ვაჩუქებ.

— რას აჩუქებ?

— რაც მე მენდომება... ახალ წელს რომ ვქეიფობთ ხოლმე, მე და ბაბუ სადღეგრძელოებსაც ვაბობთ.

— შენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

— დედას გაუმარჯოს და ახალ წელს გაუმარჯოს. მე ღვინო კი არა, ძმარი მიყვარს. გუშინ ვიდაც სტუმრები გვყავდნენ. ვიდრე ისინი მოვიდოდნენ, ძმარი დავლიე და ძალიან მომეწონა.

მსახიობის, პაატა გულიაშვილის 5 წლის ვაჟმა, გუგამ სიხარულით მიმიღო, მაგრამ დიქტოფონის დანახვაზე ცოტა დაიმორცხვა და ლამის, ინტერვიუს მოცემა გადაიფიქრა. საბედნიეროდ, საერთო ენა მალე გამოვინახეთ და გუგამ გულახდილად მიაბო, თუ როგორ ხვდება ახალ წელს.



გზა გულიაშვილი:

— ახალი წელი არის თოვლი. მგონი, ყოველ ახალ წელს თოვს. მართალია, ახლა აგვიანებს, მაგრამ იმედია, სახალწლოდ მოვა... ამ დღესასწაულისთვის დედიკო გემრიელ ნამცხვრებს აცხობს ხოლმე და ეს ძალიან მიხარია.

— შენტან თოვლის ბაბუა მოდის ხოლმე?

— როგორ არა! შარშან ბებოსთან ვიყავი და თოვლის ბაბუა იქ მოვიდა. ძალიან კეთილი კაცია, საჩუქრებიც მომიტანა და კანფეტებიც. თოვლის ბაბუას წერილს ვწერ ხოლმე; წელსაც გაუგზავნე და იცი, რა ვთხოვე? — „სპაიდერმენი“ და „სუპერმენი“; ერთი ჩემთვის მინდა, მეორე — ჩემი პატარა ძმისთვის. ჩემი მამიკო თოვლის ბაბუას იცნობს და ზოგჯერ, როცა თვითონ არ სცალია, საჩუქრებს მამას ატანს. კიდეც იცი, რა მინდა? პოლიციის მანქანა. ალბათ, ამასაც მამიკოს გამოატანს.

— ახალ წელს როგორ ხვდებით ხოლმე?

— ყოველ ახალ წელს ბებოსთან




რასაც ჩემი მამა აკეთებს, მეც იმას გააკეთებ

მივდივარ. ჩემი ბებო და პაპა ყველა სურვილს მისრულებენ, ამიტომაც მიხარია მათთან სტუმრობა. ბებოს სასაქონლოდაც მივყავარ და სახალწლო ზემი-ბზეც; შობის მერე კი თელავში, მამიკოს მშობლებთან მივდივარ ხოლმე და იქაც ყველა სურვილს მისრულებენ. სხვათა შორის, ჩემი პაპა თელავის თეატრის მსახიობია და იქ ხშირად მივყავარ. მეც მინდა, მსახიობი გამოვიდე. ახლა ბაღში სახალწლო ზემი გვქონდა და მე კინტაური ვიცეკვე...

— მსახიობი რომ გამოხვალ, მერე ვისი როლი უნდა შეასრულო?

— რასაც ჩემი მამა აკეთებს, მეც იმას გააკეთებ.



სამყარო

2011 კლასიკური ფესსაცმლისა და გამჭვირვალე კაბების წელი

ხარისხიანი, მოდური და კომფორტული ფესსაცმლისა და სამოსის შერჩევა ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის ყოველთვის აქტუალური საკითხია. 2011 წლის მოდა ძალიან ქალური, „ნაზი“ და „ჰაეროვანია“, ფერები კი — ნათელი. მომავალი წლის მოდის ტენდენციებზე დიზაინერები, ავთო ცეკიტინიძე და თათა ვარდანაშვილი გვესაუბრებიან:

თათა ვარდანაშვილი

თათა ვარდანაშვილი, ფესსაცმლის დიზაინერი:



— ვფიქრობ, 2011 წლის მოდა უფრო „ლიბერალური“ იქნება, ვიდრე შარშანდელი. თუ აქამდე მალაღობი „პლატფორმა“ და სქელი ქუსლი იყო მოდური, 2011-დან კლასიკურ ჩარჩოში მოქცეული, ზედმეტად ქალური ან ზედმეტად თავისუფალი და სპორტული სტილის ფესსაცმელი

იქნება აქტუალური. თინეიჯერები არჩევანში თავისუფალნი იქნებიან და არნაირი შეზღუდვა არ ექნებათ, რომ მაღალ ქუსლზე იარონ. შეუძლიათ დაბალძირიანი, მამაკაცური სტილის ფესსაცმელი შეარჩიონ, რომელიც მოდური იქნება, რადგან შარვლის სტილი კლასიკურ, ვინრო ფორმებს უახლოვდება, რომელსაც სქელი და უხეში ფორმის ფესსაცმელი არ უხდება. 2010-ში მაღალი „პლატფორმა“ და უტრირებული, მრგვალი ცხვირი

იყო მოდური; 2011 წლიდან კი მოკლევცვირიანი, კლასიკური, მაღალქუსლიანი (ე.წ. „შპილკა“), ფრანგული სტილის ფესსაცმელი დამკვიდრდება. აქტუალური იქნება თეთრი, ვერცხლისფერი და მათთან მიახლოებული, ნებისმიერი სხვა ფერი. ასევე რუხ ფერში გარდამავალი, ღია ვარდისფერი. ზაფხულში მოდური იქნება სადაფისფერი თეთრი — „პერლამუტრს“ რომ ვეძახით.

— ფესსაცმლის თვლებით ან სხვადასხვა სახის ორნამენტით გაფორმება თუ იქნება მოდური?

— დიახ, ოღონდ, ერთი ფერით — მაგალითად, ვერცხლისფრით გაფორმება, რადგან კურდღლის წლის



გათვალისწინებით, ფეხსაცმელი მეტად სადა, ტანსაცმელი კი უფრო შემკული და გამორჩეული უნდა იყოს.

— როგორც ვიცი, ბენვისაგან შეკერილი ფეხსაცმელიც აქტუალური იქნება.

— დიას, ოღონდ ეს არ უნდა იყოს კურდღლის ბენვი, რადგან მისი წელია და ალბათ გაუფრთხილდებიან (იციინის). მაინც ვფიქრობ, რომ მზზინავი ტყავის ფეხსაცმელი იქნება უფრო მოდური, არა — საქონლის, არამედ ცხვრისა და „ლაიკის“ ტყავისგან შეკერილი, თხელი და რბილი. „სხივიანი“ ტყავი და არა — ლაკი, ფეხსაცმელს სადღესასწაულო იერს სუბქნის.

ავთო ცაჰიტინიკა,

დიზაინერი:

— 2011 წლის მოდის ტენდენციები რადიკალურად განსხვავებულია იმისგან, თუ რა უნდა გვეცვას ახალი წლის ლამეს. მინდა გითხრათ, რომ ზოგადად, მომავალი წლის მოდის ტენდენციაში კურდღლის წელი არაფერ შუაშია. ზაფხულში ძალიან მოდური იქნება კანისფერი, წითელი, ღია ნაცრისფერი და თეთრი, რომელიც ასე აქტუალური დიდი ხანია, არ ყოფილა. ვფიქრობ, ქალები ასეთი ფერის სამოსში ზებუნებრივად ლამაზები წარმოჩნდებიან, მაგრამ ცოტათი უნდა გახდნენ, რადგან ნათელი ფერები, ჰაეროვნება და „გამჭვირვალობა“ მოდაში, რაც სიმსუქნეს ვერ ეგუება. 2011 წელს შიფონი განსაკუთრებით აქტუალური იქნება. ქართველ მანდილოსნებს ყოველთვის შეუძლიათ განსაკუთრებულად გამოიყურებოდნენ და მოდის ტენდენციებიდან ის აიღონ, რაც ყველაზე მთავარი და აქტუალურია და საკუთარ სხეულს მოარგონ.

— მამაკაცის სამოსშიც რაიმე განსაკუთრებული ცვლილებებია?

— მამაკაცის პიჯაკის სილუეტი იმდენად გამოყვანილია, რომ ფაქტობრივად, მასში სუნთქვაც კი რთულია. უკვე ბევრი მამაკაცი ვარჯიშობს და თავს უვლის; კარგ ფიგურაზე კი ასეთი პიჯაკები და გამოყვანილი შარვლები ლამაზად „ზის“. შარვალი ქვემოთ დავინროებულისა, უბე — ოდნავ ჩამოსული, რასაც ქართველი მამაკაცები უკვე შეეგუვნენ და მიხვდნენ, რომ ასეთი სტილის ჩაცმულობა არ ნიშნავს, რომ მამაკაცს რაიმე „გადახრა“ აქვს. დღეს ასეთი სტილის შარვლებზე ბევრი შეკვეთა გვაქვს, სასიძოებიც კი იცვამენ ქორწილში. მიხარია, რომ მოდურად ჩაცმა უკვე

ლოგიკურად და სწორად აღიქმება.

— 2010 წელს პერანგისა და ჰალსტუხის იდენტური ფერი იყო აქტუალური. როგორ იქნება 2011-ში?

— რადგან ასეთი სტილის მომხმა-



რებელი არ ვარ, მგონია, რომ არც სხვებს მოსწონთ. დაბადების დღეზე მაკა მეტრეველმა ძალიან ლამაზი, ნაქსოვი ჰალსტუხი მაჩუქა; იმას კი აუცილებლად გავიკეთებ. საქართველოში ბევრი არ ატარებს ჰალსტუხს და ვინც ატარებს, მაინცდამაინც არ მოსწონს. ტონალობაში სხვაობა უნდა დავიცვათ. მაგალითად, ღია ნაცრისფერ პერანგზე მუქი ნაცრისფერი, აბრეშუმის ჰალსტუხია მისაღები.

— როგორი ქსოვილებია აქტუალური და ძვირფასი, ზამთრის სეზონზე?

— ზამთარში ქაშირსა და შალს არაფერი სჯობს. საერთოდ, ის ქსოვილები, რომლებსაც წამყვანი დიზაინერები იყენებენ, ყოველთვის ნატურალური, ძვირფასი და მაღალი ხარისხისაა. ხავერდი, აბრეშუმი, შიფონი, ტრიკოტინი, ქაშირი — „ჰაი“ კლასია და ყოველთვის მოდაშია. უბრალოდ, მათი ტონალობა და ორნამენტი იცვლება ხოლმე. თუ ნატურალურ ფერს (არა — შეღებილს) შევიძენთ, ის არაერთი სეზონის მანძილზე გამოგვადგება.

— 2010 — „ლამაზფეხებიანების“, ანუ მეტისმეტად მოკლე კაბების წელი იყო. ამჯერად საით იხრება მოდის ტენდენციები?

— ზამთრის სეზონს ეს ძალიან მოკლე სილუეტები ამთავრებს. თუმცა, ბევრმა

დიზაინერმა ზაფხულის კოლექციაში მოკლე კაბები, დიდი ზომის პიჯაკები და უფრო გამოყვანილი სილუეტები შემოგვთავაზა, სინამდვილეში მაქსიმალურად გრძელი ქვედაბოლოები უფრო ქარბობს. კლასიკური სიგრძე კი — მუხლს ქვემოთ, არა მგონია, ოდესმე მოდიდან გადავიდეს.

— შარფებსა და სხვა აქსესუარებზე რას გვეტყვი?

— შიფონის გრძელ და განიერ შარფებზე დამაგრებული, დიდი შალის ყვავილები ძალიან მოდურია. ლამაზი აქსესუარი ყოველთვის ახალისებს მოდელსაც და ძველ ტანსაცმელსაც. ქამრები აუცილებლად წელზე უნდა მაგრდებოდეს და არა — მენჯზე ან თუქოზე. თავისუფალ კაბებზეც კი წელზე მომდგარი, ფართო ან წვრილი ქამრებია მოდაში.

— როგორი სამოსი უნდა გვეცვას ახალ წელს?

— აუცილებელია, რაიმე ბრჭყვიალა ჩავიცვათ — ვერცხლისფერ ტონში იქნება თუ ოქროსფერში, მნიშვნელობა არა აქვს. აუცილებელია, ნატურალური და ფუმფული ბენვი. მიუხედავად იმისა, რომ კურდღელს მელია არ უყვარს, ის სეზონზე ძალიან მოდურია და სავარდებულოც კია, რომ გვეცვას. საერთოდ კი, გოგონებო, ჯობს ის სამოსი ატაროთ, რაც ყველაზე მეტად გიხდებათ. გისურვებთ, კურდღლის წელი წარმატებული ყოფილიყოს არა მარტო კარიერაში, არამედ — მამაკაცებთან ურთიერთობაშიც, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ყოველთვის ჰქონდეთ სურვილი, საყვარელ ქალბატონებს ლამაზი და ძვირფასი კაბები შეუძინონ.



როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში

ბრადიციები

ვიეტნამში ახალი წლის ღამეს მდინარეში კობრს (ერთგვარი თევზი) უშვებენ. მათი რწმენით, კობრის ზურგზე ღმერთი ზის, რომელიც ცაში უნდა აფრინდეს. ამ ღამეს წყენა და ბრაზი ერთმანეთს ყველამ უნდა აპატიოს.

ახალ წელს **ბერძნებს** საჩუქრებთან ერთად ქვებიც მიაქვთ. თუ ქვა დიდია, ამბობენ: — მასპინძლის სიმდიდრე ამ ქვაზე მძიმე იყოსო, ხოლო თუ პატარაა, — მასპინძლის თვალში ლიბრი (ბისტი) ამ ქვაზე პატარა იყოსო.

კუბელები 12 საათის დადგომისთანავე ფანჯრებიდან წყალს ასხამენ, დამდეგი წელი სუფთა და კამკამა რომ იყოს.

პანამაში ახალ წელს ხმაურით ეგებებიან. მათი რწმენით, ხმაური ბოროტ სულებს აფრთხობს.

შვედეთში ახალი წლის ღამეს მეზობლის კართან ჭურჭელს ამტვრევენ.

შოტლანდიაში, კასრში ცეცხლს ანთებენ და ცეცხლმოკიდებულს ქუჩებში დააგორებენ. ასე ძველ წელს მიაცილებენ. მეკვლეობაც იცინა; მიაჩნიათ, რომ შავგვრემან, საჩუქრით ხელდამშვენებულ სტუმარ მამაკაცს ბედნიერება მოაქვს.

სტუმრად მისულ **უელსელებს** ნახშირი, 1 ჭიქა ღვინო და ღვეზელი მიაქვთ. საკუთარ ერთგულებას ასე გამოხატავენ. თანაც, მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს მასპინძლის ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება საჭმლით, სასმლითა და სითბოთი. 12 საათამდე კი კარს ალებენ, რათა ძველი წელი გაისტუმრონ და ახალს შეეგებონ.

უჩვეულო ტრადიცია ჰქონდათ **ვიკინგებსაც** და ეს ჩვეულება ინგლისის ზოგიერთ რეგიონში დღესაცაა შემორჩენილი. საშობაოდ ოჯახის უფროსი ხეს ჭრიდა, მორი შინ მიჰქონდა და მხოლოდ მომავალ წელს წვავდა. თუ მორს ცეცხლი ცუდად მოუკიდებოდა ან მალე ჩაქრებოდა, ოჯახს უბედურება ელოდა.

იაპონიაში 31 დეკემბრამდე ერთი კვირით ადრე, ყველა ორგანიზაცია იხურება. ბანკები 12 საათამდე მუშაობს. ამ პერიოდს „ოქროს კვირეული“ ჰქვია. ახალი წლის დადგომისთანავე იაპონელები სიცილს იწყებენ. მიაჩნიათ, რომ ასე მომავალ წელს ბედნიერებას დაიბედებენ. 1-ელ იან-



ვარს ტაძრებში სალოცავად მიდიან. ზარი 108-ჯერ უნდა დაირევოს. თითო დარტყმაზე თითო უსიამოვნება (სიბრაზე, სიხარბე და ა.შ.) ქრება. იქიდან დაბრუნებულები მაგიდაზე ბრინჯის „ბლინზე“ მანდარინს დებენ, — ბედნიერების, ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოს. ყოველ ოჯახში უნდა იყოს ბამბუკის (ბავშვების დაბადების სიმბოლო), ქლიავისა (ერთგული კოლეგებისა და მეგობრების სიმბოლო) და ფიჭვის (ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლო) ტოტი. აგრეთვე, ცხოველების (მელა, დრაკონი, ვეფხვი, გველი) ფიგურები. ახალ წელს დაუშვებელია აკრძალული სიტყვების („სიკვდილი“, „უბედურება“) თქმა. თუ ამ წესს ბავშვები დარღვევენ, მათ პირებს თეთრი ქსოვილით უკრავენ.

ბრაზილიელები ქვიშიან პლაჟზე უამრავ სანთელს ანთებენ. თეთრ კაბებში გამოწყობილი ქალები წყალში შედიან და ოკეანეში ყვავილის ფურცლებს ყრიან.

12 საათის დადგომისთანავე, **მექსიკელები** ხილითა და წყლით სავსე თიხის ქოთნებს ამტვრევენ.

მიანმელები ერთმანეთს წყალს ასხამენ (მათთვის ახალი წელი ზაფხულში დგება) და ახალ წელსაც „წყლის ფესტივალს“ ეძახიან.

ებრაელების ახალი წელი რომხა შანა 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დგება (აღდგომიდან 163 დღის შემდეგ). სტუმრებს თაფლში ამოვლებული ვაშლებით უმასპინძლებიან. მორწმუნეები თეთრ სამოსს იცვამენ.

ბულგარეთში საახალწლო სუფრას შვინდის ტოტებით აფორმებენ. 12 საათის დადგომისთანავე მწუთით შუქს აქრობენ. ამ პერიოდს

„კონცის წუთი“ ჰქვია. ამბობენ, რომ ვინც სუფრასთან დააცემინებს, დამდეგ წელს აუცილებლად გაუმართლებს.

ირანში ახალი წელი 21 მარტს დგება. ერთი კვირით ადრე, ირანელები პატარა ქოთნებში ხორბალს თესავენ და ახალ წელს ჯეჯილით ეგებებიან.

სუფრა

ბრიტანელებს საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შემწვარი ინდაური — ხურტკმელის სოუსში, პუდინგი და ბრენდი. თანაც, სუფრაზე მიტანამდე, პუდინგს რომს ასხამენ და ოთახში ცეცხლმოკიდებული შეაქვთ.

ფრანგებს — ხამანკები, ბატის ღვიძლის პაშტეტი, ინდაური — თეთრი ღვინის სოუსში, შამპანური და ყველის ასორტი.

პოლანდიელებს — კურდღლის, ირმის ან გარეული ფრინველის ხორცის კერძი.

დანიაში ხილის შიგთავსიან ბატს ან იხვს მოგართმევენ, დესერტზე — ბრინჯის პუდინგს.

იაპონიაში ბრინჯისა და ლობიოს ცივ კერძს, ბრინჯის ღვეზელებსა და ხილის ასორტის შემოგთავაზებენ. გარდა ამისა, სუფრაზე ბედნიერების სიმბოლო — ზღვის კომბოსტო, შემწვარი ნაბლი (წარმატება ბიზნესში), მარცვლეული (ჯანმრთელობა), მოხარული თევზი (სიმშვიდე), ხიზილალა (მრავალშვილიანობა) უნდა იდოს. ახალ წელს იაპონელები უხმოდ, სიმღერებისა და გადაძახილების გარეშე სადილობენ.

ესპანეთში შემწვარი ბატკნის, ინდაურისა და გოჭის ხორცსა და ხერქეს შემოგთავაზებენ.

იტალიაში თევზს — თეთრი ღვინის სოუსში.

ტიბეტელი დიასახლისები სხვადასხვა გულსართიან ღვეზელებს აცხობენ და გამვლელებს სთავაზობენ — რაც უფრო მეტ ადამიანს გაუმასპინძლებიან, მით მეტად გაუმართლებთ დამდეგ წელს.

ავსტრიაში და **უნგრეთში** საახალწლო სუფრაზე ფრინველის ხორცის კერძს ვერ ნახავთ. ამ ქვეყნის მოსახლეობას მიაჩნია, რომ თუ ახალ წელს ფრინველის ხორცს შეჭამ, ბედნიერება გაგიფრინდება.

რუმინეთში, ავსტრალიასა და



ბულგარეთში საახალწლო ღვეზელებს აცხოებენ. მასში მონეტას, თხილის გულსა და წინაკას დებენ. ვისაც სიურპრიზიანი ღვეზელი შეხვდება, დამდეგ წელს გაუმართლებს.

პოლონეთში საახალწლო სუფრაზე 12 კერძი უნდა იდოს. სოკოს წვნიანი ან ბორშჩი, თევზი, შვრიის ფაფა შავი ქლიავით, შოკოლადის დესერტი და სხვა, მაგრამ ხორცის ჭამა არ შეიძლება.

ახალ წელს ბურღულის ფაფას **ჩეხი** და **სლოვაკი** დიასახლისებიც ამზადებენ. დესერტზე კი სტრუდელი აქვთ — ფენოვანი ცომის რულეტი, ვაშლით.

ესპანეთში, პორტუგალიასა და კუბაში კეთილდღეობისა და ოჯახური ბედნიერების სიმბოლოდ ყურძნის მტევანი მიიჩნევა. 12 საათის დადგომასთან ერთად, 12 სურვილს ჩაუთქვამენ და ყურძნის 12 მარცვალს შეჭამენ.

იტალიაში საახალწლო სუფრაზე სიმბოლურად დებენ ყურძენს, თხილსა და ოსპის მარცვლებს, როგორც ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოს.

საჩუქრები

საფრანგეთში ქმარს შეუძლია მეუღლეს სუნამო მიართვას, მაგრამ

უცხო მამაკაცს ამის უფლება არა აქვს. **გრენლანდიელები** ერთმანეთს ყინულისგან გამოთლილ, სხვადასხვა ცხოველის ფიგურებს ურიგებენ.

შვედეთში საუკეთესო საჩუქრად თვითნაკეთი სანთელი მიიჩნევა.

ინდოეთში ბავშვებისთვის დიდ სიწზე ტუბილულს, სათამაშოებსა და ყვავილებს ალაგებენ. პატარები სინამდე თვალდასუჭულები მიჰყავთ და საჩუქარს თავად ირჩევენ.

იტალიელები ერთმანეთს წითელი ფერის თეთრეულს აჩუქებენ.

ესპანელი კალათით შამპანურის ბოთლსა და „ნუგა“ კანფეტს მოგართმევთ.

ბერძნები ახალ წელს ერთმანეთს შამპანურით, ღვინითა და ბანქოთი ულოცავენ.

იაპონელი იმ ცხოველის გამოსახულებას შემოგთავაზებთ, რომლის წელიც დგება.

ავსტრიელები ახალ წელს ერთმანეთს ღორისგამოსახულებიანი ფიგურებით ულოცავენ; სწამთ, რომ ცხოველის გამოსახულება სიმდიდრეს მოუტანს.

დაბოლოს, თუ გსურთ, მთელი წლის განმავლობაში მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოთ, 31 დეკემბრამდე გაისტუმრეთ ვალები. საფულე ბოლომდე არ გამოაცარი-



ელთ. ხურდა იმ სამოსის ჯიბეშიც ჩაიყარეთ, რომლითაც ახალი წლის შეხვედრას აპირებთ.

დააკვირდით, თუ მეკვლედ მამაკაცი გესტუმრათ, ბედნიერებას მოგიტანთ. თუ მეკვლედ ქალი გეყოლება, მთელ წელს ფაციფუცში გაატარებთ.

მოამზადა რუსუან ბალაშვილმა

44 ქართული პროზის საგანძური

ტომი №44
ოთარ შილაძე

ოთარ შილაძე
გზაზე ერთი კაცი მიდგოდა

44 ნაწილი I

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

<p>ოთარ შილაძე (ნაწილი II)</p>	<p>ოთარ შილაძე (ნაწილი III)</p>	<p>გიორგი შატავაშვილი</p>
--------------------------------	---------------------------------	---------------------------

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- №1 გურამ დონანაშვილი
- №2 შიხაილ ჯავახიშვილი
- №3 ნოდარ ღუშაბაძე
- №4 ილია ჭავჭავაძე
- №5 გურამ რეაულიშვილი
- №6 ვაჟა-ფშაველა
- №7 რეზო შანიშვილი
- №8 აბაკი ნვრთელი
- №9 გურამ ბებუშიძე
- №10 ლავით კლდიაშვილი
- №11 ოტია იოსელიანი
- №12 ბრიგოლ აბაშიძე (ნაწილი I)
- №13 ბრიგოლ აბაშიძე (ნაწილი II)
- №14 არჩილ სულაკაური
- №15 ნიკო ლორთქიფანიძე
- №16 გომდარძი ჩოხელი
- №17 ლევან გომთა
- №18 აბა მორჩილაძე
- №19 ვასილ ბარნოვი
- №20 თამაზ ბიგიშვილი
- №21 რევაზ ინახიშვილი
- №22 ნიკო ლომოური
- №23 გურამ ფანჯიკია
- №24 კონსტანტინე ბაგსასურდია (პარი I)
- №25 კონსტანტინე ბაგსასურდია (პარი II)
- №26 კონსტანტინე ბაგსასურდია (პარი III)
- №27 ედიშერ შიფანიძე
- №28 ლავრენტი არალაზიანი
- №29 გიგინე ელიოზიშვილი
- №30 ალექსანდრე ხაზაბაძე
- №31 ნუზარ შატაბაძე
- №32 უინარაღი (კონფრატე თათარიშვილი)
- №33 ლევან შინგალია
- №34 იაკობ ბუბაბაშვილი
- №35 კოტე ჯანდიერი
- №36 ლევან სანიძე (ნაწილი I)
- №37 ლევან სანიძე (ნაწილი II)
- №38 თამაზ შილაძე
- №39 ლეო ძინავილი
- №40 ვაჟა ბიგაშვილი
- №41 გიორგი ნვრთელი

წიგნის ფასი **3 ლარი!**
30 დეკემბრიდან - 6 იანვრამდე!

გამოიწერეთ **გზა** საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**ელპა.ჯი**“ **ბელ: 38 26 73; 38 26 74**



გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა

1905-1907 წლების რევოლუციური სიტუაციის დროს მომხდარი ტერორისტული აქტებიდან ყველაზე დიდი გამოხმაურება კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელის, გენერალ თევდორე გრიაზნოვის მკვლელობას მოჰყვა, რომელიც რევოლუციონერებმა 1906 წლის 16 იანვარს, თბილისში განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ გენერალი გრიაზნოვი სანქტ-პეტერბურგიდან საგანგებოდ იყო მოვლენილი, კავკასიაში რომ რევოლუციური კერები ძირფესვიანად აღმოეფხვრა და ფაქტობრივად, მეფისნაცვალზე მეტი უფლებებიც კი ჰქონდა მინიჭებული; იმპერატორის კარი სწორედ გრიაზნოვზე ამყარებდა იმედს და აქედან გამომდინარე, გასაკვირიც აღარაა, რომ გენერალზე დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში განხორციელებულმა ტერაქტმა მთელ რუსეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მიხეილ ლაპაძე

საბჭოთა კავშირის დანგრევამდე, როგორც წესი, მიიჩნეოდა, რომ გრიაზნოვის მკვლეელი — რკინიგზის დეპოს მუშა, არსენა ჯორჯიაშვილი, ბოლშევიკი იყო, ხოლო ტერაქტი კი იოსებ სტალინის ორგანიზებული გახლდათ. XIX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ქართველ სოციალ-დემოკრატი ემიგრანტთა ნაწილები ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი გახდა, აღმოჩნდა, რომ არსენა ჯორჯიაშვილი არათუ ბოლშევიკი არ იყო, არამედ პოლიტიკური მრწამსიც კი საერთოდ არ ჰქონდა; ამავდროულად, სტალინსა და ბოლშევიკებს იმხანად გენერალ გრიაზნოვის მოკვლა მართლაც სურდათ, მაგრამ მიზეზთა გამო, ჩანაფიქრის აღსრულება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, 1921 წელს, როცა სტალინის ბრძანებით, მხატვრული ფილმი — „არსენა ჯორჯიაშვილი“ გადაიღეს, ისტორიული სინამდვილე გაყალბდა და ყველაფერი ისე წარმოჩნდა, როგორც დიდ ბელადს სურდა.

1905 წლის ბოლოს, როცა რუსეთის იმპერიაში სიტუაცია უკიდურესად დაიძ-



გრიაზნოვის მკვლეელი, რკინიგზის დეპოს მუშა არსენა ჯორჯიაშვილი

აბა და პოლიტიკური დაპირისპირება აშკარა შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა, ცარისტულმა რეჟიმმა მთელ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მონინალმდევებს ძალისმიერი, სასტიკი მეთოდებით გასცა პასუხი — „ყველა, ვინც კი რევოლუციურ იდეებს იზიარებს, მეფისა და ღვთის უპირველესი მტერია! ტყვეებს ნუ დაიშურებთ მათეთის!“ — ასეთი მოწოდებით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალმა ტრეპოვმა რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად სანქტ-პეტერბურგში შეკრებილ კაზაკებსა და შავრაზმელებს. ამას მოჰყვა „შავრაზმული ტერორი“ — ცარიზმის მომხრე შეიარაღებული დაჯგუფებები „არასაიმედო პირებს“ დაპატიმრებისა და გასამართლების გარეშე უსწორებდნენ ანგარიშს; მთავრობა მათ არათუ პასუხს არ სთხოვდა, აჯილდოებდა კიდევ. ნიშანდობლივია, რომ გენერალი თევდორე გრიაზნოვი, ვისაც 1905 წლიდან კავკასიაში სამოქალაქო ხელისუფლებაც დაუქვემდებარა, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ურჩევდა, რომ იმ პირებისათვის, რომლებიც რევოლუციური მოღვაწეობის გამო სასჯელს იხდიდნენ, თვალები დაეთხარათ(!), რათა ვეღარ გაქცეულიყვნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მალე რუსეთსა და განსაკუთრებით — კავკასიის სამეფისნაცვლოში, განუსჯელი ვითარება დამყარდა: ცარისტული რეჟიმი შეიარაღებული შეტაკებების ინიციატორად უმეტეს შემთხვევაში თავად გამოდიოდა და შესაბამისად, სხვაგვარად მოაზროვნე ქვეშევრდომთა სიცოცხლეს ჩირადაც კი არ აგდებდა; საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში კი სხენებული გარემოების გამო, რევოლუციონერთა ყოველი ქმედება გამართლებული ჩანდა. ამიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელთ საზღვარგარეთიდან დაფინანსება არ აკლდათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკური თავშესაფრის მიღება იოლად შეეძლოთ.


იმ დროს ქართველ საზოგადოებაში

გენერალი თევდორე გრიაზნოვი



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა იმდენად პოპულარული იყო, რომ თვით ცარიზმისადმი ლოიალურად განწყობილი ქართველებიც კი, გარკვეულწილად იზიარებდნენ მას; თუმცა მაინც მიაჩნდათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება უსისხლოდ, მოლაპარაკების გზით უნდა მომხდარიყო და შემდგომშიც, საქართველოს რუსეთთან კავშირი არ უნდა გაენწყობა. დაფიქრთ იმასაც, რომ ამგვარად მოაზროვნენი ცოტანი იყვნენ და ზუნებრივია, საზოგადოებაზე გავლენას ვერც ახდენდნენ. ქართველთა უმრავლესობა ცარისტულ რეჟიმს იარაღით უპირისპირდებოდა და „სახელმწიფო ტერორის“ პოლიტიკას ტერორითვე უპასუხებდა. აბსოლუტურად ყველა რევოლუციურ პარტიას საკუთარი ტერორისტული დაჯგუფება ჰყავდა ან ტყვენი გავარდნილ აბრაგებთან ჰქონდა კავშირი. ამ მხრივ განსაკუთრებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ადგილობრივი ფილიალი გამოირჩეოდა, რომელშიც როგორც წესი, ორი ფრაქცია არსებობდა — მენშევიკებისა და ბოლშევიკებისა.

გენერალმა თევდორე გრიაზნოვმა, რომელიც ტიპური ველიკორუსი სამხედრო იყო, არა მარტო რევოლუციონერთა მიმართ, არამედ მშვიდობიან არარუს მოსახლეთა მიმართაც წრეგადასულ სისასტიკეს იჩენდა — 1905 წლის 29 აგვისტოს, კაზაკებმა და შავრაზმელებმა მისი ბრძანებით თბილისში, გამგეობის შენობასა და მის მიმდებარე ქუჩებში უდანაშაულო ხალხზე იერიში მიიტანეს, რის შედეგადაც 100-მდე კაცი დაიღუპა, ხოლო 300-ზე მეტი დაიჭრა; 22 ოქტომბერს გოლოვინის პროცესიას დაესწნენ და 43 კაცი მოკლეს, 88 კი დაჭრეს. ასევე, 19 დეკემბერს, ნაძალადევის ბაზარში შავრაზმელებმა მუშათა დიდი დემონსტრაცია დაშალეს, რასაც უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია — დაიღუპა



ქალაქისთავი ვასილ ჩერქეზიშვილი

ცხრა მუშა და ათეულობით დაიჭრა. გარდა ამისა, გენერალმა გრიბნოვმა აურძლა ქართულ ენაზე წიგნების გამოცემა და პრესაც მნიშვნელოვანწილად შეზღუდა. ბუნებრივია, მისმა ამგვარმა „მოღვაწეობამ“ რევოლუციონერთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია და 1905 წლის დეკემბერში, ბოლშევიკებმაც და მენშევიკებმაც ცალ-ცალკე გადაწყვიტეს, რომ გენერლის წინააღმდეგ ტერაქტი განეხორციელებინათ.

მენშევიკურმა ფრაქციამ ამ საქმის აღსრულება სილიბისტრო ჯიბლაძეს მიანდო — საქართველოში მარქსის მოძღვრების ერთ-ერთ პირველ გამავრცელებელს, ცნობილ პუბლიცისტსა და „ნითელი ტერორის“ თეორეტიკოსს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლშევიკებმა მენშევიკთა განზრახვის შესახებ სრულიად შემთხვევით შეიტყვეს და მამინვე გადაწყვიტეს, მათთვის დაესწროთ — გრიბნოვის მკვლელობის ორგანიზება იოსებ ჯულაშვილმა იკისრა; ჩვეულებრივ, ამგვარი საქმეების „სპეციალისტი“ კამო იყო, მაგრამ ის მაშინ ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფებოდა და კაზაკებთან შეტაკებისას მიღებულ მძიმე ჭრილობებს იმუშებდა. ბოლშევიკები კამოს გამოშვობინებას ვეღარ დაელოდებოდნენ და ჯულაშვილს ყველაფრის გაკეთება მარტოს მოუწია. „გენერალი გრიბნოვის მოკვლა ჩვენ დიდი ხანია, ჩაფიქრებული გვექონდა, მაგრამ მაშინ, როდესაც ამისი დრო დადგა, კამო შეუძლოდ იყო, ფეხზე დგომაც არ შეეძლო და საიდუმლოდ მკურნალობდა მცხეთაში, ერთ-ერთ ჩვენს ახლობელ ექიმთან. მისი არყოფნა ამ საქმეს მეტათ დაეტყო...“ — წერდა შემდგომში ცნობილი ქართველი ტერორისტი, 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე და იოსებ ჯულაშვილის თანამებრძოლი, კოტე ცინცაძე, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა.

სილიბისტრო ჯიბლაძემ ტერაქტისთვის ბომბების დამზადება ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატს, ვლასა მგელაძეს დაავალა, რომელსაც ავჭალაში საიდუმლო ლაბორატორია ჰქონდა: „ბომბი შენი ხელით გააკეთე და გასინჯე, რომ არ გვიმტყუნოს!“ — უთქვამს მგელაძისათვის ჯიბლაძეს. გარდა ამისა, 1906 წლის 4 იანვრის საღამოს, ეს უკანასკნელი მენშევიკთა გაზეთ „სხივის“ რედაქციაში შეხვდა მთელ თბილისში ცნობილ ტერორისტსა და ყოფილ კრიმინალს, არშაკ მეგრებიანცს, რომელიც ციხიდან ორი თვის გამოსული იყო და მატერიალურად უჭირდა. ჯიბლაძემ მას 150 მანეთის საფასურად ტერაქტში მონაწილეობის მიღება შესთავაზა: „მოვიყვან ჩემს ხალხს, ოღონდ ბომბები თქვენ მომეცით და საქმე შესრულდება!“ — აღუთქვა მეგრებიანცმა სილიბისტრო ჯიბლაძეს. ორივენი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღისთვის ერთმანეთს სილოლაკში, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში შეხვდებოდნენ, სადაც მეგრებიანცი თავის ამანაგებს მიიყვანდა.

1906 წლის 5 იანვარს, მეგრებიანცმა დანაპირები შეასრულა და კონსპირაციულ ბინაში სუთი კაცი მიიყვანა — არსენა ჯორჯიაშვილი, იაკოვა ლარიბოვი, ხუნსუზა, ბათუა და შაქრო „პუშკინა“. სუთივენი რკინიგზის დეპოს მუშები იყვნენ, მაგრამ არც კრიმინალურ საქმიანობაზე ამბობდნენ უარს — იაკოვა ლარიბოვი, ხუნსუზა და ბათუა ადრე სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდნენ; შაქრო „პუშკინა“ ცნობილი ჯიბგირი იყო, ხოლო არსენ ჯორჯიაშვილს (იგივე ჯოიაშვილს) პოლიცია დეპოს უფროსის ცემის გამო დაექებდა. ვლასა მგელაძე, რომელიც იმ დღეს სილიბისტრო ჯიბლაძეს ახლდა, მოგვიანებით იხსენებდა, რომ მეგრებიანცის მოყვანილობა მუშებმა არც წერა-კითხვა იცოდნენ და არც რევოლუციურ საქმეებზე ჰქონდათ წარმოდგენა: „იგინი წამდელი კინტოები იყვენ, გარდა არსენა

ჯორჯიაშვილისა, თუმცა რევოლუციამდე არც ამას ჰქონდა თავისი აზრი...“ — წერდა იგი.

საბოლოოდ, კონსპირაციულ ბინაში შეკრებილებმა მოილაპარაკეს და ტერაქტის დეტალები დააზუსტეს. სილიბისტრო ჯიბლაძემ მათ აცნობა, რომ გრიბნოვი ყოველ დღით რეზიდენციიდან ეტლით ყაზარმაში მიემგზავრებოდა; ამ დროს გოლოვინის (ამჟამინდელი რუსთაველის) პროსპექტიდან ნიკოლოზ I-ის მოედანზე (მდებარეობდა ახლანდელი ეროვნული მუზეუმის ადგილას) ჩამოივლიდა და თავდასხმაც სწორედ იქ უნდა განხორციელებულიყო. სილიბისტრო ჯიბლაძემ მეფისნაცვლის სასახლესთან დადგებოდა; როცა გრიბნოვის ეტლი ჩაუვლიდა, თეთრი ცხვირსახოცის ფრიალით ნიკოლოზის მოედანზე ჩასაფრებულ ტერორისტებს ანიშნებდა. მათ ბომბები მამინვე, ერთდროულად უნდა ესროლათ ეტლისა და გამცილებელი კაზაკებისთვის და იქიდან სასწრაფოდ გაქცულიყვნენ. ტერაქტის შემდგომი შეკრების ადგილად სილიბისტრო ჯიბლაძემ აწმისხატის მიდამოები დაასახელა. ვლასა მგელაძემ ტერორისტებს სუთი თვითნაკეთი ბომბი გადასცა და ასე დაიშალნენ. მოლაპარაკების თანახმად, ტერაქტი ორი დღის შემდეგ უნდა მოეხდინათ.

დანიშნულ დღეს, გენერალმა გრიბნოვმა ჩვეულებისამებრ, ეტლით გოლოვინის პროსპექტზე ჩამოიარა, გვიხ ნიკოლოზ I-ის მოედანსკენ აიღო, თუმცა მეფისნაცვლის სასახლესთან მდგარმა სილიბისტრო ჯიბლაძემ ტერორისტებს ნიშანი არ მისცა — ამის მიზეზი ის იყო, რომ გენერალს ეტლში ქალი ეჯდა; ტერაქტს კი უდანაშაულო პიროვნება არ უნდა შესწიროდა — ასეთ შემთხვევაში ის, თავდაცვით აქტად“ აღარ ჩაითვლებოდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა მენშევიკებს დაადასამუშლებდა და ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა. აღსანიშნავია, რომ ჯიბლაძემ ამის თაობაზე მეგრებიანცი და მისი ამფსონები ადრევე გააფრთხილა, მაგრამ ისინი „საქმის ჩაშლით“ მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. გულისწყრომას განსაკუთრებით შაქრო „პუშკინა“ და ბათუა ვერ მალავდნენ — როგორც გამოირკვა, მათ „ყომარში“ დიდი ფული ჰქონდათ წაგებულნი და „თავანის“ ჩაბარება ექქარებოდათ. „ტერაქტი პოლიტიკური საქმეა და გაგაფრთხილეთ, რომ შესაძლოა, ჩამლილიყო... თუ გვერდში ამოგვიდევით, ბოლომდე მოგვეყვით, თუ არა და — არაფერს გაძალბებთ“ — უთხრეს მათ არშაკ



გრიბნოვის კაზაკები თბილისში. 1905 წლის დამლევის ფოტო



მეგრებიანცმა და სილიბისტრო ჯიბლაძემ. შაქრო „პუშკინამ“ და ბათუმ საქმიდან გასვლა იჩრის და წავიდნენ, თუმცა ფული ძალიან სჭირდებოდათ და ძველ ნაცნობს

ზოგავად ცდილობდა. იოსებ ჯულაშვილი და მისი ამფსონებიც ტერაქტის მოსახდენად მზად იყვნენ. ორივე მხარის რაზმები გოლოვინის პროსექტზე დღედაღამ მორიგეობდნენ, თუმცაღა გრი- აზნოვის მოკვლა ველარაფ- რით მოახერხეს

გენერალი გრიბნოვი მძიმედ დაჭრილი, ეტლიდან გადმოვარდა, მაგრამ არ მო- მკვდარა. ამიტომ ხუნსუზამ საჩქაროდვე ისროლა მეორე ბომბი, რომლის ნამსხ- ვრევემა არსენა ფეხში დაჭრა; დაიღუპა რამდენიმე კაზაკიც. დაცვის სხვა წევრე- ბი, რომლებმაც დაინახეს, რომ პირვე- ლად ბომბი ჯორჯიაშვილმა ისროლა, სასწრაფოდ მისცივიდნენ მას და კონდახ- ებით ცემა დაუწყეს. მალე შემთხვევის ადგილზე ჟანდარმებიც მივიდნენ და უგონოდ მყოფი არსენა ჯორჯიაშვილი ოფიციალურად დააპატიმრეს. ამ ყვე- ლაფერს იაკოფა ლარიბოვი ამჟამინდე- ლი სასტუმრო „მერიოტის“ მოპირდა- პირე მხრიდან უყურებდა, ხოლო ხუნს- უზა და არშაკ მეგრებიანცი ალექსან- დრეს ბაღში შეცვივდნენ და ქაშვეთი- საკენ გაიქცნენ.

ადგილი, სადაც გენერალი გრიბნოვი მოკლეს



— იოსებ ჯულაშვილს მიაკითხეს. ეს უკა- ნასწენელი ცას ეწია სიხარულით, როცა გაიგო, თუ რა საქმეზე იყო მასთან მისუ- ლი ორი თბილისელი კრიმინალი.

როგორც იტყვა, იმხანად ბოლშევიკე- ბის ტერორისტული რაზმის ხელმძღვანე- ლი კამო შუშულოდ იყო; მის გარეშე იოსებ ჯულაშვილს ტერაქტის ორგანიზე- ბა ძალიან უჭირდა და აქედან გამომ- დინარე, „პუშკინასა“ და ბათუმს მიერ წამოყენებულ პირობას — „სათავოდ“ თანხა მოგვეცით და ყველაფერს ჩვენ გადავკეთებთო — მაშინვე დათანხმდა. ჯულაშვილმა ისინი კოტე ცინცაძეს დააკა- შირა. ტერაქტის დეტალები ცინცაძემ მარტომ დაგვამა: „ჩემთან მოვიდა ამხანა- გი ჯულაშვილი და მოიყვანა ორი კაცი... ესენი თანახმა იყვენ ბომბის სროლაზე და მე კი შევადგინე გეგმა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ტერაქტი. მოვამზადე ეს ორი ამხანაგი და ველოდეთ ერთ კვირას, მაგრამ მომენტი ხელში არ ჩაგვი- ვარდა და ამასობაში, ჯორჯიაშვილმა დაგვასწრო,“ — ასე აღწერდა კოტე ცინ- ცაძე ამ ამბავს. 1937 წელს, როცა ის პირადად სტალინის ბრძანებით დააპა- ტიმრეს, ურუნალ „რევოლუციური მატ- იანის“ 1923 წლის ნომრები, რომლებშიც ცინცაძის მოგონებანი იყო დაბეჭდილი, თითქმის მთლიანად გაანადგურეს. გადა- რჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, კრძო არქივებში შემთხვევით აღმოაჩინეს.

ცინცაძის ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ 6 იანვრის შემდეგ, როცა გრიბ- ნოვზე თავდასხმა ჩაიშალა, ტერაქტის მოხდე- ნა ვერც ბოლშევიკებმა მოახერხეს. დაუქნთ იმასაც, რომ ჟანდარმერიის აგენტურამ ყველაფერი შეიტყო და გენერალ გრიბ- ნოვს დაცვა გაუზარდა. მიუხედავად ამისა, სილიბისტრო ჯიბლაძეს იმედი არ დაუკარ- გავს და ჩანაფიქრის ასრულებას თავდაუ-

1906 წლის 16 იან- ვარს, დილის 9 საათზე ხუნსუზა, იაკოფა ლარი- ბოვი და არშაკ მეგრა- ბიანცი ქაშვეთის ტაძრის ქვემოთ, ახლანდელ სას- ტუმრო „მერიოტის“ მხა- რეს იდგნენ, როდესაც ბარიტიანისკის (ამჟამინდე- ელი გია ჭანტურიას) ქუ- ჩაზე მომავალ გრიბნო- ვის ეტლს მოჰკრეს თვა- ლი. ამ დროს არსენა ჯორჯიაშვილი ალექსან- დრეს ბაღში, ძელსკამზე იყო ჩამომჯ- დარი და ამხანაგებისგან ნიშნის მიცე- მას ელოდა. იქვე სამი ჯარისკაცი ერთ მოქალაქეს საათს ევაჭრობდა. მათი დან- ასვისთანავე, არსენამ ხუთმანეთიანი ამ- ოილო და ვაჭრობაში ჩაერთო — მან იაზრა, რომ თუ ჯარისკაცები დროზე არ გაეცლებოდნენ იქაურობას, ტერაქ- ტი შეიძლებოდა ჩაშლილიყო. სწორედ ამ დროს, არშაკ მეგრებიანცმა ხმაღალ- ლა დაიყვირა, „ხაბარდაო“ და ამგვარ- ად ამცნო არსენას ეტლის გამოჩენა. არსენამ იმ მოქალაქეს ფული საჩქაროდ გაუწოდა. მანაც გამოართვა, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთმა ჯარისკაცმა საათი ხელიდან გამოსტაცა და გაიქცა. იქვე ახლოს, „გოროდოვოი“ მდგარიყო და ქურდს ის გამოეკიდა. მეგრებიანცი, რომელიც ეტლს შეუმჩნევლად უკან მისდევდა, არსენას მიუახლოვდა და ბომ- ბი გადასცა. ჯორჯიაშვილმა, რომელიც ხუთი მანეთის დაკარგვით ისედაც გულ- მოსული იყო, ხელი მძიმედ მოიქნია; რამდენიმე წამში გაისმა აფეთქების ხმა.



დამატიმრებული არსენა ჯორჯიაშ- ვილი, მიუხედავად იმისა, რომ გონება უკვე დაკარგული ჰქონდა, მაშინვე ჟან- დარმერიის მთავარ კომენდანტურაში (ამ- ჟამინდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში მდებარეობდა) გადაიყვანეს. მე- ფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა თბი- ლისში საგანგებო მდგომარეობა გამო- აცხადა. კავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფებში ვითარება დიდად დაიძ- აბა — გენერლის მოკვლამ რუსი ჯარისკ- აცები ისე გააშმაგა, რომ მეფისნაცვალს „წესრიგის დამყარების“ მიზნით ქალა- ქის სამი დღით მათთვის გადაცემაც კი მოსთხოვეს. ვორონცოვ-დაშკოვი თავიდან ამის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ იმ- დროინდელი ქალაქისთავის, ვასილ ჩერ- ქეზიშვილის მონდომების შედეგად, ჯარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თბილისი აკლებას გადაურჩა.

სწორედ მაშინ, როცა რუსი ჯარისკა- ცები ბომბოქრობდნენ, განზილებულმა იოსებ ჯულაშვილმა და მისმა თანამო- აზრებმა ყაზარებში საგანგებოდ რუსულ ენაზე დანერვილი პროკლამაციები გავერ- ცელეს, რომლებშიც გრიბნოვის მოკვ- ლის მიზეზად მისი უსაზღვრო სისას- ტიკე სახელდებოდა. პროკლამაციებში ამის დამამტკიცებელი უამრავი უტყუარი ფაქტი კი იყო მოყვანილი, მაგრამ ტერ- აქტზე პასუხისმგებლობას ბოლშევიკები იღებდნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფ- ერებოდა. სიმართლე ველარც სასამართ- ლო პროცესზე გაიჩვენა — არსენა ჯორ- ჯიაშვილი მას არც კი დასწრებია, რად- გან ხერხემალი დაზიანებული ჰქონდა და სიარული არ შეეძლო. ჯორჯიაშ- ვილს დაუსწრებლად, სასჯელის უმაღ- ლესი ზომა — ჩამოხრჩობა მიესაჯა, რაც სისრულეში 1907 წლის 7 მარტს მოიყვანეს. ტერორისტი საგუბერნიო ცხის ეზოში დილის 9 საათზე ჩამოასრჩვეს.

ბომბების დამზადების ოსტაგი, მენშევიკი ვლასა მგელაძე



სწორი ტექნოლოგიები ახალი წლის ღამეს ოჯახურ წრეში შეხვდება

11-წლიანი კორნინების შემდეგ, 2010 წელს თინა კანდელაკი ქმარს გაშორდა და მთლიანად კარიერითაა დაკავებული. ამ თვალსაზრისით, ეს წელი თინასთვის წარმატებული აღმოჩნდა — რადიოეთერს დაუბრუნდა, ამასთან, დიდი ხნის წინანდელი ოცნება აისრულა — მოსკოვის ცენტრში ქართული კერძების რესტორანი გახსნა. ტელევიზორულად ნლის ბოლო ინტერვიუში სწორედ საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება და ყველაზე მეტი, საყვარელი ნივთის — ათასგვარი გაფეტის (არასტანდარტული ციფრული მონაცემები — ფლევი, აიპოდი, ემ-პე-3 და სხვა ამგვარი) შესახებ ილაპარაკა, რომლის გარეშეც, როგორც ბიზნესლედის, ცხოვრება



შესახებ ილაპარაკა, რომლის გარეშეც, როგორც ბიზნესლედის, ცხოვრება

„მხოლოდ ის ვარსკვლავები გადარჩებიან, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს აუღებენ ალღოს. თუ ადრე, ცნობილი ადამიანებისთვის მაღალი საზოგადოების უმნიშვნელო მოვლენის გამოტოვებაც კი სიკვდილის ტოლფასი იყო, ახლა პოპულარობის შესანარჩუნებლად, საკმარისია უწყვეტი Wi-Fi-სიგნალიანი მობილური ტელეფონი გქონდეს“, — აღნიშნავს კანდელაკი. მრავალი ცნობილი ადამიანისგან განსხვავებით, ის ინტერნეტის შესაძლებლობებსა და სხვა ტექნიკურ სიახლეებს კარგად იცნობს, ერთდროულად რამდენიმე ბლოგი მიჰყავს და ამბობს, რომ გაფეტები — მისი სისუსტეა...

თინა კანდელაკი ძირითად საქმიანობასთან ერთად, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრია, ხშირად აქვეყნებს ინტერნეტში მობილური ტელეფონით გადაღებულ რგოლებს და ამ გზით აუდიტორიას იმას უზიარებს, რაც ალელვებს, აინტერესებს და აღაშფოთებს. ამასთანავე დასძენს, რომ ინტერნეტბლოგებს პიარის მიზნითაც იყენებს და საქმიანობისთვისაც.

„ის სოციალური ინიციატივები, რომლებსაც საზოგადოებრივ პალატაში საქმიანობისას ვიჩენ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებისთვის არის განუთვნილი, ამიტომ აუცილებლად უნდა გავერკვე, სწორად ვმუშაობ თუ — არა და ეს ბლოგები ამისთვისაც მჭირდება“.

— ახალი წლის ღამეს იმუშავებთ?

— არა, ამჯერად არ ვიმუშავებ. თუ კოოპერატივებს გულისხმობთ, მოგახსენებთ, რომ 2010 წელს თითქმის არ მიმუშავია. ყურადღება ძირითადად, ბიზნესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე გადავიტანე.

— ახალი წლის შესახებ დრად მზად ხართ?

— შესანიშნავი ნაძვის ხე მაქვს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსკოვის ქუჩებში საშინელი საცობებია, საჩუქრები წინასწარ შევიძინე. საერთოდ, ახალი წლის შესახებ დრად 2-3 კვირით ადრე ვემზადები.

— ახალ წელს როგორ ხვდებით?

— ტრადიციულად — ოჯახში, ბავშვებთან და ახლობლებთან ერთად.

— როგორც ვიცით, ინტერნეტის დიდი თავყანისმცემელი ბრძანდებით. ეს სიყვარული თქვენს შვილებსაც გადაეცათ? ალბათ სოციალურ ქსელებში საკუთარი ბლოგები უკვე აქვთ, არა?

— რა თქმა უნდა! ლეონტი მრავალ კარიერას ინტერნეტს უკავშირებს. ახლა მელანიასთან დიდი დავა აქვს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი ერკვევა უკეთ ქსელურ პროცესებში. მჯერა, რომ ჩემი შვილები მუდამ საინფორმაციო სფეროს ავანგარდში იქნებიან. თუ „კონტაქტი“, „ტივიტერსა“ ან „ფეისბუკში“ შეხვალთ, ორ ძალზე აქტიურ მომხმარებელს იხილავთ. ინტერნეტში აქტიურობის წყალობით, ლეონტიმ მრავალი პროგრამა აითვისა და ახლა ვიდეოს და-

მუშავებაც შეუძლია და „ფოტოსოპ-შიც“ კარგად ერკვევა.

— iPad-ს აქტიურად იყენებთ და ამის შესახებ ხშირად საუბრობთ. Apple-თან კონტაქტი თუ გაქვთ?

— არა, Apple-თან კონტაქტი არა მაქვს, მაგრამ სწორედ ამ კომპანიის გაფეტებს ვანიჭებ უპირატესობას. საწარმოო დიზაინი ხელოვნების რანგში სწორედ მათ აიყვანეს. მაქვს MacBookAir, სახლსა და ოფისში iMac-ს ვხმარობ, iPad და სამი iPhone-ც მაქვს.

— ახლა მსოფლიოში ნამდვილი Apple-მანია მძვინვარებს. თქვენც მის თავყანისმცემელთა რიგში ხართ, რატომ?

— იმიტომ, რომ მისმა საწარმოო დიზაინმა ყველასა და ყველაფერზე გაიმარჯვა და მთელ მსოფლიოში უამრავი თავყანისმცემელი შეიძინა. Apple — ის გაფეტია, რომელიც მისი მფლობელის ხასიათს ასახავს. კომპიუტერის მუშევრებით შეიძლება მივხვდეთ, თუ როგორი ადამიანია მისი მფლობელი.

— თქვენი პირველი MacBook როდის შეიძინეთ?

— ჩემი პირველი კომპიუტერი Mac იყო. გამომართლა, რომ კარგი გემოვნების ხალხთან მაქვს ურთიერთობა.

— გამოდის, რომ Apple-ის პროდუქციის მოხმარების 15-წლიანი სტაჟი გაქვთ?

— დიახ, ასეა.

— iPad ხომ ახლახან გამოვიდა...


— დიახ და მასაც აქტიურად ვიყენებ. როდესაც MacBookAir-ის ტარება მოუხერხებელია, პლანშეტი მიმაქვს, მგზავრობის დროს iPad ძალიან მემარება. ნოუტბუკს ჩანთაში ვერ ჩაიდებ, iPad-ს კი იოლად მოათავსებ.

— iPad 4 ალბათ უკვე შეიძინეთ, არა?

— ცოტა ხნის წინ შევიძინე. თავდაპირველად Nokia-ს ფანი ვიყავი, შემდეგ iPhone-ზე გადავედი. მოსახერხებელია და თან — ლამაზი, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩემს სტილსა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას პასუხობს. მასში განსაკუთრებით ის მომწონს, რომ ჩინებული ხარისხის ვიდეოს გადაღება და შემდგომ „ტივიტერზე“ განთავსება შეიძლება. FaceTime-ის ფუნქციაც ძალიან მიყვარს — ეს Skype-ის მობილური ანალოგია. როდესაც აბონენტს ვუკავშირდები, მისი გამოსახულება ცალკე ეკრანზე ნათდება. ბევრს ჰგონია, რომ FaceTime კავშირის დამატებითი საშუალებაა. მიმაჩნია, რომ მათთვის, ვისაც სოციალურ ქსელებში აკაუნტი აქვთ, iPhone 4 აუცილებელი ნივთია.



როგორ შევხვდეთ 2011 წელს...



ვერძი

ქალ-ვერძს ასტროლოგები ურჩევენ, თეთრი ფერის სამოსში გამოეწყოს. თუმცა შეუძლია, თავი იასამინისფერი ან სტაფილოსფერი ტანსაცმელის მოიწონოს, კაბის სიგრძე კი — სურვილისამებრ შეარჩიოს.

კურო

იხევე, როგორც ვერძს, ასტროლოგები კუროსაც ღია ფერის ტანსაცმლის ჩაცმას ურჩევენ. თუმცა ვერძისგან განსხვავებით, კუროს ცისფერი სამოსის მორგებაც შეუძლია.

ტყუპი

ტყუპის ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონებისთვის მიზანშეწონილია, ახალ წელს მწვანე ან წითელი ფერის კლასიკური სტილის სამოსში გამოეწყობილი შეხვდეს.

კიბო

მისთვის საუკეთესოა ცისფერსა ან იისფერში გადანაცვლებული ტონები. სტილი კი საკუთარი განწყობილების მიხედვით უნდა შეარჩიოს.

მაღე ახალი წელიც დადგება. ამბობენ, მას როგორი განწყობილებითაც შეხვდები, მთელი წელი ისეთივე გექნებაო. დადებითი განწყობილების შესაქმნელად კი, დამეთანხმებით, მოხდენილი გარეგნობა აუცილებელია. სწორედ ამიტომ, ქალბატონებო, მიუხედავად საახალწლო ფუსფუსისა, იზრუნეთ საკუთარ თავზე და 2011 წელს მონესრიგებული და კარგი განწყობილებით შეხვდით. მაშ ასე — ვინ რა უნდა ჩაიცვას ახალი წლის ღამეს:

ლომი

ახალი წლის ღამეს ლომს ყველაზე მეტად „მეფური“ — ოქროსფერი სამოსი მოუხდება. კარგი იქნება, თუ ოქროსფერ ბლუზას მოკლე ქვედაბოლოს შეუხამებს.

ქალწული

ქალწულისთვის კარგი იქნება, თუ მწვანე, ცისფერ ან წითელი ფერის სამოსში გამოეწყობა, სტილს კი თავად აირჩევს — ყველაფერი მის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

სასწორი

სასწორი კლასიკურ სამოსში უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს. უმჯობესია, თუ არჩევანს გრძელ და გულამოჭრილ კაბაზე შეაჩერებს. რაც შეეხება ფერს — არჩევანი შეუზღუდავია.

გოზინაყი

მასალად საჭიროა:

1 კგ თეთრი ნიგოზი, 800 გ თეთრი თაფლი, ნახევარი ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი.

მომზადების წესი:

მჭრელი დანით თხლად დაჭერით ნიგოზი, მოათავსეთ ჰაერლუმლის ტაფაზე და შედგით წინასწარ გახურებულ და შემდეგ ჩამქრალ გაზქურაში. გაზქურა რომ გაცივდება, გამოიღეთ ტაფა და შეგრილებულ ნიგოზს კანი სულის შებერვით მოაშორეთ, თან ფრთხილად ურიეთ ქაფქირით ან ბრტყელი დანით. თუ ნახავთ, რომ კანი ბოლომდე არ მოშორდა, იგივე გაიმეორეთ.

ბრტყელძირიან ქვაბში ან სპეციალურ საგოზინაყე ტაფაზე მოათავსეთ თაფლი, დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე (ძლივს რომ ბუუტავდეს, თორემ თაფლი სწრაფად აქაფდება და გაშავდება) და გამუდმებით ურიეთ ხის კოვზით. თაფლის მოხვეწას სულ ცოტა, ერთი საათი მინც სჭირდება. შუა პროცესში ჩაყარეთ შაქარი და კვლავ გამუდმებით ურიეთ. ცივწყლიან ჭიქაში ჩაუშვით თაფლის რამდენიმე წვეთი და მაშინვე ამოიღეთ. თუ კარამელივით ხრამუნა იქნება, თაფლი მზადაა. შემდეგ თაფლში ნელ-ნელა ჩაყარეთ ნიგოზი, მოხერხებულად და ენერგიულად ურიეთ (2-3 წუთის განმავლობაში), სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, თანაბრად გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით.



მორიელი

ქალი-მორიელი თავისუფალი სტილის, თეთრ ან მუქ წითელ კაბაში უნდა გამოეწყოს.

მევიღობისანი

სადღესასწაულო განწყობილების შექმნაში მშვილდოსნებს ცისფერი სამოსი და ოქროსფერი აქსესუარები დაეხმარება.

თხის რქა

თხის რქას ასტროლოგები საღათისფერ ან მწვანე ფერის სამოსს ურჩევენ. სტილი შეუძლია საკუთარი გემოვნების მიხედვით შეარჩიოს.

მეჩხუპი

მეჩხუპს ასტროლოგები პიკანტურ — ყვითელ ან სტაფილოსფერში გადანაცვლებული სამოსის მორგებას სთავაზობენ. თუ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონისთვის ასეთი თამამი ფერები პრინციპულად მიუღებელია, შეუძლია ახალ წელს შოკოლადისფერ სამოსშიც შეხვდეს.


თევზაბი

თავს კომფორტულად იგრძნობს, თუ ტანზე მოტმასნილ, თევზის სილუეტის მქონე კაბას ჩაიცვამს. სასურველია ტანსაცმელი თეთრი ან ყვითელი ფერის იყოს.



...იზრუნეთ ბარბრობაში

საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ქალები განსაკუთრებით ახალი წლის წინა დღეებში იწყებენ. სახის კანის გასაუმჯობესებლად ნატურალური პროდუქტებისგან დამზადებულ ნიღბებს შემოგთავაზებთ:



სახის კანს აახალგაზრდავენ ნიღბი, რომელიც მზადდება 1 ს/კ თაფლის, 1 ცალი ათქვეფილი კვერცხისა და 2 ს/კ ფქვილისგან. მიღებული მასა უნდა წაისვას სახეზე 10-15 წუთით და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანოთ.

ასევე შესანიშნავია თაფლისა და ხაჭოს ნიღბი: აურიეთ ერთმანეთში 3 ს/კ ხაჭო და ამდენივე თაფლი. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე, გაიჩერეთ 20-25 წუთი. მერე ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს ნიღბი კვებას და ათეთრებს სახეს. უხდება ნებისმიერი ტიპის კანს.

ბანანის ნიღბი: ერთი ცალი კანგაცილი ბანანი გახეხეთ, 2 ს/კ მიღებულ მასას შეურიეთ იმავე რაოდენობის ხაჭო ან არაჟანი. ნარევი წაისვით სახეზე და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. ცხიმიანი კანის შემთხვევაში, ნიღბს რამდენიმე წვეთი ლიმონის უნდა დაუმატოთ.

სტაფილოს ნიღბი: 2 ს/კ სტაფილოს წვეს დაუმატეთ 2 ს/კ ხაჭო და 1 ჩ/კ თაფლი. დაიდეთ სახეზე 15 წუთით და შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ. კანი რბილდება და ელასტიკური ხდება.

კანის მკვებავი ნიღბი: 1 კვერცხის გული ათქვიფეთ, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და 1 ს/კ რძე. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე 15

წუთით და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

არანაკლები ყურადღება უნდა დაუთმოთ ფრჩხილებს, რადგან ჯანმრთელი და მოვლილი ფრჩხილები ქალის გარეგნობის მთავარი ელემენტია. ისეთი ქალი კი, რომელსაც არ სურს, უზადოდ გამოიყურებოდეს, ძნელად თუ მოიძებნება. თუმცა მარტო სურვილი არ კმარა — ჯანსაღი ფრჩხილების შესანარჩუნებლად, აუცილებელია გამოიხატოს ცოტაოდენი დრო და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურები ჩაიტაროთ.

დასაწყისისათვის, უნდა დაივიწყოთ საოჯახო საქმის კეთება დამცავი ხელთათმანების გარეშე. თუ თქვენი ფრჩხილები რეცხვის დროს მაინც მოხვდა მავნე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ლიმონის წვენი გაიწმინდეთ.

სილის კომპრესი

აიღეთ ლიმონის, შტოშის და შავი მოცხარის წვენი. დაასველეთ ბამბა ნარევი და დაიდეთ ფრჩხილებზე 5 წუთით. ლიმონის წვენს გამათეთრებელი ეფექტიც აქვს.

სამკურნალო კომბილი

აურიეთ 100 გ წყალი, 8 გ შაბი და 50 გ გლიცერინი. შეიზილეთ მიღებული ნარევი ფრჩხილებში და გაიჩერეთ 5 წუთის განმავლობაში.

კველი, ნაცადი ხარხი

1 ჩაის კოვზი მარილი გაადნეთ 100 მლ ცხელ წყალში. ჩაყავით მასში ფრჩხილები 20 წუთით. პროცედურა უნდა გაიმეოროთ ორი კვირის განმავლობაში. ზოგიერთი ქალი მარილის მაგივრად სოდას იყენებს. ეს კატეგორიულად დაუშვებელია!

ყოველკვირული მოვლა

კვირაში ერთხელ გაიკეთეთ აბაზანები თბილი მცენარეული (უკეთესია სიმინდის) ზეთით. უკეთესი ეფექტის მისაღწევად ჩაუმატეთ სამი წვეთი იოდი.

მანიკური

ფრჩხილისათვის, ფორმის მისაღებად გამოიყენეთ მხოლოდ ქლიბი. მაკრატელი ფრჩხილზე წარმოქმნის მიკროზარებს.

წუნების მოჭრა ბოლომდე არ შეიძლება. დაარბილეთ იგი ზეთით და მისწიეთ ბუდისაკენ. ფერადი ლაქის წასმამდე, წაისვით სპეციალური, ვიტამინიზებული უფერო ლაქი. იგი დაიცავს ფრჩხილს ლაქის მავნე ზემოქმედებისაგან.

ხაჭაპური

მასალა ცომისთვის:


5 ჩ/ჭ ფქვილი, 1 ქილა მანონი, 1 ქილა არაჟანი, 1 ჩ/კ სოდა და ნახევარი ჩ/კ ლიმონმჟავა (ან სოდა), 2 ს/კ ზეთი.

ცომის მოზადება:

მანონი და არაჟანი მოათავსეთ თასზე, ჩაყარეთ ლიმონმჟავა, დაუმატეთ სოდა, ზეთი, შეაზილეთ ფქვილი და დადგით თბილ ადგილას 2 საათით.

1 კგ უმარილო ყველი გარეცხეთ, დაუმატეთ 10 გ კარაქი და 5 კვერცხი. კარგად აურიეთ და გაყავით 5 ტოლ ნაწილად.

გაფუებული ცომი დააგუნდავეთ, გაყავით 5 ტოლ ნაწილად, გააბრტყელეთ, ჩადეთ ყველი და გამოაცხვეთ გაზქურის ღუმელში. გამოღებისთანავე გადაუსვით კარაქი და მოათავსეთ ხის ფიცარზე.



რუბრიკა მოამზადა
ქვა გუნთაიშვილმა

PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



„ყველაზე დიდი სარეჟისარი — ადამიანის გულია, მარხვითა და ღოჯვით განწყობილი“

შორენა მერკვილაძე

მაღე ახალი — 2011 წელი შემოაბიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათწლეულებია, კომუნისტური, შესაბამისად — ათეისტური ზენოლისა და აზროვნებისგან გავთავისუფლდით და ბევრი ადამიანი შეუერთდა ეკლესიის წიაღს, ზოგიერთი მაინც დღემდე კითხულობს — რატომ ვზეიმობთ ჯერ ახალ წელს, შემდეგ კი შობის დღესასწაულს? გვესაუბრება დეკანოზი, პატრნი გიორგი ბაქაძე:

— ეს კალენდარული რეფორმის შედეგია. 1582 წელს, დასავლეთის სამყაროში, რომის პაპის — გრიგოლ XIII-ის დროს ახალი კალენდარი,



დროის ათვლის ახალი სისტემა შემოიღო — ე.წ. გრიგორიანული კალენდარი. მანამდე დროის ათვლა იულიუსის კალენდრით ხდებოდა. იულიუსის კალენდარსა და გრიგორიანულ კალენდარს შორის 13-დღიანი სხვაობა გაჩნდა. ევროპის ქვეყნებში ყველა დღესასწაულის აღნიშვნა 13 დღით ადრე დაიწყო. ცვლილება თავისთავად, შობისა და ახალი წლის დღესასწაულებსაც შეეხო, ამიტომ დასავლეთის ქვეყნებში შობას 25 დეკემბერს აღნიშნავენ, შემდეგ — ახალი სტილით 1-ელ იანვარს, ახალი წლის დადგო-

მას. წესით, ჯერ შობა უნდა აღინიშნოს, შემდეგ ახალი წლის დადგომა, რადგან ჯერ იშვა მაცხოვარი და შემდეგ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა, მაგრამ ჩვენთან კალენდარულმა რეფორმამ ეს თარიღები შეცვალა. მოგვიანებით, დასავლეთში მიღებული გრიგორიანული კალენდარი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, მათ შორის — რუსეთში და საქართველოშიც მიიღო, მაგრამ დროის ათვლის ახალ სისტემაზე გადასვლა მხოლოდ საერო მნიშვნელობით მოხდა. ეკლესია კვლავ იულიუსის კალენდრის ერთგული დარჩა და დღემდე ე.წ. ძველი სტილის მიხედვით ცხოვრობს, რადგან მასში დაცულია ციკლურობა, რომელზეც მთლიანადაა აგებული საეკლესიო მსახურებები. შესაბამისად, შობის დღესასწაული სწორედ იულიუსის კალენდრის მიხედვით — ძველი სტილით, 25 დეკემბერს აღინიშნება, რაც ახალი კალენდარული სისტემის მიხედვით 7 იანვარს ემთხვევა.

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ საეკლესიო დღესასწაულებზე ესოდენ მნიშვნელოვან თარიღს როდი აღვნიშნავთ, არამედ ამ დროს ბიბლიური, სულიერი მოვლენის თანამონაწილენი ვხვდებით, რომელსაც საზეიმოდ განვადიდებთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ, ევროპული კათოლიციზმის გავლენით, შობის დღესასწაულის ახალი სტილით — 25 დეკემბერს აღნიშვნა დაიწყო. ეს ცვლილება ყველა უძრავ, საეკლესიო დღესასწაულს შეეხო. აღდგომა და მასთან დაკავშირებული მოძრავი საეკლესიო დღესასწაული კვლავ იულიუსის კალენდრით — ძველი სტილით აღინიშნება. ერთ-ერთი მამა ბრძანებდა — ბოლშევიკების მოსვლა ჭირი იყო, მაგრამ ამ ჭირით ჩვენთან მართლმადიდებლობა ევროპული კათოლიციზმის გავლენისგან იქნა დაცული.

— რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას ახალი სტილით, ახალი კალენდარული ათვლის სისტემით ახალი წლის საერო აღნიშვნასთან დაკავშირებით? ახალი სტილით პირველი იანვარი ხომ ყოველთვის მარხვის პერიოდის ემთხვევა. მეორე მხრივ, ვიდრე ახალი წელი დადგება, საერო ხელისუფლებასთან ერთად, ხალხს მიმართავს საქართვე-

ლოს კათოლიკოს-პატრიარქი...

— ეკლესია არ ეწინააღმდეგება საერო დღესასწაულების აღნიშვნას, თუ, რასაკვირველია, ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქრისტიანული ცხოვრების წესს არ ეწინააღმდეგება. პატრიარქის მილოცვა ახსენეთ. ამასთან დაკავშირებით გეტყვით: მაგალითად, საბერძნეთში არსებობს ასეთი წესი: ერთმანეთს ყოველი თვის დასაწყისს ულოცავენ. თუ ამგვარად მივუდგებით, პირველი იანვარს ორმაგი დატვირთვა აქვს — ახალი თვეც იწყება და ახალი წელიწადიც. როდესაც ადამიანი ახალ წელს აღნიშნავს, ეს მნიშვნელოვანია მისთვის; ეკლესიაც ცდილობს, არ მიატოვოს ადამიანი — გრძნობითი არსება. მაგრამ მთავარია, გრძნობითი სამყარო და სულიერება არ გაემიჯნოს ერთმანეთს. სწორედ სულიერი უნდა დაეხმაროს გრძნობითს იმაში, რომ სწორად წარმართოს ყველაფერი. ამაში ეკლესია გვეხმარება. ზოგიერთ ადამიანს სწამს, რომ ახალი წლის დადგომისას აუცილებლად უნდა გახსნას შამპანური და სურვილები ჩაიფიქროს; შეძლებისდაგვარად, ყველაფერი ძველი გადაადგოს და ახალი შეიძინოს და ა.შ. — მოკლედ, როგორი განწყობილებითა და სუფრითაც შეხვდება ახალ წელს, ისეთი წელიწადი დაეხვედება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ცრურწმენაა. ამას ყოველთვის ვახსენებ ჩვენს მრევლს. როდესაც ადამიანს სურს, ლოცვა-კურთხევით, სწორად შეხვდეს ახალ წელს, ნებას ვრთავთ, მაგრამ ვახსენებთ, რომ ჩვენთვის უმთავრესი მოვლენა ჯერჯერობით არ მომხდარა — შობის დღესასწაული ჯერ კიდევ წინ არის. როდესაც მოყვასს უხარია, მისი სიხარული უნდა გავიზიაროთ, განზე კი არ უნდა გავდგეთ, მაგრამ არ გავალადეთ, ქრისტიანისთვის შეუფერებლად არ მოვიქცეთ, რაც, ცხადია, არც მარხვაშია მისაღები და არც — ხსნილში. სადღესასწაულო სუფრაც, რასაკვირველია, სამარხვო უნდა იყოს. თუ გინდა, შენთვის უკეთესი წელიწადი იყოს, უკეთესად — ღვთის დიდებით უნდა იცხოვრო. ამის ძალა შესთხოვო უფალს.

— საახალწლო დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ნაძვის ხე გახლავთ; ნაძვის ხეს



ბეთლემშიც — ქრისტესშობის ადგილას აღმართულ ტაძართანაც დგამენ...

— ნაძვის ხე უფრო საშობაო ატრიბუტია, ვიდრე საახალწლო, მაგრამ რადგან საბჭოთა კავშირი ათეისტური სახელმწიფო იყო, დასავლეთიდან შემოსული სადღესასწაულო ატრიბუტები მხოლოდ ახალი წლის დღესასწაულს დაუკავშირეს — იმ დროს ხომ მხოლოდ ახალ წელს ზეიმობდა სახელმწიფო... რაც შეეხება ნაძვის ხის დადგმის ტრადიციას, ერთ-ერთი გადმოცემით, როდესაც მაცხოვარი იშვა, მთელი სამყარო ხარობდა და სცემდა თაყვანს — ანგელოზები უგალობდნენ. მწყემსებიც მივიდნენ თაყვანსაცემად. მართალმა იოსებმაც გადანყვიტა, ახალშობილი მაცხოვრის მიმართ თაყვანისცემა გამოეხატა: რადგან ღარიბი დურგალი იყო, პატარა ნაძვის ხე მოჭრა და ახალშობილ ქრისტეს მიართვა. მოულოდნელად, ნაძვის ხე ზეციდან დაშვებული ვარსკვლავებით მოირთო, თავზე კი ერთი დიდი ვარსკვლავი დაედგა... ამასთან, როგორც ვიცით, ამ პერიოდში ყველა ხე გაშიშვლებულია, მხოლოდ ნაძვს აქვს შემორჩენილი მწვანე ფერი, რომელიც სიცოცხლესა და მარადიულობასთან ასოცირდება. მაცხოვრის შობით კი ჩვენში მარადიულობა, მარადიული სიცოცხლე მოვიდა, ამიტომაც იქცა ნაძვის ხე საშობაო ხედ... კიდევ ერთ გადმოცემას მოგიხსრობთ: როდესაც მაცხოვრის შობის შესახებ ჰეროდე მეფემ შეიტყო და მისი მოკვლის მიზნით, ბეთლემში 2 წლამდე ასაკის ყველა ყრმის ამოწყვეტა ბრძანა, ანგელოზის უწყებით, წმინდა ოჯახი ეგვიპტეში გაემგზავრა. გზად, მღევრების წამონევისას ერთმა ნაძვის ხემ ტოტები დახარა და მართალი იოსები და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ღვთაებრივ ჩვილთან ერთად, ტოტებში დამალა. მადლიერების ნიშნად, ქრისტეს მიმდევრები ცდილობენ მართონ და გაამშვენონ ნაძვის ხე...

— ნაძვის ხესთან ერთად, საქართველოში საახალწლოდ ჩიჩილასაც ამზადებენ...

— ჩიჩილაკი ქართული ტრადიციიდან მომდინარეობს. მას, როგორც ვიცით, გურიიში საკალანდოდ ამზადებდნენ. ჩიჩილას მისტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ — „ბასილის წვერებს“ უწოდებდნენ. რადგან 14 იანვარს (ძველი სტილით 1-ელ იანვარს), როდესაც ჩვენი წინაპრები ახალ წელს ეგებენ-

ბოდნენ, დანესებულა ბასილი დიდის ხსენება, რომელიც საქართველოში ყოველთვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა: ხალხი ფიქრობდა, რომ მის წვერში დიდი მადლი იყო დავანებული და „ბასილის წვერებით“ — ჩიჩილაკით — ოჯახში დიდი მადლი შედიოდა. ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება ეკლესიისთვის მიუღებელია. ჩიჩილაკი შეიძლება მივიღოთ, როგორც ქართული, ტრადიციული, სადღესასწაულო ნივთი...

ჩიჩილაკს ამგვარად ამზადებდნენ: ახალი წლის წინა დღეებში თხილის ხის სწორ ღერს ძირში მოჭრიდნენ. საჩიჩილაკე ღეროს ცოტა ხნით ცეცხლზე გააჩერებდნენ, რბილი და დრეკადი რომ გამხდარიყო. შემდეგ კანს შემოაცლიდნენ და ჩამოთლას იწყებდნენ მანამ, ვიდრე მერქნის გულს არ მიუახლოვდებოდნენ... ამის შემდეგ ჩიჩილაკს თავზე ჯვრის ფორმის სადგამს უკეთებდნენ, ტკბილეულითა და სუროს ტოტებით რთავდნენ და გამოსაჩენ ადგილას დააბრძანებდნენ.

— სადღესასწაულო დღეებში საჩუქრების მირთმევის ტრადიციასთან დაკავშირებით რას გვეტყვიან?

— დღესასწაულებზე საჩუქრების მირთმევა უძველესი ტრადიციაა. ესეც დასავლეთიდან — ჯერ კიდევ რომის იმპერიის არსებობის დროიდან მომდინარეობს. რომის იმპერიაში 1-ელი იანვარი (იულიუსის კალენდრის მიხედვით) რომის იმპერიის მმართველთა — კონსულთა საქმიანობის დაწყების თარიღი გახლდათ. კონსულები ყოველწლიურად იცვლებოდნენ. თანდათანობით რომში ახალი კონსულების მოსვლამ საზეიმო ხასიათი მიიღო — იმართებოდა საყ-

ოველთაო გართობა, რომლის დროსაც, კონსულები ხალხში საჩუქრებს არიგებდნენ. სწორედ აქედან დაედო სათავე ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნისა და სადღესასწაულოდ საჩუქრების დარიგების ტრადიციას.

საშობაოდ საჩუქრების მირთმევაც დასავლური ტრადიციაა, რასაც წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან კარგად ცნობილი ეპიზოდი უდევს საფუძვლად: წმინდანმა ღამით ჩუმად დაუტოვა ოქრო ერთ ღარიბ ოჯახს და ამ გზით განსაცდელისგან იხსნა, რადგან სილატაკის გამო ოჯახის უფროსს თავისი ქალიშვილების საროსკიპოში გაგზავნა განუზრახა... საერთოდ, როგორც ვიცით, წმინდა ნიკოლოზი მონყალეების საქმე-



ბითა და სასწაულთმოქმედებით გამოირჩეოდა. ამის საფუძველზე, წმინდა ნიკოლოზი დასავლეთში სანტანეკოლაუსის, სანტა-კლაუსის სახით დამკვიდრდა და შობა-ახალი წლის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. ცხადია, წმინდანის ამ სახით დამკვიდრება, მით უმეტეს — გაშარყება მართებული არ არის. ბავშვის ყურადღება ამგვარად არ უნდა გავამხვილოთ სანტა-კლაუსზე — მისი სახე წმინდა ნიკოლოზთან არ უნდა გაიგივოს: სადღესასწაულო ბაბუა კარგი კუთხით შეიძლება დავანახვით პატარას — როგორც ღვთის წარმოგზავნილი, კეთილი ბაბუა, რომელსაც ბავშვებისთვის საჩუქრები მოაქვს. საჭიროც კია კეთილ არსებაზე ყურადღების გამახვილება და არა — ათასგვარ გამოგონილ, სასტიკ არსებაზე, რომლითაც მოშობლები ბავშვებს აშინებენ ხოლმე...

სადღესასწაულოდ საჩუქრების დარიგებისა და ამით ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭების საწინააღმდეგო ეკლესიას არაფერი აქვს. პატრიარქმა ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანა: როდესაც მოყვასისთვის საჩუქარს ვარჩევთ, ვფიქრობთ, ვის რა გაახარებს და იმის მიხედვით ვწყვეტთ, ვის რა მივართვით. ყველაზე დიდი საჩუქარი უფალს უნდა მივუძღვნათო. ამიტომ, როდესაც სადღესასწაულო საჩუქრების შერჩევას დავიწყებთ, არ დაგვავიწყდეს, რომ მთავარი იუბილარი უფალი გვყავს, უფლისთვის კი ყველაზე დიდი საჩუქარი — ადამიანის გულია, მარხვითა და ლოცვით განწმენდილი.

ანტიკვარკანანი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენული თქუი ივანიძე

1. გულიაიპოლე ქალაქია უკრაინაში.
2. ლეიკოფობია თეთრი ფერის შიშია.
3. კუნძული ზელანდია დანიას ეკუთვნის.
4. ხვიარა მცენარეებით შემოსილ ტალავერს პერგოლა ჰქვია.
5. ოკეანის სიღრმეების მხოლოდ 10 პროცენტია გამოკვლეული.
6. ბრიუს ლის შვილი, ბრენდონი, ფილმ „ქურდის“ გადაღებისას დაიღუპა.
7. ნელინადმი 2 მილიონი ადამიანი ციებ-ცხელებით კვდება.
8. მაცარელა იტალიური ყველია. ნამდვილი მაცარელა კამეჩის რძისგან მზადდება.
9. „დნი პრავდოდონნი ნა რიბალკე, ვოჩოტ ჟიზნი ზე იდუტ“, — ამბობენ რუსი მეფეებზე.
10. ერთხელ, ევგენი ევსტიგნეევა რეპუტიციაზე ითხოვა, ცოტა შევისვენოთო, რაზეც რეჟისორი გაბრაზდა: ჩვენ აქ არა მარტო თეატრი, არამედ წარმოებაც გვაქვს. თუ ასე გიმძიმთ მუშაობა, პენსიაზე გადითო. განაწყენებულმა მსახიობმა ულაპარაკოდ დატოვა თეატრი.
11. „პატრაქომიომაქია“ ძველი ნელთალრიცხვის V საუკუნეში შექმნილი, სატორული პოემაა, რომელსაც ჰომეროსს მიანერენ. მასში თავებისა და ბაყაყების ომია აღწერილი.



12. პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ყოველთვის მაღალ, შავ ცილინდრს ატარებდა, სადაც წერილებს, ფინანსურ ქაღალდებს, კანონპროექტებსა და შენიშვნებისთვის განკუთვნილ ბლოკნოტს ინახავდა.

13. ბრაზილიაში, მდინარე პარანაზე აგებული იტაიპუს პლანტინა ყველაზე დიდი მსოფლიოში. მისი მშენებლობის დროს, ქვეყნის მთავრობას ადგილობრივი მოსახლეობისგან 8500 სახლისა და ფერმის ყიდვა მოუხდა, რათა შემდგომში დაეტბორა.

14. ერთხელ ალექსანდრე მაკედონელს მეგობარმა თავისი ქალიშვილის მზითვისათვის ფული სთხოვა. ალექსანდრემ ბრძანა, მისთვის 50 ტალანტი მიეცათ. ათიც საკმარისი იქნებოდაო, შენუხდა მთხოვნელი. „შესაძლოა, შენთვის საკმარისი იქნებოდა გამოსართმევად, ჩემთვის კი არასაკმარისი — გასაცემად“, — უპასუხა გულუხვა მეფემ.

15. რომაელი დიქტატორის, ლუციუს კორნელიუს სულას მიერ შემოღებულ პროსკრიპციებს 5 ათასამდე რომაელი მოქალაქე შეეწირა. თუ რომელს ვინმე გულზე არ ესატებოდა, მისი სახელი ამ ავადსახსენებელ სიებში შეჰქონდა და მას თანამოქალაქეები ხოცავდნენ. დახოცვითა ქონების დიდი ნაწილი ხაზინაში მიდიოდა, დანარჩენს კი დამსმენები და მკვლელები ინანილებდნენ.

„ტოიოტას“ და „სუბარუს“ ერთობლივი პროექტი

ამერიკულმა ჟურნალმა, — Car and Driver, — „ტოიოტას“ ახალი მოდელის ლოგოტიპი გამოაქვეყნა. ეს მანქანა „სუბარუსთან“ ერთობლივად იქმნება. ემბლემაზე გამოსახულია სტილიზებული რიცხვი — „86“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ რიცხვს იაპონური კომპანია სერიული მანქანის დასახელებაშიც გამოიყენებს. შეგახსენებთ, რომ პროტოტიპს FT-86 ერქვა, ხოლო მის იდეოლოგიურ წინამორბედს — AE86. „ტოიოტას“ ახალ სპორტულ კუპეს, ისევე როგორც „სუბარუს“ ანალოგიურ მოდელს, უკანა აძვრის შასი, ფოლადის ჩარჩოზე მიმაგრებული ძარას ალუმინის პანელები, 200 ცხმ-ის სიმძლავრის, 2-ლიტრიანი ბენზინის ძრავა და სინქრონი გადაცემათა 6-საფეხურიანი, მექანიკური კოლოფი ექნება. როგორც მოსალოდნელია, ამ ავტომობილის „სუბარუსული“ ვარიანტი 60 ცხმ-ით უფრო მძლავრი იქნება. ახალი კუპეს პროტოტიპი კომპანია „ტოიოტამ“, ტოკიოს მოტორში უზენაესადგინა. 2011 წელს, ამავე ავტოსალონზე სავარაუდოდ, სერიული ვერსიის დებიუტიც შედგება, რომლის ფასიც იაპონურ ბაზარზე 2,5 მილიონი იენ-



იდან (დაახლოებით 29 ათასი აშშ დოლარი) დაიწყება. ადრე „სუბარუს“ მფლობელი ზოგიერთი ტომპენევერი „ტოიოტასთან“ ერთად მანქანის შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათი მოსაზრებით, ასეთი კუპე ბრენდის იმიჯზე ნეგატიურად აისახება და მარკის თაყვანისმცემელთა რიცხვს შეამცირებს. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, „სუბარუს“ მესვეურები მარკეტინგული სტრატეგიის ახლებურად დაგეგმვას აპირებენ, რაც მათი ავტომობილის „ტოიოტასული“ მოდელისგან დიფერენცირებაში უნდა გამოიხატოს.

„სპრინტერი“ — ძვირფასი სალონით

კომპანია „მერსედეს-ბენცის“ ამერიკულმა დილერ-ცენტრმა „სპრინტერის“ სპეციალური მოდიფიკაცია შექმნა, რომლის სალონიც კერძო რეაქტიული თვითმფრინავის ძვირფასი ინტერიერის სტილშია შესრულებული. ამ ვერსიას რანდ დიტიონ ეწოდა. მისი ყიდვა მხოლოდ აღნიშნულ ავტოსალონშია შესაძლებელი. ექსკლუზიური, შვიდადგილიანი „სპრინტერის“ სალონი ძვირფასი ტყავითა და ნატურალური ხის მასალითაა განყო-



ბილი. მგზავრებისთვის ხელმისაწვდომია მულტიმედია სისტემა, 32-დუიმიანი ტელევიზორით, DVD-აპარატურით, აუდიოსისტემით, სათანამგზავრო ტელეარხებითა და რადიოთი, სადენების გარეშე ინტერნეტთან კავშირით, სათამაშო, მისადგმელი აპარატების ჩართვის შესაძლებლობით. გარდა ამისა, სალონში დამონტაჟებულია მასაჟისთვის განკუთვნილი სავარძელი, მაცივარი, დასაცეცი მაგიდა, ხოლო ფანჯრებზე ჟალუზებია დაყენებული. სიახლე სინქრონიზირებულია 5-საფეხურიანი ავტომატური კოლოფითა და 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი, 188 ცხმ-ის სიმძლავრის დიზელის ძრავითაა აღჭურვილი, რომელიც სტანდარტულ „მერსედეს-ბენც სპრინტერზე“ გამოიყენება. მანქანებზე მდებარე ავტოსალონის წარმომადგენელთა თქმით, 190 ათას დოლარად ღირებული ძვირფასი მიკროავტობუსი უკვე ოთხმა ადამიანმა შეიძინა.



„კიას“ განახლებული, სამკარა ჰერბეკი

ერთ-ერთმა საავტომობილო ინტერნეტსაიტმა განახლებული სამკარა ჰერბეკის, — Kia pro-ceed, — ფოტოები გაავრცელა. ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა 2011 წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სურათების მიხედვით, რესტაილირებულ Kia pro-ceed-ს ძარას წინა ნაწილი აქვს მოდერნიზებული. თვალში საცემია განსხვავებული რადიატორის ცხაური, ასევე შეცვლილი შუქფარები, ახალი წინა ბამპერი, გაზრდილი ჰაერშემაკავებლებით, რამაც მანქანას უფრო აგრესიული ელფერი შესძინა. სავარაუდოდ, აღნიშნულ ჰერბეკს ასევე მოდერნიზებული, 128 ცხბ-იანი, 1,6 ლიტრი მოცუ-



ლობის მქონე ძრავა ექნება. ამჟამინდელი Kia pro-ceed ევროპულ ბაზარზე 126 ცხბ-ის სიმძლავრის, 1,6-ლიტრიანი ბენზინის ძრავით, აგრეთვე 115-დან 128 ცხბ-იანი, ანალოგიური მოცულობის ორი დიზელით იყიდება.

ზედმეტი წონა და ავტოაპარიები

ზედმეტი წონის მქონე ადამიანები ავტოსაგზაო კატასტროფებში ნორმალური ავტოების მძღოლებთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ უფრო ხშირად იღუპებიან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბუფალოსა და ქალაქ ერის (პენსილვანიის შტატი) სამედიცინო ცენტრების მეცნიერები. საავტომობილო ავარიებში მიღებული ტრავმები რიგ ბიომექანიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული. მათ შორის — დარტყმის მომენტში გამოწვეულ აჩქარებაზე, უსაფრთხოების ღვედისა და ბალიშის ეფექტურ ამოქმედებაზე, სატრანსპორტო საშუალების ტიპსა და მის მასაზე, აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ მოხდა შეჯახება. თუმცა სპეციალური ტესტების მწარმოებელი ორგანიზაციები არასოდეს ითვალისწინებდნენ იმას, თუ როგორი ეფექტი ჰქონდა ადამიანის წონას ავტოავარიის შედეგად მიღებულ დაზიანებებზე. ამჟამად, ტესტირებისას გამოიყენებიან მანეკენები, რომლებიც ნორმალური წონის მქონე ადამიანის იმიტირებას წარმოადგენენ. „ჩვენ ავტომწარმოებლებს მანქანების ტესტირებისას ზედმეტი წონის მქონე მანეკენების გამოყენებას და ინტერიერის დიზაინზე მუშაობისას, ამ ფაქტორის გათვალისწინებას ვურჩევთ. ეს ზედმეტი წონის ადამიანების უსაფრთხოების კოეფიციენტის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ასეთი ადამიანების რიცხვი კი აშშ-ის მოსახლეობის მესამედია“, — ნათქვამია მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნაში.



ამერიკაში ზედმეტი წონის ადამიანთა რიცხვის ზრდამ დიდ ავტომობილებზე მოთხოვნა გაზარდა. ესენია — პიკაპები და არასაგზაო მანქანები. 2007-2009 წლებში სიმსუქნით დაავადებულ ამერიკელთა რაოდენობა 2,4 მილიონი კაცით გაიზარდა, ხოლო ზოგიერთ შტატში მათმა რიცხვმა მოსახლეობის საერთო რაოდენობის მესამედს მიაღწია. 40 წლის წინ მათზე გაყიდული მანქანების რაოდენობა 16%-ით განისაზღვრებოდა, 2009 წელს კი ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა.

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეზიავშილმა

ანტიკვარისანი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქებღერელი თქუჲ ივანიძე

16. ერთხელ ვოლტერს ჰკითხეს: „შეურიგდით ღმერთს, მისიე?“, „მხოლოდ თავის დაკვრით, ლაპარაკით კი ისევე არ ველაპარაკებით ერთმანეთს“, — უპასუხა მწერალმა.



17. ჭინკა — მავნე ჯუჯა, მინის ავსული და ღამეული არსება, ქართულ მითოლოგიაში. დაახლოებით სკანდინავიური ტროლების, გერმანული გნომების, ლათინური მორმოლიკებისა და ემპუსას რანგის მაცდურნი, სამიწის არიან სიმრავლითა და სიავით. ხალხურ მეტყველებაში ჭინკას ცქციტის, მარდისა და მოხერხებულის მნიშვნელობა აქვს მიღებული. ჭინკობისთვე — ოქტომბერ-ნოემბერი, ჭინკების სათარეშოდ მიიჩნეოდა. „ჯვარი აქაურობას და იმ თვეში ატყდებიან პატარა ჭინკები, დადიან ხმელეთად, ადამიანად“, — წერდა ავაკი. 7 დეკემბერს მიქელგაბრიელი ბოჭაგს მათ და წყალში ყრის.

18. მსოფლიო ომის დროს, ბრიტანეთის საჰაერო ფლოტში მებრძოლი პოლონელი მფრინავები ინგლისელებმა ვერაფრით მიაჩვიეს ბრიტანული წყობით ფრენას. ისინი მთავარ ჯგუფს მოსწყდებოდნენ ხოლმე და მტრის თვითმფრინავს მარტოდ-მარტო მისდევდნენ. ერთხელ, ერთმა მათგანმა ინგლისიდან საფრანგეთის ნაპირებამდე სდია გერმანულ თვითმფრინავს და მინც ჩამოაგდო.

19. ერთ დღეს, ქუჩაში გამვლელმა თვალი მოჰკრა დიოგენე სინოპელს, რომელიც ქანდაკებას სთხოვდა მონყალებს. — განა ქანდაკებას შეუძლია მონყალების გაღება? — გაუკვირდა გამვლელს. — რა თქმა უნდა, არა! — აბა, რატომ სთხოვ? — საკუთარი თავი უარის მიღებას რომ მივაჩვიო, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

20. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, ფილიპე მაკედონელმა სათანადო ადგილი შეარჩია ლამაზი ხედით და ჯარს დასვენება უბრძანა. თუმცა საამისოდ ეს ადგილი გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რადგან სამარხილე ცხოველების გამოსაკვებად ახლომახლო ბაღახი არსად მოიძებნებოდა. უკმაყოფილო მეფემ წამოიძახა: „აი, ეს არის ჩვენი ყოფა, ვირების მუცლის ქეიფზე გვიწევს ცხოვრება“.

21. ბერძენ ფილოსოფოსს, არისტოტელეს კირენელს ერთმა კაცმა სასწავლებლად თავისი შვილი მიაბარა. ფილოსოფოსმა სწავლის საფასურად საკმაოდ დიდი თანხა, 500 დრაჰმა მოითხოვა. „ამ ფასად ხომ მონას ვიყიდი!“ — შესძახა გაოგნებულმა მშობელმა. — „რა გაწყობა, იყიდე მონა და სახლში ორი მონა გყუოლება!“ — მხრები აიჩეჩა ფილოსოფოსმა.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიიშვილი

სასმელები ჯანმრთელობის სადარჯოზე



არყის ხის ნაყენი:

აიღეთ 50 გ (დაახლოებით ერთი მუჭა) არყის ხის კვირტები, დაასხით 0,5 ლ არაყი, 1 თვე ბნელ ადგილას გააჩერეთ და გაფილტრეთ.

მწვანე რევმატიზმის დროს: მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე.

პოდაგრის დროს: მიიღეთ 35-40 წვეთი ნაყენი, დღეში 3-ჯერ და ერთხელ შეიზილეთ მტკივნეულ ადგილას, 10-12 წუთის განმავლობაში.

ვენების ვარიკოზული გაგანიერებისა და თრომბოფლებიტის დროს: წაისვით ეს ნაყენი მტკივნეულ ადგილებში, დღეში 1-2-ჯერ.

ალუბლის სასმელი (რეკომენდებულია ათეროსკლეროზისა და ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის დროს. ეს სასმელი სისხლძარღვებს ელასტიკურობას მატებს და კაპილარებს ამაგრებს):

აიღეთ 500 გ გაყინული ალუბალი, მომინანქრებულ ჭურჭელში მოათავსეთ და დააყარეთ 1,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი. როდესაც შაქარი გადნება, ნარევი ადუღებამდე მიიყვანეთ, მინის 2-ლიტრიან ჭურჭელში გადაასხით და 0,5 ლ არაყი და 5-7 ცალი, მსხვილი შავი ქლიავი დაუ-

მატეთ. 2 კვირა გააჩერეთ, შემდეგ გაფილტრეთ. ეს სასიამოვნო სასმელი თითო-თითო ჩაის კოვზი, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე მიიღეთ. მკურნალობის კურსია 2-3 კვირა.

ყურადღებით!!! სპირტიანი ნაყენი პანკრეატიტის, დიაბეტის მიმე ფორმისა და ალკოჰოლიზმის დროს უკუნაჩვენებია.

ლუდი, ლუდი, ლუდი

თურმე ლუდის სამკურნალო თვისებების შესახებ შუმერებმაც კი იცოდნენ. ხოლო XII საუკუნეში, გერმანიაში, ქალთა მონასტრის წინამძღვარმა, გილდეგარდამ ამ საოცარ სასმელს მთელი სამედიცინო ტრაქტატიც კი მიუძღვნა, სადაც ყველას ურჩევდა, დიდი რაოდენობით ლუდი დაეღიათ. ამ მოსაზრებას თანამედროვე სწავლულებიც ეთანხმებიან. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ლუდში შემავალ ნივთიერებებს ძლიერი, ანტიოქსიდანტური მოქმედება აქვს, ორგანიზმს სხვადასხვა ანთებითი დაავადებისგან, ათეროსკლეროზის, პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადებებისგან იცავს, სისხლის შედედების უნარს აქვეითებს და თრომბების წარმოქმნას ხელს უშ-

ლის; ამაღლებს ინტელექტუალურ აქტივობას და კიბოს უჯრედების წარმოქმნასაც კი უშლის ხელს.

ყოველივე ამის გარდა, ლუდს ანტიბაქტერიოციდული და ანტივირუსული თვისებებიც აქვს. ამ სასმელში რამდენიმე საათის განმავლობაში ქოლერის ბაცილაც კი იღუპება, ხოლო ყოველდღიურად თითო კატხა ლუდი, ნივრის შეჭამანდთან ერთად, ნამდვილად დაგიცავთ გრიპისგან.

ნახშირმუყავების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, ლუდი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა: ჩვენს ორგანიზმს აიძულებს, თითქმის 100%-ით შეითვისოს საკვები. თუ ჭამამდე 1 ჭიქა მუქ ლუდს მიიღებთ, შეგიძლიათ, ცხიმინი კერძები მიირთვათ — მას ადვილად მოინელებთ და საჭმლის მონელების მხრივ არავითარი პრობლემა არ შეგექმნებათ. სამკურნალო და კვებითი თვისებების გამო, ლუდი არქტიკასა და ანტარქტიდაზე მყდრი ექსპედიტორების კვების რაციონშიც შედის.


შეკრულობის დროს: დალიეთ 1 კატხა ლუდი და კიტრი ან რამდენიმე ბოლოკი მიაყოლეთ.

კბილის ტკივილის დროს: პირის ღრუში ნახევარ საათში ერთხელ თბილი ლუდი გამოივლეთ.

ხანგრძლივი შიმშილობითა და მძიმე დაავადებებით გამოწვეული გამოფიტვა: დანაყეთ 3 კაკალი, დაასხით 1 ჭიქა მუქი ლუდი, დაამატეთ 1 ს/კ თაფლი და ერთმანეთში კარგად აურიეთ.

მიიღეთ ერთი თვის განმავლობაში, ვახშობამდე ნახევარი საათით ადრე.

ასთენიისა და გადაჭარბებული სიგამბდრის დროს: 1 ჭიქა მუქ ლუდს დაუმატეთ 2 ჩ/ჭ არაჟანი, ცოცხა





ჰოლო ლუდი გამოიყენოთ. ყელის დაავადებების დროს: 1/2 ჭიქა ლუდი შეათბეთ, 1 ჩ/კ თაფლი დაუმატეთ და ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ.

მაღალი ტემპერატურით მიმდინარე გაცივების დროს: წყლის აბაზანაზე შეათბეთ ერთი ბოთლი მაგარი, მუქი ლუდი, დალიეთ, ჩანჭქით ლოგინში და თბილი საბანი დაიხურეთ.

ბრონქიტისა და ძლიერი ხველის დროს: ხორცის საკვებ მანქანაში 2 კანგაცლილი ლიმონი გაატარეთ, დაუმატეთ 1/2 ჩ/ჭ ლუდი, 1 ჩ/ჭ შაქარი, 2 ს/კ ძირტვილას დაქუცმაცებული ფესვები და 1 ჩ/კ ანისულის ფოთლები, 1 საათით წყლის აბაზანაზე დადგით, შემდეგ გაფილტრეთ და გააცივეთ. მიიღეთ თითო-თითო ს/კ, დღეში 3-ჯერ.

კუნთის დაჭიმვის დროს: შეათბეთ ლუდი მომინანქრებულ ჭურჭელში და ცხელშივე დაასველეთ „ვაფლის“ პირსახოცი, განურეთ და დაფქული, შავი პილპილი დააყარეთ. დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე, დაიმაგრეთ და გაიჩერეთ 5-10 წუთი.

პროცედურა გაიმეორეთ 3-4-ჯერ, 20-20-წუთიანი ინტერვალით.

ყურადღება!!! ექიმ-ნარკოლოგთა უმრავლესობა ლუდს „ალკოჰოლიზმში შემავალ კარს“ უწოდებს. ძლიერი შარდმდენი თვისებების გამო ის ძალზე ტვირთავს თირკმლებს. ლუდის რეგულარულად, ბოროტად გამოყენების შემთხვევაში იზრდება თირკმლების უკმარისობისა და ნეფრიტის განვითარების რისკი. დადგენილია, რომ თუ ადამიანი 2-3 წლის განმავლობაში დღეში რამდენიმე ბოთლ ლუდს იღებს, მას მოთენილობა ეუფლება, ეწყება ფეხების ტკივილი — განსაკუთრებით, დიდი დატვირთვის დროს (სირბილი, ჩქარი სიარული, ველოსიპედის ტარება),



მარილი და აურიეთ. დალიეთ ყოველდღე, ჭამის წინ (ერთ თვეში 3-4 კგ მოიმატებთ).

ყურადღება!!! სერიოზული, ენდოკრინული დაავადებების დროს, არაჟინიანი ლუდი უკუნაჩვენებია.

ნაწლავთა დისპეფსიის დროს: 1 ჭიქა ლუდში ჩაამატეთ 1 ცალი ათქვეფილი კვერცხი და მარილი გემოვნებით. მიიღეთ ყოველდღიურად, 2 კვირის განმავლობაში.


ტკივილი გულში: 1 ჭიქა ლუდში ნახევარი ლიმონის წვენი ჩაანურეთ და დალიეთ, მაგრამ თუ ჰიპერტონიკი ბრძანდებით, უმჯობესია, უალკო-

7 იანვრიდან, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან“ ერთად თქვენთვის და თქვენი ბავშვებისთვის!

აღუქსანდრე მაკედონელი



აღბუხს აინშტაინი



2 მახუკ ჰოლმ

3 ჰოლდენაბ აბაღუხს მოსახტი



4

- 1 ალექსანდრე მაკედონელი
- 2 აღბუხს აინშტაინი
- 3 მარკო პოლო
- 4 ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
- 5 ვალდემარ გულიტვი
- 6 მიგელ დე სერვანტესი
- 7 მაკათმა განდი
- 8 უოლტ დისნეი
- 9 ნიკოლაი კოპერნიკი
- 10 ფრედერიკ შოპენი
- 11 ლეონარდო და ვინჩი
- 12 ლუი პასტერი
- 13 ნაპოლეონ ბონაპარტი
- 14 ისაკ ნიუტონი
- 15 პლატონი
- 16 ტომას ალვა ედისონი
- 17 ქრისტეფორე კოლუმბი

გამოქანილი ალაბიანაზის ბიოგრაფიები

ნიგნების სერია ბავშვებისთვის






არცთუ იშვიათად აღენიშნებათ გულის ტკივილი, ქოშინი, კუჭში პრობლემები (მეტეორიზმი, გასტრიტი, კოლიტი), შეიძლება ქრონიკული გინგივიტი ჩამოყალიბდეს, ნერწყვის გამოყოფა კი შემცირდეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლუდის დღიური დოზა 300-600 გრამს არ უნდა აღემატებოდეს.

ღვებრკალოვის სასმელი

ალკოჰოლური სასმელებიდან კონიაკი ალბათ ყველაზე ნატიფი და დიდებულია. ის ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. „კონიაკი“ — ყველასათვის, პაპუასებისა და ესკიმოსებისთვისაც კი ნაცნობი სიტყვაა, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მუხის კასრში დიდხანს ყოფნის გამო ყურძნის სპირტი (სწორედ მისგან იღებენ კონიაკს) არა მარტო ახალ, არაჩვეულებრივ გემოს, არამედ, მრავალსამკურნალო თვისებასაც იძენს. ჯერ კიდევ დიდრომ და დალამბერმა დაადგინეს, რომ მცირე დოზით (დღეში 1-2 სირჩა) მიღებულ კონიაკს მრავალი დაავადებისგან განკურნება შეუძლია. მის შემადგენლობაში შემავალი ტანინი და მთრიმლაკი ნივთიერებები C ვიტამინია სწრაფად ათვისებას ხელს უწყობს; ნაღვლის წვენის გამოყოფასა და საჭმლის მონელების პროცესს აუმჯობესებს. გარდა ამისა, დღეისათვის ამ სამეფო სასმლის კიდევ მრავალი სასარგებლო თვისებაა გამოვლენილი. მაგალითად, სტენოკარდიის შეტევის მოსახსნელად, ამერიკელი ექიმები 20-30 გ კონიაკს ნატეხ შაქართან ერთად გვირჩევენ. ტკივილი მართლაც წამიერად ქრება.

ასთმის დროს, მკურნალობის დამატებითი საშუალება: აურიეთ თითო-თითო ჭიქა გასრესილი შტოში, თავ-



ლი და კონიაკი; მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე, 1 სუფრის კოვზი. მკურნალობის კურსი 1 კვირაა.

ქრონიკული, მშრალი ხველის დროს: 1 კგ ნივთის ძვიდეს დაასხით 0,5 ლ კონიაკი, გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ მინის ჭურჭელში 1 კვირა, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი ნაყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 14 დღე. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გაიმეოროთ, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ.

პანკრეატიტის დროს დამატებითი მკურნალობის სახით: აურიეთ 1 ლ კონიაკი, კვერცხის ცილა და ნახევარი ლიმონის წვენი. მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსი 3-4 კვირაა.

პოტენციის ასამაღლებელი საშუალება: 1 სირჩა კონიაკში აურიეთ კვერცხის გული და ინტიმურ სიახლოვემდე ერთი საათით ადრე მიიღეთ.

კბილის ტკივილის დროს: 1 სირჩა კონიაკში 1 ჩ/კ სუფრის მარილი გახსენით. დასველეთ მასში ბამბის 2 ტამპონი. ერთ-ერთი ჩაიდეთ მტკივნეული კბილის მხარეს — ყურში, მეორე კი თავად მტკივნეულ კბილზე დაიდეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ შევბას იგრძნობთ.

ფარინგიტისა და ლარინგიტის დროს: 1/2 ჩ/ჭ ანისულის მარცვლებს 1 ჩ/ჭ წყალი დაასხით, 15 წუთი ადუღეთ, გაფილტრეთ, დაამატეთ 1/4 ჩ/ჭ ცაცხვის თავლი და ნაყენი ადუღებამდე მიიყვანეთ. შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით და 1 ს/კ კონიაკი დაასხით. მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი, საათში ერთხელ. მკურნალო-


ბის კურსი 4-5 დღეა. ამ საშუალებას თურმე შალიაპინი ხშირად იღებდა ხმის დასაბრუნებლად.

ხმის დაკარგვის დროს აგრეთვე შეიძლება გამოყენოთ შემდეგი სასმელი: აიღეთ 3-3 სუფრის კოვზი კონიაკი და თავლი და 3 უმი კვერცხი. ერთმანეთში კარგად აურიეთ და მიიღეთ თითო-თითო ჩ/კ ყოველ 15-30 წუთში ერთხელ, დღის განმავლობაში.

ძლიერი შეცივებისა და გაცივების დროს გამათბობელი სასმელი დაამზადეთ: აიღეთ 1 ჭიქა მაგარი, ტკბილი ჩაი, 1 ს/კ რომი და 1 ჩ/კ კონიაკი. აურიეთ ერთმანეთში, გადაასხით მომინანქრებულ ჭურჭელში, დაახურეთ თავზე, მიიყვანეთ ადუღებამდე.

მიიღეთ თბილი სახით, 100-100 გ, დღეში 1-2-ჯერ. სასურველია, მიღების შემდეგ ლოგინში ჩანვეთ და თბილად დაიხუროთ.


ტუბერკულოზის დროს, დამატებითი მკურნალობის სახით: 6 თეთრნაჭურჭიანი, უმი კვერცხი გულდასმით გარეცხეთ საპნითა და მდუ-



ღარე წყლით, გააშრეთ, არყით ან სპირტით განმინდეთ და ქილაში მოათავსეთ. დაასხით 10 ლიმონის წვენი, ქილა მუქ ქალაღში შეახვიეთ, მარლა დააფარეთ და მშრალ, ბნელ, გრილ ადგილზე დადგით (მაგრამ არა — მაცივარში). 3-5 დღის შემდეგ კვერცხის ნაჭურჭი უნდა გაიხსნას. ამის შემდეგ ჩაუმატეთ 12 ს/კ ცაცხვის თავლი და 3/4 ჩ/ჭ კონიაკი. კარგად აურიეთ, მუქი ფერის მინის ბოთლში გადაასხით და გრილ ადგილას შეინახეთ.

მიიღეთ დესერტის კოვზით, 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი 1-2 თვეა.

ყურადღება!!! მკურნალობის დროს შეიძლება გამოგაყაროთ, რაც ერთ





კვირაში აუცილებლად გაგივლით. ასეთი რეაქცია ორგანიზმში კალციის უკმარისობის ნიშანია.

დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს: აიღეთ ალოეს 4 ფოთოლი და სურნელოვანი ნემსინვერას 8 ფოთოლი. დაჭერით, დაასხით 4 ს/კ კონიაკი, 8 ს/კ გადადუღებული, ცივი წყალი და 5 წვეთი იოდი. გადაასხით ეს მასა ნახევარლიტრიან

ქილაში, თავზე მჭიდროდ დაახურეთ, 10 დღე ბნელ ადგილას გააჩერეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-თითო ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე. მკურნალობის კურსი 2-3 კვირაა.

ორგანიზმში კალციუმის უკმარისობისა და ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის: მოათავსეთ ჭიქაში ქათმის უმი კვერცხი, დაასხით ახალგამონურული ლიმონისა და კონიაკის თანაბარი რაოდენობის ნარევი, ზემოდან დააფარეთ მარლა. 2 კვირის შემდეგ კვერცხი ფრთხილად ამოიღეთ, ნაყენი კი ჩაის კოვზით, დღეში 2-ჯერ მიიღეთ. მკურნალობა ხანგრძლივია, ნახევარ წელიწადს მაინც გრძელდება, მაგრამ ძალიან ეფექტურია.


თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისა და საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს: აურიეთ 200 გ დანაწევრებული, არყის ხის სოკო, 50 გ გამომშრალი ფარსმანდუკი, კრაზანა, ასკილი, ფიჭვის გირჩა და მაისში შეგროვილი აბზინდა. ამ ნარევეს 5 ლ წყალი დაასხით, ნელ ცეცხლზე 2 საათის განმავლობაში გააცხელეთ ისე, რომ არ აგიდუღდეთ, შემდეგ წყლის აბაზანაზე 27 საათი გააჩერეთ, განურთეთ, აურიეთ 0,5 კგ თაფლი, 1 ჩ/ჭ ალოეს წვენი და 1 ჩ/ჭ კონიაკი. 3 დღით ბნელ ადგილას გააჩერეთ და ყოველდღიურად ურიეთ. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს მიიღეთ თითო-თითო ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე. მკურნალობის კურსი 3 კვირაა.

საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს კი ეს ნაყენი შემდეგი სქემის მიხედვით მიიღეთ: პირველი 6 დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, თითო-თითო ჩ/ჭ ჭამამდე, 1/2 საათით ადრე; მე-7 დღიდან 21-ე დღემდე დოზა გაზარდეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, თითო-თითო ს/კ ჭამამდე, 1/2 საათით ადრე. ნაშალი მაცივარში შეინახეთ.

სირსველის სამკურნალოდ: შეურიეთ ერთმანეთში შტოშის ნაყოფი და თაფლი, კვერცხის გული და 1/2 ჩ/კ კონიაკი. დაიდეთ ეს მასა დაზიანებულ უბანზე, ზემოდან პოლიეთილენი და სტერილური მარლა დაიფინეთ. 40 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. მკურნალობის კურსი 10-12 დღეა.

ყურადღება!!! კონიაკი ზიანს არავის მოგიტანთ, თუ მას ზომიერად მიიღებთ (დღეში არა უმეტეს, 1 სირჩისა). ■


თქვენი ოჯახის მკურნალი



www.mkurnali.ge

P.S. პატივცემულ მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ადამიანი



მოსახლული მოსამართლა, შეურაცხყოფილი პოლიციელი და ხის ტოტზე „დაკრეფილი“ ფული

თბაქალიძე

საუბარი ჩვეული ენაკვიმატობით, იმერელმა თენგიზ მარჯანიშვილმა დაიწყო:

„შეხადე, კასი რას დაამსგავსეთ...“

— ამბროლაურის რაიონის პროკურორი ვიყავი, როცა ქრებალოში მცხოვრებ მოხუც ცოლ-ქმარს ყაჩაღები დაესხნენ თავს. მათ 4 ვაჟი ჰყავდათ და გოგო რომ არ გაუნდათ, ბიძაშვილის შვილი გაზარდეს; მერე გოგონა თბილისში გაათხოვეს, სიძეს დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ... ყაჩაღების დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ „ნაკოლის მიმცემი“ მათი გაზრდილის ქმარი იყო. მას კრიმინალები-სთვის უთქვამს, — იმ მოხუცებს ბევრი ფული აქვთო, შემდეგ კი ისიც ასწავლა, სახლში როგორ შეეღწიათ. ბოროტმოქმედებმა მოხუცები სასტიკად აწამეს, საცოდავები სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. დაზარალებულ მამაკაცს უცნაურად დიდი თავი ჰქონ-

ცნობილ იურისტებს, ყოფილ პროკურორ თენგიზ მარჯანიშვილსა და ყოფილ მოსამართლეს — გიორგი ქოიავას საზოგადოება კარგად იცნობს. მათ ხელში უამრავმა საინტერესო საქმემ გაიარა, ამჟამად კი საადვოკატო საქმიანობას ეწევიან. ვინაიდან ჩემს ორივე რესპონდენტს კარგი იუმორის გრძნობა აქვს, მათ სასამართლო დარბაზსა თუ მის გარეთ მომხდარი მხიარული ამბების გახსენება ვთხოვეთ.

და, ამას კიდევ ისიც ემატებოდა, რომ ერთი ღერი თმაც არ ჰქონდა და თავი ულაპლაპებდა.

ბუნებრივია, ყაჩაღებთან ერთად, საბრალდებო სკამზე მოხუცების სიძეც იჯდა. სასამართლო სხდომა ივლისში გაიმართა. ძალიან ცხელოდა. საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, სხდომები ამბროლაურის კულტურის სახლში ჩატარდა, დარბაზში 600 კაცი იჯდა. ვინაიდან კარგი განათება არ იყო, დამატებით, 500-ვატიანი ნათურაც ჩართეს და დაზარალებული სწორედ ამ ნათურის ქვეშ იჯდა.

როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ბრალდებულ სიძეს ვკითხავ:

— მოხუცებთან ამ ყაჩაღებს რომ უშვებდი და ასეთ მზაკვრობას სჩადიოდი, გაგეფრთხილებინა მაინც, რომ ისინი ასე სადისტურად არ ეწამებინათ, ფიზიკურად არ შეხებოდნენ.

— კი, ბატონო თენგიზ, ყაჩაღები გავაფრთხილე: იცოდეთ, ბიძაჩემს თავიდან ერთი ღერი თმა არ ჩამოუვარდეს-მეთქი, — ცდილობს თავის მართლებას.

— მერე, შეხედე, კაცი რას დაამსგავსეს, თავზე ერთი ღერი თმაც არ შეურჩენიათ... ჰო, კარგად შეხედე, — ვუბნები მთელი სერიოზულობით.

ჩემს რეპლიკაზე მოსამართლემ თავი ველარ შეიკავა, ახარხარდა და ლამის მაგიდის ქვეშ შეძვრა. დამშვიდდებოდა, თავს ამოწვდა, დაზარალებულს შეხედავდა და ისევ აგრძელებდა სიცილს.

დარბაზიც ახარხარდა, სხდომის გაგრძელება ორი საათით გადაიდო.

რაჭველი მოხუცი ვერ მიხვდა, რა ხდებოდა და გაოცებული, ამ ალაპლაპებულ თავს ხან ერთ მხარეს ატრიალებდა, ხანაც — მეორე მხარეს.

გურული დაკითხვა

რესპუბლიკის პროკურორატურაში ვმუშაობდი და სახელმწიფო ბრალმდებლად, მახარაძეში გამიშვეს. უზენაესი სასამართლო გავსვით სხდომას გურიაში ატარებდა, ე.წ. ჩაის საქმე იხილებოდა; ადამიანს ქონების დატაცების ბრალდებით ვასამართლებდით. ხომ იცით გურულების ამბავი, ყურადღების ცენტრში ყოფნა და თავის გამოჩენა როგორ უყვართ. ტრიბუნასთან, სადაც მოწმეები იკითხებოდნენ, მიკროფონი იდო, მაგრამ არ მუშაობდა; არც იყო ამის აუცილებლობა, რადგან სხდომა პატარა დარბაზში ტარდებოდა და ხმა კარგად ისმოდა.

ყველა მოწმეს ვაფრთხილებთ, რომ მიკროფონი არ მუშაობს, მაგრამ მაინც იღებენ:

— არა უშავს, იყოს, მაინც დავიჭერ, — გვპასუხობენ და ჩვენებას მიკროფონით ხელში გვაძლევენ.

მორიგი მოწმე შემოვიდა. მოსამართლე ცდილობს, მდივანს მოწმის ანკეტური მონაცემები სხდომის ოქმში შეატანინოს და კაცს ეკითხება:

— რა განათლება გაქვთ?

— პირველი კლასიდან გამოვედი, — სხარტად პასუხობს ყელმოღერებული გურული.

— რას შედიოდი, თუ ისევ უკან გამოდიოდი? — ვისროლე რეპლიკა. ამ სიტყვებს დარბაზში სიცილი მო-



თენგიზ მარჯანიშვილი



ჰყვა. გურულს კი თურმე, იმის თქმა სურდა, რომ მთლად გაუნათლებელი არ იყო.

„შენ ხომ არ გამიუპატიურებინარ?!“

მამაკაცს ქალის გაუპატიურებისთვის ასამართლებენ. ჩემი კოლეგა პროკურორი პროცესზე ბრალმდებელია. კერძო ბრალდების საქმეა და განსასჯელის ბედი დაზარალებულის ჩვენებაზე დამოკიდებული.

— არ გავუპატიურებთ, ამ კაცთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ჩემი ნებით დავთანხმდი; პირველი ჩვენებისას ზეგავლენის ქვეშ მოვექეცი, ახლა კი სიმართლეს ვამბობ, — უცებ შეცვალა ჩვენება დაზარალებულმა. პროკურორი გაცხარდა, ცდილობს, ბრალდების პოზიცია გაამყაროს და დაზარალებულს კითხვას კითხვაზე აყრის. ცოტა ხანში ბრალდებულმა თავი ვეღარ შეიკავა და აყვირდა:

— ბოლოს და ბოლოს, მითხარი, შენ რა გინდა? ეს ქალი ამბობს, რომ ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა, შენ კი ნამდვილად პირველად გხედავ და რატომ არ მანებებ თავს, შენთვის ხომ არაფერი მიქნია, შენ ხომ არ გამიუპატიურებინარ?!.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს

პოლიციის უფროსი კორპუსთან დგას. უცებ, მეორე სართულიდან ვიღაცამ თავზე დააფხა. ჩინოსანი ლამის გაგიჟდა და მამაკაცი სასწრაფოდ, ხულიგნობის ბრალდებით დაიჭირა, შემდეგ კი საქმე სასამართლოს გადასცა. ბრალდებულის ნათესავები მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო და მოსამართლის მოსყიდვა გადაწყვიტეს, შუამავალიც იპოვეს, საქმეც მოაგვარეს.

მორიგი სასამართლო სხდომისას მოსამართლე ცდილობს, სიტუაცია განსასჯელის სასარგებლოდ შემოაბრუნოს: — რატომ მოხდა ეს ფაქტი, რატომ მოიქეცი ასე?

— ბატონო მოსამართლე, არანაირი ხულიგნობა არ ჩამიდენია, უბრალოდ, ძალიან ცუდად ვიყავი და ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მაპატიეთ...

მოსამართლის დასმული კითხვებიდან გამომდინარე, პოლიციის უფროსი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და იყვირა:

— რას აკეთებთ?!

— ამან გუშინ ისეთი მტკიცებულებები წარმოადგინა, ჩემთვის იმაზე უარესიც რომ ექნა, რაც შენ გიქნა, მაინც გავუმჯობდი, — უპასუხა მოსამართლემ.

ბატონმა გიორგი ქოიავამ პირველად სამეგრელოში მომხდარი ამბავი გაიხსენა:

„არ იყო, ბატონო, ქალიშვილი...“

— ახალგაზრდა კაცმა ცოლი შეირთო, 400-კაციანი ქორწილიც გადაიხადა, მაგრამ ქორწილის მეორე დღეს ოჯახში დიდი აურზაური ატყდა, რადგან პირველი ლამის შემდეგ ბიჭმა გოგოს პრეტენზია წაუყენა, — ქალიშვილი არ იყავი, ჰოდა, ახლა გუდანაბადი აიკარი, შინ დაბრუნდიო. გოგო აღშფოთდა, რადგან სამეგრელოში ასეთი რამ დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევა. მან ყველაფერი ახლობლებს შეატყობინა და ტრაგიკუ-

გიორგი ქოიავა



ლი სიტუაცია შეიქმნა. ქალი საკუთარ თავში დარწმუნებული იყო და სიმართლის დასამტკიცებლად ექსპერტიზაზე წაიყვანეს. ექსპერტმა შეამოწმა და ქალწული აღმოჩნდა. მოკლედ, საქმე სასამართლომდე მივიდა. მამაკაცს ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის ასამართლებენ.

სასამართლო დარბაზი საესეა ხალხით. ნაწილი გოგოს გულშემტკიცებობს, ნაწილი — ბიჭს და ერთმანეთს წყევლა-კრულვას არ აკლებენ.

პროცესი ხმაურით მიდის, მობილიზებულია პოლიცია. დასაკითხავად მონვეულია ექსპერტიც. ექსპერტს ბავშვობიდან ყველა მეტსახელს, „კიკიტოს“ ეძახის და ისეა ამ სახელს მიჩვეული, ნამდვილი სახელით რომ მიმართო, არც გამოგხედავს.

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

— წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობთ?

— არა, ბატონო, არ ვარ დამნაშავე. ქალიშვილი არ იყო და როგორ ვთქვა, რომ ქალიშვილია?

მოსამართლემ ჯერ მონმეები და ექსპერტი დაჰკითხა, რომლებიც სა-

პირისპიროს ამტკიცებდნენ, მერე კი ისევ განსასჯელს მიუბრუნდა:

— შენც ამ კუთხის შვილი ხარ და კარგად იცი, ქალისთვის, მისი ოჯახისთვის ამის დაბრალება რამხელა შეურაცხყოფაა...

— არა, ბატონო, მართალს ვამბობ, არ იყო ქალიშვილი და რა ვქნა? — არ იცვლის აზრს განსასჯელი.

მოსამართლეს მისი სიჯიუტე მოჰბეზრდა, გაცხარდა და ეუბნება:

— დაზარალებული ამბობს, რომ ქალიშვილი იყო, რასაც დედამისი და მონმეები ადასტურებენ. აგერ არის, ბატონო, ექსპერტი კიკიტო და ისიც ამას ამტკიცებს. ჰოდა, შენ რა გახდი, არავისი რომ არ გჯერა?

— არ ვიცი ბატონო, რას ამბობს თქვენი კიკიტო, მაგრამ ჩემმა კიკიტომ რაც მითხრა, იმას გეუბნებით, — უპასუხა გაბრაზებულმა განსასჯელმა.

მის სიტყვებს კიკიტოს სამინელი რეაქცია მოჰყვა, — რას შემედარაო და რაღაც ესროლა, განსასჯელის საცემრად გაიწია, ჩსუბშს დაზარალებულებიც ჩაერთვნენ. მოკლედ, რომ არა პოლიციის დროული ჩარევა, არავინ იცის, რა მოხდებოდა...

ორჯერ დაჯარიმებული აფხაზი

ბისტროვს სოხუმში მომჩივანის სახელით იცნობდნენ. ომის მონაწილე იყო და თუ რაიმე პრობლემას წააწყდებოდა, მედლებით დახუწლულ პიჯაკს ჩაიცვამდა და საჩივრულად გარბოდა. ერთი მხრივ, მეზობლებისთვის სასარგებლო კაცი იყო, რადგან მისი დახმარებით ყოველი პრობლემა მალე გვარდებოდა, მაგრამ მისი ემინოდან კიდეც. ერთ დღეს შინ დაბრუნებულ მის აფხაზ მეზობელს ცოლი გაცეცხლებული დახვდა, — მთვრალმა ბისტროვმა ცუდი სიტყვები მიკადრაო. აფხაზი ბიჭი ბისტროვს მიუვარდა, გინების კორიანტელი დააყარა და სულ „ლორო“ ეძახა. ბისტროვი რისი ბისტროვი იყო, ჩვეულებისთვის რომ ელაღატა? — მეზობელს სოხუმის საქალაქო სასამართლოში უჩივლა. აფხაზს ბრალი წაუყენეს, ეს მუხლი 100 მანეთ ჯარიმას ან ერთ წლამდე გამასწორებელ სამუშაოს ითვალისწინებდა. ვინაიდან აფხაზი ცუდი პიროვნება არ იყო, მუშაობდა, ოჯახი ჰყავდა და მოსამართლემ ლიბოტიერება გამოიჩინა — ის 100 მანეთით დააჯარიმა. ბრალდებულს გაუხარდა, ასე იოლად რომ გამოძვრა და ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, ბისტროვს იმავე ღამეს მიუვარდა და ისევ აგინა. ამასობაში ბისტროვი ფანჯრიდან გაიპარა და სასამართლოში ახალი განცხადებით მივიდა. მდგომარეობა დამძიმდა: ახალი ბრალი უკვე 300-დან 500 მანეთამდე ჯარიმას, გამასწორებელ სასჯელს ან სამ წლამდე



პატიმრობას ითვალისწინებდა. საქმე იმავე მოსამართლეს დაენერა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზმა დანაშაული კვლავ ჩაიდინა, მოსამართლემ ახალგაზრდა კაცი მაინც დაინდო და მხოლოდ 300 მანეთით დააჯარიმა.

ბრალდებული ეუბნება:
— ამხანაგო მოსამართლე, წინათ ამას ღორი ვუნოვო და თქვენ 100 მანეთით დამაჯარიმეთ; თქვენ გგონიათ, ამის შემდეგ ის უკეთესი გახდა? ღორია და ღორად დარჩა! ჰოდა, მაინტერესებს, ახლა 300 მანეთით რატომ მაჯარიმებთ?..

მოსამართლე საგონებელში ჩავარდა. არ იცის, როგორ აუხსნას ბრალდებულს, რომ სასჯელის მინიმუმში შეუფარდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოსავალი იპოვა და უპასუხა:

— „მომისმინე, ღორის ხორცი გაძვირდა, გაძვირდა“...

„მეგი მე ვარ, ბატონო...“

უზენაეს სასამართლოში თქვენც ესწრებოდით იმ სხდომებს, როცა მკვლევლობის საქმეში ბრალდებული 7 კაცი დარბაზიდან გაეუშვი. ამ საქმეში ორი კურიოზული მომენტი იყო. სოსუმელი კაცი ვარ, თბილისის ყველა უბნის ოფიციალური დასახელება ვიცი, მაგრამ უბნებს დამატებით სახელები რომ ჰქონდა, არ ვიცოდი.

მონშე იკითხება და მის ანკეტურ მონაცემებს ვინიშნავ.

— სად ცხოვრობთ? — ვკითხები.
— აფრიკაში.

ჯერ გავიფიქრე, — გარეთ დასაკითხად ბევრი მონშე მელოდება, ეს ქალი კიდევ, დგას და მაიმუნობს-მეთქი, მერე კი გაბრაზებული ვუბნები:

— იცით, ქალბატონო, ზოგჯერ უკბილო ხუმრობას, უკბილო დედაბერი სჯობია.

ამის თქმა იყო და ქალმა პირი დაალო, მიჩვენა, რომ თავადაც უკბილო გახლდათ.

მერე გავარკვიე, რომ თურმე იმ უბანს, სადაც ის ქალი ცხოვრობდა, აფრიკას ეძახდნენ...

საქმეს ყოველთვის ზედმიწევნით ვსწავლობდი და დარბაზში ისე ჩავდიოდი. იმ საქმეში ვინმე მეგის დაკითხვამაც დამაბნია: გავეცი განკარგულება, რომ დასაკითხავად მონშე მეგი შემოსულიყო, თან — თავჩაქინდრული დაკითხული მონშეების გვარებს ფურცელზე ვინიშნავ. უცებ, ფეხის ხმა გავიგონე — ის ვილაც ტრიბუნასთან მივიდა, მე კი ისე, რომ თავიც არ ამინევიან, ვკითხვ:

— სახელი, გვარი, დაბადების წელი, მისამართი...

მამაკაცმა მიპასუხა. გაკვირვებულმა თავი ავნიე და მდივანს ვუბნები: ხომ გითხარით, დარბაზში დასაკითხა-

ვად მეგი შემოვიდეს-მეთქი!

— მეგი მე ვარ, ბატონო, — მპასუხობს მამაკაცი.

— ერთი, თქვენ აქეთ გამობრძანდით, — ვუბნები და ტრიბუნას მოვაშორე. მინდოდა მენახა, კაბა ხომ არ ეცვა.

სულ ტყუილად მეგონა, რომ მამაკაცი დადგნენ, იმ კაცს ნამდვილად მეგი ერქვა...

ხის ტოტზე აღებული ქრთამი

ახლა რასაც მოგიყვებით, შეიძლება ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ რეალობაა. ის ადამიანი კომუნისტების დროს მოსამართლე იყო და მასზე უამრავ საოცარ ამბავს მიყვებოდნენ ხოლმე. როცა უზენაესში მოსამართლედ ვმუშაობდი, იგი უკვე ასაკოვანი ადვოკატი გახლდათ. ჰოდა, ერთ დღეს ამ გაგონილი ამბის მასთან გადამოწმება ვცადე. გამიღიმა და მითხრა: — კოლეგა, მართალია, ჩემზე ბევრი ჭორი დადის, მაგრამ ეს ამბავი კი ნამდვილია.

მოკვლევ, ის კაცი თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში, მოსამართლედ მუშაობდა. ერთხელ საკმაოდ რთული საქმე დაენერა. იგი საქმეს გაეცნო და პროცესიც ჩაინიშნა. ერთ დღეს, დახმარების სათხოვნელად მასთან პატიმრის ნათესავი მივიდა.

— ეს საქმე უნდა გააკეთოთ, — ეუბნება და საკმაოდ დიდ თანხას სთავაზობს.

მოსამართლემ კარგად იცის, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მაგრამ უცნობის წინადადება მაცდურია. ამიტომაც, მეორე დღეს დაიბარა, — მანამდე საქმეს გავეცნობი და პასუხს მერე გეტყვი.

მეორე დღეს მოსამართლე უცნობს უჩვეულო წინადადებას სთავაზობს:

— ის ფული კარგად შეკარი და დღეს საღამოს, შვიდ საათზე ხუდადოვის ტყეში მოდი, თანხას იქ გამოგართმევო.

შუამავალი მოსამართლეს დაემორჩილა და დიდძალი ფულით ხელში, ტყეში მივიდა, თან ერთი ახლობელიც წაიყვანა. ხედავს, მოსამართლე ხის ტოტზე ჩამომჯდარა, ხელში გიტარა უჭირავს და ღლინებს.

— გამარჯობათ, ბატონო მოსამართლე, — მიესალმა გაკვირვებული მამაკაცი.

— ოჰ, უკვე მოხვედი? ფული ისე მოიტანე, როგორც გითხარი?

— კი, ბატონო.

— ამ ხის გვერდზე მეორე ხეს ხომ ხედავ? ჰოდა, მის ტოტზე ჩამოჯექი!

— ბატონო მოსამართლე, რა მინდა ხის ტოტზე?

— რასაც გუბნები, ის გააკეთე; იქ უნდა ახვიდე!

კაცს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ავიდა და მოსამართლეს ეკითხება: — ახლა რა ვქნა?

— ახლა ის ფული მესროლე...

კაცმა იფიქრა, — ალბათ, მოსამართლეს არ უნდა, რომ თანხა ხელიდან ხელში გადაეცეო და ფულის შეკვრა ესროლა. მოსამართლემ ვერ დაიჭირა.

— ახლა რა ვქნა?

— ახლა ჩადი, აილე ის ფული, ისევე ჩამოჯექი ხის ტოტზე და ისევე მესროლე, — დაარიგა მოსამართლემ.

მეორე ცდაზე მოსამართლემ თანხა დაიჭირა.

— ყველაფერი კარგად იქნება? — წასვლის წინ კიდევ ერთხელ ჰკითხა მოსამართლეს.

— თავისუფალი ხარ, — უპასუხა მოსამართლემ.

ბრალდებულის მხარეს საქმე ჩაწყობილი ჰგონია, სასურველი განაჩენის მოლოდინშია, მაგრამ მოსამართლემ განსასჯელს მძიმე სასჯელი შეუფარდა. განაჩენის გამოტანის შემდეგ შუამავალი მოსამართლესთან მივიდა და ეუბნება, — როგორც ჩანს, საქმე არ გამოვიდა, ფული უკან დამიბრუნეო.

— რა ფული, ბატონო, ხომ არ გადაირიე? შენ ვილაც ინტრიგანი ხარ და აქედან დროზე წადი, — კაბინეტიდან გააგდო მოსამართლემ.

იმ კაცმა მოსამართლეს რაიკომის მდივანთან უჩივლა, მან კი მოსამართლე კაბინეტში დაიბარა.

— ამხანაგო მოსამართლე, კაცისთვის ქრთამი გამოგირთმევიათ, საქმეს შეჰპირებხართ და არ გაგიკეთებიათ. რას ჰგავს ეს? ვინ ხართ თქვენ საერთოდ?..

— რა ფული, არაფერი ვიცი... ის კაცი კარგად ვერ არის, თქვენ კი მას უჯერებთ, ჩემი დალუპვა გადაგინწყვითა...

— კაცი ჩემთან იყო, დალაგებულად ლაპარაკობს და ბრალს გდებთ. თქვენ ეს არ გაგივათ, — დაემუქრა რაიკომის მდივანი და მოსამართლესთან დასაპირისპირებლად კაბინეტში მომჩივანიც შემოიყვანა.

— მოჰყევი, როგორ იყო საქმე?

— თქვენ საქმის ჩაწყობას დამპირდით. ხომ გახსოვთ, ხუდადოვის ტყეში, ხის ტოტზე რომ იჯექით და გიტარაზე უკრავდით, მე კი ფულით ხელში მოვედი, შემდეგ მეორე ტოტზე ავედი, იქიდან ფული გესროლეთ, მაგრამ შეკვრა ძირს დავცა; ძირს ჩავედი, ფული ავილე, ისევე ხის ტოტზე ავედი და გესროლეთ. ჰოდა, ის შეკვრა მეორე ჯერზე ხომ დაიჭირეთ, ამას რატომ უარყოფთ? — ჩამოარაკრაკა გამწარებულმა კაცმა.

დაბნეულმა რაიკომის მდივანმა ჩაილაპარაკა, — ყველაფერი გასაგებიაო და მოსამართლე გაუშვა.

აი, ასე შერჩა მოსამართლეს ის ფული.

„გაქცეული“ ბუხარი და ქართველი „ლუჩანო პავარობის“ საიდუმლო

ლუჩანო პავარობის ქართველი ორეული — მამუ-
კა მესხი თბილისში (და არა მარტო) განთქმული
თამადა გახლავთ. „ღვინოვ, კახუროს“ სიმღერისას, 4
ჩ/ტ ღვინოს სვამს (თითო სტროფის დასრულებისას
თითო ჭიქას). ის სიმთვრალის საწინააღმდეგოდ
ერთ მეთოდს იყენებს, თუმცა ეს მეთოდი ყოველთვის
როდი ჭრის... ქართველი „ლუჩანო“ 2011 წელს დიდ
სცენაზე, სიმღერით შეეგებება...

ეთი უორკანაშვილი

— ახლა ახალი წლის დღესას-
წაულისათვის ხალხი 2 კილოგრამ
კანფეტს ყიდულობს, მერე საბრალო
ბავშვები ერთმანეთს უყურებენ —
ვინ რამდენს შეჭამს... ჩემს ბავშ-
ვობაში ყველაფერი სხვაგვარად იყო:
ტკბილეული ყუთებით მოგვქონდა!
წელან, ერთ-ერთ ახალგაზსნილ ბაზ-
არში ხორცი ვიყიდე, მერე მეუღლემ
დაამირეკა: — ზეთი და წინიბურა
წამოიღეო. 2 ბოთლ ზეთში და 2
პაკეტ „გრეჩისაში“ 16 ლარსა და 20
თეთრს რომ გადაიხდი, ახალი წელი
როგორ უნდა გიხაროდეს?! ეს
დღესასწაული მაშინ მახარებდა, როცა
ყველაფერი „ცენტრალიზებულად“ —
მშობლებისგან „მომდიოდა“. ჩვენს
სახლთან ახლოს, მარკეტში კახეთიდან
ჩამოტანილი სულგუნი იყიდება. ის
სულგუნი პირველად რომ ვიყიდე, 6
ლარ-ნახევარი ღირდა, მეორე კვი-
რას 7 ლარად ყიდდნენ, ახლა კი 9
ლარ-ნახევარი ღირს! გამყიდველს
ვუთხარი: არ მოგეშვებით; მაინტერ-
ესებს, ამ სულგუნს როდემდე გააძ-
ვირებთ-მეთქი. უძრავ-მძიძრავ ქონებას

გავეყიდი, მაგრამ
საჭმელს ვერ მო-
ვიკვლებ!..

საახალწ- ლო სუფრის სამ- ზადისში მონა- წილეობ?

— კერძების
მომზადების ნი-
ჭი ნამდვილად
მაქვს. მაგალითად, ჩაქაფული ბევრ-
ჯერ მომიმზადებია, მაგრამ ოჯახში
იმდენი ქალია, რომ საახალწლო სუ-
ფრის სამზადისში არ ჩავერევი; თან,
ფიზიკურად დიდი ვარ და სამზა-
რეულოში ვინ „შემატევეს“?! გული
მწყდება, რომ დიდ სახლში პატარა
სამზარეულო მაქვს. საახალწლოდ
სახლის რეკონსტრუქცია მაქვს გან-
ზრახული: სამზარეულოს „ზალაში“
გადავიტან (იციინის)... მკაცრი დე-
გუსტატორი და გურმანი ვარ! ნახ-
ვერად პოლონელი სიდედრი მყავს,
სალათების დიდი სპეციალისტი! ჩვე-
ნი საახალწლო სუფრის განსაკუთრე-
ბული კერძი სიდედრის მომზადებუ-
ლი „ხალადეცია“: 3 დიდ დედალს
და 4-5 კილოგრამ არ-
ტალას (საქონლის ფეხ-
ებს) კარგად ჩახარშავს
ხოლმე. მდოგვს ერთ-
ერთი მცენარის ფესვის-
გან აკეთებს და მასში
ჭარხალს ურევს... უგემ-
რიელესია!



დიდ სცენაზე ყოფნისათვის საჭირო
მუსიკალური განათლება ბოლომდე ვერ
მივიღე და ამიტომაც, მთრთილებული ვარ

გიზგიზებდა. მეოთხე ჭიქა რომ დაე-
ცალე, ბუხარს ველარ ვაჩერებდი —
ზევით „ადიოდა“. მინდოდა, თავის
ადგილზე დამებრუნებინა, მაგრამ
ამაოდა; „დარბოდა“ ბუხარი, მე კი
უკან მივდევდი. ბოლოს, „ატრიალ-
და“ და სკამიდან მეც გადავყირავ-
დი... აი, სტუდენტობისას კი მე და
ღვინო „დავმეგობრდით“. მამაჩემი —
კიკილია მესხი ტყიბულელი კოლორ-
იტი გახლდათ. მან დარბაისლური,
გემრიელი თამაღობა იცოდა. ჩემს
ცხონებულ ძმას (რომელიც აფხაზე-
თის ომში დაიკარგა) ქეიფი უყვარ-
და, თამაღობა — არა. სუფრის
წინამძღვრის როლში ყოფნა არც მე
მიყვარს, მაგრამ გამომდის და უარს
ველარ ვამბობ!

— როგორც ვიცი, მეგობართან
ნაძლევი გქონდათ დადებული, რომ
ერთი წლის განმავლობაში სას-
მელს არ დალევდით...

— (მანყვეტინებს) ნაძლევი მოე-
გიე, მაგრამ ჩემს მეუღლეს მიაჩნია,
რომ ეს ამბავი მოსალოცი სულაც
არაა! მურად ჯალაბაძეს (ვისთანაც
ნაძლევი დავდე) დანარჩენმა მეგო-
ბრებმა შავი დღე აყარეს: კარგი მს-
მელი, მაგარი თამადა რატომ წაგ-
ვართვიო?! არადა, მურადი ჩემს
ჯანმრთელობაზე ზრუნავდა: სურდა,
ნორმალური წონის ვყოფილიყავი და
მიზანს მიაღწია — 9 თვეში 18
კილოგრამი დავიკელი (წინათ 162
კგ-ს ვინწონიდი)... ერთხელ მურადმა
კახეთში დაგვპატიჟა. სუფრასთან
ჩვენი მეგობარი, მსოფლიოს ჩემპი-
ონი — გიორგი კანდელაკი იმყო-
ვებოდა. კანდელაკმა მურადს უთხრა:



განსხვავებული
სასმისით იმ ბიჭების
სადღეგრძელოს
ვსვამ, ვინც სამშობლოს
შესწირეს თავი

პირველად ღვი- ნო როდის დააგემოვ- ნეთ?

— მერვე კლასში
ვიყავი, როცა ბიძაშ-
ვილები ბიძაჩემთან შე-
ვიკრიბეთ. თურმე ჩემი
დათრობა გადაწყვიტეს
და თამადად ამირჩიეს.
მახსოვს, იმერული სუ-
ფრა გაიშალა: კარგი წი-
წილა, კარგი მჭადი... მა-
რანში ვისხედით, სუფრის
გვერდით კი ბუხარი



3 თვე აპატიე, მოგებად ჩაუთვალეო. მურადმა ამდენ შეტევას ვეღარ გაუძლო და თავი ნაძღვევში წაგებულად ცნო... სიმართლე გითხრათ, ღვინის სმას გადავჩვიე: ადრე თუ 6-7 ლიტრ ღვინოს ვსვამდი, ახლა 2 ლიტრამდე

— ღმერთმა დამიფაროს! ასეთი რამ ერთხელაც რომ მომხდარიყო, აღარასდროს ვითამაშებდი! საერთოდ, თუ ყველა სადღეგრძელოში იუმორს „ჩადებ“, ხალხს ყურადღება არ გაეფანტება. „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას“ და „დაკარგული ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ“, — ამის თქმა სუფრაზე საჭირო არაა! ეს ჩვენი ოცნება, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია...



სპეციალურად დაამზადებინა განსხვავებული სასმისი

— ბატონო მამუკა, ყველაზე ორიგინალური სადღეგრძელო გაიხსენეთ...

— ჩემთვის ყველაზე საყვარელი — მასწავლებლის სადღეგრძელოა.

— და ამ სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამთ?

— არა, განსხვავებული სასმისით იმ ბიჭების სადღეგრძელოს ვსვამ, ვინც სამშობლოს შესწირეს თავი... როცა 50 წელი შემისრულდა, ამირან ბუქსიანიძემ (კარგი მოქეიფე კაცია) კრამიტი მაჩუქა, ოღონდ — არა სახლის სახურავიდან ჩამოღებული. მან ის სპეციალურად დაამზადებინა, როგორც განსხვავებული სასმისი. იმერლები სტუმარს რომ ემშვიდობებიან, კრამიტი გამოაქვთ და ჭიშკრის ზემოთ დებენ; მერე ჭიშკრის ერთ მხარეს მასპინძელი დგება, მეორე მხარეს — სტუმარი. მასპინძელი კრამიტში დოქით ღვინოს ასხამს, სტუმარი კი სვამს ანუ სტუმარ-მასპინძლის სადღეგრძელოს ასე სვამენ (ივინის)..

„დავასტაბილურე“ და მიცხვდი, რომ ღვინის სმას სჯობია, ადამიანს მიეფერო, ადღეგრძელო, იმღერო...

— ბევრ ცნობილ ადამიანთან ერთად გიქეიფიათ. საინტერესოა, საუკეთესო თამადად ვის მიიჩნევთ?

— უწმინდესა და უნეტარეს ილია მეორეს მცხეთაში მსოფლიოს პატრიარქი ჰყავდა სტუმრად. მეც დამპატიყეს. ნუგზარ ერგემლიძემ სიმღერა — „მცხეთა“ მაჩუქა, რომელიც ტრაპეზზე ვიმღერე. თამადა გია ბალაშვილი გახლდათ, რომელიც 4 ენაზე (ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ესპანურად) თამადაობდა. ამ ახალგაზრდა კაცის განათლების დონით გაოცებული დავრჩი... ჩემი უახლოესი მეგობარი — ედუარდ სურმანიძე მაგარი თამადაა! გული მწყდება, რომ ასეთი განათლებული, პატრიოტი კაცი დღეს ციხეშია. დარწმუნებული ვარ, მალე გაათავისუფლებენ, რადგან უდანაშაულოა... თამადაობისას გივი სიხარულიძე „ერთ წვეთ“ ღვინოს სვამს, მაგრამ სუფრას არაჩვეულებრივად უძღვება — უნიკალური ადამიანია! ასევე, კარგი თამადეები არიან: ზურა ქაფიანიძე, როინ მეტრეველი, დათო ივანიშვილი, დათო ცირეკიძე, ბესო ბერუღაშვილი... მეც მეუბნებიან, — მაგარი თამადა ხარო, მაგრამ თავმდაბალი კაცი ვარ...

— ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როცა თამადაობისას სუფრის წევრები ვერ დაგიმორჩილებიათ?

— როგორც ვიცი, ვანო მერაბიშვილთან ერთადაც გიქეიფიათ. ქეიფისას ბატონი ვანო როგორია?

— გადასარევი, ძალიან „გემრიელი“ კაცია, მაგრამ არ სვამს...

— როგორი მეკვლე ხართ?

— ბავშვობაში ისეთი კარგი მეკვლე ვიყავი, რომ ჩემზე „ტაციაობა“ იყო! ახლა ჩემი სახლის „მეფეზე“ ან მე ვარ, ან ჩემი შვილი — ლევანი.

— ახალ წელს შინ სვდებით?

— კი, მაგრამ მერე აუცილებლად, სტუმრად მივდივარ ხოლმე. წელს კონცერტზე მიმიწვიეს ანუ მერაბ სეფაშვილთან, დათო გომართელთან, „თეატრალურ კვარტეტთან“, დუეტ „ჯორჯიასთან“, ნეკა სებისკვერაძესა და ნინი ბადურაშვილთან ერთად, მეც ვიმღერებ, რაც ძალიან მახარებს...

— ბოლო დროს ოპერის ვარსკვლავები ხშირად გვსტუმრობენ...

— ოპერის მომღერლებს დიდ პატივს ვცემ! ღმერთი ადამიანს ნიჭს რომ უბოძებს, ეს ნიჭი აუცილებლად უნდა გამოიყენოს. პაატა ბურჭულაძე ჩემსავით, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. საოპერო კარიერაზე მეც ვფიქრობდი, მაგრამ ამ კუთხით სწავლა ვერ გავაგრძელე. მართალია, 5 წელი ნოდარ ანდლულაძესთან ვემზადებოდი — მასთან ხმა დავიმუშავე, ვლადიმერ კანდელაკმა კი სიმღერები მასწავლა, მაგრამ დიდ სცენაზე ყოფნისათვის საჭირო მუსიკალური განათლება ბოლომდე ვერ მივიღე და ამიტომაც, მორიგეობული ვარ: ოპერაში სიმღერის პრეტენზია თუ გაქვს, ბევრი უნდა იშრომო, მხოლოდ ამ საქმეზე იყო ორიენტირებული...

— დაბოლოს, განთქმული თამადა ქართველ ერს რას უსურვებთ?

— უპირველეს ყოვლისა — მშვიდობას! ჩვენი უწმინდესი ღმერთმა გააძლიეროს და ჯანმრთელად გვიმყოფოს, ჩვენი საქართველოსთვის დიდხანს ილოცოს!..

სასურველი მეკვლე და თოვლის პაპა

ახუ ვისთან ერთად სურთ მოზარდებს ახალი წლის ბატარაობა

წლის ბოლოს მოზარდებს შორის ჩავატარე გამოკითხვა. მაინტერესებდა, ვის ისურვებდნენ მეკვლედ, თოვლის პაპად? გაგიკვირდებათ და, ზოგმა შალვა ნათელაშვილი, ვილაცამ მიხეილ სააკაშვილი, უმეტესობამ კი ქართველი მოდელები თუ მომღერლები დაასახელა.

ლიკა ძაჯალი

ლეკანი, 17 წლის:

— აუფ, ეს რა კითხვა დამისვი? რამე რომ იყოს, სასურველი მეკვლეს ჩემთან მოყვანას შეძლებ?

— **ამას ვერ შეგპირდები, მაგრამ საინტერესოა, ახალი წლის შესვენდრას ვისთან ერთად ისურვებდი?**

— მანიკა ასათიანთან, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაა, რომელიც არასდროს ამხდება. გათხოვილი რომ არ იყოს, რაღაცის შანსი კიდევ მექნებოდა, მაგრამ...

— **ვინ გინდა, რომ ახალი წლის ღამეს თოვლის ბაბუად გადაცმული გესტუმროს?**

— მიხეილ სააკაშვილი.

— **რატომ მაინცდამაინც პრეზიდენტი?**

— იმიტომ, რომ ფული „ჩეჩქივით“ აქვს და უბრალო საჩუქრის მოტანას არ იკადრებდა; ყველაზე უარეს ვარიანტში, ტელევიზორს მაინც მაჩუქებდა.

— **ვთქვათ, პრეზიდენტი გესტუმრა, მაგრამ მხოლოდ ტკბილეული მოგართვა, როგორი რეაქცია გაქნება?**

— ჰოდა, ბაბუაჩემის დანურული ღვინის ნაცვლად, მეც წყალწყალა, უშაქრო ყავას გამოვუტან და ვეტყვი, — თქვენ მიერ მორთმეული შოკოლადი მიაყოლეთ-მეთქი.

— **არა მგონია, ამის თქმა იკადრო.**

— ახალი წლის ღამეს ყველა ვარიანტში, მთვრალი ვიქნები. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი კაცი კი მოგესვენებათ, სითამამით გამოირჩევა, ჰოდა, არა მგონია, უკან დავიხიო...

ზაზა, 16 წლის:

— მართალია, თოვლის ბაბუს არსებობის აღარ მჯერა, მაგრამ ოდესღაც მწამდა, რომ რასაც მივწერდი, ყველაფერს ამისრულებდა. ერთხელაც ისეთი რამ მივწერე, რაც ვერ ამისრულა და გავუბრაზდი; ისე გავბრაზდი, რომ მშობლები შემფოთდნენ და ამიხსნეს: ეს ყველაფერი ზღაპარია, რომელიც უფროსებმა სპე-

ციალურად ბავშვებისთვის, საახალწლო დღეების გასალამაზებლად გამოვიგონეთ; თოვლის ბაბუს როლს ყოველთვის ჩვენ ვასრულებდით, მაგრამ ვინაიდან წელს ისეთი რამ ინატრე, რის შექენასაც ვერ შევძლებდით, ის გაჩუქეთ, რაც ხელგვეწიფებოდაო...

— **თოვლის ბაბუს ასეთი რა სთხოვე?**

— ტელევიზორში ნანახი კომპიუტერი. სხვათა შორის, მაშინ კომპიუტერი საქართველოში არავის ჰქონდა, მე კი რომელიღაც ფილმში ვნახე, ძალიან მომეწონა და ავიჩემე, — თოვლის ბაბუმ ეს უნდა მომიტანოს, სხვა არაფერი მიინდა-მეთქი (*იცინის*). ისე, კარგი იქნება, თოვლის ბაბუ ჩემთან ისევ რომ მოვიდეს...



— **და ახლა რას სთხოვდი?**

— აიბოდს, რომელსაც მერე შეყვარებულს ვაჩუქებდი და მის გულს კიდევ უფრო დავიპყრობდი.

— **ახალი წლის ღამეს მეკვლედ ვის ისურვებდი?**

— ცნობილი ადამიანები უნდა დავასახელო?

— **რა თქმა უნდა!**

— მაშინ, ლეილა მესხის სტუმრობას ვისურვებდი. ჩოგბურთი მიყვარს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონ ლეილაზე ვგვიყვარებ. ვფიქრობ, მას არაჩვეულებრივი ფეხი ექნება და ჩემს ოჯახში ხვავს, ბარაქას შემოიტანს.

— **ცრუმორწმუნე ხარ?**

— არა, მაგრამ იმის ნამდვილად მჯერა, რომ თუ ახალ წელს მხიარულად შევეგებები, მთელი წელი კარგ ხასიათზე ვიქნები. ერთხელ მეგობარმა გოგონებმა მთხოვეს, ჩემი ოცნება ფურცელზე დამეწერა. როგორც კი 12 საათი მოახლოვდა, ის ფურცელი დანვეს, ფერფლი შამპანურით საყე ქიქაში ჩაყარეს და მაიძულეს, დამეღია. სურვილის ასრულების რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ საღამოს ღამის გამგუდეს... ასეთი რაღაცების არ მჯერა.

სალი, 15 წლის:

— მეკვლედ კახი კალაძეს ვისურვებდი. ეს კაცი ძალიან მომწონს და რა ვქნა?.. კიდევ, რატი დურგლიშვილი მომწონს და მასაც სიამოვნებით გავუმასპინძლებოდი.

— **მერე, თოვლის ბაბუს სთხოვე და იქნებ, მან შეძლოს შენი ოცნების ასრულება...**

— მართალი ხარ. დიდი ხანია, თოვლის ბაბუსთვის არაფერი მიმიწერია, ჰოდა, ახლა მივწერ და იქნებ, ოცნება ამისრულდეს.

— **და ვინ იქნება შენი თოვლის ბაბუა?**

— ნანუკა ჟორჟოლიანს მივწერ. ის ჯიგარი ქალია და იქნებ, კახასი თუ არა, რატის დათანხმება მაინც შეძლოს. ასე რომ, წერილს აუცილებლად მივწერ.

— **თოვლის ბაბუს მისამართი იცი?**

— როგორ არა, ის ტელეკომპანია „იმედში“ ცხოვრობს (*იცინის*).

— **წარმატებებს გისურვებ! ისე, თოვლის ბაბუს შენთვის სურვილი არასდროს აუსრულებია?**



— კი, ბავშვობაში რაღაცებს მიგზავნიდა ხოლმე, მაგრამ მერე მეც დამავინდა და მანაც დამივინცა.

მარი, 17 წლის:

— ძალიან მინდა, მეკვლედ ანი გიუნტერი მოვიდეს. სადღაც წავიკითხე, რომ კარგი ფეხი ჰქონია; თურმე, თუ ოჯახში მეკვლედ მივიდა, დასაოჯახებელ ადამიანს აუცილებლად დააქორწინებს... აუფ, რა მაგარი იქნება, გასათხოვარი ქალების ბედი მართლა მაგის ფეხზე რომ იყოს დამოკიდებული... ისე, მეკვლედ ვერც ანრი ჯოხაძეს დავინუნებდი. ძალიან მაგარი კაცია და ახალ წელს მასთან ერთად სიამოვნებით გავატარებდი. „შუა ქალაქის“ მსახიობებსაც სიამოვნებით მივიღებდი, მათთან ერთად ვიხალისებდი.

— თოვლის ბაბუს წერილი რომ მისწერო, როგორ ფიქრობ, ამ ოცნებას არ შეგისრულებს?

— შენ გგონია, ისევ 5 წლის ვარ? რა, გონებაჩამორჩენილის მეტყობა რამე? დიდი ხანია, თოვლის ბაბუს არსებობაც კი დავივიწყე და მასაც არაფერი მოუტანია ჩემთვის. სხვათა შორის, მისი არსებობის არც ბავშვობაში მჯეროდა; ყოველთვის ვიცოდი, რომ მისი სახელით საჩუქრებს მამა მიკეთებდა და ბალიშის ქვეშ მამის მიღებდა, როცა მეძინა. ასე რომ, ჩემი მოტყუება მამინაც არ იყო ადვილი და ახლა — მით უმეტეს.

ქათი, 14 წლის:

— ძალიან მინდა, შალვა ნათელაშვილი მესტუმროს და ჩვენი ოჯახის მეკვლეობაც მან იკისროს.

— მინცდამინც შალვა ნათელაშვილის მეკვლეობა რად გინდა?

— სასაცილო კაცია და თუ ეს ოცნება ამიხდება, 2011 წელს სიცილ-ხარხარში გავატარებ.

ზურა, 18 წლის:

— ოჰ, შორენა ბეგაშვილს სიამოვნებით გავუმასპინძლებოდი, მის მეკვლეობაზე არ ვიტყოდი უარს. მაგარი ქალია, რა. რომ ვიცნობდე და შორენასაც მოვწონდე, მის წარსულს „დავიკიდებდი“ და ცოლად სიამოვნებით მოვიყვანდი.

— და მეკვლესგან საჩუქრად რას ისურვებდი?

— მის გულს!..

— ამ ოცნების ახდენა თოვლის ბაბუს რომ სთხოვო?

— რა, თოვლის ბაბუ მართლა ჯადოქარი კი არაა, მას მხოლოდ ისეთი საჩუქრების მოტანა შეუძლია, რაც იყიდება, შორენას გულის ყიდვას კი ნამდვილად ვერ შეძლებს.

ჩვენ გვწერენ

„ახალ წელს ჩაქოლვას გპიპირებლენ, მებრამ...“

გიორგი, 27 წლის:

„ყველა დღესასწაულზე მეტად, ახალი წელი მიყვარდა, ამ დღის დადგომას სიხარულით ველოდებოდი, მაგრამ უკვე 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალ წელთან დაკავშირებულ საშინელ მოგონებას ვემალება და ამქვეყნად აღარაფერი მიხარია... 15 წლის ვიყავი, როცა მე და ზურამ ახალი წლის ღამეს შეყვარებულების გაოცება გადავწყვიტეთ. 31 დეკემბერს ტრიალ მინდორზე, სადაც პატარა მიტოვებული ქოხი იდგა, შუშუნები ჩავარჭვეთ, ქოხი თივით ავავსეთ, იქაურობა ნაძვის ხის ტოტებით, სათამაშოებით, სანთლებით მოვრთეთ და შეყვარებულებს საღამოს 11 საათისთვის პემანი დავუნიშნეთ. გოგონებმა გვითხრეს, — ამ დროს ვინ გამოგვიშვებს და 12 საათის შემდეგ სახლიდან გამოვიპარებითო. დიდხანს ველოდით მათ გამოჩენას, მაგრამ... გადავწყვიტეთ — მე მათთან წავსულიყავი და ისინი ქოხში მომეყვანა, ამასობაში კი ზურა შუშუნებს აანთებდა, სუფრას გაშლიდა. დიდხანს დავბორიალებდი ჯერ ჩემი შეყვარებულის სახლის წინ, მერე ზურას საცოლის სახლს ვუტრიალე ქორივით, მაგრამ ვერაფერს გავხდი. დაახლოებით პირველ საათზე ხელი ჩავიქნიე — ეტყობა, სახლიდან ვერ გამოდიან-მეთქი და მეგობართან ხელცარიელი გავბრუნდი. იმ საღამოს მე და ზურა კარგად გამოვთვერით, შემდეგ კი თითები გავიჭვრით, ერთმანეთს ძმობა შევფიცეთ; როცა შეყვარებულების და ჩვენი მომავლის სადღეგრძელო შევსვით, ხელი ხელს შემოვკარით და დავიფიცეთ, რომ ცოლს ერთსა და იმავე დღეს მოვიყვანდით. უკვე გამოთენისას, რვიანების ხაზვით შინისკენ წავედით. გზად ჩვენი საცოლეების სახლები უნდა გაგვევლო და იქ ლილინ-ლილინით ჩავიარეთ... შინ შეზარხოშებული სტუმრები დამხვდნენ. ცოტა ხანი მათთან ერთად ვიჯექი, მერე კი ცუდად გავხდი და მშობლებმა საძინებლისკენ გამაქანეს... ნივილ-კივილმა გამაღვიძა. თვალები გავახილე და დედას გავცახე: რა ხდება-მეთქი? თეოს (ჩემი შეყვარებული) და ნინის (ზურას საცოლე) ვერსად პოულობენ, მთელი სოფე-

ლი აყრილიაო. ლოგინიდან წამოვხტი და ზურასთან გავიქეცი, გავაღვიძე და მერე მთელი დღე, ორივენი გიუბივით დავბოდიშთ სოფელში, მაგრამ გოგონების კვალს ვერსად მივაგენით. ნინის დედამ თვალი მოგვკრა თუ არა, ყვირილი დაიწყო: თქვენ აუბნიეთ გოგონებს გზაკვალი. გუშინ ნინის სახლიდან გაპარვა უნდოდა, მაგრამ მივუხვდი და არ გავუშვი... თქვენ გეცოდინებათ, სადაც არიანო. ვუთხარით, — გოგონებს პემანი მართლაც დავუნიშნეთ, მაგრამ არ მოსულან-თქო. დაახლოებით 5 დღის შემდეგ, თანასოფელმა კაცმა შემზარავი ამბავი შეგვატყობინა: სოფლის ბოლოს გოგონების გვამები ვიპოვეო. მთელი სოფლის მოსახლეობამ მინიშნებულ ადგილას მოიყარა თავი, სადაც შიშველი გოგონების სიგარეტი ამომწვარი გვამები ერთმანეთზე ეწყო, შორიასლოს კი პატარა შეკვრა ეგდო — ეს მათი ტანსაცმელი და შეფუთული სათამაშოები აღმოჩნდა, რომელიც სავარაუდოდ, გოგონებს ჩვენთვის მოჰქონდათ. რატომღაც, მე და ზურას ხალხმა უცნაურად დაგვიწყო ყურება, ატყდა ჩურჩული, მერე დღეს კი პოლიციამ დაგვიბარა და დაგვიკითხა. თეოს და ნინის მშობლები თურმე, ჩვენს ჩაქოლვასაც აპირებდნენ, მაგრამ ზოგიერთი ღვთისნიერი ადამიანის წყალობით, ეს ვერ მოახერხეს. კარგა ხანს სახლიდან ვერ გავდიოდით, მეგობრებმაც მიგვატოვეს — ცხადია, ეჭვი ყველას ჩვენზე ჰქონდა. ვერ ვხვდები, რატომ ეგონათ, რომ მსგავსი საზიზღრობის ჩადენა შეგვეძლო... ბოლოს, ისევ პოლიციამ გვიშველა. მათ დაადგინეს, რომ მკვლეელი ის მამაკაცი იყო, რომელმაც თეოს და ნინის ცხედრების ადგილსამყოფელი შეგვატყობინა. თურმე, მან და მისმა შეზარხოშებულმა მეგობარმა გოგონები, რომლებიც ჩვენთან შესახვედრად ლამის სირბილით მოდიოდნენ, მანქანაში ჩატენეს, შინ წაიყვანეს და რადგანაც გოგონებმა მათთან ერთად დროს ტარებაზე უარი განაცხადეს, ისინი ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ამ ამბის გამჟღავნების შეეშინდათ და დახოცეს. პოლიციისთვის თავგზარეულმა აუბნიათ, მათი გვამები ჯერ სარდაფში შეუხაზავთ, 5 დღის შემდეგ კი ტყეში, სოფლიდან მოშორებით დააფრიალეთ... მე იმის ვერ ვიცი, დეპრესიაში ვიყავი, შოკირებულს



ფსიქოლოგის დახმარება მჭირდებოდა, ჰოდა, მშობლებმა სახლი გაყიდეს და საცხოვრებლად ყველანი თბილისში გადმოვიდით. მას შემდეგ იმ სოფლის შესახებ არაფერი მსმენია და არც ის ვიცი, სად არის ზურა, როგორ ცხოვრობს... ყოველი ახალი წლის დადგომა უსიამოვნო მოგონებებს ამიშლის ხოლმე, იარა თავიდან მეხსენება და დეპრესია რამდენიმე თვის მანძილზე მიმყვება, ამიტომაც არის, რომ ეს დღესასწაული მეზიზღება..."

როსა სხვისი სოლის დაფხმძიმებაზე ფიქრობ...

გალა, 34 წლის:

„ბიძაჩემს ღორების ფერმა ჰქონდა და საახალწლოდ სოფლიდან ერთი ღორი ჩამოიყვანა. იფიქრა, — რამდენიმე დღე ბინაში მიყოლება, საშობაოდ კი დავეკლავო (ბინა გარეუბანში, კერძოდ კი ვარკეთილში აქვს). ღორი ლიფტში შეუშვა, თვითონ კი უკან მიჰყვა და ხელი ღილაკს დააჭირა. რატომღაც, კარი სულ სხვა სართულზე გაიღო, სადაც თურმე, ლიფტს ფეხმძიმე ქალბატონი და მისი ქმარი ელოდნენ. ქალს ღორის დანახვაზე ფერი ეცვალა, შეეშინდა, გული წაუვიდა, წაიქცა და ატყდა ერთი ალიაქოთი. ის კაცი ბიძაჩემს დაემუქრა: იცოდე, ჩემს ცოლს რაიმე რომ დაემართოს, ვერ გადავირჩები, ბავშვზე პასუხისმგებელიც შენ ხარო. დაბნეულმა ბიძაჩემმა უპასუხა: კი, ბატონო, თქვენი ცოლის შვილზე პასუხისმგებელი ვარ; ღმერთმა არ ქნას, მაგრამ მუცელი თუ მოეშალა, მის დაფხმძიმებაზე ვიზრუნებო... ბოლოს სიტყვის თქმა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ყბაში მუშტი მოხვდა; ისე სცემეს, ძვალი და რბილი გაუერთიანეს, ახალი წელიც დაავინწყეს, შობის დღესასწაულიც... სანყალი ღორი კი მეზობლებმა მეორე დღესვე დაკლეს და რაც მთავარია, ბიძაჩემს სხვისი ცოლის დაფხმძიმებაზე ფიქრი არ დასჭირვებია..."


„ბლენი კასი ვარ, რას მერჩით?..“

ელდარი, 52 წლის:

— წარმოშობით მცხეთიდან ვარ. ერთხელ, საახალწლოდ მამაჩემმა სოფლიდან ვაშლი ჩამოიტანა და გასაყიდად ბაზარში წაიღო. მას თურმე, ვილაც ქალი გადაეკიდა: გინდა თუ არა, ეს ჩემი ვაშლიაო.

გაკვირვებულ მამას უკითხავს: თქვენი ვაშლი საიდან არისო? — ამ რამდენიმე დღის წინ მომპარეს, იმას ჰგავს და თუ არ მომცემ, პოლიციაში გიჩივლებო. მამას უფიქრია, — ალბათ, გიყიადო და უთქვამს, — აბა, შენ იციო.

იმ ქალმა მამას მართლა უჩივლა და პატიოსანი კაცი არაფრის გამო დაიჭირეს, დაჰკითხეს. მან



პოლიციელებს მუშაობით დახეტილი ხელები უჩვენა, თან — დასძინა: გლეხი კაცი ვარ, რას მერჩით? ამ ქალს პირველად ვხედავ. თუ გინდათ, მცხეთაში ჩადით და იკითხეთ, როგორი სახელი მაქვს, მართლა ქურდი ვარ თუ არაო. მამაჩემი მალევე გამოუშვეს, მაგრამ ის ქალი არ მოეშვა — მეორე დღეს ბაზარში მისულს, თურმე ისევ გადაეკიდა: რა ვქნა, ეს ვაშლი ჩემსას ჰგავს. რადგან ნაქურდალს ვერ ვიზრუნებ, 1-2 კილო ამიწონეო. მამა გაბრაზებულია და აბეზარი მანდილოსნისთვის პირდაპირ მიუხლია: ქალბატონო, ჩემს ცოლს ძალიან ჰგავსარ და 1-2 დღე ჩემთან რომ გაატარო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებიო?.. ის ქალი ბაზრიდან ტყვიანაკრავით გაქცეულა“.

სხელი ტაფა — სახნის ქვეშ

მანანა, 42 წლის:

„ზესტაფონის რაიონიდან გახლავართ. ჩემი მეზობელი სამსახურიდან შინ რომ დაბრუნდა და არავინ მიეგება, ძალიან გაუკვირდა; მერე ცოლს გასძახა, მაგრამ არავინ უპასუხა. სამზარეულოში შევიდა — გაზზე ტაფა იდო, მასში კი ხახვი იხრავებოდა. გვიმ იფიქრა, ეტყობა, ლიანა (ცოლი)

ქვევით ჩავიდაო და საძინებელ ოთახში, ტანისამოსის გამოსაცვლელად დააპირა შესვლა. კარი გამოალო თუ არა, საცოდავს თმა ყალყზე დაუდგა, რადგან სანოლი ჰამაკივით ქანაობდა, ოთახიდან კაცისა და ქალის (რომელთაც თავზეც კი საბანი წაფარებინათ) გმინვა ისმოდა. გივი სამზარეულოში გამოვარდა და ცოტა ხანს გაშეშებული იდგა, გონს მოსვლას ცდილობდა. საცოდავმა კაცმა იფიქრა, — ცოლი მლალატობსო და მისთვის სამაგიეროს გადახდა განიზრახა, ხელი ზეთიან ტავას წამოავლო, ე.წ. „სპალნაში“ შევარდა, საბნის ქვეშ ცხელი ტაფა შეაგდო და ისე, რომ შემზარავი ყვირილისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ეზოში გავარდა. გარეთ გამოუსულმა ლიანას მოჰკრა თვალი — მისი ცოლი, მწვანე ნილებით ხელში, სახლისკენ გიჟივით გამორბოდა. გვიმ თვალეხი მოიფშენიდა. ცოლმა კივილით ჰკითხა: რა მოხდაო? გივი დაიბნა: ქალო,

სად იყავი, ან ისინი ვინ არიანო?.. როგორც გაირკვა, ლიანას ახალგატხოვილ დას და მის მეუღლეს გადაუწყვეტიათ, ახალი წელი გივის ოჯახში გაეტარებინათ, სტუმრად მისულებს კი მარტო ყოფნით უსარგებლიათ და საძინებელ ოთახში ჩაკეტულან. გივის მეუღლე ამ დროს მეზობლის ბოსტანში, მწვანე ნილების მოსათანად ყოფილა წასული...

ახალდაქორწინებულებმა პირველი ხარისხის დამწვრობა მიიღეს, განსაკუთრებით ცუდ დღეში კი სიძეკაცი იყო, რომელსაც ლამის, კაცობა დააკარგინეს. ყველას ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგატენბოდეთ“.

შალე!
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



ბიბულუსი

ბიბულუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრავნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

შემოდინოდა ჩვენში ჯალანდა...



და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
 სერებს თოვლიანს...
 ხმობდა ქათამი გურიის სოფელს, ყეფდა თოლია...
 იღვა ბერმუხა ღამისთევარი
 თოვლში ნაბდითა...
 დილით მისდევდა სერზე მწევარი
 ნაკლევს ნადირთა...
 ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით,
 გრძნეულ მარანთან...
 შემოდინოდა ჩიჩილაქებით ჩვენში ჯალანდა...

ინგოლა მარანიძე: *და ჯალანდა*

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
 არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
 1982 წელს გამოცემული
 ქართული ენის
 განმარტებითი ლექსიკონის
 ერთტომეულის მიხედვით
 შემდგენელი თეიმურ ივანიძე


კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-51

- კადონი** — ცხენების დასაბმელი.
- კაეშანი** — დარდი, სევდა, ნალექი.
- კაკვაკვი** — 1. სიცივისგან კანკალი; 2. ძაღლის ლეკვის უღონო ხმიანობა — წკაწკაკვი; 3. წეროს ძახილი.
- კავლი** — ჭარხლის, ბოლოკის ღერო.
- კავური** — ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი — ფეხის გამოდება, შუასარმა.
- კავშა** — თეთრფეხა (ცხენი).
- კავ-შამფური** — თავმოკაუჭებული გრძელი შამფური, რომლითაც თონიდან გამომცხვარ პურს იღებენ.
- კაზმი** (სპეც.) — მადნის, ნახშირის ნარევი, რომლისგანაც ლითონს ადნობენ.
- კაკალა** — პატარა მრგვალი პური, გამტკიცული ფეკილისა.
- კაკანა** — აკვანი ბავშვის ენაზე.
- კაკანათი** — ჩიტების საჭერი მახე.
- კაკაჩი** — კაშკაშა მთვარიანი ღამე.
- კაკაჩა** — მტაცებელი ფრინველი შვეარდნების ოჯახისა.
- კაკდი** — თოვლზე საცურაო ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია დიდი რკალები ხელის მოსაკიდად (იციან მთიულეთში).
- კაკილა** — მძივების ასხმულა.
- კაკნატელა** — იგივეა, რაც სრტილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნიკოლოზ (ნიკო) მარი



იგი გახლდათ მკვლევარი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. დაიბადა ქუთაისში 1864 წელს. მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა — ქართველი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1891 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გახლდათ. მუშაობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში. ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად, 1898 წელს ექსპედიციაში ათონის მთაზე გამგზავრა, 1902 წელს კი ივანე ჯავ-

იაფეტური ენების წრეში აფხაზურ-ადიღური, ჩაჩნური და დაღესტნური ენებიც შეიტანა და იაფეტურ დამოუკიდებელ ენათა ოჯახად მიიჩნია. მკვლევარმა ლათინური დამწერლობის საფუძვლებზე, 1-ელი აფხაზური ანბანი შექმნა, რომელმაც შემდგომ ცვლილება განიცადა, ხოლო მოგვიანებით საერთოდ გაუქმდა და შეიცვალა ქართული ანბანის საფუძველზე შექმნილი აფხაზური დამწერლობით... მარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური ფილოლოგიის განვითარებაშიც. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. 1921 წელს პეტროგრადში დააარსა „იაფეტიდოლ-

„ქართული ენით ნებისმიერი აზრის გადმოცემა შეიძლება და იგი ბევრ განვითარებულ, ევროპულ ენას არ ჩამორჩება“...

ახიშვილთან ერთად — სინის მთაზე. იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. მარი იკვლევდა სომხურ ენას, ქართულს და მის ნათესაობას სხვა ენებთან. ნამოყვანა ჰიპოთეზა, რომ ქართული სემიტურ ენებს ენათესაება და ქართველურ ენებს იაფეტური ენები უწოდა... მთის კავკასიური ენათა შესწავლის შედეგად, მან

ოგიური ინსტიტუტი“. დიდი აზგი დასდო ქართული სასულიერო და საერო მწერლობისა და კულტურის საკითხების შესწავლას. მანვე საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას; განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხების, რუსთაველის იდეოლოგიისა და მი-

სი ეპოქის შესწავლას; დიდა მარის დამსახურება საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაშიც. მას ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოცემული „საქართველოს ისტორია“. მარის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს არქეოლოგიასაც. მის მიერ ჩატარებულ გათხრებს ანისში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების სომხური ქალაქებისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის...

ღვანულმოსილი მეცნიერი გარდაიცვალა 1934 წელს ლენინგრადში (ახლანდელ სანქტ-პეტერბურგში).



ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი



ქალაქი ანისის გათხრები ნიკო მარის ხელმძღვანელობით, 1905 წელი



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი ნი. „ზზა“ №48-51

თად გავაკეთოთ...

— მაგრამ საქმე ისაა, რომ ფული კიდევ მჭირდება და სად ვიშოვო, არ ვიცი... ერთი ნათესავიც რომ არ გეყოლება ამხელა ქალაქში, სირცხვილი არ არის?

— ეჰ, ნათესავი საიდან გეყოლება? დედაშენი უმამოდ გაიზარდა, ბებიაშენმა მთელი ახალგაზრდობა მის აღზრდას შეაღია. სანყალი, კარგი ქალი იყო. ნადინკას კი ცხოვრება აერია და ვერ გაიხარა... ჰოდა, ამიტომაც არ გყავს ნათესავები.

— ვეროჩკა, ხომ იცი, ადამიანი უიღბლო რომ დაიბადება, მისი ცხოვრება ბოლომდე ასე გაგრძელდება...

— ნუ წუნუნებ, ყველაფერი კარგად იქნება; აი, ნახავ თუ არა...

— ეჰ, — ამოვიოხრე და ხელი ჩავიქინე.

— განცხადება გააკეთე სადმე, ბინის გაქირავებაზე, იქნებ გამოჩნდეს მსურველი, ფულიც წინანსნარ მოგცეს, შენ კი იმ თანხით რემონტსაც გააკეთებ და ავეჯსაც იყიდი... მგონი, ცუდი აზრი არ არის...

— სად შეიძლება განცხადების გაკეთება?

— სპეციალურ გაზეთებში ან ყიდვა-გაყიდვისა და გაქირავების ოფისში.

— ხვალეიდან ვიზრუნებ მაგაზეც. დღეს კი ფეხით გავივლი, ქალაქს დავატოვებ...

ვეროჩკას მაღლობა გადავუხადე და შინ გავედი. ერთი ხელი გამოსაცვლელი ტანისამოსიც კი არ მქონდა, რომ ეს მტვრიანი შარვალი გამეხადა და სუფთა ჩამეცვა. ამიტომ, ტანისამოსიდან მტვერი სველი ხელით ჩამოვიწმინდე და სახლიდან ისე გავედი.

კარგა ხანს ვიხეტივალე და შინ დაბრუნებულს სიურპრიზი დამხვდა.

კართან, კიბის ბოლო საფეხურზე, სანდრო ჩამომჯდარიყო და მელოდა.

არაფერი მითქვამს, კარი გავაღე და შინ უსიტყვოდ შევედი. მივხვდი, უკან მომყვებოდა, მაგრამ არ გამიპროტესტებია. სანდრო მჭირდებოდა და მისი გაგდება არ შეიძლებოდა.

— მარგო, — შიგნით შემოსული, კართან შეჩერდა და დამიძახა.

მივხვდი, ნებართვას მთხოვდა, რომ კარი მიეხურა და თვითონ შიგნით დარჩენილიყო.

მივხედე და ხელი ჩავიქინე, რითაც ვანიშნე, რაც გინდა, ის ქენიმეთქი.

მაშინვე დაფაცურდა, კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა და ჩემ წინ აისვენა.

— იმედია, გონს მოეგე და აღარ გამაგდებ, — ხელი ხელზე შემავლო.

მეგონა, ბაყაყი ან გველი შემეხომეთქი, სწრაფი მოძრაობით მოვიშორე მისი ხელი.

— მოკარება არ გაბედო, — გამოვცერი კბილებში.

— კარგი, ბოდიშს გიხდი, — რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— ფული მჭირდება, თანაც, სასწრაფოდ, — კატეგორიული ტონი მქონდა.

— რემონტის დაწყებას აპირებ? — თვალი ოთახის შუაგულში დალაგებულ ყუთებს მოავლო.

— ჰო, ბინა უნდა გავარემონტო და გავაქირაო.

— მერე რას აპირებ?

— მერე უკვე შენი საქმე არ არის, რას გავაკეთებ.

— საქართველოში დაბრუნებას გეგმავ?

— შენი საქმე არაა-მეთქი.

— კარგი, გასაგებია. რამდენი გჭირდება?

— ჯერჯერობით 2-3 ათასი დოლარი... მერე ვნახოთ...

— მაგ თანხის მოცემა შემიძლია, მაგრამ...

— სანდრო, მომისმინე, არავითარი — მაგრამ... ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა მომცე ეგ თანხა... დაბრუნებას არ ვაპირებ და იმედია, არც მომთხოვ... ცოტა ხანში კი ალბათ ისევ დამჭირდება ფული და ისევ შეგანუხებ...

— ჰო, შემანუხე, — უცნაურად ჩაიცინა, რაც არ მომეწონა.

— თავს ვალდებულად არ მიიჩნევ, რომ იმ წლების გარკვეული კომპენსაცია თანხით მაინც მოახდინო? ციხეში ხომ შენი წყალობით მოვხვდი...



— 3.000 დოლარს მიიღებ, უარს არ გეუბნები...

— როდის?

— 1 კვირაში.

— ხვალ! ხვალ მჭირდება ფული. იმოვე და მომიტანე, დრო არ ითმენს, ისედაც ბევრი გავაცდინე ფუჭად...

— ვეცდები. მარგო... — მივხვდი, სხვა თემაზე აპირებდა საუბრის წამოწყებას.

— იცი, რა მაინტერესებს? დავუშვათ, სინდისმა შეგანწუხა და ციხიდან ვადაზე ადრე გამათავისუფლე... აქ რატომ მოხვედი? ჯერ იყო და, გუშინ დამადექი თავზე და გაგაგდე, დღეს ისევ მოხვედი. ნუთუ ასე, წინ და უკან, ბოდიშის სათქმელად დადიხარ?

— არა, ვიფიქრე, რომ გუშინდელი საქციელი შენი პირველი რეაქციის შედეგი იყო და დღეს უფრო თბილად შემხვდებოდი. თუმცა, იმის ილუზია არ მქონია, რომ მკლავებში ჩამივარდებოდი. ხომ ხედავ, მართალი აღმოვჩნდი — გუშინდელივით აღარ ჩხუბობ.

— შენ გგონია, დღეს თუ არ გაგაგდე, გული მომიღბა? — გადავიხარხარე. — არა, ჩემო კარგო, გუშინ რომ წახვედი, მერე გამახსენდა, რომ უფულოდ ვიყავი და ჩემი საქციელი მხოლოდ ამიტომ ვინანე.

— ისევ ისეთი პირდაპირი ხარ, ვერც ციხემ გასწავლა თამაში და მლიქვნელური საუბარი.

— ციხემ სისასტიკე და დაუნდობლობა მასწავლა... ადრე პირდაპირი ვიყავი, მხოლოდ სათქმელს ვახლიდი პირში ადამიანს, ახლა კი სამაგიეროს გადახდაც ვისწავლე, ვიცი, რომ არ უნდა დავინდო ის, ვინც თვითონ არ მინდობს. თუ საჭიროა, ყელში უნდა ვწვდე და კბილებით ხორხი ამოვაგლიჯო!..

— ამას მე რატომ მეუბნები? მაფრთხილებ?

— როგორც გინდა, ისე გაიგე. ახლა კი წადი, შენი ყურება აღარ შემიძლია. ფულს კი ხვალ დილით, 12 საათამდე ველოდები. მე შენ გეტყვი და, სესხება დაგჭირდება? იმედია, შენი სიმამრი ისევ ისეთი „მელესია“ და შენც ძველებურად „ანვები“ ბიზნესს. ალბათ ხვდები, რომ შენი გატყავება არ მაქვს მიზნად. ასე რომ იყოს, გაცილებით მეტ თანხას მოვითხოვდი. უბრალოდ, მართლა ძალიან მჭირდება ფული და როცა დამჭირდება, ყოველთვის

შენ მოგაკითხავ, სანამ თვითონ შევძლებ თავის შენახვას.

— მარგო, — ხმა უჩვეულოდ დაუთბა და მივხვდი, საუბრის სხვა კალაპოტში გადაყვანას აპირებდა. — წადი! — მოკლედ ვთქვი და ზურგი შევქატიე.

უსიტყვოდ წავიდა. დარწმუნებულ ვიყავი, ხვალ ისევ მოვიდოდა და იმედი ექნებოდა, რომ მესამე შეხვედრა გაცილებით თბილი და ხანგრძლივი გამოგვივიდოდა. ის კი არ იცოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში მისთვის ადგილი აღარ იყო დარჩენილი და რაც უნდა გაეკეთებინა, თავის დანაშაულს ვერაფრით გამოისყიდდა.

ზიზლი, რომელიც მის მიმართ წლების განმავლობაში დაგროვდა, კიბოსავით იყო მოდებულ სხეულში და დროდადრო საშინელი ტკივილით მახსენებდა თავს. არ შეიძლებოდა, მისი ორგანიზმიდან ამოძირკვა. თანაც, სიყვარულის სიძულვილში გადაზრდა იოლია, პირიქით კი — თითქმის შეუძლებელი.

როგორც იქნა, ქორწილის დღეც დადგა, რომელსაც ასე ველოდი. ლალიმ საგანგებოდ ამ დღისთვის კაბა შემიძინა. გულდამძიმებული ვიყავი, რადგან ჩემი საყვარელი მამაკაცი ქორწინდებოდა და ვიცოდი, რომ იმ დღეს საბოლოოდ ვკარგავდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ქორწილში წასვლაზე უარს ვერ ვიტყვოდი. მე და ლალი მძლოლმა ქორწინების სახლთან მიგვიყვანა, სადაც ნეფე-პატარძალს ველოდით.

— ცხვირი ნუ გაქვს ჩამოშვებული, თითქოს ქორწილში კი არა, პანაშვიდზე იყო მოსული, გაიმართე, — ლალიმ ხელი ზურგზე მსუბუქად წამომარტყა.

დავაფიქსირე, რომ ლალის წელში ოთხად მოხრილი ვიდექი. მაშინვე გავიმართე და ყელი მოვიღერე. საკუთარ თავს კი დათოს სიყვარული ავუკრძალე.

„ჯერ ბავშვი ხარ, ცხოვრების გზაზე იმდენი მამაკაცი გადაგყრება, რომ თვლა არ ექნება, დათოთი არ დაწყებულა ცხოვრება და არც დამთავრდება“, — ჩემთვის ვბუტბუტებდი, როცა საქორწილო ესკორტი გამოჩნდა და გულმა ისე დაიწყო ძგერა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა.

წყვილი შენობაში შევიდა, ჩვენც მათ მაყარს მივყვით. დარბაზში რომ შევაბიჯე, დიანას ქორწილის ჩაშლის სცენა გამახსენდა.

„ბედი უნდა ყველაფერს, 3 კვირის წინ ეს გოგო აქ, ამ დარბაზში სხვაზე ქორწინდებოდა, სხვანიერი კაბა ეცვა, ვარცხნილობაც სხვანიერი ჰქონდა, ახლა კი ჩემი წყალობით იმ მამაკაცზე თხოვდება, ვინც მართლა უყვარს... ნეტავ, ის ქალი თუ იცნობს პატარძალს, ვინც ახლა საქორწილო ცერემონიას ჩაატარებს?“ — წარმოვიდგინე იმ ქალის გაფართოებული თვალები და გამეცინა.

— რა გაცილებს? — ვილაცხა უკნიდან წამომდგომოდა და ყურში ჩამჩურჩულა. თან ორივე ხელი წელზე შემომხვია.

ასე მოქცევა მხოლოდ დათოს შეეძლო, ის კი პატარძალთან ერთად იდგა და ცერემონიის დაწყებას ელოდა. სხვა ვინ უნდა ყოფილიყო? მკვეთრად შევბრუნდი, რომ თავხედისთვის ჭკუა მესწავლებინა, მაგრამ ადგილზე გავშემდი.

— დათო?! — აღმომხდა უზომოდ გაოცებულს და მზერა პატარძლის გვერდით მდგარ მამაკაცზე გადავიტანე. არა, დათო იქ იყო, თვალი არ მატყუებდა, დათო პატარძლის გვერდით იდგა და სახეზე ბედნიერი ღიმილი ეფინა.

ისევ მოვიხედე, მაგრამ დათოს ორეული იქ აღარ დამხვდა. გამქრალიყო. მეგონა, რომ ნერვიულობის ნიადაგზე მოჩვენებები დამენწყო. ვერც ლალის მოკვარი თვალი, ხალხს გადავხედე და მოშორებით შევნიშნე — შუახნის ქალს ელაპარაკებოდა.

მისკენ გავემართე, მინდოდა, განზე გამეყვანა და მომხდარის შესახებ მომეყოლა. ამასობაში წინ გადავინაცვლე და დავინახე, რომ პატარძლის გვერდით 2 დათო იდგა.

დავრწმუნდი, რომ ორიოდე წუთის წინ არაფერი მომჩვენებია და ჩემ უკან ნამდვილად იდგა ადამი-





ანი, რომელიც დათოს ძალიან ჰგავდა. ამ ამბავს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლებოდა ჰქონოდა — დათოს ტყუპისცალი ჰყავდა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ახლა უკვე დათოს უცნაურ საქციელსა და გაორებასაც მოვუძებნე ახსნა.

მამასადამე, როგორც ჩანს, მე ორ, გარეგნობით ერთნაირ მამაკაცთან ვურთიერთობდი და ერთსა და იმავე ადამიანად აღვიქვამდი. თუმცა, არც არავის უთქვამს ჩემთვის, რომ ისინი ორნი იყვნენ.

„აი, თურმე რატომ მითხრა დათომ... არა, დათომ — არა... მაგრამ იმას, მეორეს რა ჰქვია, რომ არ ვიცი? აი, თურმე რატომ მითხრა იმ მეორემ, ქორწილამდეო. ქორწილში გავიგებდი, რომ ის დათო არ იყო, რასაც ასე დაჟინებით მიმეორებდა იმ საღამოს“.

ეს სიახლე ჯერ გამიხარდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ჩემი საყვარელი მამაკაცი სულაც არ ქორწინდებოდა და კიდევ მქონდა შანსი, რომ დამესაკუთრებინა, მაგრამ მერე გავბრაზდი. დარბაზიდან შეუმჩნევლად გამოვედი და ლალის მძღოლს ვთხოვე, შინ წავეყვანე. ლალისთვის კი, თუ მომიკითხავდა, გადაეცა, რომ შეუძლოდ გავხდი და ქორწილი იმიტომ დავტოვე.

შინ მისულმა ტანისამოსი მაშინვე გავიხადე და პროტესტის ნიშნად, ვარცხნილობაც დავიშალე. დივანზე დავწექი, პლედი გადავიფარე და ჭერს მივაშტერდი.

სიხარული, წყენა, სიამოვნება, ბრაზი და კიდევ რაღაც გაურკვეველი ემოციები ერთმანეთში ირეოდა და ვერც ვტიროდი, ვერც ვიცინოდი. სახეზე გაურკვეველი ემოცია მენერა.

„მე რომელი მიყვარს ნეტავ? დათო 2! დანამდვილებით ვიცი, რომ ის დათო მიყვარდა, რომელიც ჩემ მამართ სითბოს ამჟღავნებდა. თუმცა, ერთი მათგანი — ის, ვისაც დღეს ქორწილი ჰქონდა, უფრო „ადამიანურ სითბოს“ ამჟღავნებდა, მეორე კი — „მამაკაცურ სითბოს“. სითბო ამ 2 კატეგორიად მაშინ დავყავი, როცა დათოს გაორებას ახსნას ვერ უძებნიდი.

ახლა, დივანზე წამოწოლილი მივხვდი, რომ მე ის დათო მიყვარდა, რომელიც ჩემ მიმართ „მამაკაცურ სითბოს“ ავლენდა, მეორეს კი რაღაც ნაირად, ვერ ვიტანდი. ერთი ჩემი იყო, მეორე — სხვისი, ერთის დანახვა მიხაროდა, მეორის — არა. ოთახში შემოვიდოდა თუ არა, მაშინვე ვხვდებოდი, როგორი განწყობილება ჰქონდა. კითხვა მაინც უამრავი მქონდა

და უკვე ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, პასუხებსაც მივიღებდი.

„დაბრუნდება ლალი ქორწილიდან და ყველაფერს დანვრილებით გამოვკითხავ. არ მინტერესებს, დალლილი იქნება თუ არა, დავსვამ და სანამ ყველა კითხვაზე პასუხს არ მივიღებ, არ მოვეშვები“, — ჩემ თავს პირობა მივეცი, რომ ნამდვილად ასე მოვიქცეოდი და ცოტა ვინანე კიდევ, რომ ავჩქარდი და ქორწილიდან წამოვედი. ახლა უკან მიბრუნება არ ღირდა და ვერც მოვახერხებდი, რადგან თბილისში დამოუკიდებლად სიარული მიჭირდა — გზები არ ვიცოდი. ტაქსის ფული კი არ მქონდა და თანაც, მახსოვდა, რომ საკმაო მანძილი იყო ლალის სახლიდან ქორწინების სახლამდე და ფეხით მისი გავლა არ ღირდა.

მისაღებ ოთახში, ყურნალების მაგიდას სუფრა გადავაფარე. რაც კი მაცივარში საჭმელი იყო, ყველაფერი თევშებზე დავაღაგე და მაგიდაზე დავანყვე, თაროდან კონიაკით სავსე ბოთლი და ჭიქა ჩამოვიღე და სუფრას მარტო მივუჯექი. გადავწყვიტე, მარტო „მექეიფა“ და სიძე-პატარძლის სადღეგრძელოც შემესვა.

ჩართული ტელევიზორი სიმართლის შეგრძნებას მიკარგავდა. ხმას აუშნიე და პირველი ჭიქა შევაგსე.

სადღეგრძელო ხმამალა წარმოვთქვი. ისე ვლაპარაკობდი, თითქოს სიძე-პატარძალი იქვე იყო და ვლოცავდი. ჭიქა ერთბაშად გამოვცალე. ჯერ კი დავიჭყანე, რადგან მემწარა, მაგრამ მერე სასმელმა სასიამოვნოდ დამიარა ძარღვებში... მომენონა... ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ალკოჰოლს გავუთამამდი. დედაჩემისა და მამინაცვლის შემყურეს, ალკოჰოლი მძულდა და მეგონა, თუ ერთხელ დავლევდი, მერე მეც გავლოთდებოდი. იმიტომ, საკუთარი თავისთვის პირობა მქონდა მიცემული, რომ სასმელს ახლოსაც არ გავკარებოდი და სუნიც კი არ შემეგრძნო, მაგრამ ახლა ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ ეს პირობა დავარღვიე, თუმცა ახალი დავდე — არავითარ შემთხვევაში სხვა დროს აღარ დავლევდი. მეორე ჭიქა რომ გამოვცალე, აღარ დავჭყანულვარ. კონიაკი არც ისე მემწარა. ცოტა ხანში მესამე მივავლოე და ვიგრძენი, რომ უკვე მომეკიდა. ალკოჰოლს მიუჩვეველმა ორგანიზმმა კონიაკის თითოეული წვეთი შეიწოვა, სხეულში გამიჯდა და მეჩვენებოდა, რომ ყოველ უჯრედში „მიღიტინებდა“... სხეული დამიბუჟდა და ისეთი სა-

სიამოვნო შეგრძნება დამეუფლა, თითქოს აფრენას ვაპირებდი. თავს მსუბუქად ვგრძნობდი, მეგონა, ჰაერში ავინეოდი და შეიძლებოდა, წონასწორობა ვერ შემენარჩუნებინა და მიწას დავნარცხებოდი. ამიტომ, საკუთარ თავს შთავაგონებდი, რომ ახლა „აფრენა“ არ შეიძლებოდა და დივანს მთელი ძალით ვებლაუჭებოდი. ასეთ სასაცილო სიტუაციაში ვიყავი, როცა ოთახში ნაცნობი სილუეტი დავლანდე...

თვალები მოვჭყუე, რომ „ფოკუსი“ გამესწორებინა.

— ვა, დათო? ქორწილი დამთავრდა? — ხელები ავნიე, მისალმების ნიშნად, მაგრამ გამახსენდა, რომ „აფრენის“ სამშრობო მელოდა და დივანს ისევ სასწრაფოდ ჩავებლაუჭე.

— მთვრალი ხარ? — მამაკაცმა კონიაკის ბოთლი აიღო და გახედა. — ეს ბოთლი შენ გამოცალე? თუ ისედაც ნაკლული იყო?

— არ იყო ნაკლული, სავსე იყო, მე გავხსენი, მაგრამ 3 ჭიქაზე მეტი არ დამილევია, — ძლივს ამოვიღულულე.

— მარგო, გაგიჟდი?

— მომეცი ბოთლი, უნდა დავასხა,

— ხელი გავინოდე.

— არა! — ბოთლი ზურგს უკან დამალა.

— მომეცი, ორივე ხელი გავუნოდე და სწრაფი მოძრაობით, დივანს ჩავაფრინდი.

— რა გჭირს? დივანს რატომ ებლაუჭები, ეცემი? — ბოთლი მაგიდაზე დააბრუნა და ახლოს მოვიდა.

— არა, კი არ ვეცემი, მეშინია, არ ავფრინდე, ხელს რომ ვუშვებ, აზოტით გაბერილი ბუშტივით ზევით მივფრინავ, — ძალიან სერიოზული გამომეჩყველება მქონდა, როცა ამას ვამბობდი, რადგან ჩემი ნათქვამის მყარად მჯეროდა.

ფეხზე ავდექი, რომ დამემტკიცებინა, რასაც ვამბობდი. ხელები გავშალე და დაველოდე, ჰაერში როდის ავინეოდი, მაგრამ იატაკს ვერ მოვწყვი. ამან გამანაწყენა, ხელები ჩამოვუშვი და დაჯდომა დავაპირე, მაგრამ თავბრუ დამეხვა, წონასწორობა ვერ შევიწარმინე და აფრენის ნაცვლად იატაკზე აღმოვჩნდებოდი, მამაკაცს ხელი რომ არ შეეშველებინა. გულისრევის შეგრძნება დამეუფლა.

სტუმარმა სააბაზანოსკენ ძალით წამათრია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფეხები არ შემორჩილებოდა, მაინც წინააღმდეგობას ვუწევდი და არ მივყვებოდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

ოთარ ჯილაძე (ნაწყობი რომანიდან)

უხეირო

დრო გადიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ, უხეირო კი ქარგავდა. სანოლზე წამომჯდარი, ზურგით კედელს მიჰყუდებოდა, ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაეფარებინა და ზედ ფერადი ძაფებით თავისი მშფოთვარე ცხოვრების ამბავი გამოჰყავდა. ქარგვა იმ დღიდან დაიწყო, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ველარასოდეს წამოდგებოდა, მიწაზე ფეხს ვეღარ დააბიჯებდა, რადგან საომარი ეტლის ბორბლებით დამსხვრეულ ძვლებს ვერც ერთმა მკურნალმა ვერ მოუყარა თავი, ვერ შეაკონინა, რათა ისევ შესძლებოდათ უხეიროს უზარმაზარი სხეულის ზიდვა. როგორი ძნელიც უნდა ყოფილიყო, უხეირო ბედს უნდა შეჰგუებოდა. ისიც შეეგუა. მეომრის წლობით ნაწრთობი ნებისყოფა ავადმყოფობაში გამოადგა. მისთვის ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ ახლა სიკვდილისთვის უნდა დაეცადა. ეს კი არც ისე იოლი საქმე იყო. როდის მოიცლიდა სიკვდილი მისთვის, ოთხ კედელში გამოკეტილი საპყრისთვის, როცა ქვეყნად ამდენი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი და მეომარი დადიოდა... სიკვდილსაც დრო სჭირდებოდა. დრო კი როგორმე უნდა გაეყვანა უხეიროს, უსაქმობისგან აწრიალებული ხელები ყელში რომ არ წაეჭირა. ქარგვამ გულზე დაგროვილი ბოღმა და ნაღველი ცოტათი გადაჰყარა, გაუბიაბურა; სამაგიეროდ ფიქრს მიაჩვია, თვალი გულში ჩაუბრუნა და სინანულის ბრწყალი ისე მწარედ გაჰკრა, მუშაობით გართულს, უცებ ხელი გაუშეშდებოდა ხოლმე, თვალებს ჭერს მიაპყრობდა და კარგა ხანს იყო ასე გაშტერებული, სანამ მკაცრად მოკუმულ ტუჩებზე გესლიანი ღიმილი წელმონწყვეტილი გველივით არ გადაახოხდებოდა. ეგ იყო და ეგ. მერე სახეზე ხელს ჩამოსვამდა, თითქოს გესლიან ღიმილს მოიხოცავდა და ისევ საქარგავს მიუბრუნდებოდა.


რაც დრო გადიოდა, რაც უფრო იზრდებოდა სტრიქონთა რაოდენობა ტილოს ხორკლიან ზედაპირზე, მით უფრო ნათელი ხდებოდა უხეიროსთვის განვლილი ცხოვრების უაზრობა. ყოველი დღე ერთნაირად

ინწყებოდა, ერთნაირი თავგადასავლებით იტვირთებოდა და ერთნაირად მთავრდებოდა. ხალხიც თითქოს ყოველთვის ერთი და იგივე იყო, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, რადგან ერთნაირად კვდებოდნენ: უკანასკნელი, უთქმელი სიტყვა ყველას სისხლად და დორბლად ამოსდიოდა პირიდან, ზუსტად იმ პირველი ადამიანივით, თივით გატე-



ნილ ტიკინაზე ხელგანაფულმა უხეირომ შუბი რომ აძგერა. მასაც რაცადის თქმა უნდოდა, თვალებს საცოდავად აცეცებდა, მაგრამ მობოშებული პირიდან სიტყვის ნაცვლად შავი სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეირომ იმდენი კაცი განგმირა თავისი უტყუარი შუბით, სხვას ანგარიში აერეოდა. უხეიროს კი ყველანი ახსოვდა, მიუხედავად მათი საოცარი მსგავსებისა. ესეც მერე შეამჩნია, როცა დამსხვრეულ ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაიფარა და სამუდამოდ შეეგუა ბედს. ქარგვაც ამიტომ დაიწყო, გვამებით გავსებულმა მახსოვრობამ შეანუხა. ახლა სიკვდილამდე როგორმე უნდა მოესწრო ამ გვამების გამოზიდვა და მოვლა-პატრონობა. რაკი მოკვლა აღარ შეეძლო, ადრე მოკლულები უნდა გაეპატიოსნებინა, დაემარხა, დაეხინავებინა. საამისოდ ვარგადა მხოლოდ. ისიც დროს არ კარგავდა, დილამდე ვერავინ შეუბერავდა სულს ზეთის ჭრაქში აპარპალებულ ალს, ამოდ რომ იხვენებოდა: ჩამაქრეთ, დავიქანცყო. უხეირო თავს არ იზოგავდა, სანამ თვალები არ აუცრემლიანდებოდა, სანამ ზურგი არ დაუნწყებდა ტეხას,

გაშმაგებული თხრიდა საფლავს აფრისხელა ტილოზე, რათა კიდევ ერთი მისგან მოკლული კაცი მიეზარებინა მინისთვის, გათავისუფლებულიყო მისგან. ფერადი ძაფებით მოქარგული სასაფლაო თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე იყო დასამარხი. „რამდენი მიცოცხლიაო“, — თვითონვე გაუკვირდებოდა ხოლმე. მართლაც, ყველა შემთხვევა თუ ამბავი, თითქმის უმნიშვნელო, იმდენ მოგონებას მოიყოლებდა თან, უხეირო ღარიბი დიასახლისივით აწრიალებებოდა ხოლმე, აღარ იცოდა, სად დაეხინავებინა ამდენი მოულოდნელი სტუმარი. უძლურებამ უხეირო დააბრძენა კიდევ. წინა დღის ამოქარგულ წარწერებს რომ მოიკითხავდა, თვითონვე უკვირდა. „დავეცი და დავინახეო“, — შავი ძაფით ამოქარგა ერთ ადგილას უხეიროს და მართალიც იყო. ნაქცეულს შეეძლო დაეინახა ის, რაზედაც ფეხზე მდგარი დაუდევრად მიაბიჯებდა. მაშინ თვითონ ვერ ხედავდა, ვერაფერს ხედავდა, გარდა იმ ადგილისა, სადაც შუბი უნდა ეტგებინა. ვერ ხედავდა, რადგან სხვები ხედავდნენ მას და გაურბოდნენ, ანდა ეგონათ, რომ გაექცეოდნენ, აიცდენდნენ მის უტყუარ შუბს. ასე გასულიყო დრო. შუბის წვერზე წამოდებული ქსოვილივით ჩამორღვეულიყო და გაეშეშვებინა ქვეყანა, საკუთარ ქორწილში დაქვრივებული ქალივით სახტად დაეტოვებინა, თვითონ კი მომკვდარიყო. იქნებ ყოველივე დამესიზმრაო, — ფიქრობდა ზოგჯერ უხეირო, იქნებ ნამდვილად არც კი არსებობდა ის დრო, რომლის ფერფლსაც ის ახლა აფრისხელა ტილოზე აგროვებდა, მაგრამ როგორც კი თავის ლაპლაპა შუბს თვალს შეავლებდა, იმწამსვე ყველაფერს ცხადად დაინახავდა ხოლმე. შუბი კი მართლაც განსაკუთრებული ჰქონდა, ტანმძიმე და თავმსუბუქი, როგორიც თვითონ იყო. შუბს წარწერაც ამშვენებდა. უხეიროს ნატრებახებაც უყვარდა: მთელ ქვეყანაზე ორად ორი შუბია ასეთი წარწერიანი და ერთი მე მეკუთვინისო. „ჩემმა პატრონმა მძლია, მაგრამ მის ხელში უძლეველი გავხდიო“, — ეწერა უხეიროს შუბზე.



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე
დასაწყისი იხ. „გზა“ №51

— დიდი ხანია, რაც პირად მცველად მუშაობთ? — ცოტა შორიდან დაიწყო გოგიჩაიშვილთან საუბარი ორდენიძემ.
— ხიმშიაშვილთან ერთი წელია ვმუშაობ, მანამდე კი სახელმწიფო დაცვის სამსახურში ვიყავი.
— რატომ გამოგიშვეს?
— არ გამოვეუშვივართ, საკუთარი განცხადებით წამოვედი. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ.
— რა თქმა უნდა, გადავამოწმებთ, — თვალი თვალში გაუყარა გამოძიებელმა პირად მცველს, — თუმცა თქვენი ნათქვამიდან იმ დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება, რომ გამოცდილება არ გაკლიათ.
— დიახ, ასეა, — მშვიდად მიუგო გოგიჩაიშვილმა.
— როგორ მოხდა, რომ ასეთი გამოცდილების მქონე კაცმა საკუთარი დაცვის ობიექტი მარტო დატოვეთ?
— კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უსაფრთხოების დაცვასთან ერთად, მისი ბრძანებების შესრულებაც მევალება. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ხიმშიაშვილმა გასცა ასეთი ბრძანება.
— ანუ?
— ანუ გაუჩინარების წინა საღამოს გამომიცხადა, რომ ხვალ დილიდან საღამოს 8 საათამდე თავისუფალი ხარო.
— ესე იგი, თვითონ დაგიტხოვათ, ხომ? — მაინც ჩაეძია ორდენიძე.

— რა თქმა უნდა, — კვლავ მშვიდად უპასუხა გოგიჩაიშვილმა.
— ვინმეს თუ შეუძლია ამის დადასტურება?
— დადასტურება? — წამით ჩაფიქრდა პირადი მცველი და შემდეგ დაუმატა: — ბატონმა არონმა ამის შესახებ მობილური ტელეფონით შემატყობინა. ასე რომ, შეგიძლიათ, სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ნახოთ.
— რა თქმა უნდა, ვნახავთ, — თვალეზი მონკურა გამოძიებელმა და გოგიჩაიშვილს გამომცდელად დააკვირდა, მაგრამ ამ უკანასკნელს წარბიც არ შეუხრია.
„მაგარი გამოჯაგული ვინმეა, — გაიფიქრა ორდენიძემ, — მაგრამ ამაზე უფრო გამოცდილებიც გამიტეხავს. ვნახოთ, ეს რამდენ ხანს გამიძლებს“.
— გამოდის, რომ თავისუფალი დრო გამოგჩენიათ... — ისევ შორიდან მოუარა.
— დიახ, არცთუ ისე ხშირად ხდებია.
— სად გაატარეთ ეს დღე, ალბათ, საკუთარ ოჯახში, ხომ? და ამას თქვენი ახლობლებიც დაგვიდასტურებენ...
— ვერ დაგიდასტურებენ, რადგან ის დღე ოჯახში კი არა, სატრენაჟორო დარბაზში გავატარე.
— დარბაზში?
— დიახ, ასეთი წესი მაქვს: სამუშაოდან თავისუფალ წუთსაც კი ისევ საქმის სასარგებლოდ ვხარჯავ და ფორმის შენარჩუნებას ვცდილობ...
— სატრენაჟორო დარბაზში ხომ მაინც გნახავდათ ვინმე?
— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, იკითხოთ, მთელი დღე იქ ვიყავი.
„მაშ ასე, — გაიფიქრა ორდენიძემ და, თან, სიგარეტს მოუკიდა, — მგონი, ეს ბიჭი სიმათლეს ამბობს და სრული ალიბიც აქვს. ან არადა, ყველაფერი ძალიან გულმოდგინედ აქვს გათვლილ-გაანგარიშებული. მოკლედ, მართლა ყველაფრის გადაამოწმება მომიწევს“...
— ხიმშიაშვილი რას საქმიანობდა?
— კლიენტის კონკრეტული საქმიანობით დაინტერესებაზე საუბრის უფლება არ მაქვს.

— აბა, განცხადებაში რომ წერთ, ანტიკვარი იყოო?
— ბატონ არონს თავის საქმიანობაზე ლაპარაკი არ უყვარდა. ამას თვითონ მივხვდი.
— სტუმრად სიარული თუ უყვარდა?
— არა. დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდა, გარეთ კი ძალიან იშვიათად და ძირითადად, რომელიმე რესტორანში, საქმიან შეხვედრებზე დასასწრებად თუ გადიოდა. ჰო, მართლა, კიდევ თავის მკურნალ ექიმთან, პროცედურებზეც დამყავდა.
— სერიოზულად ავადმყოფობდა?
— არა. თუმცა კაცი რომ სამოცდაათს გადასცილდები და დილით გაღვიძებულს არაფერი გეტყვინება, ღმერთს მადლობა უნდა შესწირო...
„საკმაოდ ენამოსწრებულიცაა“, — გოგიჩაიშვილის კიდევ ერთ თვისებას გაუსვა ფიქრში ხაზი გამოძიებელმა.
— სამართალდამცავებს რატომ მიმართეთ, ხიმშიაშვილს ახლობლები არ ჰყავს?
— საქართველოში აღარავინ ჰყავს. ცოლი გარდაეცვალა, ერთადერთი შვილი კი ისრაელში ცხოვრობს.
— ესე იგი, სასწრაფოდ უნდა შევატყობინოთ მამის გაუჩინარების შესახებ.
— უკვე შევატყობინე.
— თქვენი კლიენტის ნაცნობებმეგობრების შესახებაც არაფერი იცით?
— როგორ არა, ზოგ მათგანს პირადადაც კი ვიცნობ.
გოგიჩაიშვილის მიერ დასახელებული რამდენიმე ადამიანის გვარი გამოძიებელმა უბის წიგნაკში ჩაინახა.
— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ერთი ეს მითხარით, საიდან დაასკვნით, რომ ხიმშიაშვილი დაკარგულია? იქნებ, უბრალოდ სახლშია ჩაკეტილი და არავის ნახვა აღარ უნდა. შეიძლება, ავადაა, ანდა, სულაც, ჯვარი სწერია და, მოკვდა. თქვენ, რა, მის სახლშიც იყავით?
— რა თქმა უნდა, და საკმაოდ გულდასმითაც დავათვალიერე.
— გასაღები საიდან გქონდათ?
— თავად ხიმშიაშვილმა მომცა. იმიტომ, რომ წესია ასეთი: როცა საიდანმე შინ ვბრუნდებით, კარს მე ვაღებ, პირველი შევდივარ, ყველაფერს ვათვალიერებ და ამის შემდეგ ვაძლევ კლიენტს სახლში შესვლის დასტურს.
— ანუ როცა სახლს ათვალიერებთ, თქვენი კლიენტი მანქანაში ზის?
— დიახ. უკვე გითხარით, რომ



ჩემი თანხმობის გარეშე მანქანიდან გადმოსვლის უფლება არა აქვს.

— მაგრამ ამ დროს ხომ ის მანქანაში სრულიად მარტო, დაცვის გარეშე რჩება?

— დიას, ასეა, მაგრამ ორად ვერაფრით გავიჭრები. ამიტომაც, სულ მცირე, 2 მცველის აყვანა მაინცაა საჭირო.

— მართალი ხართ, — დაუდასტურა ორდენიძემ, — რაღა დაცვაზე გაგიწევია ეკონომია და რაღა — საკუთარ ჯანმრთელობაზე.

— სხვათა შორის, ბატონ არონს ეს მეც არაერთხელ ვუთხარი.

— მერე?

— მხოლოდ მხრებს იჩქნა და — ვნახოთ, ვნახოთო, — იმეორებდა.

— გასაგებია, — წამით ჩაფიქრდა ორდენიძე, შემდეგ ფეხზე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა: — მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ თქვენს კლიენტს უბრალოდ საყვარელი ჰყავდეს და მასთან იყოს წასული?

— საყვარელი?

— ჰო, საყვარელი. ხომ იცით, ამ ასაკში მამაკაცები როგორ ცულ-ლუტდებიან.

— არა, — უარის ნიშნად თავი ჯიუტად გაიქნია პირადმა მცველმა, — ჩემი კლიენტის მხრიდან ასეთი რამ უბრალოდ გამორიცხულია... უფრო სწორად იმის თქმა მიწოდდა, რომ ბატონი არონი იმდენად წინდახედული და, რაც მთავარია, პუნქტუალური ადამიანია, რომ შინ მაინც დათქმულ დროს დაბრუნდებოდა. თუმცა სიმართლე გითხრათ, მოხარული ვიქნები თუ მას თუნდაც საყვარელთან აღმოაჩნთ, თორემ ხომ იცით, ასეთ შემთხვევებში როგორც ხდება?

— რას გულისხმობთ?

— რას და, როცა პირად მცველს კლიენტი ასე უკვალოდ უქრება, თუნდაც ეს მისი ბრალი არ იყოს, შემდგომი რეაბილიტაცია ძალიან უჭირს. ამიტომაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბატონი არონი გამოჩნდეს...

გოგიჩაიშვილის გასტუმრების შემდეგ გამოძიებულმა ისევ სიგარეტს მოუკიდა და ფიქრს მიეცა. „რა თქმა უნდა, საყვარლის შესახებ ისე, სიტყვის მასალად უფრო ვკითხე, თორემ რაღა დროს ამ ხნის კაცის საყვარელთან წან-

წალია? — თავისთვის დაასკვნა მან.

— სამწუხაროდ, ბევრად უარესს მიგრძნობს გული. მით უფრო, რომ რაღაც ამის მსგავსი პრაქტიკაში უკვე მქონია“. მართლაც, ქალაქში 3-4 თვის წინაც გაუჩინარდა ერთი კოლექციონერი, რომლის კვალსაც დღემდე ვერსად მიაგნეს. ორდენიძემ ისიც გაიხსენა, რომ მაშინ სამართალდამცავებს დახმარებისთვის დაკარგულის ქალიშვილმა მიმართა. გაირკვა, რომ მოხუცი ძალიან მდიდარი იყო — მარტო მისი ძვირფასი სურათები, ხატების კოლექცია რამდენიმე ათეულ ათას დოლარად იყო შეფასებული. თუმცა საქმე ადგილიდან არც კი დაძრულა, რადგან მოხუცის სახლში ვერც ძალადობისა და ვერც ძარცვის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ერთი სიტყვით, უკვალოდ მხოლოდ თავად კოლექციონერი გაქრა, ყველაფერი ხელუხლებელი იყო. ძარცვის ფაქტი არც მოხუცის ერთადერთ მემკვიდრეს, მის ქალიშვილს დაუდასტურებია. „კარგი იქნება, თუ მსგავსი შემთხვევების შესახებ არსებულ მონაცემებს გამოვითხოვ. საინტერესოა, ამ კუთხით თუნდაც ერთი წლის მანძილზე რა სურათია შექმნილი. იქნებ, უცბად რაღაც ხელჩასაჭიდაც კი წავაწყდე,“ — გაიფიქრა გამოძიებულმა, შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო და ხმაბაღლა ჩასძახა:

— ექსპერტ-კრიმინალისტი და ოპერატიული ჯგუფი ადგილზე გასასვლელად მოემზადოს!

გვიან ღამით დაბრუნებულმა გოგლა ლაღიძემ კარი საკუთარი გასაღებით გააღო და ნაჭირავებ ბინაში

უხმაურად შევიდა. ამ ჭერს მასთან კიდევ ერთი ადამიანი — მისი ბიზნესპარტნიორი კოტე ახალკაცი იყოფდა და გოგლას სწორედ მისი გაღვიძება არ უნდოდა. ისე, შეიძლება, კოტეს არც ეძინა და, როგორც ყოველთვის, ახლაც კომპიუტერს უჯდა, მაგრამ გოგლა მისი მყუდროების დარღვევას მაინც ყველანაირად მოერიდა. თუმცა ამჯერად ახალკაცი შინ არ აღმოჩნდა, რამაც ლაღიძე ძალიან გააკვირვა, რადგან კომპიუტერთან „დამშობილებული“ მისი ბიზნესპარტნიორი შინიდან მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში თუ გადიოდა. „ეტიყობა, სიგარეტი გაუთავდა, ანდა, გარეთ უბრალოდ, ჰაერის ჩასაყლაპად გაისეირნა“, — დაასკვნა გოგლამ და საკუთარ ოთახს მიაშურა.

ნაჭირავები ბინა ოროთახიანი იყო. გოგლასა და კოტეს თავ-თავიანთი ოთახები ჰქონდათ. თუმცა გოგლას ოთახი კოტეს ოთახზე ბევრად პატარა იყო, სადაც სანოლი, ჟურნალების მაგიდა და ტელევიზორი რის ვაი-ვაგლასით ეტეოდა. კოტეს კი თავისი ოთახი ტანსაცმლის კარადით ჰქონდა გადატვირთული და ერთ მხარეს საძინებელი, მეორე მხარეს კი რაღაც კაბინეტის მსგავსი ჰქონდა და მოწყობილი. „კაბინეტში“ სანური მაგიდა და კომპიუტერი ედგა, კედელზე კი საცნობარო ლიტერატურით გადაძეპილი რამდენიმე თარო ეკიდა.

მათ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ კერძო ფირმაში მუშაობის დროს გაიცნეს, თუმცა საქმიანი ურთიერთობის იქით მათი ნაცნობობა არ წასულა. შემდეგ ფირმა გაკოტრდა და ერთ დღესაც, ახალი სამსახურის ძებნაში გართულ გოგლას კოტე ტელეფონით შეეხიანა და მოკითხვის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— სამსახური ხომ არ მოძებნე?

— ვერა. ჯერჯერობით მხოლოდ იმ ფირმების სიას ვადგენ, სადაც თანამშრომლები სჭირდებათ. შენ?

— მე — კი, და შენთან მაქვს საქმიანი წინადადება. გცალია, ერთ საღამოს რომ შემოვიარო?

— როცა გინდა, მაშინ შემომიარე. კოტე გოგლასთან იმ საღამოსვე გაჩნდა და ახალ საქმეში პარტნიორობა შესთავაზა.





გოგლასთვის ბოლომდე გამოცანად დარჩა, მათი ყოფილი ფირმის ოცდაათამდე თანამშრომლიდან კოტემ მაინცდამაინც ის რატომ შეარჩია, მაგრამ რამდენიმედღიანი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, მისი წინადადება მაინც მიიღო.

ახალი საქმე ლალიძეს თავიდან უცნაურად და ცოტა არასერიოზულადაც მოეჩვენა. ახალკაცმა მას ძალზე თავისებურ ბიზნესში — ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვაში ჩართვა შესთავაზა. რა თქმა უნდა, თავად ყიდვა-გაყიდვაში უცნაური და უჩვეულო არაფერი იყო — ბოლო ფროს ხომ ლამის მთელი საქართველო ერთ დიდ ბაზრად იქცა, სადაც ყველა რალაცას ყიდულობდა ან ყიდდა. მაგრამ ანტიკვარიატით ვაჭრობა ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სიღატაკის ზღვარზე იმყოფებოდა, გოგლას მაინც სრულიად უპერსპექტივოდ მიაჩნდა. კოტემ მისი ეჭვების გაფანტვა ყველანაირად სცადა და ამ მიზნით, რამდენიმე თავისი ნაცნობის წარმატებული გამოცდილებაც მოიხმო.

— დამიჯერე, რა, — უმეორებდა ის გოგლას, — ჩვენც აუცილებლად გაგვიმართლებს. მთავარია, კანონი არ დავარღვიოთ და ნაძარცვი არავინ არაფერი შემოგვაპაროს.

— ჰო, მაგრამ ამ საქმეში გასარკვევად ალბათ, სათანადო განათლებაცაა საჭირო და ჩემი ეკონომისტის დიპლომით რას უნდა გავხედე? — მაინც ყოყმანობდა ლალიძე.

— ამაშიც დაგეხმარები.
— როგორ?

— როგორ და, ამ ყველაფერში მე ჯერ კიდევ ჩვენს ყოფილ ფირმაში მუშაობისას გავერკვიე და უკვე პატარა ფულიც კი ვიშოვე.

— კარგი, ერთი, მართლა?

— აბა, რა... ამ ქვეყანაში ხომ მართო ლარიბების რაოდენობა კი არა, მდიდრების ქონებაც სწრაფად იზრდება და „ახალ ქართველებს“ თავიანთ მდიდრულ სახლებში ძველებური მდიდრული ნივთების ხილვაც უფრო სურთ. ჩვენ კი მათ ამ სურვილის ასრულებას დავეხმარებით. ეს არის და ეს.

გოგლა ახალ საქმეს თავიდანვე პასუხისმგებლობით მიუდგა და ამ მიზნით ხელოვნების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებულ სპეციალურ ლიტერატურასაც გულდასმით გაეცნო. თუმცა ამ საქმეში უშუალოდ ჩართული ადამიანების პირადად გაცნობის შემდეგ იმასაც მიხვდა, რომ ანტიკვარობა პროფე-

სიაზე მეტად მოწოდებაა და ამ საქმის წეშმარიტ პროფესიონალებს ის ფანატიკურადაც უყვართ.

კოტეს დიდი ოპტიმიზმის მიუხედავად, თავიდან მაინც ძალიან გაუჭირდათ და საკუთარი მცირე დანაზოგით, მხოლოდ ძველი შანდლების, ბრინჯაოს სტატუეტებისა და სხვა მსგავსი ნვრილმანის ყიდვა-გაყიდვას თუ ახერხებდნენ. მაგრამ ერთხელაც, გაუმართლათ და ერთ-ერთ გაზეთში უცნობი მხატვრის ნამუშევრის გაყიდვის თაობაზე განცხადებას წააწყდნენ. მცირეოდენი ვაჭრობის შემდეგ, ტილო მისმა უფულობლით შეჭირვებულმა მფლობელმა საკმაოდ იაფად დაუთმო. სურათის ექსპერტიზის შემდეგ კი გაირკვა, რომ ის პეიზაჟების ერთ-ერთ დიდოსტატს ეკუთვნოდა. შედეგის შექმნის მსურველი მალევე გამოჩნდა და ამის შემდეგ საქმეც წინ წავიდა. მალე გოგლა და კოტე მთლიანად სურათების ყიდვა-გაყიდვაზე გადაერთვნენ და „სიძველეების დახლმაც“ (ასე მონათლეს მათ კოტეს ოთახში ანტიკვარიატის შესანახად გამოყოფილი კუთხე) ნელ-ნელა დაცლა დაიწყო...

„ისე, კარგიც კია, კოტე სახლში რომ არ დამხვდა, — გაეღიმა გოგლას და ნახაზების შესანახი ფუტლარიდან ახალნაყიდი დარგოლილი ტილო ფრთხილად გამოიღო, — მოვა და სიურპრიზს დავახვედრებ“. მაგრამ კოტეს სიურპრიზები დიდად როდი უყვარდა. თანაც, იმაზეც თავიდანვე იყვნენ შეთანხმებულები, რომ სურათების შერჩევის საკითხი მხოლოდ მას უნდა გადაეწყვიტა. კოტეს მოვალეობაში ასევე მყიდველის მოძებნა, შექნილი ტილოს შესამონებლად საქმეში ექსპერტებისა და სხვა საჭირო ადამიანების ჩართვაც შედიოდა. იმავე კლიენტებთან თუ ექსპერტებთან და ხელოვნებათმცოდნეებთან შეხვედრები და უშუალო მოლაპარაკებები კი — ანუ როგორც თავად უყვარდა თქმა — „სანანწალო საქმე“ მთლიანად გოგლას კისერზე გადადიოდა და ხშირად მის მარიფათზეც დიდად იყო დამოკიდებული. თუმცა ამის გამო არასდროს დაუნუნენია, რადგანაც კოტეს ის თუ მთლად კომპიუტერულ გენიოსად არა, მათი ბიზნესის გონებრივ „ცენტრად“ მაინც მიიჩნევდა.

გოგლამ ტილო მაგიდაზე ფრთხილად გაშალა. მართალია, მის ავტორ ერეკლე იაშვილზე თავად არაფერი სმენოდა, მაგრამ კოტესგან კი ბევრჯერ ჰქონდა გაგონილი, რომ გასული საუკუნის დასაწყისის მხატვრების ნამუშევრებს ნელ-ნელა ფასი ედებოდა და იაშვილიც სწორედ

მათ რიგს განეკუთვნებოდა. ის საქართველოდან წასული ერთ-ერთი პირველი ტალღის ემიგრანტი იყო და თითქმის მთელი ცხოვრება საფრანგეთში ჰქონდა გატარებული, თუმცა მაინც ქართველ მხატვრად მიიჩნეოდა და მისი შთამომავლებიც უწინდებურად საქართველოში ცხოვრობდნენ. მეტიც, ასაკოვანმა ქალმა, ვისგანაც გოგლამ ეს სურათი იყიდა, თავი იაშვილის ერთადერთ ქალიშვილად წარუდგინა და თავიდან ტილოში ასტრონომიული თანხაც მოსთხოვა. ლალიძემ მიიჩნია — დედაბერი მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს და მაშინვე წამოსვლა დააპირა, მაგრამ ბოლოს ორივესთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ ფასზე მაინც შეთანხმდნენ. და აი, ახლა გოგლა მოუთმენლად ელოდა კოტეს გამოჩენასა და მის საბოლოო ვერდიქტს. ამასობაში შემოსასვლელი კარიც გაიღო და ორიოდ წუთში კოტე უკვე მისი ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა.

— კოტეს გაუმარჯოს! — მაშინვე განზე გადაეგოგლა და კომპანიონს მაგიდასთან ადგილი გაუთავისუფლა. — ნახე, რა მაგარი რამე გამოვექექე?

მაგრამ კოტემ სურათს თვალი სრულიად გულგრილად შეავლო და შემდეგ თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა. გოგლა ახალკაცს უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ემოციებს თვით ყველაზე წარმატებული გარიგებების დროსაც კი იშვიათად გამოხატავდა, მაგრამ ასეთ გულგრილობას მაინც არაფრით ელოდა. „უტყობა, რალაც ცუდი მოხდა, — გაუელვა მას თავში, — მაგრამ რა? ვითომ საგადასახადოსთან გაგვიჩნდა პრობლემა? არა მგონია. კოტეს ხომ აქამდე ყველა დოკუმენტი სრულ ნესრიგში ჰქონდა და რალა ახლა გაუნყრებოდა ღმერთი? მაშინ იქნებ, მორიგი რარიტეტი იყიდა, უზარმაზარი ფული მიაფშენა და ის კი ყალბი აღმოჩნდა?“ მსგავსი რამ კოტეს და გოგლას რამდენჯერმე მართლაც დაემართათ, მაგრამ ეს მაინც უფრო ბიზნესის დასაწყისში იყო და მათი მამინდელი ყველაზე მასშტაბური გაბრიყვების დასტური — ცრუგოგენის ტილო დღემდე გოგლას ოთახშიც ეკიდა. თუმცა მას შემდეგ სიტყვაზე აღარავის ენდობოდნენ და საქმეში ყოველთვის სპეციალისტებს — ექსპერტებსა და ხელოვნებათმცოდნეებს რთავდნენ. მართალია, მათი მომსახურება არც ისე იაფი უჯდებოდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც მოგებული რჩებოდნენ, რადგან ვინმეს მხრიდან ყალბის შეტყუე-



ბისგან ბოლომდე დაცული იყვნენ.

— გოგლა, შენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს, — როგორც იქნა, დუმილი დაარღვია კოტემ.

— მე რაღას უცდი?

— იცი, რა?.. საქმე ისაა, რომ... — სქელლინ-ზებიანი სათვალე რამდენჯერმე ნერვიულად გაისწორა ახალკაცმა.

— ნუ დამტანჯე! — გაანწყვეტინა მას მოთმინებადაკარგულმა გოგლამ. — პირდაპირ მითხარი, რა მოხდა?

— კარგი, პირდაპირ გეტყვი, — როგორც იქნა, თვალი გაუსწორა კომპანიონს კოტემ, — საქმიდან გასვლა გადაწყვიტე.

— რაო? — უცბად ვერ მიუხვდა გოგლა.

— ფირმიდან მივდივარ-მეთქი.

— მოიცა, — თავი ისე გაიქნია ლალიძემ, თითქოს ცუდი ფიქრების გაფანტვას ცდილობსო, — როგორ თუ მიდიხარ?.. ასეთი რა მოხდა?.. თუ მე აღარ მოგწონვარ როგორც კომპანიონი?

— არა, რას ამბობ? — იუარა ახალკაცმა. — შენ არაფერ შუაში ხარ.

— მაშ, ვინაა შუაში?

— ალბათ, უფრო მე.

— ???

— არც კი იცი, გასაგებად როგორ აგიხსნა...

— როგორც შენთვის უფრო ადვილი იქნება, ისე ამიხსენი. მგონი, ჯერ მოსმენისა და გაგების უნარი არ დამიკარგავს.

— მე ეგ არ მითქვამს, — სასწრაფოდ უკან დახია კოტემ, — მაგრამ პირადად შენ როგორ ფიქრობ, ჩვენს ბიზნესში ვითომ რამე სერიოზულს მივალნიეთ?

— ამას რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ შენი აზრი მაინტერესებს.

— კი, ბატონო... მიმაჩნია, რომ საქმე უკვე აწყობილი გვაქვს, ხოლო სერიოზულ მიღწევებს რაც შეეხება, მომავალში გველოდება. მაშინ, როცა კაპიტალი გაგვეზრდება და უფრო დიდი გარიგებების დადებას შევძლებთ. ამის შემდეგ კი შეიძლება, საკუთარი მალაზიის გახსნასა და სერიოზულ აუქციონებში მონაწილეობაზეც კი ვიფიქროთ.

— ეს კარგია, მაგრამ... ქვედა ტუჩი ნერვიულად მოიკვნიტა კოტემ.

— რა მაგრამ?

— ის, რომ სანამ ამას მივალნევთ, შეიძლება, წლები კი არა, ათწლეულებიც გავიდეს.

— აბა, სხვანაირად როგორ გინდა? — გაუკვირდა გოგლას. — ჩვენ



ხომ არც შეძლებული სპონსორი გვყავს და არც მრავალმილიონანი ქონების ანდერძით მიღებას ველოდებით.

— ჰო, მაგრამ მე ამ საქმეში უკვე ყველა თამასა გადავლახე და ახლა რაღაც უფრო დიდისა და მასშტაბურის გაკეთება მინდა.

— მაინც რის?

— მოკლედ, სხვა საქმეში უნდა ვცადო ბედი.

— რა საქმეა ასეთი?

— ტოტალიზატორში თამაში.

— რაო? — გაოცებისგან თვალეები გაუფართოვდა გოგლას.

— ინტერნეტის მეშვეობით თამაშს ვგულისხმობ, — სასწრაფოდ დააზუსტა კოტემ, — ახლა ხომ ასე ბევრი თამაშობს და არცთუ პატარა ფულსაც იგებს.

— კი, მაგრამ ეს მაინც თამაშია და, თან, ძალიან სარისკოც! იცი, რამდენი ადამიანი გააუბედურა ასეთმა თამაშმა?

— ვიცი... რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი რისკია, მაგრამ ამ რისკის მინიმუმამდე დაყვანა თავისუფლად შემიძლია.

— იმის თქმა გინდა, რომ უკვე ყველაფერი კარგად აწონ-დანონე?

— რა თქმა უნდა.

— ამას იმიტომ გეკითხები, რომ იქნებ, ამ ახალ საქმეში ჯერ ბედი გეცადა და საბოლოო გადწყვეტილება ამის შემდეგლა მიგელო. შენც ხომ იცი, რომ...

— უკვე ვცადე, — აზრის დამ-

თავრება აღარ აცალა პარტნიორს კოტემ, — ვითამაშე და მოვიგე კიდეც.

— იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ... — სათქმელი ახლა თავადვე ველარ დაასრულა ანერვიულებულმა გოგლამ.

— სწორად მიხვდი. ჩვენი ფირმის ფული ჩავდე და მოვიგე.

— მე არაფერი მკითხე?

— იმიტომ არ გკითხე, რომ ვიცოდი, არ დამთანხმდებოდი. თანაც, ხომ არ წამიგია, მოვიგე. ასე რომ, ვითომ შენი წილი დროებით ვისესხე და შემდეგ ისევ უკან დაგიბრუნე...

— ჰო, მაგრამ რომ წაგეგო, მაშინ რაღა უნდა გვექნა?..

— მთავარია, რომ არ წაგე და ფულიც თავის ადგილზეა, — სათვალე ისევ ნერვიულად გაისწორა ახალკაცმა, — თანაც, ხომ შეემძლო, ამაზე შენთვის არაფერი მეთქვა? მართალია, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ყველაფერს მოგიყვები.

— ულმესი მადლობა, — თავი დაუკრა კომპანიონს გოგლამ.

— მოდი, რა, ირონიას შეეშვი და საქმეზე გადავიდეთ.

— საქმეზე?

— ჰო, უფრო ზუსტად კი საქმის გაყოფაზე.

— აჰ, აი, თურმე რას გულისხმობ?..

— რა თქმა უნდა! აბა, სხვანაირად როგორ იქნება?

— მაშინ ყურადღებით გისმენ...

— ალბათ, სამართლიანი იქნება, კუთვნილ წილთან ერთად, ის თანხაც მთლიანად მე დამრჩეს, რომელიც ტოტალიზატორში მოვიგე. შენ ხომ ამაში მონაწილეობა არ მიგიღია?

„სამაგიეროდ, ჩემმა ფულმა მიიღო მონაწილეობა“, — გაიფიქრა გალიზიანებულმა გოგლამ, მაგრამ კოტეს თანხმობის ნიშნად, თავი მაინც დაუკრა.

— გასაყიდი საერთო ანტიკვარიანტიდან ჩემს წილს კი მხოლოდ მისი გაყიდვის შემდეგ დამიბრუნებ.

ლალიძემ თავი ისევ მღუშარედ დაიქნია.

— იცოდე, შენი პატიოსნების იმედი მაქვს.

„ნეტავ, პატიოსნებაზე როგორ ლაპარაკობს?“ — კოტეს სიტყვებმა გული საბოლოოდ ჩასწყვიტა გოგლას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი ის „გზა“ №31-51

შაბათს დიდხანს მეძინა. როგორც ჩანს, დამალა ფრენამ და ემოციებმაც. ფიქრებით ისევ და ისევ ნიკასთან ვიყავი, მანუხებდა მისი ასეთი გარდასახვა. ბოლო დროს ძალიან შეიცვალა, გაცივდა ჩემ მიმართ. ამას ამჟამად ვგრძნობდი, არ მეჩვენებოდა. აბა, რა გული მოუთმენდა კაცს, სასურველ ქალთან ერთად პარიზის ქუჩებში გაველო და თუ სიყვარულის არა, რომანტიკის ხასიათზე მაინც არ დამდგარიყო? ან თუნდაც იტალიაში... იქ, სადაც ჩემები თავს ევლებოდნენ, სადაც სულ სხვა მხრიდან დამინახა, სხვა, ჩემში აქამდე უცნობი ფასეულობები აღმოაჩინა? არ ვიცი... ალბათ ეს კაცების საყოველთაო სენია. საკმარისია, რამდენჯერმე მოისურვილონ ქალი და მორჩა, მერე სხვაგან დაიწყებენ ახალი ბუდის ძებნას... და დადიან ასე, ქალდაქალ!

დეკემბერი იწურებოდა. სრულიად შემთხვევით გაგზვდე კალენდარს, რამდენი დღე დარჩა ახალ წლამდემთქი და... სუნთქვა შემეკრა. დღეს ნიკოლოზობა ყოფილა თურმე! გულმა გამალებით დამიწყო ცემა. მივულოცო თუ არ მივულოცო? როგორ შემხვდება? რას მეტყვის? არა, ჯობია, მესიჯი გაუგზავნო. თუ არაფერს მომწერს პასუხად, დიდად არ ვინერვიულებ. აი, ხმა კი... მისი ხმა რომ არ მომეწონოს, შეიძლება, გაგვიჟღერდეს.

თითები მიკანკალედა, სანამ ტექსტს ავკრებდი, ძალიან უბრალო და ნაკლებად მგრძობიარე შეტყობინება გამომივიდა. გაუგზავნე და პასუხს სუნთქვაშეკრული დაველოდე... თქვენც არ მომიკვდეთ! ნული რეაქცია! ესეც შენ, ჩემო მშვენიერო!

ლამის კედლებზე გავედი შაბათკვირას. ერთი მაღლობა მაინც ეთქვა, თუ სხვა სიტყვა არ ემეტებოდა ჩემთვის! რა, ქვეყანა დაიქცეოდა?! როგორ მძულდა იმ დღეებში! ერთი სული მექონდა, ორშაბათი დროზე გათენებულიყო და სამსახურში გავსულიყავი, რომ მისი სახე დამენახა. მორჩა! აღარ ვიფიქრებ მეტს მასზე! კაცები განყდა ქვეყანაზე, თუ რა? რაც მთავარია, გზა უკვე გაკვალულია. ახლა ნებისმიერთან შემიძლია დავწვე, სინდისი აღარ შემანუხებს და არც იმის შიში მექნება, რომ ქალწულობას დავკარგავ... მაგრამ ერთი რამ მაინც მაშინებს, როცა ამაზე ფიქრს ვინებ. ვაითუ, ვერც ერთმა სხვა მამაკაცმა ვერ მომანიჭოს ასეთი სიამოვნება? იმედი რომ გამიცრუოს? მერე რა, სექსუალური დაკმაყოფილება ხომ არ არის მთავარი ცხოვრებაში? სხვა მამაკაცს სხვა ღირსებები ექნება. იქნებ ისე შემიყვაროს, რომ საერთოდ გადამაფიწყოს ნიკა და მასთან გატარებული ტკბილ-მწარე წუთები. თუმცა, ამწუთას ძალიან გამიჭირდება ამის დაჯერება.

კვირადღეც დაღამდა. ის იყო, გავიხადე და ლოგინში შევწექი, რომ მესიჯის სიგნალი მომივიდა. გული გადამიქანდა. როგორც ყოველთვის, მხოლოდ ნიკას მესიჯის მოლოდინში ვიყავი. ამჯერად არ შევმცდარვარ:

„ქალი დარდით არ უნდა გაა(თ)ხელო. ქალი სიყვარულით უნდა გაა(მ)ხ(ნ)ეკო“, — მწერდა. ამ ფრაზამ ისე იმოქმედა, ლამის სიხარულისგან ავკვივდი, თუმცა ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული, რადგან ორიოდ წუთის შემდეგ ახალი მესიჯი მივიღე: „მაპატიე, შემეშალა. ნამდვილ კონკიას ვუგზავნიდი და შენკენ გამომექცა. არ გამიბრაზდე. ვიცი, რომ ჩემგან ასეთ სიტყვებს არ მიიღებ. შენ ხომ პრინციპული გოგონა ხარ, თანაც — თვითმარქვია კონკია“.

ვიფიქრე, გული გამიჩერდა-მეთქი, ისე გამიჭირდა ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა. ბალიში ავიმალე, სანოლზე წამოვჯექი და კარგა ხანს კეფას მონოტონურად ვუხატუნებდი კედელს, მსუბუქად, რა თქმა უნდა, სულატკივებულს თავიც რომ არ ამტკივებოდა.

ის ლამე თეთრად გავათენე. დილით საკუთარი ორეული ვერ ვიცანი. სიცოცხლით სავსე ლოლას ნაცვლად, სარკიდან ნაადრევად დაბერებული უცხო ქალი შემომცქეროდა, რომელსაც სიმწრის ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე. ეს ჩემი ერთ ლამეში გამოქრნილი ახალი სახე იყო — განადგურებული და ნანილებადა დაშლილი.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ თითქმის ერთდროულად მივედით ოფისში. ნიკა შესასვლელთან იდგა და დაცვის უფროსს რაღაცას ელაპარაკებოდა.

— დილა მშვიდობისა! — ცივად მივესალმე ორივეს და გვერდი ავუარე.

— გამარჯობა, ლოლა, როგორ ხარ? — ისე მხიარულად გამომეპასუხა, თვალები გამიფართოვდა, ამჟამად კარგ ხასიათზე ჩანდა.

— გმაღლობ, არა მიშავს, — ნაძალადევი ღიმილი ავიკარი.

— აკლიმატიზაციამ ხომ არ შეგანუხა? — ის ჩემს დაყოვნებას ცდილობდა.

— არა, მიჩვეული ვარ. ეს ჩემთვის პირველი ფრენა არ ყოფილა, — ხაზგასმით აღვნიშნე.

— ჰო... ეგ სულ მავინცდება. მე კი გამიჭირდა ცოტა... კარგი, ბუჟან, როგორც გითხარი, ისე გააკეთე და მერე დავილაპარაკოთ, — მხარზე მოუთათუნა ხელი დაცვის უფროსს და გვერდით ამომიდგა, — გუშინ საღამოს ძლივს გამოვედი მდგომარეობიდან, — გააგრძელა, ხელკავი გამიყარა და ლიფტისკენ გამიყოლა.

— მესიჯისთვის დიდი მაღლობა. იმედა, არ მიწყენ, პასუხი რომ არ მოგწერე, — შემომცინა.



— არა უშავს, მერე რა, — თავი ჩავლუნე, რომ თვალბეჭდში არ შემეხედა.

ლიფტიდან რომ გამოვედი, ერთხანს შეყოვნდა, თითქოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა. მეც შევჩერდი.

— მერე მარიზე უნდა დაგელოპარაკო, ოკეი? — და დაჟინებით ჩამაშტერდა თვალბეჭდში.

მზერა ავარიდევ და თანხმობის ნიშნად, მხოლოდ თავი დავუქნიე.

კარგა ხანს ვცემდი ბოლთას კაბინეტში. ცოტათი გამომიკეთდა ხასიათი. როგორც იქნა, აღვიდგინე წონასწორობა. მსიაშოვნებდა, ასე რომ გამხიარულებულიყო, დიდი ხანია, მისი გახსნილი შუბლი არ მინახავს. იტალიაშიც კი თავდაჭერილად იღიმებოდა ხოლმე. ალბათ მართლა გამოჩნდა ახალი ქალი მის ცხოვრებაში. იქნებ სოფოს შეურიგდა? რალაცნაირად აუჩიტირებული ჩანს. ამის გაფიქრებაზე გული მომეწურა. მერე მე? თუმცა, ამწუთას ჩემთვის უკვე სულერთი იყო, რამდენი შესაძლო სოფო თუ ხათუნა ეყოლებოდა ცხოვრებაში. მთავარი ის იყო, რომ ვერასდროს დამივიწყებდა...

ბოლოს მაინც არ მომიტინა გულმა და მის მისაღებაში გავედი. ვიფიქრე, მარიკას მაინც ვნახავ-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, ამ მომენტში თავდაცვამოსულიყო თავისი კაბინეტიდან?

მარის ყავისფერი წინკლებით დაჰფეროდა ლანვები — ისეთით, ორსულობის დროს რომ იცის. თვალბეჭდში უსაზღვრო სევდა ჩასდგომოდა.

— როგორ ხარ? — გადავკოცნე.

— რა ვი, ვარ რა. შენ? კარგია, რომ მოხვედი. ახალი ამბები მაქვს შენთვის...

— აბა, მითხარი! — სმენად ვიქეცი.

— კარგიც შემიძლია გითხრა, ცოტა კარგიც და ცუდიც.

— ცოტა ცუდი?

— ცოტა ცუდი ჯერ არ არის, — ოდნავ გაიღიმა და სახეზე ისე მოისვა ხელისგულები, თითქოს პირს იბანსო.

— კარგი, დაიწყე.

— გაუშინ ჩემთან იყო მოსული სასლში.

— ვინ, თედო? — ჩურჩულით ვკითხე და გვერდით მივუჩოჩდი.

— ჰო. დედა გაიცნო. მინდოდა, გამეფრთხილებინა, მისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ რა ვიცი... ვერ მოვისახრე. უფრო სწორად, არ მეგონა, პირს თუ მოაღებდა და მასთან რამეს იტყოდა.

— მერე? — ერთიანად დავიძაბე.

— პირდაპირ დაიწყე. მე და თქვენს ქალიშვილს დროებითი ურთიერთობა გვექონდა, რის შედეგადაც ბავშვი ჩაისახაო.

— არ გადამრიო! გაგიჟებოდა ალბათ დედაშენი.

— შენ წარმოიდგინე, ისე მშვიდად შეხვდა მის ნათქვამს, მე უფრო გავეგიჟედი. ვიცეო, უპასუხა. ჩემს შვილს ჩემზე კარგად არავინ იცნობსო. და სანამ თვითონ მიხვდებოდა ამას, მე უკვე ვიცოდეო.

— ვაიმევე!

— ჰოდა, თუ ახლა იმის სათქმელად მოხვედით აქ, რომ მარიკამ მუცელი მოიშალოს, შეგიძლიათ, აღარ გააგრძელოთ ლაპარაკი, გაბრუნდეთ და ნახვიდეთო.

— რა მაგარი ქალია!

— არაო, იმან, ამისთვის არ მოვსულვარო. მე პრობლემები მაქვს, ცოლთან გაყრილი არ ვარ, ამიტომ ამ ეტაპზე სხვა ქალთან ხელის მონერაზე ვერ ვიფიქრებ, მაგრამ ყველანაირად გვერდით დავუდგები და ბავშვის გაზრდაში დავეხმარებო, — პირობა მისცა დედაჩემს, — ორივეს მიხედავ და არაფერს გავუჭირებო.

— დამპალი! — აღმომხდა გაბრაზებულს.

— მერე მე გამიყვანა განზე და მითხრა, ხანდახან შეეხვდეთ ერთმანეთს, უცხოები ხომ არ ვართ, შენც ცოდვა ხარ, უკაცოდ ხომ არ იქნებიო. მაპატიე, ცოლად რომ ვერ გირთავ, ხომ იცი, რომ არ მიყვარხარ და ასეთი ქმარი რად გინდაო.

— ანუ თუ ჩემი ცოლი გახდები, ყოველ საათში გილალატებო, არა? — წარბები შევიჭმუხნე.

— დაახლოებით ასე გამოუვიდა. ვუთხარი, არც შეგეხვენები-მეთქი. შენთან იმ-იტომ არ დავწოლილვარ, რომ შენი ცოლი გავმხდარიყავი; ჩემთვის მთავარი შენთან სიახლოვე იყო, მინდოდა, ჩემი პირველი მამაკაცი შენ ყოფილიყავი, ახლა კი ჩემთვის სულერთია, რა იქნება და რა სტატუსს მომანიჭებ-მეთქი. გავანადგურე. ამას არ მოელოდა. პასუხი არ გაუცია, თავი დამიქნია, შუბლზე მაკოცა და ჩაფიქრებული წავიდა, დანა პირს არ უხსნიდა...

— აგერ ნახავ, თუ არ შეგეხვენება.

— ჩემთვის მართლა სულერთია უკვე, რა იქნება ხვალ, ლოლა. ახლა მხოლოდ ბავშვზე ვფიქრობ. ღმერთს იმასლა შევთხოვ, ჯანმრთელი გამაჩენინოს, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

— ყოჩალი გოგო ხარ! ასეთი მომწონხარ, სიხარულო. ახლა ცოტა კარგი მითხარი.

— ცოტა კარგი ის არის, რომ დედას ძალიან მოეწონა, მშვენიერი ბიჭიაო. აცალე ცოტა ხანს, თბილად მოექცევი, მეტი სიყვარული აჩვენე და ბავშვი ისე დაგახლოვებ, შენგან ვერასდროს წავაო. მერე იქნებ მეორეც გაუჩინო და საბოლოოდ ჩაიჭერ ხელშიო.

— ბრძენი ქალია დედაშენი, — გადავიკისკისე, ისე მომეწონა ეს აზრი.

— ახლა მესამე და მთავარი... ოლონდ ცუდი.

— აბა, მითხარი, — ხელისგულები ერთმანეთში ჩავხლართე და წარბებაზიღული მივაჩერდი.

— თქვენ რომ პარიზში იყავით და კიდევ იტალიაში, ერთი ქალი ისტერიკულად რეკავდა ოფისში, ყოველდღე, ხანდახან დღეში ორჯერაც და ნიკას კითხულობდა.

კვლავ სუნთქვის უემარისობა დამემართა — აი, ისე, ქარი რომ ძლიერად დაგიბერავს და ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას რომ გიშლის. გავფითრდი.

— მერე?



— პატარა გოგოს ხმა ჰქონდა, ქეთი მქვიაო. არ უთქვამს ჩემთვის, მივლინებაში თუ აპირებდა წასვლას და ხომ არ მატყუებთო? არამეთქი, დავამშვიდე, რატომ უნდა მოგატყუოთ, რა ინტერესი მაქვს-მეთქი. იქნებ თვითონ გითხრათ, რომ ასე მიპასუხოთო. ძლივს დავარწმუნე,



რომ ასე არ იყო. დღესაც ორჯერ დაურეკა. წელან რომ ელაპარაკებოდა, ჩუმად ავიღე ყურმილი და ყური მიკუთხე. მაგ საკითხზე საღამოს ვილაპარაკოთ, პატარავო, ნიკა ეუბნებოდა. ეგრევე დავეიდე. რა ვიცი, შემეშინდა, არ გამომიჭიროს-მეთქი. ადამიანი ყველანაირად ხელს მიწყობს და რატომ უნდა ვატყინო გული. რა ხდება, ამისხნი? მთელი კვირა ერთად იყავით და ის ვინღაა, რა უნდა? ხომ კარგად ხართ ერთმანეთთან?

— ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მარი. რა კარგად! ასეთი ოფიციალური კვირა, იქ რომ გვქონდა, გაცნობის დღიდან არ გვქონია. საერთოდ, შეიცვალა ბოლო ხანებში. მგონი, მართლა ხვდება ვიღაცას. როგორც ჩანს, ახალი ხილია. თანაც, თუ ასეთი ახალგაზრდაა, სხვა შეგრძნებები ექნება, ეჭვიც არ მეპარება. იმიტომაც იყო დღეს ალბათ ასეთი აჟიტირებული.

— ნახე დღეს?

— ჰო, კართან შემხვდა და ერთად ამოვედით მეოთხეზე.

ამ დროს ნიკამ ზარი დარეკა. მარიკამ მაშინვე დააჭირა მწვანე ღილაკს თითი.

— გისმენთ, ბატონო ნიკა!

— ერთი ლოლას უთხარი, შემოვიდეს ჩემთან! — მისი ხმა ზღვის ტალღასავით შემომეხეთქა სხეულზე. ავიღეწე.

— ახლავე! — მარიკამ ტუჩები მოპრუნა და ისე შემომხედა, თითქოს ვიღაცას ვემაღებოდით.

— გიბარებს... ნეტავ, რა ხდება?

— არ ვიცი. შევალ და გამოჩნდება.

— ოღონდ არ ეჩხუბო, კარგი? ერთხელ მაინც ნუ იქნები აგრესიული, დამიჯერე!

— კარგი, დაგიჯერებ!

წამოვდექი, ჩავახველე, თითქოს ხმის ჩანმენდა აუცილებელი ყოფილიყო, ჟაკეტი მთელი ძალით დავქაჩე ძირს, რათა მკერდის ღარი კარგად გამოჩენოდა და თავალერებულმა შევალე კაბინეტის კარი.

— შეიძლება?

— მოდი, ლო, მოდი! — არც შემოუხედავს, ისე მიმიპატიჟა.

„ლომ“ კიდევ ერთხელ „დამიჭრუნტელა“ სხეულში. ასე არასდროს არავის მოუმართავს ჩემთვის, რაც ყველაზე სასიამოვნო იყო. მხოლოდ მისთვის ვიყავი „ლო“ და მეტი არავისთვის. ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა.

— საქმე ის არის, ჩემო მარჯვე მენეჯერო, — მხიარულად დაინყო, — რომ მარის მდგომარეობა მაშ-

ფოთებს. თვითონაც ეგონა, დროთა განმავლობაში უკეთ და უკეთ გახდებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავ, ეს არც ისე მალე იქნება.

— მაგრამ რომ არ იმუშაოს, რა ქნას, თავის რჩენა ხომ უნდა, — გამოვექომაგე მარიკას.

— შენი დაცვა მას არაფერში სჭირდება, — საჩვენებელი თითი ღიმილით დამიქნია, — ვიცი მისი მდგომარეობა, ბრმა არ ვარ და არც უგულო. მაგრამ ბოლო დროს ძალიან არის დასუსტებული და აჯობებს, დაისვენოს... ვინმეს მოვებნი დროებით შემცვლელს, არა უშავს. რაც მთავარია, ხელფასი შეუნარჩუნდება.

— მე რომ გადმოვბარგდე მის ადგილას? — ჩემდა უნებურად წამომცდა, არადა, გონებაშიც არ გამივილია მსგავსი რამის შეთავაზება.

— შე-ენ? — თავი დახარა და ქვემოდან გაკვირვებით ამომხედა. — რა ძალა გადგას, რო?

— რა ვიცი... — უხერხულად ავიჩიე მხრები და შევიშმუშნე. — ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიჯდები, ჩემს საქმეს აქაც გავაკეთებ.

— და ბარემ, შენ გადაგიხდი იმ ფულს, რაღა სხვა მოვიყვანო, არა? ჭკვიანური აზრია! — უცებ დამყაბულდა.

ჭარხალივით გავნიტლდი.

— ფული არ მიგულისხმია. ხელფასი არ მჭირდება. უბრალოდ, ცოტა ხნით გადმოვბარგდები მის ოთახში და სატელეფონო ზარებს მაინც ვუპასუხებ, ეგ არის და ეგ.

— ისე, ერთი რამე შეიძლება: მარის თავისუფალი გრაფიკი რომ დავუწესო. ან დილის საათებში იაროს, ან საღამოს, როგორც თავად მოისურვებს. შენც თუ გაწყობს ასე... — მშვენიერი აზრია.

— მაგრამ უფრო მეტი სამუშაო გექნება, ამაზე გიფიქრია?

— მუშაობა და ოფისში გვიანობამდე დარჩენა ჩემთვის პრობლემა არ არის. შინ არავინ მელის, — ჩავურტყი.

— მაგრამ არც ის მინდა, ახლობლებს და მეგობრებს ჩემი გულსიტვის გამოეთიშო. გავლა-გამოვლა შენც ხომ გინდა.

— შენ მაგაზე არ იდარდო. ჩემი საქმისა მე ვიცი, — ვთქვი და თვალი თვალში გავუყარე, — არ გაუჭირდებათ უჩემოდ.

— კარგი, მაგაზე დღეს ვიფიქრებ და პასუხს ხვალ გეტყვი. ჯერ არაფერი უთხრა მარის, კარგი?

— კი, ბატონო, როგორც მეტყვი.

— ახლა შენზე ვილაპარაკოთ.

— ჩემზე? — ამან მთლად მომილო ბოლო, ისე დავპატარავდი, როგორც ზღაპრებში ხდება, მონამულუ ხილს რომ შეჭამს პრინცესა და ნამცეცა ქალად რომ გადაიქცევა.

— ჰო, შენზე. ასე მითხრეს, მთელი დღე თავაულებლად მუშაობს და ჭამისთვისაც ვერ იცლისო. მართალია?

ღიმილი ვერ შევიკავე, ტუჩები თავისით გამეცა განზე.

— ვინ გითხრა ეგ სისულელე?

— რა მნიშვნელობა აქვს, ვილაცამ შეამჩნია ალბათ და...

— დიდი „მჭამელობითი“ ხარისხით მაინცდამაინც არ გამოვირჩევი, მაგრამ თუ მომშივდა, ნამდვილად არ შევიკავებ თავს, მაზოხისტი კი არ ვარ.

— იქნებ რამეზე ნერვიულობ და მადა დაკარგე? — შემპარავად გაისმა მისი ხმა.

— ვნერვიულობ? არა, არაფერზე, — ძალიან მშვიდად ვუპასუხე, — სანერვიულო რა მაქვს?! პირიქით, ისეთი გახარებული ვარ, განსაკუთრებით იტალიიდან ჩამოსვლის შემდეგ, ასე მგონია, დავფრინავ.

„შენ გაგრძობინებ ახლა, ცუდად რომ ვარ, მეტი საქმე არა მაქვს!“

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — ნიკავით ხელისგულს დაეყრდნო და გამომცდელი მზერა მომაპყრო. ეტყობოდა, არ ესიამოვნა ჩემი პასუხი, — მიხარია, თუ ასეა. მეც ბევრი რამ მიხარია ბოლო ხანებში.

„კონკრეტულად რა, უფროსო?“

— მეც მიხარია, რომ გიხარია, — რის ვაი-ვაგლახით გავიღიმე, — შემიძლია, წავიდე?

— ჰო, რა თქმა უნდა. ისე მოიქეცი, როგორც შევთანხმდით. და კიდევ ერთი... — მოულოდნელად საჩვენებელი თითი ჰაერში ასწია და შემაჩერა: — მე და თედომ ვილაპარაკეთ მაგ საკითხზე.

— რომელ საკითხზე? — ისეთი დამაინტრიგებელი იყო მისი ნათქვამი, კვლავ დავჯექი.

— ასე მითხრა, დიდი სიამოვნებით გავშორდები ჩემს ცოლს, უბრალოდ, ეს ყველაფერი დროის ამბავიაო. ამ დღეებში მარის თეატრში წაყვანას აპირებს, იქნებ შემოვირიგო. მგონი, მთლად გულგრილი არ უნდა იყოს.

— ღმერთმა ქნას.

— შენ მაინც ვერ იტან თედოს, არა?

— მისი დანახვაც არ მინდა! — ზიზლი ვერ დავმალე.

— ალბათ მანამ, სანამ განქორწინებას არ გააფორმებს, ხომ?

ამის გაგონებაზე სახე შემეცვალა.



ლა. მას ეს არ გამოჰპარვია. ცოტა ხანს პაუზა განეწა, მერე კი ხმადაბლა მკითხა.

— განყენინე?

არ მინდოდა, პასუხის ღირსად გამეხადა, მაგრამ ვიგრძენი, სულში როგორ შემერხა რაღაც.

— ხანდახან ძალიან ოსტატურად გეხერხება ჩემი წყენინება, — არ დავინდე, — და ძალიან გთხოვ, ასეთი ხმით ნუ მელაპარაკები, თორემ ავტირდები, იცოდე, — ხმა მეც შემეცვალა.

— ძალიან ვწუხვარ, ლო, მაპატიე, თუ შეგიძლია, — გულწრფელად შეწუხებული ხმით მომიგო და თითქოს უნებურად, ხელი წინ გამოიშვირა და ლოყაზე შემახო, — არ იტირო, ძალიან გთხოვ!

მოულოდნელად მის თვალებში შიში დავინახე, ბუნებრივი და არა ხელოვნური, შიში, რომ ამნუთას მართლა ავტირდებოდი. არ ვიცი, მისმა ამ გამოხედვამ გამაძლიერა თუ მისი თითების ჟრუანტელის-მომგვრელმა შეხებამ, რომ მსწრაფლ ავიყვანე თავი ხელში.

— თავში აზრადაც არ მომსვლია ღრიალი, — ნიშნის მოგებით გავიცინე, — უბრალოდ, ვისუმრე.

უეცრად საშინლად შეეცვალა გამომეტყველება. თითქოს თავმოყვარეობა შეულახესო, ნაკვთები დაეჭიმა. ყბები მოკუმბა. მერე ნელა გადმოიხარა ჩემკენ და ძალიან ახლოს მომიტანა სახე სახესთან.

ერთიანად ავიშალე. მუხლები ამიკანკალდა. მკერდი ისე ღრმად ამიდჩამიდიოდა, თითქოს ოთახში დაგროვილი ჟანგბადის უკანასკნელ ნარჩენებს მის გამოლევამდე ხარბად ვისრუტავდი.

„მაკოცი!“ — ყვიროდა ჩემი გონება, სხეული, ფიქრები...

არა, არ მაკოცა. არადა, სანინალმდეგო არაფერი მქონდა. მოულოდნელად სწრაფად გადაიხარა უკან და სავარძელში გასწორდა. ვერ მივუხვდი, რას ნიშნავდა მისი ეს ჟესტი. რა დაემართა იმ ერთ წამს, რა ჩაიფიქრა და რატომ არ განახორციელა ჩანაფიქრი.

— აჯობებს, სამუშაოს დაუბრუნდე, ლო, — გაიღიმა, — არის შენში რაღაც... — წინადადება რატომღაც, არ დაასრულა.

ავდექი და გამოვედი... უსიტყვოდ, უხმოდ, უკანმოუხედავად...

მარი მისაღებში არ დამხვდა. ალბათ ცუდად გახდა და ტუალეტს თუ შეაფარა თავი, ან სუფთა ჰაერზე გავიდა. ამნუთას მისი დარდი აღარ მქონდა, ემოციებით ვიყავი დამძიმებული.

ჩემს ოთახს მივამურე და ფანჯარას ცხირი მივაჭყლიტე. რაღაც მიხაროდა, ძალიან მიხაროდა. ამავდროულად, რაღაც მწყინდა, ძალიან მწყინდა. ერთდროულად კარგადაც ვიყავი და ცუდადაც. რაღაც მინდოდა და ვერ ვხვდებოდი, რა...

— მშია! — უეცრად გავაკეთე აღმოჩენა და გამელიმა.

კაბინეტში მომხდართ ოდნავ შემსუბუქებულმა უჯრა გამოვადე, კარტოფილიანი ღვეზელი ამოვიღე და გემრიელად ჩავკბინე.

— აი, თუ არ ვჭამ! — კარს მივაძახე, ჩემს მბრუნავ სავარძელზე გადავწექი, ზურგით შევეტრიალდი და ფხვები ფანჯრის რაფაზე შემოვანყვე. — თუ კომფორტია, კომფორტი იყოს!

თან ვჭამდი, თან ნიკასთან საუბარს ვანალიზებდი, თან სივრცეს ვუღიმოდი უმისამართოდ.

მეორე დღეს ნიკა სამსახურში არ გამოჩენილა. ადგილს ვერ ვპოულობდი მთელი დღე. როცა მოსალამოვდა, ველარ მოვითმინე და მარისთან გავვარდი, — ხომ არ იცი, რატომ არ მოვიდა, რა ხდება-მეთქი.

— არაფერი ვიცი, ლოლა. გუშინ საღამოს იმ გოგომ დაურეკა, ერთი ნუთიც არ ულაპარაკიათ. უცებ გამოვიდა კაბინეტიდან, ჩაცმულ-დახურული, ღიმილისგან სახეგაბადრული, შეგიძლია, შენც ნახვიდეო, მესწოლა და გავარდა. მას მერე არ ჩანს.

— ქორნილი ხომ არ გველის, ნეტავ? — კი არ ამოვთქვი, ამოვიკვსე.

— გაგიჟდი, გოგო?! რას ლაპარაკობ, ენამ არ გიყვივლოს.

— რაღაც ეგეთი სუნე მცემს, — პირი გავანკლაპუნე და ჩემს კაბინეტში დავბრუნდი გულმომსახული.

„ნუთუ მასთან დარჩა ნუხელ? კიდევ ერთი პირველი ღამე მოინყო?“

გამწარებული კვენსოდი მხოლოდ. როგორ მაინტერესებდა, ვინ იყო ეს ქეთი ამისთანა, როგორ გამოიყურებოდა.

ის იყო, შინ წასვლა გადავწყვიტე, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— ალოო! — უხალისოდ ჩავძახე ყურმილში.

— შენ მე აქ მჭირდები! — მისმა ხმამ ადგილზე გამახევა.

თავდაპირველად ვერ მივუხვდი, რა უნდოდა. სად „აქ“ მეპატიებოდა.

— ოფისში? — გაკვირვებულმა



ვკითხე. — მე აქ ვარ.

— ოფისში არა, ჩემთან სახლში. იტალიაში სასწრაფოდ მაქვს რამდენიმე წერილი გასაგზავნი და უნდა დამიწერო. მე გიკარნახებ, შენ კი მითარგმნი, — მისი ხმა ძალზე ოფიციალურად ჟღერდა.

თავზარდაცემული ვიდექი. ვერ დავიჯერე, რომ თავისთან მიბარებდა, სახლში. აქ რომ მოსულიყო, რა უშლიდა ხელს?

— მერე მაინც აქ მომიწევს მოსვლა, ფაქსის გადასაგზავნად. არ სჯობია, რომ... — შეპასუხება ვცადე.

— სტუმარი მყავს, მანდ ვერ გამოვივარ. ფაქსი შინაც მაქვს. და ძალიან გთხოვ, უაზრო კითხვებს ნუ მისვამ.

მისმა პასუხმა ძალიან გამაწბინა. სიბრაზისგან სახე მომეცა.

— კარგი, ვეცდები, მოვიდე.

— ეცდები? რას ნიშნავს ეცდები?

— გამოვალ, რა თქმა უნდა, მაგრამ... როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს მომიწევს იქ დარჩენა?

— იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, — ცივად მომიგო და ირონიულად დაამატა, — ყოველ შემთხვევაში, კბილის ჯაგრისის წამოღება არ მოგიწევს.

ღმერთო, როგორ შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. ამის სიტყვებით აღწერა შეუძლებელია. უსიტყვოდ ჩავინერე მისამართი, რომელიც მიკარნახა და ყურმილი დავეციდე თუ არა, თვალები ცრემლით ამევსო. მგონი, დამცინოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გზის გზნიღლები

ურვეულო ახალი წელი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ყველას მოგესალმებით და 1 დღით ადრე გილოცავთ ახალ, 2011 წელს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს მომავალი წელი ჩვენი მკითხველისთვის თუ „არამკითხველისთვის“, თითოეული ადამიანისთვის და „არაადამიანისთვისაც“ კი... ახლა კი წინა კვირაში მომხდარო, ერთი საინტერესო ფაქტი მინდა გავისხენო: პარასკევს, სამსახურში მისულს ჩემს მაგიდაზე მოზრდილი ყუთი დამხვდა. „შეუთარალებელი“ თვალითაც კარგად ჩანდა, რომ ყუთის შიგთავსი ძალზე გემრიელი უნდა ყოფილიყო. — ვაა, ვინმეს დაბადების დღეა და ტორტი მოგვართვა? — ვიკითხე და ყუთს თავი ავხადე. ჩემი ინტუიცია გამართლდა: მართლა ძალიან კარგად გამოიყურებოდა ის, რაც დავინახე.

— დაბადების დღე კი არა, შენ მოგართვეს, „დაცვამ“ ამოიტანა, მარისთვის კურიერმა დატოვაო, — მიპასუხა ჩემმა კოლეგამ — თქვენთვის კარგად

ნაცნობა ლიკამ. — ხუმრობ, არა? — უნდოდ შევხედე, მაგრამ საკმაოდ გულწრფელი გამოხედვა ჰქონდა და უკვე ეჭვი აღარ შემპარვია, რომ მართლა მე „მეძღვნებოდა“ ეს გადასარევი სიურპრიზი. რა თქმა უნდა, მთელ რედაქციას და რედაქციის სტუმრებსაც კი გავეუმასპინძლდი ნუგბარით და დიდი მონონებაც დაიმსახურა. ჰოოოოდა, მივეუახლოვედი მთავარ სათქმელს: გამოიხედით, რომელი ხარო „დამნაშავე“... სომ იცით, იდუმალებით მოცული ამბები ყოველთვის გადაჭარბებულ ინტერესს იწვევს. ჰოოდა, მეც (არა მარტო მე) დავინტრიგდი და ძალიან მაინტერესებს „ავტორი“, რომ ერთი „გემრიელი“ მადლობა გადავუხადო (ეჭვი ვისზე მაქვს, ვერ გავამხელ). თუმცა, თუ მაინც ინკოგნიტოდ დარჩენას აპირებს, აქვე ვეტყვი: მა-დლო-ბა! ყველას სახელით. ახლა კი ამ „გემრიელ“ ნოტაზე გემშვიდობებით (ახლა ასეა მიღებული და მოდერნი) და გასართობად თქვენს მესოჯებს გიტოვებო.

მაშინაც კატის წელი იყო კარს მომდგარი და იმ ახალ წელს ზუგდიდში ხვდებოდა, ერთ მეტად თბილ და საყვარელ ოჯახში. ხელთ ღვინის მაღალღვება სასმისი ეპყრა და სიამოვნებით აგემოვნებდა ბორდოსფრად მოკამკამე, დასავლეთ საქართველოს მშვენებას — „ალადასტურს“. ღუმელში შეშა მხიარულად ტკაცუნობდა, „ანცობდა“ და შიგადაშიგ ნაპერწკლებსაც აფრქვევდა, რაც იქვე მინაბული, დარბაისელი, ესპანური არისტოკრატიული სისხლის (ასე აუხსენეს) მქონე ფისოს, სიმბას პროტესტს იწვევდა. სახლში ნამდვილი, წინასახალწლო, ესოდენ ნაცნობი და სასიამოვნო ფუსფუსი იყო. კარდალაში ღომი თუხთუხებდა, საელარჯე ყველი თავის ჯერს ელოდა, ხაჭაპურები ერთიმეორის მიყოლებით ემატებოდა და სუფრას, საცივში — ინდაური და ტაბაკზე დედალი განონებდა თავს; გოჭზე — ბოდიში და შაშხი, უგემრიელესი სალათები და რალა თქმა უნდა, საახალწლო ტორტი... ყველაფერს ამას „მეურვეობდა“ და „თავს დაჰფოფინებდა“ „ალადასტურით“ საესე დოქი და რამდენიმე

სიზა

ბოთლი („შამპანურის“ თქმის უფლებაც აღარ გვაქვს, მალე „კონიაკსაც“ ამოვიღებთ ლექსიკიდან) ე.წ. ცქრი-ალა ღვინო.

ნეტარებით მოსვა კიდევ ერთი მოზრდილი ყლუბი და ზღვისფერთვალეა სტუმარს ერთგვარად თამამ ფლირტში აჰყვა. მოუთხრობდა, როგორ ხვდებოდა ახალ წელს ცარსკოე სელოში, როგორ დასეირნობდნენ მარხილით პუშკინოს ქუჩებში და როგორ უკითხავდნენ იქაურ გოგოებს მარხილშივე „ზიმნაია დაროგას“ და „ზიმნი ვეჩერს“, როგორ... და ამ დროს, ყველაზე საინტერესო და პიკანტური მომენტის თხრობისას ფეხზე შეხება იგრძნო, თითქოს ვილაცამ შარვლის ტოტზე დაქაჩა, მერე აჰყვა და მუხლის თავზე მსუბუქად დაჰკრა. უსიამო წინათგრძნობა დაეუფლა... და აუხდა კიდევ. „არისტოკრატი“ სიმბა ეთიკის დაუცველად ჩაერია მუსაიფში, მეტიც — მადიანად შეამთქნარა მობაასეთ და ჩვეულ პოზას ისე დაუბრუნდა, ვითომც

არაფერი მომხდარიყოს. საერთოდ, მოთმინებით იტანდა ამ მოდგმას, მაგრამ ახალი წლის შეხვედრა კატის საზოგადოებაში სულაც არ ხიბლავდა. ამიტომ, დრო იხელთა თუ არა, კატა გარეთ გასვა. უძალიანდებოდა, არ გადიოდა, მაგრამ ფეხიც რომ წააშველა მსუბუქად, იკადრა და დათმო. თუმცა სტუმარს ერთი კი გამოხედა და წინა ორი, პანანუნა ეშვიც დაანახვა:

— მიაუუუუ... ფჰააა!!!

სუფთა ჰაერი ესიამოვნა, ცოტაოდენ შემცივნებული და აჭარხლებულიც შებრუნდა ოთახში და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. ამ დროს ოთახში სიმბას უშუალო პატრონი და უპირველესი მეგობარ-მხარდამჭერი შემოვიდა და მობაასე წყვილს მხოლოდ განაფული თვალისთვისაც ძლივს შესამჩნევი, გამომცდელი მზერა მიაპყრო. თუმცა უშმაღ გაიქრო ეს გამოხედვა და ახლა ოთახს მიმოავლო თვალთ:

— სად გაქრა ახლა? ასე „ტიტილიკანა“ და „ჩაუტმელი“ აპირებს ახალი წლის შეხვედრას? ვუთხარი, უნდა გამოგბრანქო და არ დამეკარგო-მეთქი და მაინცდამაინც ახლა



გაშპა, — ქოთქოთებდა შენუხებუ-ლი.

ზღვისფერთვალამ ჩაიფხუკუნა და ჩაუშეგრულ-ჩაუჩიქორთულა:

— ვავა, სკან ცოდვას... სიმბას ექებდეს იქნება ახლა მაგი და თუ გაგიგოო... დია ჩქიმშა... შეიძლება შენ მოგინოს, გარეთ ახალი წლის შეხვედრამ...

ჩვენს სტუმარს სულ უკვირდა და არ იმჩნევდა, რამ აამჩატა და რამ შეაყვარა პროფესორ ქალს ეს კატაო. თან სიმბა მალევე იქცა „სიმბულ-ლიკად“ და მერე სულაც — „ბუ-ლიკად“. ზურგს უკან ქილიკობდ-ნენ, „სიმბა“ პასპორტის სახელია ისე „ბულიკა“ ჰქვიაო.

სიმბას ამაგდარი და მოამაგე პატრონი, ოჯახის დიასახლისთან ერთად შემობრუნდა. ეს უკანასკნე-ლი მეტადრე შეშფოთებული იყო:

— არც მულს და არც მის „მე-გობარს“ ჩემგან ყურადღება არ აკ-ლიათ და რა ღვთის წყრომა დაე-მართა იმ სასიკვდილეს... გდებუ-ლიყო „ფეჩთან“ ეგ მანდ დასანწავი, მოვუტანდი და აქვე ჩავახეთქებდი, თუ რამე უნდოდა... სად სიკვდილ-შია წათრეული... მაგის დრო მაქვს ახლა მე?! — თუმცა ხმამაღლა ალა-რაფერი თქვა, უმწეოდ ამოიოხრა მხოლოდ.

— სად არის ჩემი სიმბა... ჩემი კობტა კაბალიერო, სიმბულიკა? — არცთუ ისე მშვიდი ტონით გაისმა ეს შეკითხვა და ის იყო, ჩვენმა სტუმარმა უმანკო, უცოდველი გა-

მომეტყველების მორგება სცადა, რომ... ჰოი, საოცრება... მაგიდასთან მიდგმული სკამიდან სიმბამ გამოყო თავი, ხალიანი ტუჩები მოპრუნა და პატრონისკენ მიმართა:

— მიაუუ, მიიააუუუუ... — რაც უეჭველად ნიშნავდა, ნუ დაზაფრე ეს ხალხი, აგერ ვარ და ვისვენებო.

სიმბა ცოტა ხანს მოთმინებით, შეიძლება სიამოვნებითაც იტანდა პატრონის მოფერებას. მერე მსუბ-უქად ჩამოხტა იატაკზე, წელი გაზ-ნიქა, შავ-თეთრი, ფაფუკი ბენვი დაივარცხნა და სტუმრის გვერდით, ტახტზე მოკალათდა, საკუთარი უპი-რატესობის შეგრძნებით. ამასაც არ დასჯერდა, ხანგამოშვებით კუდიტ შეეხებოდა ხოლმე, ეტყობა, თავს ვალდებულად მიიჩნევდა, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო მისთვის. აქაო-და, კი გამიძახე გარეთ, მაგრამ „დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი“-ო. საერთო მხიარულებაში სიმბას ავადმყოფობის ამბავიც გაიხსენეს, როგორც ტკბილად მოსაგონარი და შემდეგ ამავე სახელწოდების სა-დღეგრძელოშიც ხაზგასმით აღნიშ-ნეს.

თურმე, ერთ მშვენიერ... თუმცა რას ვამბობ?! როგორ შეიძლებო-და, ის დღე მშვენიერი ყოფილ-იყო? მოკლედ, ერთ დღეს სიმბა ხელში ატატებული შემოუყვანია მის პატრონს ეზოში, ქუჩის ბოლოში ვნახე, მილასლასებდა სადღაც, ეტყ-ობა ძალიან ცუდად არის და არ უნდა, ჩვენ გვაჩვენოს თავისი აგო-ნია და ბოლო წუთები... ალბათ, ნივთიერებათა ცვლა აქვს დარღვეუ-ლი, აკლია ცხიმები, ცილები და ამინომჟავებიო, — მოთქვამდა გუ-ლამომჯდარი ქიმიკოსი.

მოთქმით ვერაფერს უშველიდ-ნენ და ექიმის მოყვანა განიზრახ-ეს, ადგილობრივს როგორ ვენდოთ (შინაურს არც ექიმს აქვს შენდო-ბა), ქუთაისიდან ან სულაც თბი-ლისიდან მოვიწვიოთო. სჯა-ბაას-ში ოჯახის უფროსი, ღვანღმოსილი და იოშკაროლაში განსწავლული აგრონომი ჩაერთო: — მაგან ალ-ბათ ნიტრატებით მონამლული პროდუქტი დააგემოვნა... სანამ მო-სავალს მოიყვან, იმ ნიადაგს კულ-

ტივაცია სჭირდება, მელიორაციის სისტემაა გასაზრებელიო...

ოჯახის დიასახლისმა, რომელსაც პედაგოგიური განათლება აქვს მიღებული პერმში, დროზე შეან-ყვეტინა და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ეს არასწორი დიდაქ-ტიკური მიდგომის ბრალია და სადღაც აღზრდაშია დაშვებული შეცდომა... ახალგაზრდა თაობამ, სამედიცინო ინტელიგენციის მო-მავალმა წევრმა, ჯერ სტუდენტმა, კატის გასინჯვის მერე დაასკვნა: პერესტალტიკა ნორმალურია, მაგრამ ვინაიდან პაციენტი თავის მოსაზრე-ბას ვერ გამოსატავს, მიზანშეწონილ-ია კონსილიუმის მოწვევა... ხოლო მისმა ძმამ, საქართველოს ბიზნესის მომავალმა მესაჭემ და მმართველმა აღნიშნა, რომ სიმბას მოთხოვნები არ იყო ჯეროვნად დაკმაყოფილე-ბული მომწოდებლების მიერ, რა-მაც წარმოშვა დეფიციტი, მათ შორის — ჯანმრთელობისაც... ხოლო ოჯახის ხშირმა, ზღვისფერთვალა სტუმარმა მოკლედ და ლაკონიური დიაგნოზი დაუსვა:

— არ იცით თქვენ, მითინ უჩქო კოჩის დარდი... ოსურ ოკო სიმ-ბაშ... (არავინ იცით კაცის დარდი, ქალი უნდა სიმბას, ქალი)...

კაბალიერო სიმბა მალევე მომ-ჯობინდა. იმ დღეს კი, სადღესასწაუ-ლო ბაფთასა და ჟილეტში გამონ-ყობილმა კარგადაც მოუღობინა პერ-სონალურად მისთვის გამომცხვარ ხაჭაპურს, სულ ცოოოტა კატაბალ-ახას ნაყენით...

თორმეტმა რომ ჩამოჰკრა, ყვე-ლამ ჭიქა ასწია; ერთურთს ბედ-ნიერება უსურვეს... სიმბასა და ჩვენს სტუმარს შორის კი ერთგ-ვარი კუჩხი ბედინერი „ჩამოყალი-ბდა“ — ზუსტად 12 საათზე ერთ-მანეთს ფეხებით „მიეალერსნენ“ და მეც ნება მიბოძეს, თქვენთვისაც მეჩუქებინა სასიამოვნო ღიმი ანუ ულიბკა.

P.S. მომდევნო მესიჯის ავტორ-თან ასეთი კითხვა მაქვს: ამბობენ, ახალ წელს როგორც შევხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო, და იქნებ გვი-პასუხოთ, თქვენს შემთხვევაში გაამა-რთლა თუ არა ამ ცრურწმენამ?

სვენა-ალერსის ახალი წელი

„ახალი წელი მალე მოოვა, შე-ეხედე როგორ ჩამოთოვა“, — ახალი წლის მოსვლამდე, ერთი თვით ადრე ვინყებთ ხოლმე მზადებას. ყოველი

ახალი წელი თავის მხრივ გამორჩეულია, მაგრამ მე მაინც 2009 წელს გამო-ვარჩევდი. თუ — რატომ, ამას ახლავ მოგახსენებთ. ახალი წელი ბავშვები-სთვის, თოვლის ბაბუასთან და საჩუ-ქრებთან ასოცირდება. აი, ჩემთვის და ჩემი მეზობელი გიოსთვის ასე სულაც არ იყო. ორივეს მტკიცედ გვქონდა

გადაწყვეტილი, რომ ახალი წლის ღამეს ერთად უნდა შევხვედროდით და რაც მთავარი იყო, სახლში — არა. ახალი წელი მოახლოვდა და გიო თავისკენ მიხმობდა. ყველაფერი მზად გვქონდა. გიოს ჯიბეები ტკბილეულით ჰქონდა სავსე. მე კი ხელში მსმელი კაცივით ორლიტრიანი, მამაჩემის საამაყო, წითე-



ლი ღვინით სავსე ბოთლი მეჭირა. მალე საათმა თორმეტს ჩამოკრა და ჰაერში ბათქაბუთის თანხლებით, უამრავი, ლამაზი, ფერად-ფერადი ფეიერვერკით გადაიბუნტა ცა. სამწუხაროდ, სულ რაღაც 15 წუთში ეს საოცრება შეწყდა და ახალი წელი ძველი წელივით მიწყნარდა. თუმცა ეს არაფერი. ჩემები სახლში მხიარულობდნენ, მე კი ჩემს მეზობელ გიოსთან ერთად, რომლისთვისაც არც მე ვიყავი მთლად „სულიერი და“ და არც ის იყო ჩემი „სულიერი ძმა“, ღვინის სმაში ვიყავი გართული. ორივე ერთჭიქიანები აღმოჩნდით და თვალბეჭდით ფეიერვერკი გვქონდა, ყურებში კი ბათქაბუთი ისევ გვესმოდა. დედამ იცოდა, რომ ბებოსთან ვრჩებოდი, ბებოს კი აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ახალი წლის ღამეს, სახლიდან მოშორებით, ეზოს ბოლოში, გაუქმებულ სხვენში (სადაც ძველი ნივთები ინახება) გავატარებდი. ღვინომ, ზღვასავით აგვალევა, ბრინჯივით დაგვანია, როგორც ნასვამ კაცს შეშენის, აგვამაჩათა და ერთმანეთის ჩახუტების სურვილი გაგვიჩინა. ახალი წლის ის ღამე თვის ზვინში — არა, მაგრამ ბებიაჩემის ძირგავარდნილ სანოლზე კი გავატარე. კარგი იყო“.

მიდი, დაჰკა!

„კვარაცხელიების ოჯახს ყოველ ახალ წელს დიდი მზადება და პურისჭამა ჰქონდა. ტრადიციულად, ახალ წელს ღორს კლავდნენ და მთელ სანათესავოს ეპატიჟებოდნენ. ოჯახის „მამასახლისი“ ქეიფის მოყვარული გახლდათ და 31 დეკემბერს 10 საათიდან იწყებდნენ ახალი წლის აღნიშვნას, 12 საათზე კი სიმთვრალისგან ყველას თავი ჰქონდა ჩაქინდრული და ძლივს ლაპარაკობდნენ. ის რა ქეიფია, თუ არავინ იჩხუბა? ახალი წლის შემოსვლამდე ნახევარი საათი დაიჩინილიყო, რომ ერთ-ერთ ნათესავს გვერდით მჯდომთან კამათი მოუვიდა. რა თქმა უნდა, კამათი ჩხუბში გადაიზარდა და ყველა იქ მყოფმა მიიღო, ამ ხელ(ფეხ)ჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა. დიასახლისი და მასთან ერთად რამდენიმე ქალი კაცების დამოშმინებას შეეცადნენ და მათი გამწვევლება სცადეს. მოგესხენებათ, გამწვევლებელს მეტი ხედება და დიასახლისის დიდი, სპილენძის ქვაბი მოხვდა თავში. მერე, რომელიღაც მეზობელმა „სასწრაფო“ და პოლიცია ერთად გამოიძახა და ახალ წელს ზოგი საავადმყოფოში შეხვდა, ზოგი — პოლიციის განყოფილებაში. კვარაცხელიების ყველაზე პატარა ნევრი, რომელიც ჩვენი ყოფილი მგზავნილი და ჩემი კარგი მეგობარია, საავადმყოფოს მოსაცდელში, დედის მოლოდინში (რომელსაც

თავზე 12 ნაკერი დაადეს) შეხვდა ახალ წელს. მტრის კარს, ასეთი ახალი წელი! ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ ყველას! თქვენი ლუნა“.

„გაკვანჩული“ გოგონები

„სუფრას ოთხნი უსხდნენ. სამხედროები ლალ ქეიფს მისცემოდნენ. ერთ-ერთი, ქვედატუჩგადმოგდებული და უაზრო, უმეტყველო იერის მქონე, მუსრს ავლებდა მაგიდაზე დახვავებულ კერძებს. მეორე, ხმაურითა და ქოშინით თქველფდა ცხელ წვნიანს და შიგადაშიგ არაყს წყალივით აყოლებდა. გოგონები ტკარცალებდნენ, კისკისებდნენ და მამაკაცებს ეკვკლუცებოდნენ, საცეკვაოდ იწვევდნენ, მაგრამ თანამეინახენი (ამ სიტუაციას უფრო მოუხდებოდა ჩოყლაყები) ვერ აიყოლიეს. ეკამ ტუჩები გამოხუმტა და წყენანარევი გამომეტყველებით ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა. ლიკამ მიბნედილი მზერა მიაპყრო ოფიცრებს. შემდეგ საჩვენებელი თითი შუა თითის მონაცვლეობით, ქვედატუჩგადმოგდებული თეძოზე ნაზად ათამაშა და ვენბიანად ამოიფურტულა: — ოოჰ, როგორ მალიზიანებს და აღმაგზნებს იარალი... რა მამაკაცურია... დამაჭერინე ხელში, რა... — მიმართა სამხედროს. — ნუ, ჯერ ეგ „მაკაროვი“ დამაჭერინე...“

ოფიცრმა იარალიდან მჭიდი უხმოდ ამოიღო და მაგიდაზე დადო. ლიკა ბავშვივით აცმუკდა: — მოდი „პო გუსარსკი“ გავხსნათ შამპანურები... არა, გუსარები ხმლით ხსნიდნენ, მაშინ „პო გვარდიესკი“... თქვენ ხომ გვარდიელები ხართ... პირდაპირ ვესროლოთ...“

— მაგარი რომანტიკულები ხართ, ბიჭებო, — აჰყვა ეკაც, — სუფრას ჩიტის რძეც არ აკლია, კაი ბიჭები და იარალი... — ამ სიტყვებით იარალი თავის ხელჩანთაში ჩადო და ფანტაზიას გზა მისცა. — ახლა რომ ვინმე თავს დაგვესხას და პირდაპირ „სუმიდან“ ვესროლო... ბუხ, ბუხ... ბახ, ბახ! --- ხელჩანთა შემოატარა დარბაზს, მხიარულად გადაიხარხარა და გაოგნებულ სამხედროს მაცდურად სთხოვა, „ვხტანგურად“ შეესვათ შამპანური.

ოთხეული რესტორნიდან საპალოდ შეზარხოშებული გამოვიდა. გოგონებმა აგარაკზე დააპატიჟეს სამხედროები, ოღონდ ჯერ ნუცუბიძეზე შევივლით, გასაღებისთვისო. ნუცუბიძეზე გვარდიელებმა ლიფტამდე მიაცილეს გოგონები, შეფარვით ის ლილაკიც დაიმასხოვრეს, რომლითაც ლიფტი დაძრეს. ათიოდე წუთში შემოფოთება შეეპარათ ოფიცრებს, რადგან ეკას ხელჩანთაში ტაბელური იარალი „ჩარჩენოდა“. ლიფტში შევიდნენ, იმავე ლილაკს დააჭირეს

და კაბინის კარი რომ გაიღო, სახტად დარჩნენ — ამ კორპუსიდან სხვა კორპუსში ხიდი თეიძობოდა გადასვლა...“

პეტო და დათა დახმაცვივარს ჩასჩერებოდნენ. უცებ, თითქოს ჩურჩულით, მაგრამ აშკარად მათ გასაგონად ნათქვამ, ამოოხვრას ამოყოლილ სიტყვებს მოჰკრეს ყური:

— ოოჰ, როგორ მალიზიანებს და აღმაგზნებს იარალი... რა მამაკაცურია...“

რასაც იმავე ტონალობაში მოჰყვარებლიკა:

— ჩუ, გოგო, სირცხვილია, არ გაიგონონ.

პეტომ, ნინა ორი მეჩხერი კბილი ფართო ღიმილით გამოაჩინა, დათას იდაყვი ნაჰკრა და უჩურჩულა:

— ჩემს „ნაგანზე“ აფანატებენ, თორე შენი „მაკაროვი“ არც დაუნახავთ...“

ახალგაცნობილები მალაზიიდან კარგა ხნის უნახავი მეგობრებით გამოვიდნენ. პეტოს შეთავაზებაზე, მანქანით მიგაცილებთო, მომხიბვლელად ჩაიღიმილეს. მანქანაშივე გადაწყვიტეს, გაცნობა მცხეთაში აღენიშნათ. პეტომ შეფიქრინებულ დათას თვალი ჩაუკრა, ფინანსური მხარე ნუ განაღვლებს, სპონსორიც გამოჩნდებაო. თუმცა, ეს არ აღარდებდა დათას და მანქანა ტელეატელიესთან შეაჩერა. მანქანის უჯრიდან პორტატული რადიომიმლები ამოიღო და პეტოს მიმართა, შემომყვი ხელოსანთანო. პეტომ მაგნიტოფონი ჩართო, სანამ მოვალთ, გოგონები გაერთობიანო, მაგრამ მისდა გასაოცრად დათამ მაგნიტოფონი გამოართო, აკუმულატორს დასვამსო. ატელიაში შესვლისთანავე, დათამ რადიომიმლები ჩართო, საჭირო სისხირე დაიჭირა და სპეციფიკური შიშინის ფონზე ორივემ გარკვევით გაიგონა ნაცნობი ხმები, თუმცა პეტო ყურებს არ უჯერებდა:

— მართლა ნორმალურები და კარგი, თბილისელი ბიჭები არიან... იმ პეტოს სიმელოტი როგორ უხდება და რა ვაუკაცურიია!

— კარგი, ეკა, გეყო... ხომ იცი, „ძალღებს“ ვერ ვიტან... ავახვეთ და ავახვეთ...“

მცირე პაუზის შემდეგ უკმაყოფილო და პროტესტნარევი, წყვეტილი ხმა გაისმა:

— ჯერ ის არ გავისალეობია, რაც გვაქვს... არ დავინვათ, თორემ... და მერე ზონა... ციმბირს მოგანატრებენ...“

სანამ დათა პეტოს უხსნიდა, რომ ე.წ. „ოტო“-ს ბიჭებმა მოსასმენი აპარატურა „უგრევეს“ და თვითონვე ჩაუმიონტაჟეს, ამ უკანასკნელის ნათელ გონებაში სამოქმედო გეგმაც მომნიფდა. გოგონებს სინანულით ამცნეს, რომ სასწრაფო საქმე გამოუჩნდათ და შეხვედრა მომდევნო დღისთვის დაუთქვეს. შემდეგ ტაქსი გაუჩერეს და შინ გაისტ-



უმრეს. მერე უკვე ყველაფერი „ტექნიკის“ საქმე იყო: ტაქსის მძღოლის ვინაობისა და შესაბამისად, გოგონების საცხოვრებელი კორპუსის დადგენა არ გასჭირვებიათ. იმ უბნის ვაი-„კაი ბიჭების“ მეოხებით შეიტყვეს, რომ ვილაცები მოპარულ იარაღს ყიდდნენ და რომ იარაღი „სუფთა“ იყო. მათივე მეშვეობით თანხასა და შეხვედრის დროზეც შეთანხმდნენ. შეხვედრაზე პეტო თვითონ წავიდა და გაჩერებაზე მდგომ, განცვიფრებულ ლიკას ხელი გადახვია. მცირე მანძილი ტკბილი მუსიკით გაიარეს, მერე კი მათ წინ მოულოდნელად გაჩერებულ „ნივამი“ თითქმის ძალით ჩასვა და ასევე მოულოდნელად, ქალაქის სამმართველოში ამოაყოფინა თავი. ლიკა არც ერთ კითხვას არ პასუხობდა, ჯიუტად დუმდა და პოლიციელებს ბოროტად უმზერდა მართლაც უღვთოდ ლამაზი, მაყვალავით შავი თვალებით. დრო აღარ ითმენდა, შესაძლებელი იყო, დაქალის დიდი ხნით გაუჩინარებით შემფოთებულ ეკას იარაღი საერთოდ მოეცილებინა და ლიკას დაკავება ყოველად გაუმართლებელ ქმედებად შერაცხილიყო ზედამხედველი პროკურორის მიერ. პეტო სადღაც, გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა დაკავებულს, თუმცა არც პროკურატურასთან უსიამოვნო ურთიერთობის პერსპექტივა ხიბლავდა. დერეფანში გამოვიდა და ძველ ნაცნობს, ნატას მოჰკრა თვალი, რომელიც ქალთა კოლონიაში მუშაობდა და ახლა სამსახურებრივ საქმეზე იყო მოსული სამმართველოში.

— ნატა, შენთან მეტად „დელიკატესური“ საქმე მაქვს, — ჩვეული იუმორით მიმართა პეტომ, გულთბილი მისალმების შემდეგ, — ანუ დელიკატესები იქნება მაღარიჩად, თუ ერთ დაკავებულს ააღაპარაკებ, ოღონდ უმტიკინეულოდ და ყოველგვარი შენებური ილეთების გარეშე (ნატა კარგად ფლობდა აღმოსავლური ორთაბრძოლის ტექნიკას).

იგი აუჩქარებლად შევიდა დაკავებულით და ასევე აუჩქარებლად გამოვიდა ხუთიოდე წუთში (დღემდე უცნობია, რით დასცა თავზარი თავზე ხელაღებულ გოგონას ნატამ). პეტო კაბინეტში შევიდა. სულით ხორცამდე შეძრული ლიკა, როგორც მხსნელს, ისე შეეგება. ეკასაც დაუყოვნებლივ გადაურეკა და იარაღის დათქმულ ადგილზე მიტანა სთხოვა. მალე ეკაც მოიყვანეს სამმართველოში და პეტო უკვე ადგილს ვეღარ პოულობდა. ცოცხად

გამხელილი ჯობს და თავს ვერ აპატიო, რომ ლამაზ, მომხიბვლელ გოგონებს სადაცაა ციხეში გაუშვებდა და არცთუ ისე ცოტა ხნით. ამ დროს, ბალისტიკური ექსპერტიზიდან შედეგები და გასაყიდი იარაღის მეპატრონის მონაცემები მოიტანეს. აღმოჩნდა, რომ იარაღი დაკარგულად არ ირიცხებოდა. პეტომ სახლში დაურეკა იარაღის ყოფილ მფლობელს და გასაგები ენით აუხსნა, რომ უწვრილმანეს დეტალებამდე მოიკვლევდა იარაღის წარმომავლობას.

— მაყუთზე მეჩალიჩები? არ გრცხვენია? ორივენი „პავონის“ ქვეშ ვართ... პატივისცემას კი არ დაგიკარგავ...

— მაყუთზე კი არ გეჩალიჩები, პირიქით, ის გოგონები ჩაგიყოლებენ, ამიტომ გიჯობს, თავად მიხედო საქმეს და თუ გყავს ვინმე, სასწრაფოდ ჩარიო...

მოგვიანებით დათა შეეკითხა: — რა იყო, რომ აიკელი ყველა იმ გოგონების გამო... მანამდე არ მოისვენე, სანამ პირობითი არ გაუნაღდე... გახსოვს? „კამერამ“ საერთოდ არ მოუწიათ, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს...

სადღაც შორეთში გაიხედა: — ცოცხად გამხელილი ჯობს და... შენც კარგად იცი, „ზადნის“ მიცემა არ მიყვარს და არც „სლაბაკი“ ვარ... მაგრამ... მაგრამ რაღაც ბოზურად და არაკაცურად აყვარეთ ეგინი... მოაცილე ეგ „უშოკი“ მანქანიდან... ისე, რა ლამაზები იყვნენ... და ლიკას რა თეთრი კბილები ჰქონდა?! როცა გაიღიმიებდა და სახეზე რომ გადაფიქნებოდა ამოუცნობი უღიბკა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„გამორჩეული ახალი წელი არასდროს მქონია, ან კი — როგორ, როცა ყოველ წელს სახლი აყრილ-დაყრილია. ახლა რემონტი მაქვს და ვარ ასე. ერთი ნესიერი ახალი წელი არ მახსოვს, ყოველთვის ვხვდები მეგობრებისა და ნაცნობების გარეშე და აბა ასე რა მულამი აქვს? ერთადერთხელ მახსოვს, ვითომ ახალი წლის ზეიმი გვექონდა ბავშვებს. ჩვენ ცალკე ოთახში ვიყავით, მშობლები — ცალკე. საწყალი ბავშვები პირს ძლივს აკარებდნენ სუფრას, იქით ოთახში კი მშობლები ერთმანეთს ასწრებდნენ ჭამას“.

„ყველაზე მაგრად ამ ახალ წელს გამახარებდა მაგარი კომპიუტერი, მა-

გრამ სად არის? ვინ მოგცემს, თორემ კი... ეს წელი კატა-კურდღლის წელია და იმედია, არ მოგვაკლდება: კატისგან — რძე და ყველი და კურდღლისგან — სტაფილო“.

„ეჰ, რაც მართალია, მართალია. მაგარი ახალი წელი მხოლოდ მდიდრებისთვის მოდის. ადრენალინ“.

„მე ყველაზე მაგარი ახალი წელი წარმომიდგენია შეყვარებულთან ერთად და არა სადღაც — ლამის კლუბში და დისკოთეკაზე. ახალი წელი წარმომიდგენია უცხოეთში და არა — საქართველოში. იქ უფრო მაგარია ახალი წელი, ვიდრე ჩვენთან. უცხოეთში ჯიგურულად იციან ახალი წლის აღნიშვნა. ცოტას სვამენ, ერთობიან და მხიარულობენ, აქ კი რა შეუძლიათ, უზომო ჭამის, უზომო სმისა და უზომო ხვინვის მეტი?“

„ყველა საახალწლო სურვილი მისდება-მეთქი, წლების წინ ვწერდი „გზავნილებში“. მას მერეც არ გამცრუებია იმედი, მაგრამ წელს უკვე გულდან-ყვეტილი ვფიქრობდი, 2010-მა მხოლოდ ტკივილი მომიტანა-მეთქი, მაგრამ უცებ, ბედნიერი ზარი გაისმა და წელიწადნახევრიანი განშორების შემდეგ დედის დაბრუნების დღე მაცნობა. ღმერთმა ყველა ისე სისხარულით სახვე შეგაგებოთ, როგორც მე ვეგებები 2011 წელს! არ მოგვლებოდე უფლის ნყალობა და ახდენილი ოცნებების მრავალი წელი. ყველას გილოცავთ. გოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

„კიდევ ერთი წელი გადააგორე, მარ, ჩვენს ხელში (ჩემთან ერთად — პირველი წელი)... ძალიან ბევრი რამ მასწავლე, მარიამულ: წერა, მოვლენების სწორად აღქმა, ნერტილ-მძიმის დასმა, ფიქრი, ფაქტების სწორად აღქმა და მათი ანალიზი... დიდი მადლობა მინდა გითხრა შენ ამისთვის. ლიკა ქაჯაიას უნდა გადაეუხადო უდიდესი მადლობა იმ ყურადღებისთვის, სითბოსა და პატივისცემისთვის, რაც 2010-ში მაგრძნობინა. ლიკ, ძალიან დიდი წვლილი მიგიძღვის ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში! მადლობასთან ერთად, ბოდიშიც უნდა მოგიხადოთ ორივეს. რამდენჯერ მინდოდა ამის თქმა პირადად, მაგრამ რამდენჯერაც გნახეთ, იმდენჯერ ენა ჩამივარდა მუცელში. რუისპირი“.

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება —
 „ყველაფერი სიმთვრალის
 ბრალი იყო...“ ამბები შეგიძლიათ
 გამოგზავნოთ მესიჯებით
 ტელეფონის ნომერზე 8.77.45.68.61
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
 marorita77@yahoo.com

„გამგებლობა მოიკრიბა და სიყვარული გამოუბყდი“

„ყველა მატარებელს თავისი მგზავრი ჰყავს“

„გზის“ №50-ში დაიბეჭდა 17 წლის დატანჯული გოგოს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 3 წელია, კლასელი უყვარს, მაგრამ ამ გრძნობას საგულდაგულოდ მალავს და ძალიანაც იტანჯება. „ცოტა ხნის წინ შევიტყვევ, რომ მას შეყვარებული ჰყავს. ცუდად გავხდით, თითქოს მები დამეცა... ყოველთვის მეგონა, რომ იმ ბიჭსაც მოვწონდი, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა...“

ლიკა ძაჯალია

ბრუნება:

„17 წელი ძალიან პატარა ასაკია ნამდვილი სიყვარულისთვის, მაგრამ თუ დარწმუნებული ხარ, რომ გიყვარს, მაშინ გამგებლობა მოიკრიბე და სიყვარულში გამოუტყდი. აბა, სხვა რა გირჩიო?.. წარმატებები!“

ნატალი:

„შენი კარგად მესმის, რადგან ვიცი, რა მდგომარეობაშიც ხარ. 14 წლის ვარ და უკვე 2 წელია, კლასელი მიყვარს. ჰოდა, ჩემი საიდუმლო ერთ გოგონას გავანდე, მან კი ყველას უამბო... შენი გაცნობა ძალიან მინდა. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს გავეუგებთ. P.S. თუ ჩემთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდება, ტელეფონის ნომერი ლიკას გამოართვი.“

აურა:

„ცუდად არ გამიგო, მაგრამ 3 წელი ფანტაზიორობდი და თავს იმით ინუგეშებდი, რომ უყვარდი? ბავშვობაში ზღაპრების კითხვა ძალიან გიყვარდა?.. თუ ასეა, ახლაც შეეცადე, ილუზიით იცხოვრო და ამის წყალობით მისი დავეინყება არ გაგიჭირდება...“

რუხარი (YELLOW):

„ახლა კი ყველაფერი დამთავრდა! არ ვიცი, მის გარეშე რა მემსვენებაო, — ისე მოთქვამ და წუნუნებ, თითქოს საქმე, სულ ცოტა, ქორწილამდე ან აივნის ქვეშ „გულების“ დანთებად იყო მისული. 17 წლის გოგოს მეტი სადარდებელი ან ინტერესი არა გაქვს? წიგნი წაიკითხე, დავალება შეასრულე, მომავალზე იფიქრე... 3 წლის წინ შეყვარებული მალახიის ვიტრინაში შემოდებული ნუგა კანფეტი მეგონა, შენ კი თურმე, კლასელის მიმართ გაჩენილი დიდი გრძნობით გულდათუთქული ყოფილხარ. სასაცილოა! ნამდვილი სიყვარული იცი, რა არის? — ერთი სული ორ სხეულში, შენ კი ერთი ხარ და ამას რაც უფრო მალე გაცნობიერებ, მით უკეთესი იქნება. შენი ცხოვრება ახლა კი არ გახდა უაზრო, არამედ მთელი 3 წლის მანძილზე ყოველგვარ აზრსა და ლოგიკას მოკლებული იყო; ტყუილში, ილუზიაში იცხოვრობდი. სიმართლე



ყოველთვის მწარეა, მაგრამ ეგ მწარე გერჩინოს ტუბილ სიცრუეს... ისწავლე, მიზანი დაისახე, იბრძოლე, გაისარჯე, მიალნიე და დაანახე, რა დაკარგა... თუ ახლა ყურებს ჩამოყრი და თმაგანწილი, პირდაუბანელი ივლი, მას ამით მხოლოდ კმაყოფილების გრძნობა დაეუფლება და იმ მცირე ინტერესსაც დაკარგავს, რომელიც, როგორც კლასელის მიმართ აქვს. P.S. თუ არ დამიჯერებ, ცოტა ხანში ასეთი სახის ტექსტს მოგვწერ: ჩემმა აქტიურობამ დამლუბა, „ლოვემ“ გამომიყენა და მიმაგდო, ახლა ორსულად ვარ და რა ვქნაო?.. წარმატებები!“

გილო-გილო:

„ეგ ბიჭი შენთვის ახირება იყო. იცი, ეგეთ პონტში მეც ვიყავი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არ მიყვარდა. ცხოვრება წინ გაქვს, აბა, შენ იცი.“

მელიკი:

„სამყარო იმ ბიჭით არც იწყება და არც მთავრდება. თუ გიყვარს, წესით, მისი ბედნიერება უნდა გიხაროდეს. ახლა ისეთ ასაკში ხარ, როცა სამყაროს სხვანაირად აღიქვამენ, მაგრამ დრო გავა და მიხვდები, რომ მაგაზე დარდი არ ღირს. თუ არ უყვარხარ, ე.ი. შენთვის არ ყოფილა გაჩენილი. ღმერთმა უკეთ იცის, ჩვენთვის ვინ ჯობია. ბოლოს და ბოლოს, ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — ყველა მატარებელს თავისი მგზავრი ჰყავსო.“

ჰოდა, დაელოდე, შენი მატარებელიც ჩამოდგება. ღმერთი შენკენ“.

სვანის ასული:

„სამწუხაროა, რომ 17 წლის ასაკში ცხოვრება უაზროდ გეჩვენება. პირველ რიგში, იმის ილუზია არ უნდა შეგექმნა, რომ მასაც უყვარდი. შენი კარგად მესმის, მერწმუნე. თუ შეყვარებულთან სერიოზული ურთიერთობა აქვს, ვწუხვარ, მაგრამ მასთან ყოფნის იმედი არ უნდა გქონდეს. მეგობრებთან კონტაქტი არ განწყვიტო. ძნელია, მაგრამ შეეცადე, სხვა რამეზე გადაერთო, არც წიგნებს მოსწყდე, დანარჩენს კი დრო გიკარნახებს — ან დაფასდება შენი ლოდინი, ან სხვა ადამიანი გამოჩნდება. გამძლეობას და ღმერთის მფარველობას გისურვებ!“

ატარამია:

„არ ვიცი, მის გარეშე რა მემსვენებოდაო, რომ ამბობ, შენი როლის იყო? მაგ ნორჩ და გაუხსნელ ტვინის უჯრედებს სისულელებით ნუ გამოიჭედავ, ტრადიციას ხელოვნურად ნუ შექმნი. მოვა დრო და შენც გეყოლება შეყვარებული, შენც მიიღებ შენს წილ ბედნიერებას.“

ნათია:

„შენი კარგად მესმის, რადგან მეც მსგავს სიტუაციაში ვარ. საყვარელი ადამიანი იმის გამო დაკვარე, რომ ვერ შეეძელი მეთქვა, თუ რას ვგრძნობდი მის მიმართ, ახლა კი ამას ძალიან ვნანობ. დაელაპარაკე და უთხარი, რასაც განიცდი, თორემ შესაძლოა, ეს დუმილი სანანებელი გაგიხდეს. წარმატებები!“

გუზლუნა:

„გოგოს ცრემლებად არავინ ღირს. მერწმუნე, არც ერთმა ბიჭმა არ იცის, რა არის სიყვარული და ვერც გაიგებენ, რადგან ქალების ფასი არ იცინა. აუ, „დაიკიდე“ ის ბიჭი და ვინმე სხვა იპოვე. P.S. მეც მინდა ჩემი ამბის მოყოლა და რომელ ნომერზე მოგწეროთ (იმ ნომერზე, რომელზეც ეს მესიჯი გამოგზავნე. — ავტ.)“

ლუნა:

„ძალიან ძნელია, როცა ადამიანი გიყვარს და ამას ვერავის უმხელ, გულში ინახავ. ჩემო კარგო, ვფიქრობ, გულჩვილი და მეოცნებე გოგო ხარ. რატომ იტანჯები? მან ხომ არ იცოდა, მის მიმართ რაიმე გრძნობა თუ გქონდა?.. ამ ამბავს ასე დრამატულად ნუ აღიქვამ. დამიჯერე, მალე გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ნამდვილ სიყვარულს განგაცდევინებს. ცალმხრივი სიყვარული ყოველთვის იმედგაცრუებით მთავრდება. ლამაზ სიყვარულს გისურვებ!“

„სიყვარული ნდობის, ერთგულების და ურთიერთგაგების ნაზავია“

„გაუფრთხილდი, თორემ დაქარბავ...“

„გზის“ №30-ში დაიბეჭდა ანას მესიჯი, რომელიც გვწერდა: „ამ ზაფხულს ერთი ბიჭი გავიცანი და მასთან ურთიერთობა გავაბი. მუუბნება, რომ ვუყვარვარ, მაგრამ არ ვნდობი, რადგან ისეთი ყურადღებიანი არ გახლავთ, როგორც სხვები არიან. ამას წინათ კლასელმა მითხრა, — მოდი, ვაფევიანოთო და მისწერა ფრთხილად, ანა არაფერ ნაგართვას — ბევრი ბიჭი დასდევს და აწუხებსო. ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ, მან ჩხუბი დაამწყობ, — რატომ არაფერი მითხარო? ჰოდა, აღარ ვიცი, რა ვქნა“.

ბურა:

„გზა“ რომ მაგარია, ეგ ვიცი, მაგრამ შენ რომ დებილი ხარ, ეგ თუ იცი (ჩემი პირდაპირობა არ გეწყინოს)? არ გიფიქრია, რომ შესაძლოა, იმ ბიჭს ზედმეტი ყურადღების გამოჩენა არ ახასიათებს? თუ არ ენდობი, მასთან ურთიერთობის გაგრძელებას რა აზრი აქვს? თუ უყვარხარ, ცხადია, იეჭვიანებდა, მან ხომ არ იცის, რომ ის მესიჯი შენ მისწერე? ჰოდა, ახლა მის მიერ მოწყობილი სცენაც უნდა აიტანო“.

რუსპირი (YELLOW):

„სიყვარული ნდობის, ერთგულებისა და ურთიერთგაგების ნაზავია, ჩვენ კი ამ ნაზავის ჭურჭელი ვართ. თუ ეჭვიანობის თამაშს და შენი ბიჭის გამოცდას არ შეეშვები, მას სამუდამოდ დაკარგავ. მაპატიე, მაგრამ 24 საათი ტელეფონზე „ჩამოკიდებით“ სიყვარული არ მტკიცდება. P.S. ამ გრძნობას აქსიომითეორემები არ სჭირდება“.

ღანიელი:

„გოგონებო, რას დარდობთ? ცხოვრება წინ გაქვთ! ბიჭებს თავი ისე მოაჩვენებთ, თითქოს მათზე არასდროს გიფიქრიათ. პირადად მე, ასე მოვიქეცი და ახლა ბედნიერი ვარ. სხვა გავიჩინე და ყოფილის სიფათის დანახვაც არ მინდა. ერთხელ დაგხვდი და პირში ვუთხარი: არასდროს მიყვარდი-მეთქი“.

ბრიალა:

„ბავშვი ხარ, გაიზრდები და აზრზე მოხვალ!“

ბუზღუნა:

„ტვინი სად გაქვს? კარგად მოძებნე, სადმე ხომ არ დაგიტოვებია? არ გჯერა და ნუ გჯერა, დაშორდი და მორჩა! აუ, გოგონებო, ტვინი გაანძრით, რა და ყველა ბიჭს ნუ დაუჯერებთ. ბიჭებთან უნდა გაერთოთ, ეკაიფოთ და მერე ძველი ნივთივით მიაგდოთ. აუ, ბიჭის გამო ნამდვილად არ ვიტირებ, თავს არ მოვიკლავ“.

ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ, — ერთი წავა და სხვა მოვალ...“

ფირალა გოგონა ბარაუხიდან:

„მაპატიე, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ გიყვარს? სიყვარული ნდობითა და ურთიერთგაგებისცემით შენდება, მე კი არა მგონია, თქვენ შორის რაიმე ამდაგვარი იყოს. საკუთარ გრძნობებში გაერკვიე და მასთან ურთიერთობა შედეგ განაგრძე. წარმატებები!“

ჭრიჭინა:

„დაელაპარაკე და პუხსენი, რომ მისი უყურადღებობა გულს გტკენს. თუ არ გამოისწორდება, ე.ი. არ უყვარხარ“.

ნაიო:

„ცოტა არ იყოს, დავიბენი. ნდობა სიყვარულს თან ახლავს და თუ არ ენდობი, მაშინ რა სიყვარულზე გვწერ? სიყვარულს მალავს უხდება და არა კლასელებთან ჭორბობა“.

უცხოვი:

„ჯობია გამოცადო ანუ დაგიმტკიცოს, რომ უყვარხარ; ცოტა ხანს „ინგორი“ გაუკეთე და დააკვირდი, როგორ მოიქცევა. შენს თავს არ უტყდები, მაგრამ იცოდე, ეგ ბიჭი გაინტერესებს“.

CRAZY GIRL:

„ძვირფასო, შენ იმ ბიჭისთვის სულერთი არ ხარ. იქნებ, მართლაც უყვარხარ, ოღონდ — თავისებურად: ანუ ყველა ერთნაირად ვერ გამოხატავს გრძნობას. ენდუ, მაგრამ ზომიერად. წარმატებები!“

პრინცესა 16:

„ვფიქრობ, ეგ ბიჭი არ გიყვარს, რადგან იქ, სადაც სიყვარულია, ნდობაც არის. მთავარია, კარგად გაერკვიე, თუ რა გინდა მისგან“.

ლუნა:

„უყურადღებო კაცი არ გამოგადგება. ვიდრე მის მიმართ რაიმე გრძნობა გაგიჩნდება, დაშორდი, მეგობრებს კი შენს პირადში ნულარ ჩარევ... თუ იმ ბიჭს შენ მიმართ სერიოზული ზრახვები აქვს, იბრძვილებს, გკოცნი და მიყვარხარ“.

ბრუზინა:

„ჯობია დაშორდე. ეტყობა, ან სათანადოდ არ უყვარხარ, ან პასიური ადამიანია, გთვინთვის კი მთავარი ყურადღებაა“.

ლივჩიკა:

„შენ შემთხვევით, ჰოროსკოპით უყმური ხომ არ ხარ? სათაურმა: „მეყვარებულს არ ვნდობი“, გამაკვირვა, რადგან თავად უცხადებ უნდობლობას და რალაც დანდურა „ესემესებით“ ამტერებ. თუ გიყვარს, ნუ ებოდილები; გაუფრთხილდი, თორემ დაკარგავ. რით ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ სიყვარული დაჭერობანას თამაში არ არის?“

LITTLE LADY:

„რა გაგჭირვებია, მაინც ვერ გავიგე. ძალიან უაზრო ხარ. ზოგს მართლა რთული პრობლემა აქვს, შენ კი რალაც სისულელის გამო გვიშლი ნერვებს“.

„თანამშრომელი მთხროვს. ქრისტიანულად მოვნათლო“

CRAZY GIRL:

„ხალხო, თქვენი რჩევა მჭირდება. მოკლედ, ცოტა „მსუბუქი“ თანამშრომელი მყავს და მთხოვს, ქრისტიანულად მოვნათლო. მთელი 2 დღეა, გამუდმებით ამაზე ვფიქრობ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მივიღე. მხოლოდ ერთი ფრაზით მიპასუხეთ, რა ვქნა? მგონი, უნდა მოვნათლო, არა? გკოცნით“.

„ბიჭად ყოფნის სურვილი აღარ მქვს“

ბაბა, 14 წლის:

„არ ვიცი, ჩემი პრობლემის მოყოლა საიდან დავიწყო... მშობლებთან, განსაკუთრებით — მამასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა; მას შემდეგ, რაც შემატყო, რომ ქალური მანერები მაქვს, მხოლოდ გოგონებთან ვმეგობრობ და ბიჭები მომწონს, ცუდად მეპყრობა, მცემს... ჩემი ორი მეგობარი ბიჭი სამუშაოდ თურქეთში დადის; შემომთავაზეს, — შენც წამოდი, იქ ბარში იმუშავე, ცოტა პროსტიტუციასაც „მიანვები“ და თავს გაიტან, თან — ახალ „ბოიფრენდსაც“ გაიჩენო. არ ვიცი, რა ვქნა. მეშინია, რომ წავიდე და ამ ნაბიჯის გამო ყველა საყვარელი ადამიანი დავკარგო, მერე? თურქეთში რომ წავიდე, ძმას, დას, უსაყვარლეს დისშვილს და კლასელ გოგონებს ველარასდროს ვნახავ, მაგრამ სხვა გზაც არა მაქვს, ოჯახში აღარ დამედგომება!.. თუ წავიდე, იქ ე.წ. ტრანსსექსუალი ვიქნები, რადგან ბიჭად ყოფნის სურვილი აღარ მაქვს. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.

P.S. გზს ასე თუ CRAZY GIRL-ისა და ბაბას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

მოზილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. ვარ 23 წლის, ლამაზი გოგო, რეგიონში. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-დან 30 წლამდე მამაკაცს.
2. ვარ ექიმი, მხიარული, ბინით, მანქანით, აგარაკით. დამირეკოს თბილისელმა, უზრუნველყოფილმა, ინტელიგენტმა მამაკაცმა, 37 წლის ზემოთ.
3. გამარჯობა. დაუფერებელია, მაგრამ აქ მინც ვწერ. მინდა ის ადამიანი გავიცნო, ვისაც მართლა სჭირდება თბილი ოჯახი. მატყუარები არ შეწუხდეთ. ბელა29.



ქასები

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ დასაქმებული.
5. ვეხმარები „გზა“ №48-ში გამოქვეყნებულ, რიგით მე-7 მესიჯის ავტორ ქალბატონს. გავიცნოთ. გთხოვთ, დამიკავშირდით ამ ნომერზე.
6. გავიცნობ 21 წლის გოგოს. დამიკავშირდით. მიშკა.
7. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგონას, 36 წლამდე. მატერიალურად დამოუკიდებელს, შეძლებულს და მართლმცხოვრებს. მშვიდი ხასიათი მაქვს. ვარ 33 წლის.
8. ვარ 31/164/58, მამაკაცი. მაქვს სახლიც, მაქვს ელემენტარული სამსახური, უბრალო ავტომანქანა და თავად მეც უბრალო ადამიანი ვარ. არ ვკაიფობ, არ ვსვამ, მაგრამ ვქეიფობ. ვექებ

მართლმადიდებელ, ქართველ გოგოს, არამდიდარს, არათბილისელს, არადედისერთას. მსურს, იყოს ინტელექტუალი, სიმპათიური, 23-28 წლის. ილევატსურ.

9. პირველად ვამესიჯებ უურნალ „გზაში“. მინდა გავიცნო გოგო, დაოჯახების მიზნით, 16-დან 25 წლამდე. არასერიოზულები ნუ გამოუმხმარებთ.



სხვადასხვა

• კასკუ, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ჩვენი დარდი არ გქონდეს, თავს მიხედ. საქმე კარგად მიდის. შენ ვისაც რაღაცებს აბარებ, სისულელეა. მე და ქეთო სულ ერთად ვართ. მანდაც ერთად დავდივართ და ვწყნარდებ-

ით. მესხეთიდან მძლოლი ხშირად მირეკავს და მოდის. ყველა გვერდით მიდგას. შენი ნათლულის მამაც, ძმაო, მოწყენილია. ბავშვები საახალწლო მაისურს გიგზავნიან. ენატრებათ SILLY FATHER. წიგნები კიდევ გამოგიგზავნე. გელოდებით ფანტქალით. ბითა.1 2 3 შენი ლისკუები.

• არა რა, როგორ მხიბლავს ამ ორი პიროვნების — რუსისპირისა და მისტერის მოსწრებული სიტყვა-პასუხი, უსაინტერესოესი მონათხრობებით. გაიხარეთ, მის ნეგრო.

• გამარჯობა, მე ვარ ანი, 24 წლის. დაახლოებით 6 თვის წინ გავიცანი ჩემზე ბევრად უფროსი მამაკაცი — ავთო, რომელიც სიგიჟემდე შემეყვარდა და უბედნიერესი ვიყავი მასთან ერთად, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ ის დაიჭირეს და შეიძლება ძალიან დიდხანს ვერ ვნახო. დავრჩი ძაან დაბნეული, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გთხოვთ, მირჩიოთ.

• ბანსი, წვეთი რომ მონატრება იყოს, თავსხმა წვიმას გაჩუქებდი, კოცნა რომ წამი იყოს, სიცოცხლეს გაჩუქებდი, სიყვარული რომ ადამიანი იყოს, ჩემს თავს გაჩუქებდი. ბანსულა.

• ჩემო ჭორიკანავ, შენზე ძალიან ვწერე-იულობ, ძალიან დათრგუნვილი მომეჩვენე დღეს. მე არ მინდა, რომ ღიმილი დაგავინწყდეს. მე მინდა, რომ ისევ ისეთი კეთილი იყო. 4-ში თუ ვერ მოვახერხე მოსვლა, არ გეწყინოს. თავს გაუფრთხილდი, არ გახდე, გეხვეწები. ილოცე და ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთს ებარებოდე, გოცნი, მიყვარხარ გულში.

• აუ, ისე, არ გიფიქრიათ, როგორი ადამიანია ლედი ადამიანი? მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ძმაა, რომლის წყალობითაც „ბუძელნიკმა“ ორი საათით ადრე დამირეკა. მის ნეგრო.

• კასკუ, წინა ნომერში რატომღაც არაფერი დაბეჭდეს. მოკითხვებს გითვლის ყველა, უცხოეთიდანაც. თანადგომას მპირდება ყველა. უკვე ძალიან გვიჭირს უშენოდ. ლისკუ.

• წინასწარ გილოცავთ ახალ წელს. კარგი განწყობილებით შეხვდი. ღვთის წყალობით, კარგი წელი დაგვიდგება და ერთად ვიქნებით სულ. ბევრს გოცნით იტუნა, სალო, სოფო და დედა.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



• გიო-66, პირველ რიგში მინდა მოგილოცო დამდეგი ახალი წელი. შეხვედი შენებურად: ჟილეტი, მხნედ, ძლიერად, არ დავარდებ, თავს ყველაფერში სიკარგისკენ შეუძახე. შეეგუე შენს ბედს, გთხოვ, გამაგრდე. ჩათვალე, რომ ესეც შენი ცხოვრების ცუდი გამოცდის ნაწილია. მოითმინე და უფლის მადლით, ყველაფერი კარგად იქნება. შენ გვერდით ვართ მშობლები და შენი საყვარელი ძმა. გიო კარგად არის. მხოლოდ შენს ჯანმრთელობასა და ნერვების დამშვიდებაზე იფიქრე. ბევრი ილოცე და ბევრი ივარჯიშე. გკოცნი, ჩემო ჩუთლა.

• ბადრიკუნა, შობას და ახალ წელს გილოცავთ, ჩვენო მონატრებულო. სულის სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და ჩიტივით თავისუფლებას გისურვებთ. ჩვენ გვერდით გვინდა, რომ იყო, დათვივით იბურტყუნო და მეკვლედ მოხვიდე... ვერ წარმოიდგენ, როგორ გვაკლიხარ. ის ხანმოკლე შეხვედრები, რომელიც თვეში ერთხელ გვაქვს, არ გვეყოფის, მაგრამ მაინც მოუთმინელად ველოდებით, როდის გავა 4 კვირა, რომ დაგინახოთ და ცოტა მაინც მოგეფეროთ. მთავარია, მშვიდად იყო. ჩვენ შენ გვერდით ვართ და ყოველთვის ასე იქნება. ეს შენც კარგად იცი. ახლა საქმეზე: ვარდიკო ვნახე და იმ დღესვე დამირეკა გოგამ. სახლში რომ დავბრუნდი, რაც მაშინ გამოგზავნეს, ვნახე და ნიგნი იყო, ოღონდ, ცალკე, ჯაჭვის გარეშე. ველოდები ზარს და ვნახოთ, ჯაჭვზე რას მეთყვიან. გოგამ გამომკითხა შენი ამბები, როგორ არისო.

ჯუბამ დარეკა, გიკითხა და მოუწყევით ამბებს. დაგვამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. კახამ მუშაობა ისევ დაიწყო. ეტყობა, მოიყვანა მცხობელი. სულ 2 დღე იყო დაკეტილი. სულს ამოვხდი, თუ ისე არ მოიქცევა, როგორც საჭიროა. ახალ ამბებს ისევ გაგაგებინებ, მომავალ კვირაში. ჩვენ არა გვიშავს, ძველებურად ვართ. რომ გნახეთ, ცოტა დავმშვიდდით, მანამდე ძალიან ვნერვიულობდით. რომ ვერ გვიკავშირდებოდით, მეგონა, რომ რალაც საშინელება იყო ჩვენს თავს და გულს სულ ბაგაბუგი გაჰქონდა, სანამ დაგინახავდი. ჩემი ძამიკო რომ ძველებურად ლამაზი და მოლიმარი, კარგ ხასიათზე და მხნედ დავიხსენე, გამიხარდა. ყველაზე მეტად კი ის მიხარია, რომ შენს თვალბში იმედგაცრუებას, სევდას და დეპრესიას ვერ ვხედავ და მომავალს შენ რომ იმედის თვალით უყურებ, მეც იმედი მეძლევა. ხომ იცი, რომ შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ,

ვისი იმედიც ბოლომდე მაქვს. ახლა კი საყრდენი მაქვს გამოცლილი, მაგრამ ჩემი ამბავიც ხომ იცი, ტყვიასაც არ შეეუშინდები და ყველაფერს კბილებით

არ წვიმს, როგორც ქუხსო, ხომ გაგიგონია? ზედმეტად გააზიკებენ, ყველაფერი კარგად იქნება. მე მჯერა და სხვებიც მარწმუნებენ. მთავარია, ნერვები მო-

გექებ შენ, ჩემო უცნობო ძმავ!

გადავწყვიტე, თქვენ მოგმართოთ და თქვენი ჟურნალის საშუალებით ვიპოვო ძმა, რომელზე ფიქრიც არ გვასვენებს მთელ ოჯახს. ყველაფერი ასე მოხდა: 27 წლის, 2 შვილის დედას, რომელიც მესამე შვილს ელოდა, 8 თვის თავზე ნაადრევი მშობიარობა დაენყო და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სამშობიარო სახლში მოათავსეს. მშობიარეს სიცოცხლე სასწორზე იდო. დიდი წვალბების შემდეგ დაიბადა ვაჟი. დედამ კარგად დაინახა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო, მოძრაობდა, ამ დროს კი ერთმა თანამშრომელმა უთხრა, ბავშვი მკვდარი დაიბადაო. ეს სიტყვები კარგად ახსოვს დედას, მაგრამ შეპასუხების თავი არ ჰქონდა, რადგან მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ ექიმების მცდელობის შედეგად რამდენიმე კვირაში გამოკეთდა. ყველას სთხოვდა, ბავშვი მიეყვანათ, მაგრამ ყველა ერთნაირად პასუხობდა, ბავშვი მკვდარი დაიბადაო. ის რომ ეთქვათ, ცოცხალი დაიბადა და შემდეგ მოკვდაო, დაიჯერებდა. ჩემმა მშობლებმა 3 შვილი გაგვზარდეს, სამივე — უმაღლესი განათლებით; სამაგალითო ოჯახი გვაქვს, ხშირად უქებენ ჩვენს მშობლებს შვილებს. მათ კი დღემდე ვერ მოიშორეს იმაზე ფიქრი, რაც სამშობიაროში მოხდა. ეს ამბავი არ ვიცოდი, სანამ ერთ დღეს ერთი ახალგაზრდა კაცი არ დავინახე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩემს ძმას. მის დანახვაზე სიხარულმა ამიტანა, მეგონა, ჩემი ძმა უცხოეთიდან ჩამოვიდა-მეთქი (საზღვარგარეთ მუშაობს, თანამდებობის პირია). თუმცა, რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ეს მამაკაცი უფრო ახალგაზრდა იყო და შეეჩერდი. ეს ამბავი შინ მოვყევი. დედამ რამდენჯერმე მომაცოლა და აღმანერინა მისი გარეგნობა. თან ტიროდა, თან მხეხუნებოდა, იქნებ დაკარგული შვილი მომაძებნინოთო. გთხოვთ, დამიბეჭდოთ ეს წერილი. ჩემი დაკარგული ძმა 1957 წლის ზამთარშია დაბადებული (მიაქციეთ ყურადღება, იქნებ ცოტა გვიან ან ადრე „გაათარეს“). ის ფიზიკურად ლამაზი იქნება, თუმცა, ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, 53 წლის განმავლობაში ჩვენგან შორს იცხოვრა, მაგრამ მერწმუნეთ, 1 კვირა საკმარისი იქნება, რომ ჩვენთან იურთიერთოს, ჩვენი მშობლები მოეფერონ და შეივსებს იმას, რაც შესაძლოა, ასე აკლდა. ყველას გთხოვთ, თუ ვინმეს ასეთი პიროვნება გეგულებათ, დამეხმარეთ, მისი პოვნის შემდეგ ჩვენი ოჯახი უფრო ბედნიერი იქნება. იქნებ მისმა გამზრდელმა წაიკითხონ და დამეხმარონ, არაფრის შეეშინდეთ, ჩვენ ვიცით, შვილის გაზრდას რამდენი შრომა სჭირდება და მათი შრომა ჩვენი მხრიდან ყოველთვის დაფასებული იქნება. შეგვეხმარეთ ჟურნალის საშუალებით.

გავიტან. მიუხედავად იმისა, რომ მანდ ხარ, მაინც შენ მეგულები იმედად. აბა, შენ იცი... ერთად გადავაგოროთ ეს გაჭირვება. ვიცი, შენ უფრო გიჭირს, მაგრამ არც ჩვენ ვართ კარგ დღეში. გკოცნი, შენი დაიკო.

• ჩემო ძვირფასო ადამიანო, ნანი ბე, ძალიან მომენატრეთ, ყოფაშიც და „გზავნილებში“. მიყვარხარო. ღმერთმა დაგლოცოთ. P.S. ნიბუ, ქსნის ასულო, გენაცვალე. მემე.

• აუ, რამდენი წავიდა მართლა. :(კლეოპატრას, მისტერს და რუისპირს მოვიკითხავ, ყველაზე მაგრები არიან! მგზავნელებო, გკოცნით. ბუსასო.

• 087, ჩემო სუნთქვავე, ჩემო ჰაერის ნაკადო, როგორ ხარ? ძალიან მენატრები. იმდენად, რომ უკვე აღარ შემიძლია, მაგრამ რას ვიზამ? გავუღლებ. რომ გნახე, ამან უფრო იმოქმედა. ცოტა გამხდარხარ და ნერვიულობაც უფრო გეტყობა, მაგრამ რას იზამ? უნდა გაუძლო. შენ ხომ ძალიან მაგარი ხარ? ისე

თოკო. ხომ იცი, ეს არადადამიანები ჩვენს ნერვებზე თამაშობენ. არ დაეცე, პროვოკაციებს არ წამოეგო, მთავარი ჯანმრთელობაა და მერე ყველაფერი კარ-



გად იქნება. აბა, შენ იცი. ჩვენ კარგად ვართ. სახლში ყველაფერი ნორმალურად მიდის. გათბობაც ჩავრთე უკვე, ძალიან ციოდა. ვუძღვებით ყველაფერს, მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ხარ. აბა, რა გეგონა? ყველაფერში ერთპიროვნული რომ ხარ? მაგრამ არა უშავს, მალე ჩვენთან იქნები და გააგრძელებ შენებურად. ბიჭები კარგად არიან, დადიან სასწავლებლებში. უკვე კაცები არიან. შენმა არყოფნამ და მოუკიდებლობა შესძინა, მაგრამ თან ძალიან იმოქმედა. სულ შენზე ლაპარაკობენ, მონატრებას უფრო გამოხატავენ, მაგრამ არა უშავს, იმედია, მალე აქ იქნები და ჩაგვეხუტები. თუ ცოტა დაიგვიანე, არა უშავს, მთავარია, კარგად იყო. რას ვიზამთ? უნდა გავუძლოთ!!! მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ეს ჯოჯოხეთი მალე დასრულდება და ყველაფერი კარგად იქნება, მაქსიმუმ, 3-4 კვირაში. სულ ამაზე ვლოცულობ, ჩემო ჰაერო, შენც ილოცე. იმედია, უფალი შეგვეწყვე. შენ რომ გამოგიგზავნე ფსალმუნის, შიგ მამა გაბრიელის მანტიის ნაწილია. ეგ შეგეწევა, დიდი ძალა აქვს, სთხოვე მამა გაბრიელს. მე ხშირად დავედივარ მცხეთაში და ვეხვეწები, გვოშველოს. მჯერა, რომ შეგვეწყვე. ახლა აქაურ ამბებს მოგიყვები: ჩემს უბანში ბევრი სახლი აშენდა, ჩამოსასვლელში დიდ, „პანასონიკის“ ცენტრს აშენებენ. ახლა, როცა შევეჩვიეთ აქაურობას, საშიშროებაა სახლის დაკარგვის. რომ იცოდე, როგორ არ მინდა... არ მინდა კი არა, ვერც წარმომადგენია, მაგრამ გარშემო სულ ყველა ყვავივით დაგვჩხავის, შინაური თუ გარეული. რამდენის თვალში ვხედავ ნიშნის მოგებას, მაგრამ არა უშავს, ღმერთი არ გაგვიწავს, ყველა თავისას მიიღებს. ჰო, კიდევ, ის პიპი... ჩაიცვივლეს, მე და კაცები კბილებით ვცავთ. ერთადერთი, გადასადგებად არ გვემეტება, თორემ თუ რეალურად გაიყიდება და გიშველის, ჭირსაც წაუღია ყველაფერი. მთავარია, შენ გეშველოს, აქამდე ყველაფერი ხომ გადაყარეს და სად წავიდა, აღარ ჩანს. მე მსგავსი უუნარო და უგულო ხალხი არ მინახავს. ჰოდა, პიპ-საც იმიტომ ვებლაუჭები, რაღაც ელემენტარული საკუთრად ხომ უნდა გქონდეს? დაგირავება ხომ არ აჯობებს? მორჩა, აღარ გეწუნუნები, მაგრამ მაინც ჩემსას არ ვიშლი ისევ შენ შემოგჩივი. რა ვქნა, შენ ჩემთვის (სადაც უნდა იყო) მაინც ყველაფერი და ყველაზე მაგარი ხარ! ჰოდა, ჩემო ჰაერო, ამიტომ უნდა გამაგრდე. რომ დაბრუნდები, შენებურად რომ შეუბერო. თუთა სულ შენ გკითხულობს, ჩემი აჩიკუნა რატომ აღარ მირეკავს, აღარ ვუყვარვარო? თურმე სულ ამას ამბობს. ახლა, ჩემო სუნთქი, ცოტა გამიგრძედა. უნდა დავამთავრო. ბუღისტი მაჩქარებს, ინსტიტუტში მიდის, მაგრამ უნდა გამოგიგზავნო ეს წერილი. მე არ მაქვს მესიჯის აკრების წერები. თუ ახლა მოგისწრო ამ მესიჯმა, ხომ კარ-

გი, თუ დაგიანდა, წინასწარ გილოცავ, ჩემო სიცოცხლე, ახალ წელს. პირველ რიგში, ჯანმრთელობას და სახლში მალე დაბრუნებას გისურვებ. სიხარული, ბედნიერება, წარმატებები, პრობლემებისგან გათავისუფლება მოეტანოს ამ წელს შენთვის და ჩვენთვის. დაე, ეს ყოფილიყოს ყველაზე დიდი განსაცდელი ჩვენს ცხოვრებაში და ყველაფერი ცუდი ამ წელს წაეღოს ჩვენგან. არა უშავს, აღმართს დაღმართი მოსდევს, ხომ იცი? ახლა ცუდი პერიოდი გვაქვს, მაგრამ უფლის შენეებით ისევ დაინყება ჩვენს ცხოვრებაში ისეთი აღმართი, რომელიც სულ ზევით და ზევით აგვიყვანს. ალბათ ეს გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა, ცოტაც გავუძლოთ და იმედია, უფალი შეგვეწყვე. მიყვარხარ, მენატრები, გოცნი ბევრს, ჩემო სიცოცხლე. დარწმუნებული ვარ, შემდეგი წერილის გამოგზავნა აღარ დამჭირდება, ჩემთან იქნები, ჩემო ჰაერო!!!

• 030, როგორ ხარ, სიხარულო? ახალ წელს გილოცავთ, ჯანმრთელობას, გაძლებასა და თავისუფლებას გისურვებთ. თავისუფლების წელი დამდგარიყოს სრულიად საქართველოსთვის. უფალი გვარავდეთ ყველას. ბაჩი, ჩვენ კარგად ვართ. მეც ვარ, რა... მენატრები ძალიან. შენი ზედა მაცვია სახლში, სუნსაც ვეძებ შენსას, მაგრამ ეჰ, როგორ დავილაღე... მგონი ყველაზე დიდი სასჯელი მე მერგო. გავუძლებ შენი ხათრით, სიხარული. ჩემზე არ ინერვიულო. ხომ იცი, არ დავცემი. მიხედვით შენს თავს, სიცხებზე არ მაქვს, მკლავებიც არ მანუხებს. უშენობა მანუხებს მარტო. არ იფიქრო, გავჩერდი. დაგებრუნებ. დროა ამისთვის საჭირო. ვერ გწერ ყველაფერს, მოვა იმის დროც, მოგიყვე, როგორ ვცხოვრობ და რას ვაკეთებ. გაკოცე.

• დათ, აღარ მინდა, ეს წერილი დამჭირდეს. იქნებ არც დაგჭირდეს... რა ბედნიერები ვიქნებით მაშინ... მამაომ გადმომცა შენი მოლოცვა. გამიხარდა. ძაან მიყვარხარ. ბავშვები კარგად არიან. ჩვენზე არ იდარდო. თუ ვერ გნახავ, გილოცავთ ახალ წელს. სულ ეს სიტყვები მახსენდება: ყველა ადამიანს აქვს რაღაც, რის გამოც შეიძლება ის გიყვარდეს ან გეცოდებოდეს... გთხოვ, ეცადე, სიძულვილი დაძლიო და აპატიო. ძაან ბევრს ვფიქრობ... ისე, როგორც შენ... ალბათ უნდა ვეცადოთ, ჩვენს თავში ვიპოვოთ ყველაფრის მიზეზი. ვიცი, ძნელია და ალბათ გაბრაზდები კიდევ ამაზე. მაგრამ უკვე ვიცი, რომ ახალ წელს ჩვენთან ვერ იქნები. დათ, შენ არ იდარდო, ბევრი ლამაზი ახალი წელი გვექნება კიდევ. ძაან გვაკლიხარ. შენი ლამაზი დავის ხე.

• 5-7, გია, აი, უკვე ახალიც წელიც დადგება მალე. გაოგნებული ვარ... უფრო დაბნეული და გაუზარებელი. მინდა დაგიწერო ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი ან თუნდაც ერთი ისეთი შესაფერისი სიტყვა მოვძებნო, რომელიც

ბოლომდე გამოხატავს ჩემს გრძნობებს შენ მიმართ, მაგრამ ვერაფერს მივატყვი, ვერაფერი მოვიგონე, ვერაფერი დავარქვი სახელი... ალბათ ყველაფერი ერთადაა... სიყვარული, სევდა, ბედნიერება, უბედურება, სითბო. მოდი, ეს ყველაფერი გააერთიანე და შენ თვითონ დაარქვი სახელი. ჩემო სიცოცხლე, ნეტავ იცოდე, როგორ მინდა ახლა ჩემთან ერთად იყო და ჩემი სიხარული გაიზიარო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. შენი დარდი და ტკივილი რომ არა, დღეს უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი. გუშინწინ ბიძაჩემმა ჩემი საყვარელი მანქანა მაჩუქა და ჭკუაზე არ ვარ, სიხარულისგან დავფრინავ. :) ეს ორი დღეა, სახლში ვეღარ ვჩერდები, გოგონებს ჩავყრი და მთელ ქალაქს „კრუტს“ ვარტყამთ. თითქოს ყველგან შენ გეძებ და მგონია, რომ შეგხვდები. ჩემი სამსახურის ამბავიც გაირკვა და ალბათ ახალი წლიდან გავალ უკვე. იქ ვინყებ, ძაან რომ მინდოდა, მაგრამ ადრე ვოცნებობდი მანდ მუშაობაზე, ახლა უკვე რომ ვიცი, რომ ვინყებ, ცოტა მეზარებასავით. :) ამდენ ხანს რომ აღარ მიმუშავია, თავისუფალ დროს ვარ მიჩვეული და ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი მთელი დღე სამსახურზე მიჯაჭვული. ნუ, არა უშავს, ადრეც ხომ ასე ვიყავი? თავიდან ძაან არ მინდოდა სამსახური და სულ ძალით დამანყებინეს, მაგრამ მერე უმაგრესი იყო და სულ ვფიქრობდი, ამდენ ხანს სად ვიყავი-მეთქი. რა ვი, ყველაფერი მიჩვევაზეა და ალბათ მეც მივეჩვევი, რა. კარიერა მჭირდება, მინდა, რომ წარმატებული ვიყო და ბევრისთვის დახმარება შემეძლოს. ახლა ღამის 5 საათია, თვალებს ვერ ვახეულ, ისე მეძინება, მაგრამ მაინც გული არ მაძინებს და გწერ. თურმე, ადრე რომ გეუბნებოდი, შენ თუ არ დამირეკე, ისე ვერ ვიძინებ-მეთქი, მართალი ვყოფილვარ. თავიდან ძაან გამიჭირდა, ღამე ორ აბნამალს ერთად ვსვამდი, რომ დამეძინა. ახლა ცოტა არა მიშავს. შემეყვარდა ძილი. ვიცი, რომ სიზმრებში შენ უნდა გნახო და მერე გავლიძება აღარ მინდა ხოლმე. ვფიქრობ, თუ ცხადში ვერა, იქნებ სიზმარში მაინც ვიყოთ ერთად-მეთქი. ნეტავ, ისევ ისეთი ხარ, როგორიც ადრე იყავი და როგორიც სიზმრებში ხარ?

• მააარ, :(ქაჯების დედოფალი სვანეთში წავიდა და თავს ისე ვგრძნობ, როგორც წყლის გარეშე დარჩენილი თევზი. ქეთოოო, მენატრები უკვე, გოჭო. :((ფიფქია.

• მილალატეს... მაგრამ არა! დავით-მენ ყველაფერს, მოვიკლებ ყველაფერს, ვაპატიებ ყველაფერს. ის ხომ ადამიანია? ის ხომ ხატებაა ღვთისა? ღმერთო, სინანული მიეცი, ღმერთო!

• ღამე... უზროდ დახვებიალენ ღამის ქუჩებში... მინდა ვიკვილო, მინდა ვიყვირო, მინდა მთელი ქვეყანა შევძრა



და გავაგებინო, როგორ ვიტანჯები, როგორ მტკივა გული.

• აზრზე არ ვარ, რა არის თქვენი თემა. უბრალოდ, რუისპირს, დამავოის და ფეშენას მინდა ვუთხრა, რომ მაგარი ადამიანები არიან. განსაკუთრებით — რუისპირი.

• 31 იანვრის საღამო... ყველა მხიარულობს, მეც საახალწლო განწყობილება მაქვს, ამ დროს ერთი მესიჯი ყველაფერს ცვლის. „უნდა დავმორდეთ“ მეზივით დამატყდა თავს და ცხოვრებაც დამთავრდა. იყო ცრემლების ზღვა, საშინელი ტკივილი სადღაც, გულის სიღრმიდან მოდიოდა, რაც არ იკურნება. მას მერე მეშინია და ვერ ვიტან ახალ წელს, რადგან ჩემს გულში ტკივილი დატოვა. მარი, იმედია, დამიბეჭდავ. მართალია, სევდიანია, მაგრამ მაინც... ადრე ვამესიჯებდი, თუმცა მას მერე დიდი დრო გავიდა. ლუჩო.

• რუისპირს: უნებური შეცდომამენი ერთადერთი გზავნილია, რომელიც ბოლომდე წავიკითხე და ისე განვიცადე, ბავშვმაც კი იგრძნო. თანავუგრძნობ ქნ ლიას. მარია.

• მარ, რატომ არ დამიბეჭდე მესიჯები? ნიკი რომ შევცვალე, მაგიტომ? დამიბეჭდე რა, მიყვარს „გზა“, მაგრები მართ. მ.გ.

• ნუ გეშინია მარი, ხვალდან ვეღარ მოგწერ ძველებური სიკისკასით, დედა ეტირა ჯეოსელის ნომერს. ბალის ნომერი მეგობრებსაც არ ეყოფა და დაისვენებ, მართო დაგირეკავ, რა...

• თუ ლამით მოვიდა მსუქანი ბაბუა და ტომარაში ჩატყენა, არ შეგშინდეს, უბრალოდ, იცოდე, რომ შენი თავი მე ვთხოვე საახალწლოდ. ყველა მგზავნელს თეთრო.

• მგზავნელებო და მარი, რავა ხართ? „მარშრუტკაში“ ვარ და გამახსენდა ამბავი! დღესაც მეღიმება. სასწავლებლიდან მოვდიოდი „მარშრუტკით“. ციტრუსკომბინატთან თუ გაივლიო? — ეკითხება ქალი მძღოლს. არაო. მე მივდივარ მაქეთ და წამო-მეთქი, ვუთხარი. ჩამოვდივართ და 2-ის აიღეო და მე... ვაიმე, ქალბატონო, რატომ შეწუხდით-მეთქი? შევიცხადე. გაოცებულმა შემომხედა. მაშინ 3-ის აიღეო, მიუბრუნდა მძღოლს და რა დამემართა?! თურმე იმას მეორე ქალიც ახლდა. გავნილდი. ყველა ჩვენ გვიყურებდა. ასე გადავხადე ვინე ძალით. ჩემი დაბნეულობის ბრალია. ახლა კი მეცინება. თეთრო.

• შენთვის წვიმამ გადაიდოს, ნუში მუდამ ყვაოდეს, ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს, სიყვარულით ხარობდე. ათენი. ინეზა.

• მოკვდი. რა ხდება აქანე, სიმონ? აცივდა რაცხა ქუთისში. მევიდა გონია ზამთარი:))) ახალი წელი მოვა მალევე!

• ამქვეყნად მოსულ განსაცდელს ზოგი ღვთის წყევლად აღიქვამს. განსაცდელია ის კიბე, რაც ჩვენ უფალთან ავიყვანს. ჯაყისმანელი.

• ჩემს სიცოცხლეს მინდა ვუთხრა, რომ მე ვინც მიყვარდა, იმის თავი დამავიწყა და უდიდესი გრძობა გამიჩინა. მართალია, ცოლიანი კაცი მიყვარს, მაგრამ უბედნიერესი ვარ.

• მარ, მე შენ ძალიან გულს მტკენ, იცი? არადა, მეც შენი სეხნია ვარ და ჩვენი სახელი — მარი — ძალიან მომწონს. ნუ მწყვეტ გულს და გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე.

• მე ავტირდები, ამატირებს ხატება შენი და თუ ავტირდი, ამატირებს უშენოდ ყოფნა, მე ავტირდები ეს იმიტომ, რომ შენ გამახსენდი და გაგწამდედი მხოლოდ მაშინ, როცა შენ მოხვალ.

• ეს ხმა გახსმის. ისევ თენდება, იბადება, დგება აისი და კვლავ წვალდება, განსაცდელი წინ აქვს ყოველთა, მზე ისევ ჩადის, კვდება, ბნელდება, დგება დაისი...

• ფოთლები ცვივა მდინარის პირას... წვიმის წვეთები აკვდება მინას, წუთი წუთი მოსდევს... დადგება ის დღე, რომ უჩემობა შენც გაგაგიჟებს. ეძღვნება კუსანას, მარისგან.

• ბევრი ახსენებს დღეს უფლის სახელს და აინთება წმინდა სანთლები, მე მივალ ხატთან და ამას შევთხოვ, რომ ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. ნაპერ-წყალა.

• შენით, შენ გამო და უშენობით გარდამხდა ყველა გარდასახდელი. კურკა.

• მენატრები, ბენიტო, ნეტავ შემეძლოს რამე შევცვალო, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემიძლია. ნეტავ მქონდეს, ფუმფულ, შენთან ჩახუტების უფლება. კურკა.

• მერაბი და გია ლაპარაკობენ: ბიჭო, გია, ჩემს შვილს სულ თხლად აცვია და მაინც არ ცივდება, შენი კი სულ ჩაფუთნილია და ხშირად რატომ გიცვივდებაო? შენი ჯერ არ გამთბარა და იმიტომო.

• ქარია და ცივა... სულში ქარტეხილებს ვებრძვი. ბევრი სიყვარული ვძლიე, იქნებ სიყვარული მსურდა, სხვაში შემეშალე ისევ. კურკა.

• გრძობა აირია ქარში, საღამოა და ცივა, ვიცი, შემეშალე სხვაში, ახლა მარტოობა მტკივა, იქნებ სიყვარული მსურდა, ცრემლების უნაზესი წვიმა, ვიცი, არ იქნები ჩემი...

• აი, 2010 წელიც მიილია. ბევრი საინტერესო რამ მოხდა გზავნილი-იორკში. ბევრი მგზავნელი გავიცანი (თუმცა ჩემთან ცოტალა დარჩა). პირველი რუისპირი იყო. ის უეცრად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, ოღონდ ვინაობა გვიან გამიხსილა. ამ ადამიანმა არც კი იცის, როგორ უზომოდ შემეყვარა თავი. მერე იყვნენ სხვებიც, მაგრამ ყველაზე უფრო ფლამინგოს, ჭრიჭინას, ლაკვასტის, ედეს, მილენას, კუტირინას, გადარეულს და ჯაყისმანელს გამოვარჩევდი. ისინი განსაკუთრებულად დამკვიდრდნენ ჩემს გულში და ლამაზი წუთები მაჩუქეს. მომხიბლა გრუზინკამ და სვანის ასულ-

თან მიმოწერებმა. ფლამინგოს სიტომ ბევრჯერ სიცოცხლის ხალისი მომგვარა. გულდასაწყვეტი იყო ენიგმა-ბერბიჭას ნასვლა, ასევე — ნანი დუმბაისი (თუმცა, იმედი მაქვს, ვერ შეგველევა და დაგვიბრუნდება). სასიამოვნო იყო რუის, მისტერის, ლაკვასტის, ჯაყისმანელის გზავნილები და ჩანახატები. ასევე, ახალშემოერთებული ულიბკას გამოცდილებაშეპარული, სასიამოვნოდ წასაკითხი გზავნილები, ასევე 030 — ბაჩის გულისამაჩუყებელი SMS-ები. იყო ჩხუბიც, მაგრამ არ ვლელავდი. ჩვენთან ხომ მუდამ სიყვარული იმარჯვებს. იყო ჩემი ლექსებიც, ჩემი ჩანახატები, გრძობები და ემოციები. იყო უამრავი სიტომ და სიყვარული ჩემ მიმართ, რამაც ბედნიერების წუთები მაჩუქა. იყო ბელურას მიერ წაკითხული ჩემი ლექსები და მისი შეფასება, თავად კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მასზე იყო. იყო ის გულისამაჩუყებელი მოლოდინი და საკუთარი, მერე კი საყვარელი მგზავნელების გზავნილთა ძებნა და ყველაზე მთავარი — ის, რომ არავინ იკითხავს (ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს), კლეოპატრა ვინლაო. ყველაფერი ეს კი ჩვენი მარის დამსახურებაა, რომელმაც ისევ „გაგვიძლო“ და კიდევ მრავალი SMS-ისა და მგზავნელი „გაძლებას“ ვუსურვებ. კლეოპატრა.

• სასიამოვნო იყო უამრავი აღმადრენის შეგრძნება... და მაინც, ყველაფერი ლამაზი იყო... დღევანდელ დღესაც გავლამაზებდი და დაუფინყარს გავხდებო, მაგრამ არ მქონია ამის უფლება... სიცივიდა და სულიერი მარტობაში შევხვდი... მაგრამ ის ხომ ჩემთან იყო, ჩემს უფალს არ მივუტოვებდევარ. ე.ი. ულამაზესი ყოფილა ეს დღეც... და მაინც, ყველაფერი ლამაზი. იყო დაცემა და ადგომა... უფლის წყურვილი და სხაჯელი... იყო სევდაც, ლამაზი დღეებიც და მოლოდინიც, იყო ასობით, გრძობებით აღსავსე ლექსი. იყო იმედიც და მისი გაცრუებაც. იყო ბრძოლები და უფლის მადლიანი წყალობა. იყო სასონარკვეთილება და სინანული.

• ახალი წელი მინდა მოგილოცოთ. უფალში გაძლიერება და ჭეშმარიტების შეცნობას გისურვებთ. დაე, უფალმა მოგცეს ის, რაც ჩვენთვის იქნება უკეთესი. მიყვარხართ. კლეოპატრა.

• დღეს ბოლო დღეა, ჩემი ოც წელში ყოფნის ბოლო დღე. ხვალდან სხვა ასაკის ვიქნები, სხვა ათწლეულში გადავბიჯებ. ლამაზი იყო ეს წელი, ძალიან ლამაზი. სხვა ყველაფერთან ერთად სიყვარულს გავუგე გემო, მივხვდი, რას განიცდიან ადამიანები, როდესაც ღამეს უძილოდ, მასზე ფიქრში ატარებენ. აქამდე არ მესმოდა, აქამდე ვერ ვუგებდი.

• მოგესალმებით მარი, მგზავნელებო, „გზის“ ერთგულ მკითხველებო. ყველას მოგილოცავთ ახალ წელს, სულიერად გაძლიერებას გისურვებთ, რაც ყველაზე ძალიან სჭირდება ერს. უდიდესი პატივისცემით მინდა მოვიკითხო



ფლამინგო, ჩემთვის ყველაზე საყვარელი მგზავნი, დანარჩენები, არ მიყვარს, მე მაქვს მიზეზი, ჩემი ფლამი ყველაზე ძალიან მიყვარდეს. თუმცა, არანაკლებ მიყვარს ულაშაშისი ედელვასის, ლუნა, გრუზინკა, ტირიფი73, ეთო, კლეოპატრა, ნაომი, აურა, რუსკა, ქაჯების დედოფალი, ქალი ეგზოტიკა. ვულოცავ მას წარმატებას. ასევე მოვიკითხავ გადარეულს, 9717, ქ-ნ ნანი დუმბაძეს, რომელიც აკლია „გზის“ ფურცლებს, ულიბკას, კუტრინას, სალოს და ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, ჯაყისმანელს. თუ რომელიმე გამოჩნდა, ბოდიშს ვიხდით. პატივისცემით, ლაკვასტი.

• სალო2, მოგესალმები, უღრმესი მადლობა, ჩემი ლექსების კარგად აღქმისთვის. გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. ლაკვასტი.

• ისმის ღრიალი განწირული, ღამე ცხოველთა. შენუხებული სიცივისგან მწვანე ხის ტოტი ისევ გათბება, მთესველი თვისას მოიშვის და შრომით დატკბება. ზეციდან ისმის ანგელოზთა ტკბილი გალობა, რა მიზეზია? ასეთი რამ ხშირად არ ისმის, ზეცად წასულა სული, რომელსაც ღმერთი სწყალობდა...

• სულო ტანჯულო, სულო მძიმე და მოუხეშავო, მე შენ სადამდე ან როდემდე უნდა გედავო, გაივლის დღენი, წელნი, მოვა სიკვდილი და მერე გვიან იქნება ჩვენი ტირილი... ჯაყისმანელი.

• დღეიდან ვერვინ გაალებს, იქნება ასე დახურული, იცოცხლებს ალბათ, შენი ცრემლი კი ჩაჰყოლია დარაბებს ფარდად... ჯაყისმანელი.

• გარეთ ცა დაბნელდა, ჩამქრალა მზის სხივი. სიჩუმე გამეფდა, საათის ნიჟიკი. ოთახში ნივთები: მაგიდა, ნიგნები... საათი, კალამი, ტილოზე ნახატი. ფურცელზე კონებად დაყრილი რითმები, აქ ჩემი სული დევს, არ მინდა სიტყვები, არაფრის მთქმელი, რომლითაც ვიღლები... და ისევ სიჩუმე, საათის ისრები გარბიან სწრაფად და სიმშვიდით ვივსებ. ფურცელზე ნაწერი იმ ნაზი სიტყვებით: მიყვარხარ, მჭირდები, სულ შენზე ფიქრები... ფიქრები, რომლითაც არასდროს ვიღლები. ჩემში იმედი მუდამ რჩებოდა იმ შენი ნახვის, შენ კი სულ მომკალ, გამანელე, იხმარდი მახვილს და ამ მკვლელობამ ჩემი გულის კარი დახურა, დახურა ისე, რომ გარეთ ცა განათდა, აინთო მზის სხივი და ისევ სიჩუმე, საათის ნიჟიკი, დადლიდან ოთახში ის ძველი ნივთები: სანათი, კალამი, ტილოზე ნახატი... მაგიდა, ფურცლები და რითმის სურნელი (მე მჯერა, არასდროს დამიძველდება ის შენზე ფიქრები, რომლითაც ვმშვიდდები). ლაკვასტი.

• ხანდახან ვკითხოვ „მოზილი-ზახიას“ და არც კი ვიცი, გაკვირვება როგორ დაეფარო. რატომ არის ყოველთვის ის მგზავნი ყურადღების ცენტრში, რომელსაც ერთი გზავნილიც კი არა აქვს მოწერილი?

ალარავინ ასხენებს ბოხოს, პარიუანკას, ლუნას, იკუშკებს, დამავოს და კიდევ ბევრს, რომლებიც ხალხს სიყვარულს გულბანი გზავნილების მოწერით ცდილობენ და არა — სხვების კენით. მინდა, CRAZY GIRL-ს ვუთხრა, რომ ქალბატონი ნანის გარდა, სხვა კიდევ ბევრი ნათელი წერტილია „გზაში“. ასევე, მინდა დადოსაც გამოვეცხადო. ჩემო კარგო, ყველა მგზავნილი ერთნაირი არაა და ყველას ერთ ტაფაში ნუ შეწვავ. ბევრ მგზავნილს ვიცნობ პირადად და ისინი ბევრად კარგები არიან, ვიდრე აქ ჩანან. მარტო შენ კი არა, ყველას გვახსოვს ჩვენი პირველი გზავნილი და გვახსოვს, რაც დაგწერეთ. ეს ბუნებრივიცაა, თავიდანვე სტაჟიანი მგზავნილი ვერ იქცევი, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ თუ არ მიიღწიე ამ წოდებას. „გზავნილებიდან“ კი ვერავინ ვერავის გააძვევებს, თუ თავისი ნებით არ ნავიდა. დროებით. განძის მაძიებლის მაძიებელი.

• ლაკვასტს, ჩემგან პატივისცემით: ვგრძნობ, თვალს მაყოლებ, დაცინვით სავსეს, თავად მწუხარე და მომწუხებელი და ჯოკონდას ღიმილის მსგავსი მომდევნე ეგ მზერა ამოუხსნელი. მიმზერ, ზიარი ყოფნა-არყოფის, ქონდრისკაცების ცქერას ჩვეული და არც მიყურებ თითქოს, ამ სოფლის კარგზე და ავზე ხელჩაქეული. რად, რატომ გჯერა მტვისა და ნაცრის, ან მაგ შენს ღიმილს სადღა აქვს აზრი, თუ ყველაფერი არის ამაო! რატომ მდევ, რატომ ამეკვიტე, მანვეთებ ეჭვებს და გონებას მიბნევ, შენ ქვად ქცეულეო.

• უნიკოდ რომ წერდა ლაკვასტზე სავარაუდოდ, იმ პოეზიის საღამოზე მეც გახლდით და მართლაც შთაბეჭდავი იყო ყოველივე. სიბრძნე გადაარჩინს საქართველოს. უხილავი.

• ეკლესიასტე, შენ, თვის თამარის მწუხარე სიბრძნე! P.S. ლაკვასტის შემოქმედებაზე გონდაკარგული უხილავი.

• ნაომი, ჯიგარი ხარ, გამისწორდა, რო ვილაცას ჩემსავით არ ევასება დიმა ბილანი. მეც ძალიან მომწონს ბობ მარლი და სტინგი. სიამოვნებით გაგიცნობდი. გკოცნი. გაიხარე. თეაკო.

• რას უწუნებ ისე, ჯასთინ ბეიბერს, ნაომი? საინტერესოა, აბა, როგორი ბი-

ჭები მოგწონს და გაინტერესებს? სადაური ხარ? სახელს არ გვცხვები? SVEET, ძალიან მაგარი ხარ გეტყ.

• მოგესალმებით, მე ვარ ჭიათურელი. სახელსა და გვარს არ ვიტყვი. გთხოვთ, დამიბეჭდოთ ეს წერილი: ნათესავი შემეყვარდა, მალე მისი ცოლი გახვდა, ერთ თვეში კი დაგვორდი. თქვენი რჩევა მჭირდება. ძალიან მიყვარს, ვხვდები და დავიბრუნებ, მაგრამ მინდა და მას ველ-არ დავიბრუნებ, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ სიგიჟემდე მიყვარს და მინდა, ბედნიერი იყოს, ყველაფრის მიუხედავად. მინდა, რჩევა გკითხოთ, მინდა მასთან შერიგება, მაგრამ მეშინია. მამაჩემი დამემუქრა, რომ თუ შევურიგდები, ორივეს გვიჩივებს. ამიტომ მეშინია. თან ბებიამისი და მისი ახლობლები წინააღმდეგი არიან. არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, მიჩივით რამე. მინდა, ეს წერილი დაიბეჭდოს. მინდა ვუთხრა: მიყვარხარ, თემურ შევლიე და მინდა დამიბრუნდე. შენთან ერთად ქუჩაშიც ვიცხოვრებ.

• რომელ ეთიკასა და მორალზე ველაპარაკოთ, აბა, ლევანისწიარებს? პირადად მე არ შემეძლია. პირუტყვ ბიჭებთან მავინყდება, რომ გოგო ვარ. ნაომი.

• 39 წლის კაცი 17-18 წლის ბავშვით მეტყველებს. ვაი, ვაი, ასეთი საქონელი რატომ ხარ, ბიძი? საკუთარ თავს აბრაზებდი ალბათ, როცა მაგ SMS-ს მწერდი.

• CREIZI GIRL-ის გაცნობა მინდა. ნეტავ თვითონ რას იტყვის? ქალ ეგზოტიკას, ლაკვასტს, გადარეულს, ვიბორჩხალას, ფლამის, მარიას, მაგრები ხართ, რა! თავადის ქალი.

• კიდევ შვილიკუნას მოვიკითხავ სიკალულით. იცით, ვინ არის ჩემი შვილობილი? არ იცით, მე კიდევ, ვიცი. :) სქელისერა ჯემალს უფრთხილდი, რა. :-) თავადის ქალი.

• ე.ი. ჯერ კაი გამარჯობა თქვენი. მერე მინდა გაცნობოთ ორი ახალი ამბავი. (უდიდან ვინყვებ: :) ალარსად ვაპირებ წასვლას. მეორე: ნიკი უნდა შევიცვალო. ბოლოჯერ ვამესიჯებ ნაომის ნიკით. წყევლა-ნაომი ანი თავადის ქალის ნიკით იქნება. გამადლობ, ნინ, შენ. მოვიკითხავ ფლამის ბიძიას, ზვიადის, მისი თამადობით ყველა მიქელაძეს გაუმარჯო.

• მამაკაცის ყველაზე თამამი ფანტაზიები — მათ რომ შეეძლოთ: 1. მკერდის გადიდების პლასტიკურ ოპერაციას უფასო სამედიცინო პროგრამაში შეიტანდნენ. 2. იმ თმას, რომლებიც ეზრდებათ ცხვირის ნესტოებსა და ყურებში, სიამოვნებით გადაანანილებდნენ თავის მიდამოებში. :) 3. პელეს დღემდე ათამაშებდნენ ფეხბურთს. 4. ყველანაირად ეცდებოდნენ, ქალებს ალერგია ჰქონოდათ ოქროზე, ბრილიანტსა და ძვირფას ბუნებზე (მაგრამ ვერ მოგ-





ართვით.) 5. ლეონარდო დი კაპრიოსა და ბრედ პიტს სიამოვნებით დაამახინჯებდნენ. 6. ქალის ბიუსტპალტურების შესაკრავს გაამარტივებდნენ. 7. ქორწინების ბექედის ნაცვლად კაცები სიამოვნებით ატარებდნენ სამაჯურს. 8. მამაკაცურ შესაძლებლობებს შეუზღუდავი ასპარეზი ექნებოდა. 9. ყველა ქალს ერთსა და იმავე სახელს დაარქმევდნენ, რათა ცოლებთან და საყვარლებთან ურთიერთობისას პრობლემები არ ჰქონოდათ. 10. ქალებს ყნოსვის ორგანოს დაუქვეითებდნენ, რათა სასმლისა და სხვა ქალის სუნამოს სუნი არ ეგრძნოთ. 11. ქალს გათხოვების შემდეგ დედა აღარ დაეკონტაქტებოდა. ამით მამაკაცებს სიფრთხილეს პრობლემებიც აღარ ექნებოდათ. მარორიტა, დამიბეჭდე რააა... ნაომი.

• მარ, თუ ჩემი ატანა ისევე აღარ გაქვს, როგორც „ზაციებში“ ბევრს, ნუ დამიბეჭდავ და მივხვდები ყოლიფერს. :) მე არ ვნერვიულობ მასეთებზე. არც შენ, ხომ? თავადის ქალი.

• აუ, მარ, როგორ ხარ? „გზის“ გადაშლა მიხარია, რუისპირსა და მისტერზე მამოდებს, ჭკვიანები, ოლონდ მართლა, მართლა არიან. სხვებიც მიკლახალთ.

• შენ ღმერთი ხარ? — ჰკითხეს ბუდას. — არა, — უპასუხა მან. — აბა, ანგელოზი? — არა. — წმინდანი? — არა. — მაშ, ვინ ხარ შენ? — გამოღვიძებული, — უპასუხა ბუდამ.

• ხუთშაბათმშვიდობისა, ჩემო საყვარელო მგზავნელებო და სრულიად საქართველოვ. ყველაზე განსხვავებული ახალი წელიწადი, მოგვცა სასაუბრო თემა მარიამულმა და თვალი გადავაგულე წელს ბოლო წლებს. ძირითადად, ხელბმოს-ვრილი და პირგამოვსებული ვუყურებ ტელევიზორს, უკეთეს შემთხვევაში კი ჩემი პატარა დის, ჩინური პიროტექნიკის აფეთქებით აღტაცებული სახისა და მოციმციმე თვალების ყურებით ვტყუბები... ამ დამეს თითქოს სხვანაირად იცინის, სხვანაირად სუნთქავს... მერე მეკვლევ მივიღივარ, „შემოვდგი ფეხი“ ვამბობ ხოლმე და მეორე მეგობართან გადავდივარ, იქაც გულისგამანყალებული ერთფეროვნება მხვდება...

• არ უყვარხარ, სხვა იპოვაო... კი, მაგრამ ამის თქმას როგორ ბედავ, ქარიც ურცხვად ლამობს მის წართმევას, ისიც როგორ მებრძვის, ხედავ? ან შენ რას კადრულობ, რაში გარგია, წადი სხვა იპოვე, გზა ხსნილიაო, როგორ შეგიძლია, ასე იოლად თქვა: გასწი, მიტოვება ასე ძნელია? უღალატე, ჩემთან წამოდიო, ჩუმად მაინც მითხარ, სირცხვილია! ერთი იმედილა დამრჩენოდა, ისიც მის ლოდინში გაილია. ახლა ვის მივადგე, შველა ვის მოვთხოვო, ვინ შემეფარებს, ან ვის რად ვჭირდები, ისე, გამახსენდა ნუხელ, ერთმა მითხრა: ცოლად გამომყევი, ხომ ხედავ ბერდები, მაგრამ, მის ნაფერებს, სხვა როგორ ვანაცვალ, უცხო კაცს ჩემი

სევდა როგორ მივკარო, ლამის შემშალოს აზრებმა არეულმა, შენ რალა დაგემართა, ჩადგი, ნუღარ ბორბავ დაამწვიდდი, ქარო... ლუნა.

• მოგესალმებით, მგზავნელებო, მშვიდობა თქვენთა ყველას. ლაკვასტზე მინდა ორიოდ სიტყვით გიამბოთ: რამდენიმე ხნის წინ მხატვრული კითხვის საღამო ჩატარდა, იქ ვინმე მეღუა იყო ლაკვასტის წარმომადგენელი ანუ ამ საღამოზე მან გაიტანა ლაკვასტის შემოქმედება და შესანიშნავად წაიკითხა. ლაკვასტის ერთ-ერთი ლექსი იყო ჯაყისმანზე და სწორედ მაგ ლექსით ვიცანი ჟურნალ „გზაში“ ნიკს ამოფარებული ნათია ქიმაძე (ლაკვასტი) მისმა ნაშრომებმა იმ საღამოს მეორე ადგილი აიღო, მე კი მესხეთზე დამტოვა, მაგრამ მე მაინც აღფრთოვანებაში მოვედი, რადგან 23 წლის ახალგაზრდას ამხელა ნიჭი უბოძა უფალმა, მე პირადად ვაღიარებ, მეოცე საუკუნის უნიჭიერეს და ღირსეულ პოეტად. უხილავი.

• მგზავნელებო, ვისაც მეორე ნახევარი გყავთ, გაუფრთხილდით, დატკბით მასთან გატარებული ყოველი წუთით, მაშინაც კი, როცა კამათობთ. მე კი ახლა ესეც მენატრება. ქვრივი.

• დიტო! ქერა, კულუა, ცისფერთვალედა... :) ნოშე ასე ამბობდა. :(სად ხარ? როგორ ხარ? მე ყოველთვის დავდივარ ნოშრეს საფლავზე. შენ გამოსხვდი? როგორ ცხოვრობ?

• მაგარი ბედნიერებაა, ჟურნალს გადაშლი და შენს გზავნილს წაიკითხავ. მარ, გთხოვ, დამიბეჭდე. აქ ჭიათურელები არავინ ხართ? გამოემეხაურეთ. 1916.


• რას შვრები, მარ? მგზავნელებო, მომწერეთ, რაა... ბარამბო.

• რა ჯანდაბად მინდა პრინცი, მე მეფე მჭირდება! გილოცავთ ახალ წელს. მიყვარხარო. ედეღვანისი.

• ცხოვრებამ დამჩაგრა, ვფიქრობდი, რომ ცხოვრება აღარ ღირდა, მაგრამ სიცოცხლე „გზაში“ აღმოვაჩინე. ამისთვის უღრმესი მადლობა მარის. მიყვარხარ. 1916.

• ქართული დეტექტივი რომ დაიწყო, ძაან მაგარია. უფრო დიდები რომ გამოაქვეყნო, არ შეიძლება, მარ? ჭიათურას გაუმარჯოს. 1916.

• ახლა ერთ მიყრუებულ სოფელში ვარ, დედუღეთში. აქ არანაირი ცივილიზაცია არაა. ავტობუსი ერთხელ დადის, კვირაობით. „გზაც“ ნუხელ წავიკითხე. ჩემს სახლში მინდაა! 1916.



გილოცავ!

• ჟურნალ „გზას“, მგზავნელებს, ჩვენს

უსაყვარლეს მარის და მთელ საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ, 2011 წელს. გისურვებთ წარმატებებს, დოვლათსა და ბარაქას. მისის ფორტუნა.

• ლაშა, დედა გენაცვალოს, შვილო, ქრისტესშობას გილოცავ. მშვიდობას, ჯანმრთელობასა და გამრავლებას გისურვებ. თამრო.

• დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, მარი და მგზავნელებო. სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს. გაიხარეთ. მაგდ, გილოცავ, დაი. 9717.

• ჩემს სიცოცხლე გიორგის მინდა მივულოცო ოქროს დაბადების დღე, 24 დეკემბერი და ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, მზეგრძელობა და ბედნიერი მომავალი. შენი მედიკოდადო ბებო.

• გიო ვეროვსკი, გილოცავ დაბადების დღეს. გაიხარე და ბედნიერ დღეებს დაესწარი. ღმერთი გფარავდეს. მიყვარხარ. სოფიო.

• ღვთისმშობლის მადლი, უფლისკურთხევა, წმინდა ბარბარეს ლოცვა, წმინდა ნიკოლოზის წმინდა საღამო და ანგელოზის მშვიდობა მოგცეს. გილოცავ დღევანდელ დღეს, ნაპერწკალა.

• ნანი ერგემლიძე, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა, უღამაზეს შვილებთან და ოჯახთან ერთად. გაიხარე და გამრავლდი. მაგრად მიყვარხარ. მზია.

• ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ეს წელი ყოფილიყოს ყველასთვის ისეთი, როგორიც გსურთ. მარ, მაგრად მიყვარხარ. რუისპირს მოკითხვა. 1916.

• მზია ბინძოვს: მზიკო, სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულს და ჯანმრთელობას. მრავალს დაესწარი, ტკბილ ოჯახთან ერთად. თამუნა, ნიკა, ნათელა, მზია.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ბაიბ-აუბი

მიხეილ ცაგარელის 2011 წლის ზოგადი ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიუანსითვის



(დასაწყისი იხ. „გზა“ №51)

ცხენი (1930, 1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002)

ის უფრო აქტიური, დინამიკური და ცვალებადი ნიშანია, ვიდრე კატა. არის კეთილი, ოპტიმისტი, ზოგჯერ არათანამიმდევრულია მოქმედებისას; ეს კატას არ უყვარს. წელს ცხენს, მონაცვლეობით, ხან აქტიური, ხან მოდუნების პერიოდი ექნება, რის გამოც შესაძლოა, ყველა მისი ინიციატივა ამაო აღმოჩნდეს, მაგრამ ამას მისი გაღიზიანება არ უნდა მოჰყვეს და, როგორც გარდაუვალი გამოცდა, ისე მიიღოს. მთავარია, ხელიდან არ გაუშვას მომენტი, როდესაც სამყარო გაუხსნის ახალი შესაძლებლობების კარს — სწორედ იმ დროს უნდა მოახერხოს ჩანაფიქრის რეალიზაცია. შეიძენს ახალ ნაცნობებს, დაამყარებს საქმიან კავშირებს. კარგი წელიწადია სწავლის, ახალი პროფესიის ათვისების, უცხოელებთან კონტაქტების დამყარებისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. კატის წელიწადი მარტოხელებს დაეხმარება მეორე

ნახევრის პოვნაში. პოზიტიური წელიწადი შემოქმედებისთვის. ძალზე ნაყოფიერია ოჯახში მატების დასაგეგმავად. წლის პირველ ნახევარში ცხენმა უნდა დაიკოვოს ამბიციები, მეორე ნახევარში კი მეგობრების მხარდაჭერას იგრძნობს. ძალზე სასიკეთო წელიწადია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის.

ცნობილი ადამიანები: რემბრანდტი, ვივალდი, შოპენი, ნიუტონი, ლენინი, ფიტცჯერალდი, მაკარტი, ნელსონ მანდელა, ბარბრა სტრეიზანდი, ჯიმი ჰენდრიქსი, მაიკ ტაისონი, კევინ კოსტნერი, სინდი კროუფორდი, პატრისია კასი, ჟან-პოლ ბელმონდო, იოჰან კრუიფი, ოტია იოსელიანი, დიანა ლურწკაია, გია დანელია, მედეა ძიძიგური, თენგიზ არჩვაძე, ალექსანდრე ბასილია, აკა მორჩილაძე, უცნობი.

თხა (ცხვარი) (1931, 1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003)

ამ ნიშნით დაბადებულებს ფორტუნა გაუღიმებს. კატა მას მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს. ვურჩევ, კარგად ჩაიხედოს წინაპრების ბიოგრაფიაში, შეისწავლოს მათი ოჯახური ტრადიციები. სასარგებლო იქნება მინაზე მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ამასთანავე, თხამ კვლავაც უნდა უერთგულოს საკუთარ რეფორმატორულ მიზნებს, თუმცა წელს ტრადიციების დაცვა მეტ წარმატებას მოუტანს. სამწუხაროდ, ექნება კონფლიქტები მეგობრებთან, კოლეგებთან, პარტნიორებთან. კატის წელიწადში ზოგიერთი მათგანი ბინას შეიცვლის ან რემონტს დაიწყებს. წელს შექმნილი ბინა ბედნიერებას მოუტანს. ძალა და ჯანმ-

რთელობა ყველა წამოწყებისთვის ეყოფა, მაგრამ მთავარი ხიფათი — საკუთარი შესაძლებლობების რწმენის შესუსტებას უკავშირდება, რაც ნეგატიურად იმოქმედებს თხის ჯანმრთელობაზე. სამკურნალოდ უმჯობესია, მიმართოს ფიტოთერაპიას, ჯანსაღ კვებას. მეტი დრო დაუთმოს ცოდნის მიღებას, უცხო ენების შესწავლას...

ცნობილი ადამიანები: მიქელანჯელო, პუშკინი, ჩეხოვი, ბალზაკი, კაფკა, ჯორჯ ჰარისონი, მიკ ჯაგერი, კატრინ დენვი, ჯორჯ ბენსონი, სულიო იგლესიასი, ჯულია რობერტსი, ლია ელიავა, სიმონ ხეჩინაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნიკა მემანიშვილი, რუსუდან ფეტვიშვილი, პაატა ბურჭულაძე, მანანა თოდაძე, ია ფარულავა, მიხეილ სააკაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე.

აიიშუნი (1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004...)

ძალზე მოძრავი, აქტიური, ენერგიული, გონებაშახვილი, კომუნიკაბელური და ცვალებადი ხასიათის არსებაა. ასეთი ფსიქოტიპი კატას არ მოსწონს, რის გამოც ზოგიერთ მაიმუნს შესაძლოა, წელს სირთულეები შეექმნას. შესაძლებელია, კატამ შეუზღუდოს სურვილების, იდეების რეალიზება. ამიტომ საჭიროა აღიჭურვოს მოთმინებით, გამოავლინოს სიბრძნე და წინდახედულობა, რათა თავიდან აიცილოს საფრთხეები. ამასთანავე, კატა ხელს შეუწყობს ირგვლივ მყოფების მხრიდან მაიმუნის გონებრივი შესაძლებლობების დაფასებას. მეგობრები დახმარებას გაუწევენ წარმატებისათვის აუცილებელი, ოპტიმალური გზების მოძიებაში. მის ჯანმრთე-



ლობას სერიოზული საფრთხე არ დაემუქრება. ნუ შესცოდავს ბედს, ნუ დააგროვებს პრეტენზიებს ადამიანებისა და სამყაროს მიმართ... უნდა გათავისუფლდეს ნეგატიური განწყობილებისგან, რათა ძალა და ენერჯია ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას მოახმაროს. უმჯობესია, უცხოელებთან კონტაქტი წლის მეორე ნახევრისთვის დაგეგმოს. არასტანდარტული სიტუაციები ხელს შეუწყობს მის წარმატებს. წლის დასაწყისში სასურველია მოაგვაროს პარტნიორული ურთიერთობები (სასიყვარულო, საქმიანი).

ცნობილი ადამიანები: ჯორჯ ბაირონი, ლეონარდო და ვინჩი, პოლ გოგენი, ფედერიკო ფელინი, ელიზაბეტ ტელიორი, პიტერ ოტული, ჯო კოკერი, დაიანა როსი, ჟორჟ ბიზე, სელინ დიონი, რონალდინიო, სანდრა რულოვსი, ლეილა მესხი, ოთარ რამიშვილი, გია ბუღაძე, ბესიკ კალანდაძე, ირმა სოსხაძე, გია მაჭარაშვილი, ვანო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე, ნინო სალუქვაძე.



კნერი, რიჰარდ ვაგნერი, გარინჩა, მიშელ პფაიფერი, კეტრინ ზეტა ჯონსი, რევაზ ლალიძე, გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მედეა ჩახავა, ქეთი დოლიძე, ვიტალი დარასელია, ნინელი ჭანკვეტაძე, ელდარ შენგელაია, შალვა ნათელაშვილი.

ძალი (1934, 1946, 1958, 1970, 1982, 1994)

ძალი არავის მისცემს კატის შეშინების უფლებას. ასე რომ, წლეულს, ძალის ზოდიაქოს ნიშ-

ტონი, შერონ სტოუნი, კლაუდია შიფერი, ნაომი კემპბელი, ანდრე აგასი, ჯორჯო არმანი, მურმან ლებანიძე, გივი ბერიკაშვილი, ლიანა ისაკაძე, თემურ ნიკლაური, დათო ევგენიძე, რუსუდან სეზისკვერაძე.

ბახი (დორი) (1935, 1947, 1959, 1971, 1983, 1995)

ტახისთვის რთული წელიწადია, თუმცა მისთვის არც წარმატება იქნება უცხო. უნდა იპოვოს ისეთი სფერო, რომელში საქმიანობაც სასარგებლო იქნება საზოგადოები-

მაგალი (1933, 1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005)

თეთრი კატის წელიწადში მაგალს მხოლოდ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების იმედად ყოფნა მოუწევს. ხშირად შეხვდება წინააღმდეგობას, მაგრამ სასონარკვეთილებას არ უნდა მიეცეს. ეს წელიწადი ხელს შეუწყობს ადრე მიღწეულის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. არ უნდა დაისახოს მიზნად მწვერვალების დაპყრობა და დაუბრუნდეს მივიწყებულ პროექტებს. საოჯახო ურთიერთობებში სასურველი არ არის რაიმეს შეცვლა. შესაძლოა მოეჩვენოს, რომ მის პირად ცხოვრებაში კრიზისი მომწიფდა, რაც მცდარი იქნება. ჯანმრთელობისთვის სასურველია დაბალანსებული დიეტის დაცვა, მცენარეული საკვების მიღება... გამოცდა ელის სასიყვარულო ურთიერთობების სფეროში. წლის მეორე ნახევარში იოლად გადაწყვეტს ფინანსურ პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება მართებს საბუთების მონესრიგებისას.

ცნობილი ადამიანები: ფრანც ბეკენბაუერი, უინსტონ ჩერჩილი, სერგეი რახმანინოვი, ერიკ კლაპტონი, ბობ მარლი, უილიამ ფოლ-

ნის ადამიანს კატის კეთილგანწყობილების იმედი უნდა ჰქონდეს. ძალს დაუბრუნდება ის დადებითი კარმა, რომელიც წინა 12 წლის განმავლობაში დააგროვა. თუ ამ წლებში კეთილსინდისიერება გამოიჩინა, თეთრი კატა წარმატებებს არ მოაკლებს. მოსალოდნელია, რომ დასაჩუქრდეს და საინტერესო წინადადებაც მიიღოს. შესაძლებელია, დაუბრუნონ ძველი ვალები ან მოულოდნელად, მემკვიდრეობა მიიღოს. შესაძლოა, სასიკეთოდ შეიცვალოს მისი როლი ოჯახშიც. ვისაც უკანასკნელ წლებში „კარმული ვალები“ დაუგროვდა, მას წელს მეტი სირთულე და პრობლემა შეექმნება. ჯანმრთელობა რომ არ გაუუარესდეს, თავი უნდა შეიკავოს გაღიზიანებისა და აგრესიისაგან, მეტი დრო დაუთმოს სუფთა ჰაერსა და ბუნებაში ყოფნას, ვარჯიშს, დროულ დასვენებას. კარგი წელიწადია შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ.

ცნობილი ადამიანები: სოკრატე, ალექსანდრე დიუმა, ბერტოლდ ბრეხტი, პიერ კარდენი, ავა გარდნერი, აკირა კუროსავა, ლაიზა მინელი, სოფი ლორენი, ბრიჟიტ ბარდო, პიერ რიშარი, მაიკლ ჯექსონი, ბილ კლინ-

სთვის. შეიძლება, ამ საქმიანობით, ნაკლები მატერიალური დივიდენდი მიიღოს, სამაგიეროდ, საზოგადოების სიყვარულსა და მადლიერებას დაიმსახუროს, რაც შემდგომ წარმატებებს შეუწყობს ხელს. მოსალოდნელია ოჯახში მატება. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ყურადღება უნდა მიაქციოს სასუნთქ ორგანოებს (ფილტვები, ბრონქები), შეზღუდოს ან სულაც უარი თქვას სიგარეტის მოწევაზე. წლის პირველი ნახევარი მაცდუნებელია რომანტიკული ურთიერთობებისა და თავგადასავლებისთვის, მეორე ნახევარი კი უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამსახურებრივ წინსვლას.

ცნობილი ადამიანები: ერნესტ ჰემინგუეი, პოლ სეზანი, ვანგა, რონალდ რეიგანი, მარჩელო მასტროიანი, სტივენ სპილბერგი, ელტონ ჯონი, არნოლდ შვარცენეგერი, ალენ დელონი, კელვინ კლაინი, ელვის პრესლი, ლუჩანო პავაროტი, გოგი გეგეჭკორი, გია ყანჩელი, კახი კავსაძე, ჯემალ ჭყუასელი, თამაზ ყურაშვილი, ლიკა ქავთარაძე, მარინა კახიანი, თათა ვარდანაშვილი, ნიკოლოზ დერიუგინი, ინგა გრიგოლია.



57 რეისკონდენტი და წლის ყველაზე მრუდირებული ადამიანი

თამუნა კვინიკაძე


2011 წლის ბოლო ნომერში ტრადიციულად რუბრიკის შემაჯამებელ სტატიას გთავაზობთ. „ერუდიტი“ უკვე 4 წლის არის. მიხარია, რომ რუბრიკა მკითხველს მოსწონს... წელს „ერუდიტი“ 57 სტუმარი გვყავდა. მათ შორის, პროფესიის მიხედვით, მსახიობები ჭარბობდნენ. ალბათ გაინტერესებთ, თუ ვინ გახდა წლის ერუდიტი და ანტიერუდიტი. სანამ მათ ვინაობას გაგიმხელთ, მინდა, გავისხენო ან უკვე გასული წელი.

1-ელი ნომრის სტუმრები მსახიობები — მარამ ჯოლოგუა და ჯაბა კილაძე იყვნენ. ინტერვიუმ მხიარულად ჩაიარა, მართალია, რამდენჯერმე დაინუნუნეს — „ეს ვის ხელში ჩავვარდითო“, მაგრამ სწორი პასუხის გაცემა დასმული კითხვების 65%-ზე შეძლეს. მათ თითქმის 10%-ით აჯობა მომდევნო სტუმარმა — სოსო ჯაჭვლიანმა (75%). სად სვანი და სად ერუდიციაო, — მითხრა მან, როცა დავურეკე, მაგრამ ჩვენი შეხვედრა მაინც შედგა. მსახიობის აზრით, ყველაზე დიდი წიგნი ბიბლიაა. ავტორებიდან კი განსაკუთრებით უყვარს — გაბრიელ გარსია მარკესი და ვაჟა-ფშაველა. ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, ზოგის შინაარსი ახსოვს, ზოგის — არა...

მომღერალმა — გიო ხუციშვილმა დასმული კითხვების 64%-ს უპასუხა. მას ჭკუა გალაკტიონსა და ტერენტი გრანელზე „ეკეტება“. ეს ავტორები აგაჟებენ და ზეპირად მათი ბევრი ლექსი იცის, რომელთაც სადღეგრძელოებშიც ხშირად ჩაურთავს ხოლმე.

წელს „ერუდიტის“ სტუმრები ცნობილი ტელეგადაცემის — „ყველაზე ჭკვიანის“ კონკურსანტები — ალექსი ყოლბაია (79%), დემეტრე ხოფერია (68%), დემეტრე ქარდავა (68%) და ნინო ეფრემიძე (88%) იყვნენ. ასაკის მიუხედავად, პატარებმა იმ სირთულის კითხვებს გაართვეს თავი, რომლებზეც პასუხის გაცემა ზრდასრულ, სხვადასხვა თანამდებობისა თუ ჩინის მქონე ადამიანებს უჭირთ ხოლმე.

მათ ასაკში კი მსახიობ — ნანა შონიას (63%) თურმე კითხვა არ უყვარდა; ერთ დღეს მამამ განაცხადა, ბიბლიოთეკის გარკვეული ნაწილი ნანას ოთახში შევიტანოთო, —



გიორგი ქორიძე

გაისხენა შეხვედრის დროს. თურმე ამ ხერხმა გაამართლა, პატარა ნანა წიგნებს ჯერ შორიდან აკვირდებოდა, შემდეგ გადმოიღო წიგნები და მშობლებს რომ არ დაენახათ, კითხვა ჩუმად დაიწყო. რემარკის „სამმა მეგობარმა“ კინოც დაავიწყა, ცეკვა-თამაშიც და მეგობრებთან გართობაც.

პოეტ — დათო მალრაძისთვის (76%) კი პოეზია მისი ბედისწერა, სათქმელის გამოხატვის ფორმაა. უყვარს ის, რაზეც წერს და არა ის — რასაც წერს. იგი მსოფლიო შედეგად ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაურს“ მიიჩნევს. გალაკტიონის, ბესიკის, გურამ რჩეულიშვილის, ოთარ ჭილაძის ნაწარმოებები თავისთან ხშირად უხმობენ და „მეც მათ წიგნებთან პაემანზე მივდივარ“.

დათო მალრაძის მსგავსად, ყველანაირ ლექსს სიამოვნებით პოეტი — რატი ამაღლობელიც კითხულობს. პოეზიის გარდა მას ესეები, სამეცნიერო ლიტერატურა, ბიოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ნამუშევრებიც იზიდავს. მითხრა, რომ წიგნს მასთან საოცარი გაცდები მიაქვს — კითხვისას თავად ხდება ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი. რატიმ სწორი პასუხის გაცემა დასმული კითხვების 70%-ზე შეძლო.

წელს „ერუდიტი“ ჟურნალისტების სიმრავლეც შეინიშნებოდა. ვახო სანაია (67%), ირაკლი მისურაძე (68%), ლევან ჯავახიშვილი (62%), დათო ქაშიაშვილი (74%), ოთარ



ვახო სანაია

ქრია (71%), გიორგი ქორქია (67%)... 10 წლის ყოფილა ლევან ჯავახიშვილი, „სამი მუშკეტერი“ რომ ნაუკითხავს, მერე დარტანიანობაზე ოცნებობდა. კითხვაზე — ახლა რას კითხულობს? — ღიმილით მიპასუხა, — „მომბებს“. ვახო სანაიას კი პოლიტიკური და სპორტული ლიტერატურა იზიდავს. უყვარს ანტიკური მწერლობაც, განსაკუთრებით — ჰომეროსი. სიამოვნებით „იმეგობრება“ აქილევსთან, რადგან მისი სიმამაცე მოსწონს, ის ლიდერია. კითხვაზე: — თავად თუ აქვს ეს თვისებები? მიპასუხა, რომ დაუმორჩილებლობის ელემენტები მის ხასიათშიც არის. ირაკლი მისურაძე კი შეხვედრაზე ერთი პირობით დამთანხმდა, კითხვები კვანტური ფიზიკიდან არ უნდა დამესვა. მას განსაკუთრებით ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა უყვარს. მართალია, კარგი მესხიერებით არ გამოირჩევა, მაგრამ თუ ამბავმა დააინტერესა, ადვილად ამას-სოვრდება. ვერ ივინყებს იმ ემოციებს, რომლებიც ამა თუ იმ წიგნის წაკითხვისას ჰქონდა... „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ყელში ახლაც „ბურთი“ ებჯინება. დათო ქაშიაშვილს კი ერთი უცნაური ჩვევა ჰქონია: როცა ცუდ ხასიათზეა, საყვარელ ნივთებს „გალაკტიონის ხიდიდან“ ყრის. „ზოგჯერ მათთან განშორება მიჭირს. ასეთ დროს, გრანელს ვეკითხები: „როგორ მოვიქცე? ისიც „მპასუხობს“, რომ გადავყარო“.

ფსიქოლოგი — გია ჯაფანიძე



თურმე მთელი ცხოვრება ზღაპრებს კითხულობს. იგი ნაკლებად ერუდირებული (54%), მაგრამ ძალიან გულახდილი რესპონდენტი აღმოჩნდა.

„ერუდიტის“ ყველაზე მხიარული სტუმარი კი პაროდისტი — **დათო როსტომაშვილი** გახლდათ. შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, რომელ რუბრიკაში უნდა ჩამეწერა, არც კი უკითხავს. როგორც კი სიტყვა „ერუდიტი“ ვახსენე, მისაყვედურა, ერთი კვირით ადრე მაინც გაგეფრთხილებინე, ცოტას წავიშვებდი. მერე თავი დაიმიშვა, კითხვებზე თუ ვერ გიპასუხებ, ანეკდოტებს მაინც მოგიყვებო. დანაპირები პირნათლად შეასრულა:

— **ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება თუ არა პარლამენტის წევრის განწვევა?**

— არ შეიძლება. სვანები პარლამენტში რომ მივიდნენ, ეგ ამბავი იცი?

— **რაო, რას ითხოვდნენ?**

— ავტონომია გვინდაო. იქ უპასუხეს, — ავტონომია რომ მოგცეთ, მილიონი მაინც უნდა იყოთო. — მილიონი რომ ვიყოთ, თქვენ დაგეკითხებოდითო? კიდევ ერთ ანეკდოტს მოგიყვები: სვანი პარლამენტის თავზე ცისარტყელას დაინახავს და გაბრაზებული ჩაილაპარაკებს: აბა, შეხედე, ეს მთავრობა ფულს რაში ხარჯავსო (იცინის)...

რეჟისორმა — **ლევან წულაძემ** (70%) კი მითხრა, რომ ყველაზე მეტად

ჟისორისგან ასეთი პასუხი მივიღე: „თეატრის გარეთ თავგადასავლები ნაკლებად მაქვს და ცხადია, სხვაგან მეგობრებს ვერ შევიძენ, საამისოდ ბედისწერა ადამიანებს თეატრში მიგზავნის“.

„ერუდიტის“ შემდეგმა რესპონდენტმა კი მითხრა, როცა პატარა ბიჭი ვიყავი და მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, ესა თუ ის პერსონაჟი როგორ განმესახიერებინაო... ის „პატარა ბიჭი“ უკვე დიდი ხანია გაიზარდა და დღეს მსახიობი — **ზაზა იაქაშვილი** გახლავთ. პროზა და პოეზია თანაბრად უყვარს. როცა ახალ ნაწარმოებს კითხულობს, იმაზე ფიქრობს, პერსონაჟიდან ახალი რა ისწავლოს, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს და სულიერი სამყარო გაიმდიდროს. ზაზამ სწორად კითხვების 69%-ს უპასუხა. მის კოლეგას — **კაბუს** (კახა აბუაშვილს) კი ყველაზე მეტად პოეზია უყვარს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ნოდარ დუმბაძის გმირები აირჩია; მითხრა, რომ ილიკოსა და ილარიონის ზურკელა სიამოვნებით იქნებოდა. **აჩი სოლოლაშვილს** (72%) კი შეუძლია, სქელტანიანი ნაწარმოების შინაარსი უშეცდომოდ გაიგებოთ, მაგრამ ორსტროფიანი ლექსის დაზეპირება უჭირს. რომ არა მსახიობი, შესაძლოა, ის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გამხდარიყო.

ველთვის შინაგანი მდგომარეობა კარნახობს.

მსახიობი — **კახა მიქაშვილი** სკოლაში 5-ოსანი ყოფილა. მასწავლებელი გაკვეთილს რომ ახსნიდა, უკვე იცოდა. ტექსტებს დღესაც ადვილად იმასწავრებს. ეს ნიჭი თეატრში ძალიან მეხმარება, მეგობრები დამცინიან, სხვისი როლებიც ზეპირად იცისო. აღიარა, რომ ქვეყნად ყველაზე არასპორტული ადამიანია და ახალ წელსაც არანაირ ალკოჰოლურ სასმელს არ მიირთმევს.

ხოლო როდესაც მსახიობ — **ლევან ხურციას** დავურეკე და „ერუდიტში“ სტუმრობა ვთხოვე, თავაზიანად მიპასუხა, უარი რომ გითხრა, ხომ არ გეწყინებო? აზრი 2 წუთში შევაცვლევი. დამშვიდობებისას სიცილით მითხრა, მამაკაცი რომ იყო, შენთან უარი არც ერთ ქალს არ გაუფიქრებდაო. ლევანმა სწორი პასუხის გაცემა კითხვების 58%-ზე შეძლო.


უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ამ რუბრიკაში სტუმრობაზე რესპონდენტის დათანხმება, ხშირ შემთხვევაში, ჭირს, მაგრამ ამ 4-წლიანი გამოცდილების მანძილზე, გამოწვევების მოხდა, — პირველი, ვინც „ერუდიტში“ შეხვედრის სურვილი საკუთარი ნებით გამოთქვა, მომღერალი — **ნინო შერმადინი** (69%) იყო. როცა მის კოლეგა — **ნოდკო ტატიშვილთან** (64%) ინტერვიუს



ზაზა იაქაშვილი



ნანა შერმადინი



გოგი თოჭაძე

გერმანული ლიტერატურა იზიდავს. უყვარს ნოველებიც. ლიტერატურული პერსონაჟებიდან „მეგობრად“ რემარკის სამი მეგობარი აირჩია. „საინტერესო პერსონაჟები არიან, თან ალკოჰოლთანაც „მეგობრობენ“ და ერთმანეთის გაგება არ გაგვიჭირდებოდა“... დავინტერესდი, მეგობრებს ცხოვრებაში რა ნიშნით ირჩევს? რე-

თემიკო ჭიჭინაძემ (74%) ჩემთან საუბარი შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „ისეთ დროში გავიზარდე, როცა გარკვეული შინაარსის მქონე ლიტერატურის კითხვა და მუსიკის მოსმენა აკრძალული იყო, დღეს ამას შეიძლება რომ ვეუბნები, უკვირს“. თემიკო ცდილობს, ახლაც აქტიური მკითხველი იყოს. რა წაიკითხოს, ყო-

ვნერდი, ნინი გვერდით ოთახში იმყოფებოდა, ინტერვიუს დასასრულს მითხრა, რომ ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა და ამ რუბრიკის სტუმარი თავადაც სიამოვნებით იქნებოდა. როგორც გაირკვა, ნინი ინტელექტუალური თამაშების მოყვარული ყოფილა, არაერთი საყვარელი ავტორი ჰყავს, ნიგინი, რომელმაც მასზე



წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, „დიდოსტატის მარჯვენა“ იყო...

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მერობის კანდიდატებს დაუწყავშირდი და „ერუდიტი“ სტუმრობა ვთხოვე. კითხვარი თბილისის თემატიკაზე იყო შედგენილი. გიგი უგულავამ და ირაკლი ალასანიამ, უარი თქვეს, მიზეზად დროის უქონლობა დაასახელეს. თანხმობა **გია ქანტურისაგან, გოგი თოფაძისგან, ზვიად ძიძიგურისგან, ნიკა ივანიშვილისა და გიორგი ლალიძისგან** მივიღე. აღმოჩნდა, რომ ქალაქს, რომლის თავგაცობასაც აპირებდნენ, ყველაზე კარგად გია ქანტურია იცნობს. დასმული 19 შეკითხვიდან, მან სწორად 14-ს უპასუხა, გოგი თოფაძემ — 12-ს, ზვიად ძიძიგურმა — 10-ს. თანაბარი 5-5 სწორი პასუხი მივიღე ნიკა ივანიშვილისა და გიორგი ლალიძისგან. მაგრამ ნიკასგან განსხვავებით, გიორგი იმით იყო გამორჩეული, რომ კითხვებს გამუდმებით მიპროტესტებდა.

ერთ-ერთი საინტერესო რესპონდენტი იყო საკრებულოს წევრი, პროფესიით ისტორიკოსი — **ჯაბა სამუშია**. მას პირადი ბიბლიოთეკის შექმნა 11 წლიდან დაუწყია, ახლა საოჯახო ბიბლიოთეკაში 98% სამეცნიერო ჟანრის წიგნი აქვს.

სექტემბერში, ჩემი შვებულებაში ყოფნისას, „ერუდიტის“ ავტორი

მიმემართა“. ხათუნა კი მის „მუდმივ რესპონდენტებში“ ექსპერტებს გულისხმობდა, რომლებიც „ერუდიტის“ რუბრიკაში მოიწვია. მათგან პირველი სამხედრო ექსპერტი — **გიორგი თავდგირიძე (80%)** გახლდათ, შემდეგი — **ირაკლი სესიაშვილი (62%)**. ის ინტელექტუალურ თამაშებში ყოველთვის ენთუზიაზმით ებმება, რითაც მშვენივრად ერთობა. უყვარს ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვა და წუხს, რომ მისი დღევანდელი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად სულ სხვა შინაარსის ლიტერატურის კითხვა უწევს. ისიც აღნიშნა, რომ პროფესიით იურისტი, გერმანისტი და ჟურნალისტი. გერმანიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკაც შეისწავლა. ექსპერტობა კი უბრალოდ დააბრალებს. სახელებს და გვარებს ვერ იმახსოვრებს, სამაგიეროდ, „მხეცია“ გეოგრაფიაში.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში — **მამუკა არეშიძე (82%)** პროფესიით დრამის რეჟისორია. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე სპექტაკლი მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგა. მისი საყვარელი მწერლები — ვაჟა-ფშაველა, ჭაბუა ამირეჯიბი და მარკვესი არიან. „ერუდიტის“ შემდეგი ნომრის სტუმარი ფილოსოფოსი — **კახა კაციტაძე (76%)** იყო, შემდეგი — **სოსო ცინცაძე (73%)**.


სამხედრო ისტორიის კითხვა ჰყვარებია. განსაკუთრებით II მსოფლიო ომის პერიოდი აინტერესებს. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ყველაზე საინტერესოდ გერმანიის სამხედრო ისტორიას მიიჩნევს. ფიქრობს, რომ ყველაზე საინტერესო სამხედრო ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს.

მედიაცქსპერტი — **ზვიად ძიძიგი** კი ყველა ჟანრის კარგ ლიტერატურას ინტერესით ეცნობა. დღემდე ასხოვს წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხა („ბურატინოს თავგადასავალი“) და მის წაკითხვას სხვებსაც ურჩევს. უფრო მეტიც, მისი აზრით, ეს წიგნი ადამიანმა მხოლოდ ერთხელ კი არა, ცხოვრებაში რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს. რესპონდენტებიდან ზვიად ქორიძემ ყველაზე მეტ კითხვას უპასუხა და დაგროვილი 89%-ით ის 2010 წლის ერუდიტი გახდა.


წელს ჩვენი რუბრიკის სტუმარი იყო დიზაინერი — **ზიქოლაძე (ანზორ თეთრაძე)**. აღიარა, რომ იგი იმ ლიტერატურას საერთოდ არ კითხულობს, რომელიც მოდის სფეროს არ ეხება, მაგრამ თავს გაუნათლებელ ადამიანად მაინც არ მიიჩნევს. არც ფილმები უყვარს, მაგრამ ამბობს, რომ იმ ადამიანებზე მეტ საქმეს აკეთებს, ვისაც თავი წიგნებში აქვთ ჩარგული. ბიჭოლამ დასმული კითხვების მხოლოდ 34%-ს უპასუხა და ამ შედეგით, სამწუხაროდ, 2010 წლის ანტიერუდიტი გახდა.



ლევან შურკია



ზვიად ძიძიგური



კახა

ჩემი კოლეგა — ხათუნა ბახტურიძე იყო. მან ერთ-ერთი სტატიის შესავალში აღნიშნა, რომ თავსატეხი გავუჩინე, — „ადვილი სულაც არ არის, ქართველი კაცი საკუთარი ერუდიციის საჯაროდ გამოშვებზე დაითანხმო. გადავწყვიტე, ამჯერად დახმარებისთვის ჩემი მუდმივი რესპონდენტებისთვის

უკვე 41 წელია, ეს ადამიანი პოლიტიკურ მოვლენებს მიმოიხილავს. საქართველოს სამივე პრეზიდენტის მრჩეველი იყო, ამჟამად კი დიპლომატიური აკადემიის რექტორია და თუ ავად არ არის, კვირაში ერთ წიგნს მაინც კითხულობს.

სამხედრო ექსპერტს — **გიორგი მელითაურს (85%)** კი ყველაზე მეტად

P.S. ვულოცავთ ბატონ ზვიადს გამარჯვებას და საგამომცემლო სახელი — „მედიპალიტრა“ სახსოვრად სამაგიდო ენციკლოპედიას — „ყველაფერი ყველაფერზე“ გადასცემს, ხოლო ბიჭოლა ამავე საგამომცემლო სახლისგან „ქართული ანბანი“ დასაჩუქრდა.

დიდი სახალწლო ფასდახლება წიგნებზე
-20% „ბიბლუსის“ მაღაზიაში! **-40%**

თოვლის ბაბუს ხალყარი ამბავი




ფასი: ~~19.99~~ 15.99

თოვლის ბაბუს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და გამორჩეული ახალი წლის ამბავი. ეს წიგნი გაგიმხელთ თოვლის ბაბუს საიდუმლოებებს და პასუხს გასცემს ბავშვების უამრავ შეკითხვას.



ცხოველები



წიგნი გაგაცნობთ ცხოველთა მრავალფეროვან და საინტერესო სამყაროს. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები, ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და სახელთა საძიებელი.


ფასი: ~~32.99~~ 26.80



დიდი წიგნი კომპიუტერის შესახებ

თუ გსურთ, უფრო მეტი შეიტყოთ კომპიუტერის შესახებ, ისწავლოთ გრაფიკებისა და დიაგრამების აგება, მაშინ ეს წიგნი, ადვილად გასაგები ილუსტრაციებითა და პრეზენტაციებით, სწორედ თქვენთვის არის!

ფასი: ~~24.99~~ 14.99



წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი




წიგნში მოთხრობილია ყველაფერი რაინდების შესახებ - ვინ იყვნენ ისინი, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი რაინდი? ამ წიგნის საშუალებით ნებისმიერ ბავშვს შეუძლია თავი ნამდვილ რაინდად წარმოიდგინოს!

ფასი: ~~22.99~~ 18.40



თვალაბი, ყურაბი, ცხვირი და ყუდი



გაეცანი მხიარულ ცხოველებს: ვირუქას, გოჭუნას, პატარა ლექვსა და ჯუნტრუმს ბატყანს. შეიტყვე, როგორ ცხოვრობენ ისინი ერთად.

ფასი: ~~19.99~~ 15.99



„გამომცემლობა პალიტრა L“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(აითხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. საახალწლოდ მოსკოვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური ძალზე გადატვირთულია. მორიგე ექიმებს დასვენების უფლება არა აქვთ. კომპიუტერი უთვალთვალებს, თუ რომელი მანქანა სად იმყოფება. რას აკეთებენ ექიმები იმისათვის, რომ ცოტა ხნით მაინც დაისვენონ?
2. დაასახელეთ დაავადება, რომელმაც 1366 წელს თბილისის მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა.
3. რით მკურნალობენ შიზოფრენიას?
4. კოლონია მასალია ბერძნებმა დააარსეს. რა ჰქვია დღეს მის ადგილზე აშენებულ ქალაქს?
5. რა არის ექტიპოგრაფია?
6. „მამლუქი“ არაბული სიტყვაა. რას ნიშნავს იგი ქართულად?
7. რა არის ხვედა?
8. რაში იყენებდნენ ირლანდიაში მანქანების გამტაცებლები ვირთხებს?
9. ვინ თარგმნა რუსულად ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“?
10. ვინ წარმოთქვა სიკვდილის წინ სიტყვები: „ეს რა მსახიობი ვიღუპები!“?
11. ფილიპინელებს ორი სახელმწიფო დროშა აქვთ. რატომ?
12. თავდაპირველად რომელი როლი უნდა შეესრულებინა მიხეილ ბოიარსკის მხატვრულ ფილმი — „დ'არტანიანი და სამი მუშკეტერი“?
13. ვიფელის კოშკი შვიდ წელიწადში ერთხელ წონაში იმატებს. რატომ?

ანექლოცენი



- რატომ გგონია?
- იმიტომ, რომ ამომარტყეს.
- აბა, რატომ ამბობ, უნდოდა-თო?
- რომ არ ნდომოდათ, ხომ არ ამომარტყამდნენ?!

მძარცველი ოსს აყაჩაღებს:

- ჩქარა ფული!
- სენი წირიმე, მე ვიცი სამბო, ძიუდო, აიკილო, კუნფუ, კარატე და კიდევ ბევრი, ძალიან საშიში სიტყვა.

საუბრობს ორი გენერალი, რუსი და ამერიკელი.

- ჩვენს ჯარისკაცებს სამჯერადი კვება აქვთ და 2000 კალორიას იღებენ დღეში, — ამბობს რუსი გენერალი.
- ჩვენი ჯარისკაცები 4000 კალორიას იღებენ დღეში, — არწმუნებს ამერიკელი.
- იტყუები, შე არამზადავ, შეუძლებელია, ჯარისკაცმა ორი ტომარა ბურღული შეჭამოს.

სვანს მკითხავმა უთხრა, შენი ერთადერთი ქალიშვილი 14 წლის რომ გახდება, თითში ეკალს შეირქობს და მოკვდებაო. გადარეული სვანი სახლში გაიქცა და ქალიშვილს ყველა თითი დააჭრა.

- ეს რა ქენი? — ჭკუაზე შეიშალა ცოლი.
- რა ვქენი და სიკვდილს გადავარჩინე!

აზერბაიჯანელს ეკითხებიან: — რა განსხვავებაა აკუმულატორსა და სომხებს შორის? — აკუმულატორს ერთი პლუსი მაინც აქვს!



პატარა ბავშვები სილაში თამაშობენ:

- მამაჩემს იმდენი ფული აქვს, შეუძლია, მთელი თბილისი იყიდოს!
- ჰა, ჰა, ჰა! მამაჩემს ვეტყვი და არ გაყიდის!

- გაიგე, სვანეთის ერთ სოფელში ყველა სოკოთი მონამლულა!
- როგორ, ყველა ერთად?!
- არა, ჯერ ერთი მონამლულა, დანარჩენები კი მის ქელესში მოინამლნენ.

- მოშე, რატომ გამოდის თქვენი ბინიდან ვარდის სუნი?
- როზა, ძვირფასო, შედი აბაზანაში და შხაპი მიიღე!

ამერიკელი ტურისტი იერუსალიმში ჩავიდა. გოდების კედლის ნახვა უნდა, სახელწოდებას ვერ იხსენებს და მძლოლს ეუბნება:

- იმ ადგილას მიმიყვანეთ, სადაც თქვენ, ებრაელები, მოთქვამთ, ყვირით და კედელს თავს ურტყამთ. მძლოლმა ტურისტი საგადასახადო ინსპექციის შენობასთან მიიყვანა.

სვანმა სტუდენტმა ქალი დაითრია და სახლში აიყვანა. მოკლედ, ერთ ამბავში არიან. ბოლოს ქალი ეკითხება:

- ჰა, რა ქენი, მორჩი?
- არა, ჯერ მეოთხე კურსზე ვარ!

— სარა, იცი, გუშინ ჩემთვის პანღურის ამორტყმა უნდოდათ.

* * *

ოსი მეზობელს სახლში ეპატიჟება. ის კი ცოცხალი თავით არ მიჰყვება. ბოლოს გამოუტყდა:

— იცი, ერთხელ შენს ცოლთან ვინეტი და მეუხერხულება!

— კარგი, რა, სენი წირიმე! მე ჩემს ცოლთან ყოველდღე ვწევარ და მაგიტო სახლსი ვეღარ უნდა სევიდე?

* * *

ჩუქჩას ჰკითხეს, რა კატეგორიის ელჩები იციო. ჩუქჩამ ჩამოთვლა დაიწყო:

— პასოლ ცერეზვიცაინი, პასოლ უპალნამოცენნი ი პასოლ ნა ხ...

* * *

ერთი გურული ეუბნება მეორეს:

— ამ არაყმა თავი ამატკივა!

— აბა, ძამა, 100 გრამ ჭკუას რომ 300 გრამ ჭაჭას გადაასხამ, კაი რა დაგემართება?!

* * *

არგონავტები კოლხეთში მიდიან.

შავ ზღვაში დახვდათ ციკლოპი. დაავლო ხელი მათ ხომალდს, მალა ასწია და დაიღრიალა:

— რამე მითხარით ისეთი, რომ გაემხიარულდე, თორემ სულ დაგიღენავთ ამ თქვენს ხომალდს!

ჭიჭიკიამ (რომელიც გაურკვეველი მიზეზებით ფოთში მიჰყვებოდა იაზონს!) რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ციკლოპმა უცებ ხარხარი ატეხა და არგონავტები გაუშვა.

უკანა გზაზე ისევ შეხვდათ ციკლოპი, რომელიც ჯერ კიდევ იცინოდა. გააჩერა არგონავტები და უთხრა:

— რაღაც ისეთი მითხარით, რომ ცოტა დავნაღვლიანდე, თორემ სიცილისგან ვკვდები!

ჭიჭიკიამ გვერდზე გაიყვანა და ციკლოპმა ცოტა ხანში დაღვრემილი სახით გაუშვა არგონავტები.

გაოცებულმა არგონავტებმა ჭიჭიკიას ჰკითხეს, ან გავლისას რა უთხარი, ან გამოვლისას?

— გავლისას ვუთხარი, შენზე დიდი მამბია-მეთქი და ამაზე იცინოდა.

— გამოვლისას?

— გამოვლისას, ვაჩვენე.

* * *

იმერელი კახელს ხინკლით გაუმასპინძლდა:

— მიირთვი, შენი ჭირიმე!

— აღარ მინდა, უკვე 7 ცალი შევჭამე!

— 7 კი არა, 11 ცალი შეჭამე, მაგრამ მიირთვი, გემრიელად მიირთვი!



* * *

სვანი ბაზრობაზე მანქანას ყიდის:

— მანქანა ახალია? — ეკითხება კლიენტი.

— ახალია! ყველაფერი ახალია, ძარა ახალია, მოტორი ახალია, სიჩქარეების კოლოფიც ახალია, „პადვესკაც“ ახალია, „რულევი კალონკაც“ ახალია...

— რატომ ყიდი? — ახალი მანქანა უნდა ვიყიდო.

* * *

— ჩემი ცოლი მგონი, მეყვავილესთან მლაღატობს, — შესჩივის რაჭველს იმერელი.

— საიდან იცი?

— სახლში რომ ვბრუნდები, ლარნაკში ყოველთვის ახალი ყვავილები აწყვია.

— მე კი ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ცოლი მენისქვილესთან მლაღატობს.

— რა იცი?

— ცოტა ხნის წინ სახლში დავბრუნდი, ლოგინის გადასაფარებელი გადავწიე და რას ვხედავ, მენისქვილე არ არის ნამოკოტრი-ალებული?!

გონების სავარჯიშო

„ზის“ ერთჯადი მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ექიმები რომელიმე ახლობელს არეკვინებენ სადისპეტჩეროში და ცრუ-გამოძახებაზე გადაიან. ასეთი გამოძახების პერიოდში ისინი ოციოდე წუთით მეგობრებთან შერბენას და 2-3 ჭიკა შამპანურის დაღევას ასწრებენ. უკან დაბრუნებულები კი აცხადებენ, რომ ავადმყოფმა ჰოსპიტალიზაციაზე უარი განაცხადა. „კინუტ ლოჟიაჟ“ — ასე ეძახიან ამ ფანდს თავად ექიმები.
2. შავი ჭირი.
3. შიზოფრენია არ იკურნება.
4. მარსელი.
5. ამოზურცული ბეჭდვის სისტემა უსინათლოთათვის.
6. „თეთრ მონას“.
7. ხის ურო.
8. ისინი ამ ცხოველს მანქანის ლია ფანჯარაში მძლოლ ქალებს უგდებდნენ, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი კვილით ტოვებდნენ მანქანას ისე, რომ სტარტერიდან გასაღების გამოღება აზრადაც არ მოსდიოდათ. მძარცველი სწრაფად ჯდებოდა საჭესთან და თავის მღრღნელ „კომპანიონთან“ ერთად, უჩინარდებოდა.
9. მანდელშტამმა.
10. რომის იმპერატორმა — ნერონმა.
11. ერთი მშვიდობიანობისთვის არის განკუთვნილი, მეორე — ომიანობისთვის.
12. გრაფი რომფორის როლი.
13. შვიდ წელიწადში ერთხელ მას ღებავენ.

ჩენი ფოტო მანაა





კოროსკოპი

30 დეკემბერი - 5 იანვარი

ვეჩორი

მეგობრებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. მათი დახმარებით მნიშვნელოვან საქმეებს მოაგვარებთ.

კუჩრი

კარგი პერიოდია განმარტოებისა და მომავლის გასაანალიზებლად. ახალი იდეების განხორციელება მომავალი კვირისთვის გადადეთ.

ღამე

მეგობრები მოწყენის საშუალებას არ მოგცემენ. ყურადღებით იყავით, ქურდების სამიზნე არ გახდეთ. სადღესასწაულო დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

კიჩხობი

სამსახურში მნიშვნელოვანი საქმეები დაასრულეთ და რამდენიმე დღით შევსება აიღეთ. თუ მეგობრების დაპირება არ გინდათ, მცირე თანხასაც კი ნურავის ასესხებთ.

დობი

მთელი კვირის მანძილზე ენერგიული და მობილიზებული იქნებით, უამრავი საქმის შესრულებას მოახერხებთ, მაგრამ ეცადეთ, თქვენი ენერგიულობა აგრესიულობაში არ გადაიზარდოს.

ქაფი

საოჯახო საქმეების შესრულება თავად მოგიწევთ, მაგრამ დახმარებისთვის მშობლებს მიმართეთ. დასვენების დღეებში თავი შეიკავეთ ხალხმრავალ ადგილებში სიარულისგან.

სახსნი

ამ პერიოდში მარტოხელა სასწორებს ფლირტი და რომანტიკული ნაცნობობა ელით. ნუ იქნებით მოწყენილი, გამხიარულდით.

მომხივრო

ენერგიის მოზღვავენას იგრძნობთ, რაც საშუალებას მოგცემთ, საოჯახო და სამსახურებრივი საქმეები სწრაფად და საუკეთესოდ შეასრულოთ.

მომხივრო

საპირისპირო სქესთან ადვილად გააბამთ ფლირტს. კვირა რომანტიკული შეხვედრებითა და თავგადასავლით იქნება დატვირთული.

თხი

საოჯახო საქმეებს ნათესავების დახმარებით მოაგვარებთ. ძვირად ღირებულ ნივთებს მათი მატერიალური მხარდაჭერით შეიძენთ. კვირის ბოლოს თქვენში შემოქმედი გაიღვიძებს.

მეგობრები

ხელსაყრელი იქნება ხანმოკლე მოგზაურობები, რომლის დროსაც ახალ მეგობრებს შეიძენთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნათესავებთან კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ.

თხი

შესაძლოა, ძველი ვალები დაიბრუნოთ. დასვენების დღეები ოჯახთან ერთად გაატარეთ. საყვარელ ადამიანს მეტი თავისუფლება მიანიჭეთ.

საუკეთესო მამები

ვერდი მემკვიდრის მიმართ მომთხოვნია. უმნიშვნელო შეცდომასაც არ აპატიებს, მაგრამ სიმკაცრის მიუხედავად, შვილებს თხოვნაზე უარს არასდროს ეუბნება — ნებისმიერ სურვილს უსრულებს. ვაჟს ძმაცაც იყავით ექცევა, გოგონას — მფარველობს.

კონსერვატორი **კურო** შვილს ბავშვობიდან აყვარებს ოჯახურ წეს-ჩვეულებებს. ყოველთვის მისი მეგობარი და მფარველია. სურს, მისი შვილი განათლებული იყოს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

ტყუპი მამობა მაინცდამაინც არ ხიბლავს, მაგრამ თუ შვილი ეყოლა, მას ძმაცად გაიხდის. არასდროს ელაპარაკება ენის მოჩლექით. ხშირად არიგებს და სწორ გზაზე აყენებს.

კორჩი შვილები ყველაზე მეტად უყვარს და სურს, მემკვიდრე საყვარელმა ქალმა გაუჩინოს. ბავშვებს ხშირად დედაზე კარგად უყვლის, მათი მეგობარი და მრჩეველია. მზრუნველი მამაა. შვილებს ცოტათი აღიზიანებთ კიდევ მისი გადამეტებული ყურადღება.

ლომი ცდილობს, ღირსეული მემკვიდრე აღზარდოს, მისთვის საუკეთესო მაგალითი იყოს, მაგრამ თუ მიხვდება, რომ მისი შვილი უსაქმური და

უინტერესო პიროვნება იზრდება, შეიძლება, მემკვიდრეობის გარეშეც კი დატოვოს.



ქალწული საუკეთესო მამაა. ცდილობს, მემკვიდრეს მატერიალურად არ გაუჭირდეს და გაკვეთილების მომზადებაშიც დაეხმარება.

სასწორი კეთილი, მზრუნველი, მაგრამ მომთხოვნი მამაა. შვილს ზრდილობიან, თავაზიან პიროვნებად ზრდის. ცდილობს, მემკვიდრეს ხელოვნება შეყვაროს. მისთვის არც შექებას და არც საჩუქარს არ დაიზარებს, მაგრამ თუ შვილი უღირსად მოიქცა, სასტიკად დასჯის.

მორიელს სურს მისი შვილი ფიზიკურად და გონებრივად განვითარდეს. მამის სურვილია, რომ მისი სიტყვა

შვილისთვის კანონი იყოს! შვილს ურჩობას არ აპატიებს. გოგონას მიერ შედარებით ლმობიერია, მაგრამ ზრდილობასთან ერთად, მას საკუთარი თავის დაცვასაც ასწავლის.

მშვილდოსანი მამას შვილი მხოლოდ გასართობად უნდა, როგორც კი პატარა ატირდება და მოვლა დასჭირდება, მშვილდოსანი სახლიდან გარბის. მაგრამ საერთო ენას უკვე გაზრდილ შვილთან ადვილად იპოვის.

თხის რქა მემკვიდრეზე ფიქრს სიბერეში იწყებს. თუ შვილის ყოლა გადანყვიტა, მისთვის საუკეთესო მამა იქნება და შესაძლოა, ზოგ დედაზე უკეთ მოუაროს. ახალგაზრდა თხის რქა შვილის მიმართ ინტერესს არ იჩენს და პატარას შეიძლება, ვალდებულების გამო მოეფეროს.

მერწყლისნაირი მამის ყოლა ბედნიერებაა. მას სურს განათლებული და ზრდილობიანი მემკვიდრე ჰყავდეს. ზრუნავს შვილის განვითარებაზე, აღზრდაზე. მისი საუკეთესო მეგობარია...

თევზს შვილი ძალიან უყვარს. ანებივრებს. ბავშვებს დედებზე უკეთ უყვლის. ბიჭს მანდილოსნებისადმი პატივისცემას ასწავლის, გოგონას პრინცესასავით ზრდის. მათი უზრუნველი მომავლისთვის თავდაუზოგავად შრომობს.



					1. საახალწლო ტკბილეული		2. ინგლისური ავტომობილი		3. ვინულის მთა ზღვაში	4. საახალწლო ხე გურიაში		
					5. ზღვის დიდი ათფეხა კიბო					6. დასარტყამი მუს. ინსტრუმენტი		
						7. პატარა მარხილი	8. ფაქიზი, სათუთი					
									9. აღმოსავლური სასულე საკრავი			
									10. ცხენების ჯოგი			
	11. ქართველი ქორეოგრაფი									12. რეჟისორი... რინი		
13. ებრაელთა სამლოცველო							14. ქართველი ოპერის მომღერალი	15. ... ბესინჯერი			16. ... ჯაგერი	
17. სამრეწველო საწარმო			18. ფინელი ავტომობილეული	19. მარცვლეულის საღებავი ადგილი					20. დანიის დედაქალაქი			
						21. ფეხბურთის მატჩის ნახევარი	22. ჩვარი	23. ნაბიჯი ბალეტში		24. პალიანტნელი, უკუნეთი	25. ტომი ... ჯონსი	
26. ღორის ნაშიერი	27. მაუგლის მეგობარი დათვი							28. დაუმაკებელი, უნაყოფო ძროხა				
			29. მდინარე საქართველოში				30. კუკასიონის მწვერვალი				31. ძლიერი სიცოცხე	
32. ვიეტნამის დედაქალაქი	33. ცურვის სტილი							34. ახალი წელი გურიაში	35. კლიმატი			
				36. ხილის ნაწური								
	37. სპორტის სახეობა						38. ვაჟა-ფშაველას პოემა					
	39. თენგიზ აბულაძის ფილმი								40. ... მაკ გრეგორი			
								41. ქართველი პოეტი	42. დაღებიდან დაბრუნებული ელექტროდი			
	43. კომში				44. კუნძული ზმელთაშუა ზღვაში							

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები


1. დეკემბერი; 2. კალია; 3. დეკეული; 4. დედა; 5. კალენდარი; 6. დაბა; 7. რინიტი; 8. ტიალი; 9. ბუი; 10. ცელოფანი; 11. მალარია; 12. ფინია; 13. ალიკაპი; 14. კეკლუცი; 15. იაკი; 16. იემენი; 17. პოლო; 18. ორბი; 19. ალაფი; 20. მკაფიო; 21. ცენტრი; 22. არარატი; 23. მუშუ; 24. მაისი; 25. მინდი; 26. ცინიზმი; 27. ყია; 28. კომბალი; 29. ცანცარა; 30. ანცი; 31. მინდორი; 32. პენტაგონი; 33. ცა; 34. იუდა; 35. ორშაბათი; 36. ბროილერი; 37. ფანტაზია.
 სურათებზე: 1. ლაკოტა პფენინგი; 2. მაკოლეი კალკინი.



წიგნი

„50 წიგნის“ საჩიოს ტოპეზი 7 ღარი! ბაჟით „კვირის პალიტა“ და მიღეთ გულ: 38 26 73; 38 26 74 უფასო

წიგნის უნდა წაიხიტოს, სანამ ცოცხალი ხარ!




წიგნი 4
ალექსანდრე დიუმა
„სამი მუშუტეხი“ ტომი II

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით და სპეციალური სანიშნით

3-დან - 10 ლარი იანვრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

გული!




ვილიამ შექსპირი

გული!



ჟულ ვერნი

გული!



მიხაილ ბუტაგოვი


და სხვა დიდი წიგნები... ყოველ ორ წინაშე „წიგნის სანდო“ რიოდ!

„დიდი მხატვრები“



ფიროსმანი

დიდი მხატვრები




10 იანვრიდან!

„კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
მხოლოდ ერთი კვირის
განმავლობაში

იყითხეთ წიგნის მალაჩიუბში
ან ჯოჯოს გაძაგოსსელუბლუბთან

ფოტოკუჩიონები



EMBWOOD®

კომპლექტი თქვენს ცხოვრებაში

ბ. 7/2

ახალი წელი


ახალი აჟუტი!



საახალწლო ვაჟები



www.embawood.ge



EMBWOOD

წარადგინეთ ამოკრილი ტაღონი ვაჟა-ფშაველას №71-ში მდებარე ემბაუდის მაღაზიაში. შეიძინეთ ნებისმიერი ავეჯი და მიიღეთ საახალწლო ხაზუქარი წიგნების თარი ექსკლუზიურად ჟურნალი "გზის" მკითხველისთვის.



15 იანვრამდე